



**განათლების
საჩინოს განვითარების
ეროვნული სენსი**

უმალესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის
მაძიებლის თვითშეფასება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი





სარჩევი

ნაწილი I: შესავალი	3
1. დაწესებულების აღწერა	5
2. ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	5
3. რაოდენობრივი მაჩვენებლები	6
3.1 პროგრამები	6
3.2 სტუდენტები	6
3.3 პერსონალი	7
3.4 სხვა რაოდენობრივი მაჩვენებლები	7
4. შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი	7
5. სამიზნე ნიშნულები	8
6. თვითშეფასების ჯგუფი და თვითშეფასების პროცესის აღწერა	9
ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება	12
1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	12
1.1. უსდ-ის მისია	12
1.2. სტრატეგიული განვითარება	14
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	22
2.1. ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	22
2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	34
2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	41
3. საგანმანათლებლო პროგრამები	44
3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	44
3.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	49
3.3. სწავლის შედეგების შეფასება	52
4. უსდ- პერსონალი	57
4.1. პერსონალის მართვა	57
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	70
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	73
5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	73
5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	76
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	86
6.1. კვლევითი საქმიანობა	86
6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	93
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება	98
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	101
7.1. მატერიალური რესურსი	101
7.2. საბიბლიოთეკო რესურსები	106
7.3. საინფორმაციო რესურსი	112
7.4. ფინანსური რესურსი	116
ნაწილი III: წარმოსადგენი ინფორმაციის/დოკუმენტების ჩამონათვალი	127
დანართი 1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი	
1.1. აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამები ავტორიზაციის განაცხადისათვის	127
1.2. აწსუ-ს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი ფაკულტეტების მიხედვით, რომლებიც რე-ავტორიზაციის შემდეგ შეწყვეტენ ფუნქციონირებას ან უნივერსიტეტი წარადგენს აკრედიტაციაზე	137
დანართი 2. მონაცემები სტუდენტების შესახებ ფაკულტეტების/დეპარტამენტების/სკოლების და პროგრამების მიხედვით	143
დანართი 3. მონაცემები აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შესახებ ფაკულტეტების/დეპარტამენტების/სკოლების მიხედვით	149
დანართი 4. სამიზნე ნიშნულები ფაკულტეტების/დეპარტამენტების/სკოლების მიხედვით	152
დანართი 5. დაწესებულების ფართი მისამართების მიხედვით	157



ნაწილი I: შესავალი

1. დაწესებულების აღწერა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც სამი დამოუკიდებელი უნივერსიტეტის გაერთიანება, თანამედროვე სახით, საბოლოოდ 2010 წლის ბოლოს ჩამოყალიბდა. ჯერ, 2006 წელს, გაერთიანდა აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ნიკო მუსხელიშვილის სახელობის ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტი, ხოლო 2010 წელს, რეორგანიზაციის შედეგად, მას შემოუერთდა სუბტროპიკული მეურნეობის სოხუმის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.

შედეგად, მივიღეთ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მრავალპროფილური რეგიონული უნივერსიტეტი, რომლის პროფილი მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორცაა ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები, განათლება, პოლიტიკის მეცნიერებები, ბიზნესი, სამართალი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ინჟინერია, აგრარული მეცნიერებები, მედიცინა. 2019 წლიდან უნივერსიტეტი, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტთან ერთად, გეგმავს სახელოვნებო დარგების განვითარებას.

უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენს ცხრა ფაკულტეტი: 1. ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; 2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი; 3. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი; 4. პედაგოგიკის ფაკულტეტი; 5. მედიცინის ფაკულტეტი; 6. საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი; 7. საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი; 8. აგრარული ფაკულტეტი; 9. საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტი.

2018 წლისათვის აწლუ ახორციელებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, მასწავლებლის მომზადების (ერთწლიანი) და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე აწლუ პროფესიული განათლების ერთ-ერთი მსხვილი პროვაიდერია რეგიონში. უნივერსიტეტის ზრუნვის საგანია ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტებისათვის ხარისხიანი განათლების მიცემა და დასაქმების ხელშეწყობა, მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრების უზრუნველყოფა.

თანამედროვე საქართველოში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა კვლევისა და სწავლების მაქსიმალური დაახლოება, კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში იმპლემენტაციის ხარისხის ამაღლება, კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენების ხარისხის ამაღლება, კვლევების ინტერნაციონალიზაცია, კვლევით საქმიანობაში სტუდენტების ჩართვის მასშტაბების გაფართოება და ა.შ. აწლუ-ს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების - ფაკულტეტების დონეზე აკუმულირებული ცოდნა ხმარდება როგორც ახალი თაობების და მაღლაკვალიფიციური სპეციალისტების აღზრდას, აგრეთვე ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების განხორციელებას. აწლუ ადმინისტრაცია, საფაკულტეტო ინიციატივების (მ.შ. კვლევითი პროექტების) მხარდაჭერის მიზნით, საერთო-საუნივერსიტეტო ბიუჯეტში გამოჰყოფს მნიშვნელოვან თანხას (2015 წ. - 250,0 ათ. ლარი; 2016 წ. - 600,0 ათ. ლარი; 2017 წ. - 1,0 მლნ. ლარი), რომელიც ნაწილდება ფაკულტეტებს შორის, მათი საქმიანობის ხარისხისა და ეფექტიანობის შესაბამისად.

2017 წლიდან თითოეულმა ფაკულტეტმა შეიმუშავა ფაკულტეტის სამეცნიერო პროფილი, რომელშიც განსაზღვრულია ფაკულტეტის ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებები/ქვე-



მიმართულებები ფაკულტეტზე არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით.

უნივერსიტეტში კვლევისა და სწავლების ინტეგრირება უზრუნველყოფილია კვლევაში ჩართული მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მნიშვნელოვანი კვლევითი პოტენციალის მქონე პერსონალით, სწავლა/სწავლებისა და კვლევით პროცესებში დოქტორანტების ჩართვით; პროგრამებით გათვალისწინებული ექსპერიმენტული, სავლე, ლაბორატორიული სამუშაოების შესრულებისთვის კვლევითი ბაზების გამოყენებით; საერთაშორისო ნუსხებში შემავალი ელექტრონული ბაზებისა და საერთაშორისო რეფერირებადი პერიოდული გამოცემების მდიდარი რესურსების ხელმისაწვდომობით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ინტერნაციონალიზაცია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცხადებული პრიორიტეტია. უნივერსიტეტი ყველა საფეხურის სტუდენტებისათვის ახორციელებს სრულად დაფინანსებულ გაცვლით პროექტებს Erasmus+ პროგრამის ფარგლებში, 2017 წელს ასეთი გაცვლითი პროგრამები ევროკავშირის 10 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელდა. უნივერსიტეტი წარმოადგენს პროექტ „მეგლანას“ ერთ-ერთ დამფუძნებელს, რის შედეგად, ჩვენი სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია თურქულენოვანი სასწავლო და კვლევითი სივრცე. უნივერსიტეტი მჭიდრო ურთიერთობებს ამყარებს სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მეზობელი ქვეყნების რეგიონულ უნივერსიტეტებთან და ცდილობს შეასრულოს ერთგვარი ხიდის როლი მათსა და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეს შორის.

საქართველოს უმაღლესი განათლების მთავარი პრიორიტეტებისა და გამოწვევების შესაბამისად, უნივერსიტეტი წარმატებით ავითარებს უცხოენოვან (ძირითადად ინგლისურენოვან) პროგრამებს. უნივერსიტეტი მიმართულია გაზარდოს უცხოელი პროფესორების ჩართულობა თავისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში, როგორც ერთობლივი პროგრამების, ასევე ინდივიდუალური მოწვევის გზით.

2016 წელს უნივერსიტეტი გახდა პირველი რეგიონული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში, რომელმაც ERASMUS+ პროექტის ფარგლებში მოიპოვა პროექტის კოორდინატორობა. ERASMUS+ პროექტის ფარგლებში შეიქმნა და წარმატებით ვითარდება როგორც ერთსაფეხურიანი, ასევე ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა. ამ უკანასკნელში ვგულისხმობთ ბიოსამედიცინო ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამას, რომელიც, პირველად საქართველოს ისტორიაში ხორციელდება სამი უნივერსიტეტის (საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი) მიერ, რომლებიც კურსდამთავრებულებს ერთობლივად ანიჭებენ კვალიფიკაციას.

უნივერსიტეტს თავისი საქმიანობით წვლილი შეაქვს ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში. შესაბამისად, უნივერსიტეტი აცნობიერებს სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობას და მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს და მდგრად განვითარებას. ამ მიზნით იგი უზრუნველყოფს ცხოვრების მანძილზე უწყვეტი განათლების პროგრამებისა და სერვისების მიწოდებას, ახალი ცოდნის გენერირება-გავრცელებას და სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად ჩართულია საზოგადოებრივი პოლიტიკის ფორმირების პროცესში.



2. ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

გთხოვთ, მიუთითოთ დაწესებულების შესახებ ფაქტობრივი ინფორმაცია, რომელიც მოქმედია საავტორიზაციო განაცხადის გაკეთების მომენტისთვის

სახელწოდება	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სახელწოდება ინგლისურ ენაზე	Akaki Tsereteli State University
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სახე	უნივერსიტეტი/University
საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	თამარ მეფის ქუჩა, N59, ქ.ქუთაისი, 4600, საქართველო
ვებ-გვერდი	www.atsu.edu.ge
ელ-ფოსტის მისამართი	atsu@atsu.edu.ge
ტელეფონი	+995 431 24 21 73
ხელმძღვანელი	გიორგი ღავთაძე
ხელმძღვანელის ელ. ფოსტის მისამართი	rector@atsu.edu.ge
ხელმძღვანელის მობილური ტელეფონი	+995 577 73 41 13
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	კახა კუპატაძე
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ელ.ფოსტის მისამართი	kakha.kupatadze@atsu.edu.ge
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მობ. ტელეფონი	+995 577 13 15 50
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი/ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციაზე პასუხისმგებელი პირი	ირმა გრძელიძე
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის/ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციაზე პასუხისმგებელი პირის ელ.ფოსტის მისამართი	irma.grdzeldze@atsu.edu.ge
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის/ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციაზე პასუხისმგებელი პირის მობილური ტელეფონი	+995 577 13 15 53
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ (არსებობის შემთხვევაში)	
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	№82 11.07.2011
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	3.09.2018



3. რაოდენობრივი მაჩვენებლები

3.1 პროგრამები¹

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	ამჟამად მოქმედი	ავტორიზაციის განაცხადით წარდგენილი
		150
ბაკალავრიატი	46	39
მაგისტრატურა	57	43
ერთსაფეხურიანი	4	4
დოქტორანტურა	33	4
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	1	1
ქართულ ენაში მომზადების	1	1
დამატებითი (მაინორ) პროგრამა (დამოუკიდებლად აკრედიტებული)	8	0

აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	149	92
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	0	0
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა ²	1	1
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	60	60

3.2 სტუდენტები³

სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა			11 200
სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			10 500
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	8 149	4 155	58.3 %
ბაკალავრიატი	6 574	3 435	53.37 %
მაგისტრატურა	647	461	56.28 %
ერთსაფეხურიანი	714	155	50.5 %
დოქტორანტურა	138	104	57.13 %
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	76	0	92 %
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	0	0	100
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	267	73	19 (კურსდამთავრებული)
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	11	2	80

¹ დეტალური ინფორმაცია პროგრამების შესახებ შესახებ ფაკულტეტების მიხედვით უნდა იქნას წარმოდგენილი დანართი 1 -ში მოცემული ფორმით

² იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3⁴⁸ პუნქტში

³ მონაცემები სტუდენტების შესახებ ფაკულტეტების მიხედვით უნდა იქნას წარმოდგენილი დანართ 2 -ში მოცემული ფორმით



3.3 პერსონალი⁴

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	1 725
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	478
- პროფესორი	84
- ასოცირებული პროფესორი	336
- ასისტენტ პროფესორი	58
- ასისტენტი	0
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	
- მეცნიერი	14 (შტატგარეშე)
- პოსტდოქტორანტი	0
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	464
- აფილირებული პროფესორი	83
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	327
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	54
- აფილირებული ასისტენტი	0
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	3 მოწვეული პერსონალი
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	1 მოწვეული პერსონალი
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	455
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	ადმინისტრაციული პერსონალი - 34; დამხმარე პერსონალი(შტატით)-202; დამხმარე პერსონალი (ხელშეკრულებით)-563

3.4 სხვა რაოდენობრივი მაჩვენებლები

ბოლო ავტორიზაციის პერიოდში განხორციელებული და მიმდინარე კვლევების რაოდენობა	88
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რაოდენობა	0
უსდ-ს მთლიანი ბიუჯეტი	21 929 007
კვლევით-სამეცნიერო საქმიანობაზე გამოყოფილი ბიუჯეტი	მთლიანი ბიუჯეტის 15%-18%
ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარებაზე გამოყოფილი ბიუჯეტი	4,5 მლნ ბოლო ავტორიზაციის პერიოდში
საერთაშორისო სამეცნიერო საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების მაჩვენებელი	8 394 (მხოლოდ EBSCO-ს ბაზის მონაცემები 31.01.2018-ის მდგომარეობით)
სტუდენტთა რაოდენობა, რომელზეც გათვლილია სტუდენტური საცხოვრებელი	120 სტუდენტი

4. შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი⁵

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	63 424.43
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	41 212.82
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	22 211.61

⁴ მონაცემები უსდ-ში დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის (აფილირებული პერსონალის მითითებით) შესახებ ფაქულტეტების მიხედვით უნდა იქნას წარმოდგენილი დანართ 3-ში მოცემული ფორმის მიხედვით

⁵ დეტალური ინფორმაცია ცალკეულ მისამართებზე არსებული შენობა-ნაგებობების ფართების შესახებ წარმოდგენილი უნდა იქნას დანართ 5-ში მოცემული ფორმით



5. სამიზნე ნიშნულები⁶

	ფაქტობრივი მაჩვენებელი	სამიზნე ნიშნული	სამიზნე ნიშნულების მიღწევის სავარაუდო თარიღი ⁷
აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მთლიან რაოდენობასთან	1:1,6	1:1,3	2022
აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა დაწესებულების პერსონალის მთლიან რაოდენობასთან	1:3,2	1:2,7	2022
აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან	1,08:1	1,2:1	2022
აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	1:8,6	1:10	2020
აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობასთან	6,35:1	7,5:1	2020
ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	1:240	1:250	2022
აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მთლიან რაოდენობასთან	1:2	1:1,8	2020
აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	1:17,6	1:18	2022
ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების რაოდენობის თანაფარდობა	1:2,1	1:3	2020
აკადემიური პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი	94 %	95 %	2022
მოწვეული პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი	85 %	90 %	2022
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი	94%	95 %	2022
კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი (ბოლო ავტორიზაციის პერიოდში) ⁸	55 %	60 %	2022
კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად (ბოლო ავტორიზაციის პერიოდში)	47 %	50 %	2022
ავტორიზაციის მინიჭებიდან, სადოქტორო ნაშრომების დაცვის მაჩვენებელი	99	63	2023
ადმინისტრაციული ხარჯების თანაფარდობა მთლიან ბიუჯეტთან	მთლიანი ბიუჯეტის 5%-7%	მთლიანი ბიუჯეტის არაუმეტეს 10 %	2020
კვლევითი/სახელოვნებო, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობის თანაფარდობა უსდ-მთლიანი ბიუჯეტთან	მთლიანი ბიუჯეტის 27%-30%	მთლიანი ბიუჯეტის არანაკლებ 35-40 %	2020

⁶ ინფორმაცია სამიზნე ნიშნულების შესახებ ფაკულტეტების მიხედვით წარმოდგენილი უნდა იქნას დანართ 4-ში მოცემული ფორმის მიხედვით

⁷ სამიზნე ნიშნულების მიღწევის მოსალოდნელი თარიღი არ უნდა სცდებოდეს 6 წელს

⁸ კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი პროგრამების მიხედვით უნდა იქნას წარმოდგენილია დანართ 1-ში მოცემული ფორმის მიხედვით



6. თვითშეფასების ჯგუფი და თვითშეფასების პროცესის აღწერა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში თვითშეფასების პროცესი ოთხ ძირითად ეტაპად წარმართა:

1. პრობლემების ანალიზი;
2. ანალიზის შედეგებზე დაფუძნებული სამუშაოები;
3. თვითშეფასების ჯგუფის შექმნა;
4. პილოტური ავტორიზაცია.

1. 2017 წლის დასაწყისში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გააანალიზა პრობლემები ავტორიზაციის განახლებულ სტანდარტებსა და უნივერსიტეტში არსებულ რეალობას შორის. აღიწერა არსებული მდგომარეობა, პრობლემების ანალიზი წარედგინა აკადემიურ საბჭოს, რექტორატს. გაიმართა შეხვედრები ფაკულტეტებთან. შესაბამისად, უნივერსიტეტის საქმიანობის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მუშაობა დაიგეგმა გაცილებით ადრე, სანამ თვითშეფასების ჯგუფი ჩამოყალიბდებოდა.

2. აღნიშნული პრობლემების ანალიზის მიხედვით მუშაობა წარმართა შემდეგი მიმართულებით:

• **თანამშრომლობა სამსახურებთან**

სამსახურის უფროსებმა მიმოიხილეს საანგარიშო პერიოდში (2011-2017) გაწეული მუშაობა, გამოავლინეს ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. აღნიშნულ შეხვედრებზე შესაძლებელი გახდა, იმ პრობლემების, ფუნქციათა გადაფარვების წარმოჩენა, რომლებიც აწსუ-ს სამსახურებში არსებობდა. შეხვედრების შედეგად გადამუშავდა რიგი სამსახურის დებულებები.

• **თანამშრომლობა ფაკულტეტებთან**

სამუშაო შეხვედრები შედგა ფაკულტეტებთანაც, სადაც იხილებოდა ფაკულტეტების სტრატეგიული გეგმები, საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროფილები. საერთო შეხვედრებზე განისაზღვრა მათ მიერ სტანდარტების დასაკმაყოფილებლად განსახორციელებელი მთელი რიგი სამუშაოები.

• **თანამშრომლობა საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან**

სამუშაო შეხვედრების მიზანი იყო ავტორიზაციის სტანდარტების და აწსუ-ს მიერ დაგეგმილი აქტივობების გაცნობა, კარგი პრაქტიკის გაზიარება, ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციაზე მუშაობა და პროგრამების თვითშეფასება 2011-2017 წლების განმავლობაში პროგრამების შემდგომი გაუმჯობესებისა და ოპტიმიზაციისათვის.

• **არსებული ნორმატიული დოკუმენტაციის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა**
შეიკრიბა და გადამუშავდა მთელი რიგი დოკუმენტები, აღიწერა მთელი რიგი პროცესები და პროცედურები.

3. აწსუ-ს რექტორის 2017 წლის 1 ნოემბრის N01-04/84 ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა აწსუ-ს ავტორიზაციის თვითშეფასების მოსამზადებელი ჯგუფი, რომლის წევრებს შორის პასუხისმგებლობა ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

პასუხისმგებელი პირები	სტანდარტი
გიორგი ღვთაძე, თეა ვალიშვილი, დავით გეგეჭკორი	1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება 1.1 უსდ-ის მისია 1.2 სტრატეგიული განვითარება
გიორგი ღვთაძე, ირმა გრძელიძე, დავით გეგეჭკორი ზაქარია გოგუაძე	2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა 2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა 2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები 2.3 ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა
ირმა გრძელიძე, იმერი ბასილაძე	3. საგანმანათლებლო პროგრამები 3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება 3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი 3.3 სწავლის შედეგების შეფასება
ნატო წულეისკირი, იმერი ბასილაძე ზაქარია გოგუაძე	4. უსდ-ის პერსონალი 4.1 პერსონალის მართვა 4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა
მირანდა კავაძე, თეა ვალიშვილი, იმერი ბასილაძე, მინდია ბერეკაშვილი	5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები 5.1 სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები 5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები



<p>გიორგი დავთაძე, ირმა გრძელიძე, დავით გეგეჭკორი, ნესტანი კუტივაძე.</p>	<p>6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა 6.1 კვლევითი საქმიანობა 6.2 კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია 6.3 კვლევითი საქმიანობის შეფასება</p>
<p>კახა კუპატაძე, გიორგი ჭიჭინაძე, ოთარი შენგელია, თეა ვალიშვილი.</p>	<p>7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები 7.1 მატერიალური რესურსი 7.2 საბიბლიოთეკო რესურსები 7.3 საინფორმაციო რესურსი 7.4 ფინანსური რესურსი</p>

თვითშეფასების ჯგუფი გეგმავდა და კოორდინირებას უწევდა ავტორიზაციის თვითშეფასების მოსამზადებელ სამუშაოებს. თვითშეფასების ჯგუფის ყოველკვირეული შეხვედრები მიმდინარეობდა შემდეგი მიმართულებით:

1. რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება;
2. მონაცემების ანალიზი;
3. თვითშეფასების ანგარიშის დაწერა;
4. თვითშეფასების ანგარიშის თარგმნა;
5. თვითშეფასების ანგარიშის რედაქტირება.

რაოდენობრივი მონაცემების გარკვეული ნაწილი უკვე არსებობდა და მათი მოძიება არ წარმოადგენდა სირთულეს, თუმცა საკმაოდ დიდი ნაწილი წლების განმავლობაში ან არ არსებობდა ან არ იყო სისტემატიზებული სახის. შესაბამისად, მათი შეგროვების სისტემა არ იყო გამართული. სირთულეს წარმოადგენდა, ასევე, არსებული მონაცემების დახარისხებისა და ანალიზის მეთოდოლოგიაც.

თითოეული სტანდარტის აღწერა და შეფასება ხდებოდა სტანდარტთან კორელაციაში მყოფი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით, მათთვის ინფორმაციის გაზიარებისა და განხილვის პროცესის საშუალებით. სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობდნენ: ფაკულტეტების ადმინისტრაციის წარმომადგენლები, აწსუ-ს სამსახურის უფროსები, სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები, ტუტორები, აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები, დამხმარე სტრუქტურული რგოლების წარმომადგენლები.

თვითშეფასების პროცესში დამუშავდა ბევრი მონაცემი, ჩატარდა თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევები. ჩატარებულმა სამუშაომ შესაძლებელი გახადა მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების გარკვეული სისტემის შექმნა, რომელიც შემდგომ პრაქტიკაში მდგრად გამოყენებას ჰპოვებს.

რაც შეეხება უშუალოდ თვითშეფასების ანგარიშის წერის პროცესს: აწსუ-ს განახლებული სტანდარტების შესაბამისად ანგარიშის წერის გამოცდილება არ ჰქონია.

ავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშის დაწერის გამოცდილება PDCA ციკლის მიხედვით შედარებით მწირი იყო. ამ მიზნით გავიზიარეთ საერთაშორისო გამოცდილება, გავეცანით ბრიტანეთის, გერმანიის, ესტონეთის, ავსტრიისა და ჰოლანდიის უნივერსიტეტების თვითშეფასების ანგარიშებს. სანიმუშოდ ითარგმნა აწსუ-ს პარტნიორი ესტონეთის უნივერსიტეტების - ტალინის უნივერსიტეტისა და ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშები. თვითშეფასების წერის სტილი აღნიშნული უნივერსიტეტების თვითშეფასებას დაეფუძნა.

თვითშეფასების ანგარიშის წერის პროცესში შეხვედრები რეგულარულად იმართებოდა სტუდენტთა ჯგუფებთან, მიმდინარეობდა ინფორმაციის გაცვლა, სტუდენტებმა, მათ შორის ტუტორებმა განიხილეს და წარადგინეს თავიანთი მოსაზრებები და კომენტარები, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა ანგარიშში.

4. ბოლო ეტაპი თვითშეფასების პროცესში იყო ის, რომ აწსუ-მ მიიღო გადაწყვეტილება, თავად დაეგეგმა და გაეკეთებინა პილოტური ავტორიზაცია, რაც გამოავლენდა, თუ ზოგადად რა პრობლემების წინაშე იყო უნივერსიტეტი თვითშეფასების პროცესში.

2017 წელს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პილოტირების პროცესში ჩართული იყვნენ ავტორიზაციის ექსპერტები აწსუ-დან, რომლებმაც შესაბამისი გამოცდილება გაუზიარეს აწსუ-ს ადმინისტრაციას. შედეგად მიღებული გამოცდილება დაეხმარა აწსუ-ს, ჩამოეყალიბებინა მიმდინარე



პროცესის შესაბამისი შედეგზე ორიენტირებული ხედვა და დაეწყო ნაყოფიერი მუშაობა თვითშეფასების ანგარიშის მოსამზადებლად.

პილოტირების პროცესისათვის შეირჩა ექსპერტთა პანელი ქართველი და საერთაშორისო ექსპერტების შემადგენლობით. ექსპერტები, პილოტური ავტორიზაციის რეჟიმში, 2018 წლის 24-25 იანვარს ვიზიტით იმყოფებოდნენ უნივერსიტეტში. მათ ჩაატარეს 20 შეხვედრა და შეხვედრენ 132 მონაწილეს.

ვიზიტის შემდეგ ექსპერტთა ძირითადი მიგნებების შესაბამისად აწსუ-მ დაგეგმა ავტორიზაციის თვითშეფასების მომზადების გაუმჯობესების სამუშაოები.

აწსუ-ს თვითშეფასების ანგარიშის სრულყოფის, უნივერსიტეტის ყველა პირის ჩართულობისა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მიზნით, 2018 წლის 12 თებერვალს კორპორაციული ფოსტით აწსუ-ს ყველა თანამშრომელს დააგზავნა მომზადებული თვითშეფასების სამუშაო ვერსია. დაინტერესებულმა პირებმა თავიანთი მოსაზრებები წარმოადგინეს სპეციალურად შექმნილი კითხვარის გამოყენებით.

2018 წლის თებერვლიდან, აშშ „ფულბრაიტის“ პროგრამის ფარგლებში, უნივერსიტეტში მუშაობა დაიწყო არკანზასის უნივერსიტეტის პროფესორმა, რომელსაც გააჩნია ინსტიტუციური აკრედიტაციისათვის მოსამზადებელი სამუშაოების გამოცდილება. იგი გაეცნო აწსუ-ს ავტორიზაციის თვითშეფასების პროექტის ინგლისურენოვან ვარიანტს და თავისი მოსაზრებები განიხილა თვითშეფასების მოსამზადებელ ჯგუფთან.

2018 წლის თებერვლის ბოლოს აწსუ-ს ავტორიზაციის თვითშეფასების მოსამზადებელი ჯგუფმა დაამთავრა ძირითად დოკუმენტზე მუშაობა და საბოლოო ვერსია წარუდგინა აწსუ-ს აკადემიურ საბჭოს.



ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების მიმართულებები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

<p>1.1. უსდ-ის მისია</p> <ul style="list-style-type: none"> უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.
<p>აღწერა და შეფასება</p> <p>აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის მრავალდარგოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკადემიურ და პროფესიულ პროგრამებს და ეწევა აქტიურ კვლევით საქმიანობას.</p> <p>უნივერსიტეტი ეფუძნება რა ფაზისისა და გელათის აკადემიების ტრადიციებს, „უნივერსიტეტების დიდი ქარტიის“ პრინციპებსა და უმაღლესი განათლების ეროვნულ და ევროპულ სტანდარტებს, ისწრაფვის უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი საქმიანობა, ხელი შეუწყოს სტუდენტების პროფესიულ განვითარებას, აღზარდოს პროფესიონალები და ლიდერები.</p> <p>უნივერსიტეტის მისიაში გაცხადებულია საქართველოს უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნები: ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის, პროფესიული პოტენციალის რეალიზება და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება.</p> <p>უნივერსიტეტი აცნობიერებს საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას და მიზნად ისახავს თავის საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში. ამ მიზნით იგი უზრუნველყოფს ცხოვრების მანძილზე უწყვეტი განათლების პროგრამებისა და სერვისების მიწოდებას, ახალი ცოდნის გენერირება-გავრცელებას და სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად ჩართულია საზოგადოებრივი პოლიტიკის ფორმირების პროცესში.</p> <p>დღეისათვის მოქმედი მისიის განაცხადი წარმოადგენს 2010-2016 წლების პერიოდში გაცხადებული მისიის გადამუშავებულ ვარიანტს. მასში გათვალისწინებულია უნივერსიტეტის წინაშე არსებული ახალი გამოწვევები და პერსპექტივები, ხაზგასმულია უნივერსიტეტის მიერ საზოგადოების წინაშე აღებული პასუხისმგებლობა, სტუდენტთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, აკადემიურ პროგრამებთან ერთად, პროფესიული პროგრამების, როგორც ერთ-ერთი სახელმწიფო პრიორიტეტის, განხორციელება.</p> <p>უნივერსიტეტის მთავარ ღირებულებებზე დაყრდნობით შემუშავებულია ძირითადი სამოქმედო პრინციპები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე - მართვის ყველა დონეზე, ეფექტური ხელმძღვანელობის სისტემა და ხარისხის კულტურა აწსუ-ს თითოეული წევრის საქმიანობასა და უნივერსიტეტში მიმდინარე ყველა პროცესში. 2. საუნივერსიტეტო საზოგადოებაზე, სოციუმზე ორიენტირება - აწსუ-ს სტრატეგია დაფუძნებულია მოტივირებული სტუდენტების მოზიდვასა და გამორჩეული მკვლევარების ჩართვაზე საქმიანობის ყველა სფეროში. აწსუ ზრუნავს საკუთარი თანამშრომლების პროფესიულ განვითარებასა და კეთილდღეობაზე, მხარს უჭერს პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების განაწილებას საუნივერსიტეტო მიზნების მიღწევასა და განხორციელებაში თანამშრომლების ჩართულობის ხარისხის ასამაღლებლად. 3. ხარისხზე ორიენტირება - მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა როგორც სწავლა/სწავლების, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების, ისე უნივერსიტეტის ადმინისტრაციული საქმიანობის სფეროში. 4. აკადემიური თავისუფლება - აწსუ აკადემიური პერსონალი, მკვლევარები და სტუდენტები სრულიად თავისუფალნი არიან საკუთარი სამეცნიერო-აკადემიური პროფილის ფორმირებასა და განვითარებაში, ახალი ცოდნის შექმნაში, საზოგადოებაში მისი ღია განხილვისა და გავრცელებისათვის შესაძლებლობების ძიებაში. აკადემიური თავისუფლება უზრუნველყოფს აღმასვლას „თანამედროვე უნივერსიტეტიდან თავისუფალ აზროვნებამდე“. 5. ღიაობა და მრავალფეროვნების პატივისცემა - უნივერსიტეტის ყველა წევრისათვის (განურჩევლად



<p>ეროვნებისა, მრწამსისა, სქესისა, ფიზიკური შესაძლებლობებისა და სხვ.) თვითრეალიზაციის თანაბარი პირობების შექმნის მხარდაჭერა.</p> <p>6. აკადემიური კულტურა - უნივერსიტეტში არსებული კოლეგიალური გარემო ეფუძნება აკადემიური ეთიკის პრინციპებს, ურთიერთპატივისცემას, ორმხრივ ინტერესს, მხარდაჭერასა და სამართლიან ურთიერთობებს.</p> <p>7. გუნდურობა - თანამშრომლებს შორის ღია კომუნიკაცია, კოლეგიალობა, გუნდური მუშაობა, ჰარმონიული და დინამიკური ურთიერთობები.</p> <p>8. სრულყოფილებისაკენ სწრაფვა - კვლევა ქმნის საფუძველს აწსუ-ში სხვადასხვა აქტივობისათვის, მათ შორის პროგრამების განვითარებისა და საზოგადოებისათვის ცოდნის გავრცელების მრავალფეროვანი ფორმების შესათავაზებლად (ფორმალური და არაფორმალური განათლება, დისტანციური და ელ-სწავლება, უწყვეტი განათლება და ა.შ.). ტრადიციების პატივისცემითა და საკუთარი სრულყოფილებისაკენ სწრაფვით უნივერსიტეტი განაპირობებს საზოგადოების დინამიკურ განვითარებას.</p> <p>უნივერსიტეტის მისია, ხედვა და სამოქმედო პრინციპები, ისევე როგორც სტრატეგიული განვითარების გეგმა, განისაზღვრა საუნივერსიტეტო საზოგადოების მაღალი ჩართულობით. იგი განიხილეს როგორც კოლეგიალური ორგანოების (აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები, ფაკულტეტების საბჭოები), ასევე სტუდენტური თვითმმართველობის, სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლების, აკადემიური პერსონალის და საუნივერსიტეტო საზოგადოების სხვა წევრების წინაშე.</p> <p>მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტის მისია, ხედვა და სამოქმედო პრინციპები ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, დემოკრატიული საზოგადოების აქტიური წევრის მომზადებაში, ცოდნის შექმნასა და გაზიარებაში, სტუდენტების პიროვნული განვითარების ხელშეწყობასა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაში.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია (დანართი 1). • ჩატარებული შეხვედრების და განხილვების ოქმები (დანართი 62); • აწსუ-ს ვებ-გვერდი http://atsu.edu.ge/index.php?lang=en
<p>1.2. სტრატეგიული განვითარება</p>
<ul style="list-style-type: none"> • უსდ-ის აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი) • უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას • უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებას და სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე
<p>აღწერა და შეფასება</p> <p>აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზანია ქვეყნის მასშტაბით იყოს ერთ-ერთი ლიდერი უნივერსიტეტი და იმავდროულად ჰქონდეს სულ უფრო მზარდი საერთაშორისო რეპუტაცია, შეძლოს მოიხილოს და შეინარჩუნოს მოტივირებული და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტები, ამისთვის კი უზრუნველყოფს რეალურ საჭიროებებზე მორგებულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და შესაბამისი ადამიანური რესურსების უწყვეტ და დინამიკურ განვითარებას, ამავდროულად სთავაზობს მრავალფეროვან სტუდენტურ სერვისებს და ხელშეწყობს გარემოს სრულფასოვანი სტუდენტური ცხოვრებისა და პიროვნული განვითარებისათვის. უნივერსიტეტი ამლიერებს კვლევით საქმიანობას, უზრუნველყოფს ღია აკადემიურ სივრცეს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობისათვის და აქტიურად არის ჩაბმული რეგიონისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებში.</p> <p>ამ მიზნების მისაღწევად შედგა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა - უნივერსიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი დოკუმენტი, რომელიც ემსახურება უნივერსიტეტის მისიისა და მიზნების შესრულებას, უნივერსიტეტის საქმიანობის თანამინდევრულად წარმართვასა და გაუმჯობესებას. იგი ასახავს უნივერსიტეტის 2018-2024 წლების განმავლობაში სამომავლო განვითარების პრიორიტეტებსა და მიდგომებს, წარმოაჩენს უნივერსიტეტის განვითარების შესაძლებლობებს, არსებულ გამოწვევებს და მათი დაძლევის მექანიზმებს. სტრატეგიული გეგმა ეფუძნება, როგორც ფაქტობრივ მონაცემებს, მტკიცებულებებსა და კვლევების შედეგებს, ასევე საუნივერსიტეტო საზოგადოების ჩართულობით თვითშეფასების შედეგებს.</p>



დასახული მისიისა და ხედვის რეალიზების მიზნით უნივერსიტეტის სტრატეგია გამოყოფს 5 ძირითად მიმართულებას. თითოეული მიმართულება მოიცავს მისთვის სპეციფიკურ მოსალოდნელ შედეგებს და მათი მიღწევის გზებს. ეს მიმართულებებია:

1. სწავლებისა და კვლევის ხარისხის განვითარება,
2. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება,
3. საუნივერსიტეტო სერვისების განვითარება,
4. ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების განვითარება,
5. მართვის სისტემის გაუმჯობესება.

სტრატეგიის შესაბამისად შედგენილია სამწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც ასახულია განსახორციელებელი აქტივობები, მათი განხორციელების ვადები, შესრულების კრიტერიუმები და პასუხისმგებლობის ფორმები. მიზნები და მოსალოდნელი შედეგები დაზუსტებულია მიღწევის მაჩვენებლებით, რაც ასახულია სტრატეგიის მონიტორინგის გეგმაში. სუბსტრატეგიის სახით უნივერსიტეტს აგრეთვე აქვს პროფესიული პროგრამების განვითარების სტრატეგია (აწსუ აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #5, 23.02.2017).

სტრატეგიული გეგმა გათვლილია 7 წელზე, თუმცა საგულისხმოა, რომ მოცემული დოკუმენტი არ არის უცვლელი და უნივერსიტეტის ფუნქციონირების განმსაზღვრელი საბოლოო დოკუმენტი. იგი ასახავს მხოლოდ ამჟამინდელ ხედვას და შესაბამისად, მნიშვნელოვანია მასში ცვლილებების შეტანისა და მუდმივი დახვეწის პროცედურების არსებობაც.

უნივერსიტეტის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება წარმართება წინასწარ განსაზღვრული პროცედურის საფუძველზე. სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნების შესრულების მიმდინარე შეფასება ხდება ყოველწლიურად თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში. ყველა სტრუქტურული ერთეული ამზადებს წლიურ ანგარიშს სტრატეგიული გეგმის შესაბამისად. მონიტორინგის პროცესში გამოტანილი დასკვნების გათვალისწინება ხდება ყოველწლიური ოპერაციული გეგმის შედგენისას. აღნიშნული განხილვის შედეგად ასევე შესაძლებელია სტრატეგიის განმსაზღვრელ დოკუმენტსა და მონიტორინგის გეგმაში შეტანილ იქნეს ცვლილებები. შესაბამის საკითხის ინიცირებას ახდენს რექტორი და უთანხმებს აკადემიურ საბჭოს. სტრატეგიული გეგმის გეგმიური გადახედვა ხორციელდება სულ მცირე ყოველ 3 წელიწადში ერთხელ. არაგეგმიური გადახედვა/შეფასება შესაძლებელია ინიცირებულ იქნეს რექტორის მიერ სხვა დროს შესაბამისი გარემოებების/დასაბუთების შემთხვევაში. სტრატეგიული გეგმის მიმოხილვისა და შეფასების პროცესის ინიცირება ხდება რექტორის მიერ.

მიმოხილვის პროცესი ხორციელდება სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის მსგავსად, სპეციალურად ფორმირებული მიმოხილვის ჯგუფის მიერ, რომელიც უფლებამოსილია გამართოს საკონსულტაციო განხილვები დაინტერესებულ პირებთან და მოამზადოს მიმოხილვის/შეფასების ანგარიში. ფორმირებისთანავე ჯგუფი შეიმუშავებს საკონსულტაციო შეხვედრების/განხილვების გეგმას. გეგმა უნდა ასახავდეს რომელ ჯგუფებთან რა სახის საკონსულტაციო პროცესი გაიმართება და რა ვადებში. შეფასების ანგარიშს რექტორი წარუდგენს აკადემიურ საბჭოს და მასთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას გასატარებელი ცვლილებების შესახებ.

ანგარიშის მომზადების გარდა, ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, წელიწადში ერთხელ, განხორციელდება შესაბამისი კვლევები (სტუდენტებს, ინსტიტუციურ პარტნიორებს და სხვა სამიზნე ჯგუფებს შორის), რომლის შედეგებიც შედარდება წინა საანგარიშო პერიოდის კვლევის შედეგებთან. ამგვარი ანალიზი ნათლად წარმოაჩენს სტრატეგიის წარმატებას თუ წარუმატებლობას და შეაფასებს კონკრეტულ გაზომვად ინდიკატორებს.

უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმის გარდა, თითოეულმა ფაკულტეტმა შეიმუშავა საკუთარი სტრუქტურული ერთეულის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებიც, რომლებიც ერთი მხრივ, აძლიერებს საუნივერსიტეტო სტრატეგიულ გეგმას, და მეორე მხრივ, ითვალისწინებს საგანმანათლებლო ერთეულების მიმართულების სპეციფიკასაც.

საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო დოკუმენტის შემუშავება და შეფასება ხორციელდება ერთიანი პროცედურით, რაც უზრუნველყოფს ერთგვაროვან მიდგომებსა, დაგეგმილ სამუშაოთა იერარქიულობასა და განხორციელების ეფექტიანობას.

ამჟამად მოქმედი სტრატეგიული გეგმა, თავისი სტრუქტურითა და სტილით, წარმოადგენს მიზანდასახული და თანამიმდევრული მუშაობის შედეგს, რომელიც ეფუძნება დაგროვილი გამოცდილების გააზრებასა და გაუმჯობესების მთელ რიგ ღონისძიებებს.

2010 წელს მიღებული სტრატეგიული გეგმა, თავისი სტილითა და სტრუქტურით, წარმოადგენდა სამოქმედო გეგმას, მხოლოდ შესასრულებელ სამუშაოთა ჩამონათვალს, რომელიც ნაკლებად იყო ორიენტირებული ორგანიზაციის სისტემურ განვითარებაზე.



ამიტომაც, 2013 წლიდან მუშაობა დაიწყო უნივერსიტეტის ახალ სტრატეგიულ გეგმაზე, რისთვისაც დაქირავებულ იქნა ორგანიზაცია ISM. დაგეგმვის პროცესში მაღალი ჩართულობის უზრუნველსაყოფად მონაწილეობდა ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის დეკანი, პროექტი განიხილეს უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წინაშე, ასევე აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან და სტუდენტებთან. პროცესში გარე ფაქტორების ჩართვის მიზნით სტრატეგიული გეგმის პრეზენტაცია გაიმართა აწსუ-ში ეკონომიკის მიმართულების სამეცნიერო კონფერენციის ფარგლებში ჩატარებულ ვორქშოპზე, რომელსაც ესწრებოდნენ ქვეყნის აკადემიური სფეროსა და ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლები. უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა განიხილეს ქალაქის განვითარების სტრატეგიულ გეგმასთან მიმართებით.

უნივერსიტეტის 2016–2022 წლის სტრატეგიული გეგმა დამტკიცდა 24 თებერვალს, დადგენილება N 29(15/16).

2016 წელს გადაწყდა, რომ დამატებით შემუშავებულიყო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მიმართულების განვითარების სტრატეგია, რომელიც განხორციელდა ევროკავშირის და ჩეხეთის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოს აგრობიზნესის ფორმალური, არაფორმალური და ინფორმალური პროფესიული განათლების განვითარების“ ფარგლებში კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრთან (CTC) თანამშრომლობით და დამტკიცდა აკადემიური საბჭოს მიერ 2016 წელს.

პროფესიული განათლების მიმართულების განვითარების სტრატეგიაზე მუშაობამ აჩვენა, რომ უნივერსიტეტის მოქმედი სტრატეგიული გეგმა შეიცავდა მთელ რიგ სისუსტეებს: მკაფიოდ არ იყო ჩამოყალიბებული სამიზნე ნიშნულები და მონიტორინგის მექანიზმები, შეჯამებისა და ანალიზის ჩატარების პერიოდულობა, არ იყო განსაზღვრული პასუხისმგებელი პირები.


ამიტომაც 2017 წელს უნივერსიტეტის რექტორმა დასვა სტრატეგიული გეგმის გადახედვის საკითხი (აწსუ აკადემიური საბჭოს ოქმი #5, 23.02.2017). პირველ ეტაპზე ჩამოყალიბდა დაგეგმვის ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იყო სტრატეგიული გეგმის პროექტის შემუშავებაზე და პროცესში უნივერსიტეტის ფართო საზოგადოების ჩართვაზე. ჯგუფს ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის რექტორი. პროცესში აუთსორსინგის გზით მოწვეულნი იყვნენ კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) ექსპერტებიც.



**სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
PDCA ციკლის გამოყენებით**



- აწსუ-ს მიზნებისა და საქმიანობის პრიორიტეტების განსაზღვრა;
- დაინტერესებულ პირთა მოლოდინების განსაზღვრა;
- ორგანიზაციული შესაძლებლობებისა და გარემოს ანალიზი;
- უნივერსიტეტის სამომავლო ხედვის ფორმირება და მისიის განაცხადის რევიზია;
- სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბება;
- სტრატეგიული მიზნების მიღწევის მექანიზმების განსაზღვრა;
- მონიტორინგის გეგმის ჩამოყალიბება;
- სამწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ფინანსური გეგმა.





სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, აგრეთვე პარტნიორებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შეფასდა არსებული მდგომარეობა, მოხდა მოლოდინებისა და პრობლემების იდენტიფიცირება, რის საფუძველზეც დაგეგმვის ჯგუფმა ჩამოაყალიბა უნივერსიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. ასევე განხორციელდა უნივერსიტეტის მისიის განაცხადის რევიზია, უნივერსიტეტის სამომავლო ხედვის ფორმირება, გამოიკვეთა სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, განისაზღვრა სტრატეგიული მიზნების მიღწევის მექანიზმები, ჩამოაყალიბდა მონიტორინგის გეგმა, სამწლიანი სამოქმედო გეგმა და ერთწლიანი ოპერაციული გეგმა.

მაღალი ჩართულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით სტრატეგიული გეგმის პროექტი განთავსდა უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, აგრეთვე ელექტრონული ფოსტით დაეგზავნა საუნივერსიტეტო საზოგადოებას და მიეცათ წინადადება, საკუთარი მოსაზრებები ერთი თვის მანძილზე წარმოედგინათ სამუშაო ჯგუფში. დაგეგმვის ჯგუფმა ჩაატარა ღია პრეზენტაციები აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების წინაშე, სადაც დასწრების შესაძლებლობა ჰქონდა საუნივერსიტეტო საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს, დაინტერესებულ პირსა და მოწვეულ გარე აქტორს. პრეზენტაცია მოეწყო ქალაქის თვითმმართველობის, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის წარმომადგენლების, არსებული და პოტენციური დამსაქმებლების წინაშე. განხილვების შესახებ წინასწარ ვრცელდებოდა ინფორმაცია ელ.ფოსტისა და ვებ-გვერდის მეშვეობით. მიუხედავად მცდელობისა, სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული კონტინენტის ჩართულობა იყო დაბალი, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყო პროცესებისადმი მათი რეზისტენტულობით, ამგვარ აქტივობაში ჩართვის ნაკლები გამოცდილებით და საბოლოო შედეგში მათი მოსაზრებების გაზიარების დაბალი მოლოდინებით. აწსუ ჩართულობის გაუმჯობესებისათვის აქტიურად გამოიყენებს სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და გადახედვის პროცედურაში დეკლარირებულ მიდგომებს.

მიღებული კომენტარების განხილვის შემდეგ, დაგეგმვის ჯგუფის მიერ საბოლოოდ მოწონებული სტრატეგიული გეგმის პროექტი რექტორმა წარუდგინა უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს) და აკადემიურ საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად. დამტკიცების შემდეგ გეგმა საჯაროდ გამოქვეყნდა უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში მიღებულმა გამოცდილებამ ცხადყო, მიუხედავად იმისა, რომ დაგეგმვის პროცესი მართებულად იქნა წარმართული, საჭირო გახდა ამ გამოცდილების ფორმალიზება და PDCA დაგეგმარების ციკლზე დაფუძნებული აწსუ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავება, რომლითაც უნივერსიტეტი იხელმძღვანელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისას და მისი განხორციელების მონიტორინგისათვის. აღნიშნული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს ერთგვაროვანი მიდგომების დამკვიდრებას, დაგეგმილ სამუშაოთა ეფექტიანობას, ხოლო პროცედურის ცვლილება მყისიერად აისახება დაგეგმარების და შეფასების მთელ პროცესზე.


პროცედურა მოიცავს დაგეგმარების, იმპლემენტაციის, შეფასებისა და რეაგირების პროცესებს, ჩართულობისა და საჯაროობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელ აქტივობებს, აგრეთვე აქტივობის განმახორციელებელ სუბიექტებს და სტრუქტურულ ერთეულებს.

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის აღნიშნული პროცედურის შემუშავებამ ცხადყო, რომ აგრეთვე საჭიროა შიდა რეგულაციებისა და პროცედურების გასაუმჯობესების სამუშაოების განხორციელება, რომელიც დაიგეგმა კიდევაც სტრატეგიული გეგმის ფარგლებში (სტრატეგიული მიმართულება 5, შედეგი 5.4).

სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული კონტინენტის მაღალი ჩართულობის მისაღწევად შემუშავდა იქნა ახალი მიდგომები და ინსტრუმენტები, რითაც დაძლეული იქნება მათი რეზისტენტულობა და ინდიფერენტულობა, რისთვისაც პირველ ეტაპზე მოხდება პრობლემის დადგენის მიზნით შესაბამის ჯგუფების კვლევა და მათ შედეგებზე დაყრდნობით ეფექტიანი მეთოდებისა და ინსტრუმენტების შემუშავება. სამომავლოდ იმავე მიდგომებისა და ინსტრუმენტების გამოყენება შესაძლებელი იქნება ყველა პროცესში და საქმიანობაში, სადაც საჭიროა მაღალი ჩართულობა.

უნივერსიტეტს თავისი საქმიანობით წვლილი შეაქვს ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში. ამ მიზნით იგი უზრუნველყოფს ცხოვრების მანძილზე უწყვეტი განათლების პროგრამებისა და სერვისების მიწოდებას, ახალი ცოდნის გენერირება-გავრცელებას და სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად ჩართულია საზოგადოებრივი პოლიტიკის ფორმირების პროცესში.

შესაბამისად, უნივერსიტეტი აცნობიერებს სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობას და მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს, მდგრად განვითარებას. გააჩნია სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის განაცხადი და სამოქმედო გეგმა შემდეგი მიმართულებებით:



უნივერსიტეტი, აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობიდან გამომდინარე, განიხილავს სოციალურ პასუხისმგებლობას როგორც საუნივერსიტეტო საზოგადოების, ისე ქალაქის, რეგიონის და ზოგადად, ქვეყნის მოსახლეობის მიმართ. უნივერსიტეტი თავის უმთავრეს მოვალეობად მიიჩნევს სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვას, როგორც საუნივერსიტეტო საქმიანობაში, ისე საზოგადოებაში. შესაბამისად, აწსუ-ს კურსდამთავრებულებს აქვთ მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა, აცნობიერებენ ეთიკურ და გარემოსდაცვით გამოწვევებს, რომლებიც შეიძლება შეხვდეთ სამუშაო ადგილებზე. ამ მიზნით საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია ისეთი სახით, რომ ყველა სტუდენტს მიეცეს შესაბამისი უნარების განვითარების შესაძლებლობა.

მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად უნივერსიტეტისათვის პრიორიტეტულია სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პროგრამები. ამასთან, სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის ქვეშ, უნივერსიტეტი განვითარებს როგორც საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურებას, ასევე მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლებას.

ამ მიზნით:

- აწსუ-ს ინფრასტრუქტურის ობიექტები ხელმისაწვდომია სხვადასხვა სოციალური ღონისძიებებისათვის, მათ შორის საქველმოქმედო და მოხალისეობრივი საქმიანობისათვის.
- უნივერსიტეტში მოქმედებს ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი;
- უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური თეატრი;
- უნივერსიტეტში ეწყობა უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა/ჩვენება;
- უნივერსიტეტში ეწყობა საერთაშორისო და რეგიონული სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენციები;
- აწსუ უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მუზეუმის ფუნქციონირებას და სამუზეუმო ექსპონატების დაცვას; იცავს კულტურული მემკვიდრეობის შენობებს, უნივერსიტეტის მუზეუმს და სამუზეუმო ექსპონატებს;
- აწსუ-ს იურიდიული კლინიკა უფასო იურიდიული კონსულტაციებს უწევს დაინტერესებულ პირებს;
- აწსუ ავითარებს სტუდენტთა ომბუდსმენის ინსტიტუტს;
- აწსუ-ში მუშაობს მედიაცენტრისა და კონფლიქტების გადაწყვეტის ცენტრი;
- აწსუ მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს მოზარდ თაობაში მეცნიერების პოპულარიზაციას, რისთვისაც ატარებს სტუდენტთა და მოსწავლეთა კონფერენციებს, ოლიმპიადებს, კონკურსებს, სამეცნიერო პიკნიკებს, ღია კარის დღეებს, ტრენინგ-სემინარებს, ზაფხულისა და ზამთრის სკოლებს და ა.შ.;
- უნივერსიტეტის თანამშრომელები იძლევიან ინდივიდუალური პროფესიონალურ კონსულტაციებსა და ინტერვიუებს მედია-წარმომადგენლებისათვის;
- 2017 წელს აწსუ-მ იმერეთის რეგიონის 25 სკოლაში (მათ შორის ზესტაფონის, ხარაგაულის, წყალტუბოსა და ბაღდათის რაიონებში) განახორციელა შრომითი უნარების განმავითარებელი პროექტი, რომელიც მოიცავდა ოთხ პროფესიულ მიმართულებას: ტანსაცმლის დამზადების საწყისები, თექის მხატვრული დამუშავების საწყისები, ავეჯის დიზაინი და დამზადება, შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა. პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერითა და სკოლებთან მჭიდრო თანამშრომლობით, რაც კარგი საფუძველია შემდგომი საინტერესო პროექტების განხორციელებისათვის;




- აწესი აწყოფს სხვადასხვა დონისძიებებს საზოგადოებაში გარემოსდაცვით საკითხებზე დიალოგისათვის და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობისათვის (შეხვედრები და ტრენინგები ადგილობრივი თვითმმართველობისათვის ნარჩენების მართვის შესახებ, შეხვედრები ნაგავსაყრელების მართვასთან დაკავშირებით, სემინარი ვერცხლისწყლისშემცველი ნარჩენების შესახებ. იმართება საჯარო ლექციები ქუთაისისა და რეგიონის საჯარო და კერძო სკოლებში, ქალაქის მედიკოსებთან, ქალაქის მერიის თანამშრომლებთან ეკოლოგიის, გარემოს დაცვის და სხვა აქტუალურ საკითხებზე;
 - აგრარული ფაკულტეტის ლანდშაფტების დიზაინის მიმართულების აკადემიური პერსონალი ზრუნავს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე და თემში მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობასა და განვითარებაზე; მონაწილეობს მრავალი სკვერისა და ქუჩის მცენარეული საფარის ლანდშაფტურ-ეკოლოგიურ მონიტორინგსა და რეაბილიტაციის ღონისძიებების შემუშავებაში;
 - აწესი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ასოციაციებთან ერთობლივი პროექტების განხორციელებისათვის.
 - აწესი-ში არსებობს დახმარების სერვისები, როგორცაა ადმინისტრაციული რეგისტრაცია, სოციალური რჩევების და დახმარების გაწევა (მრავალშვილიანი ოჯახის წევრებზე, შშმ პირებზე შეღავათები) და დასვენების სერვისები (სპორტი, ხელოვნება და ა.შ.).
 - აწესი-ში 7 წლის განმავლობაში აღინიშნება 3 დეკემბერი - შშმ პირთა საერთაშორისო დღე. ეწყოფა სხვადასხვა სახის ინტეგრირებული კულტურული ღონისძიებები, მრგვალი მაგიდები, დისკუსიები, შშმ სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეების, ადგილობრივი მთავრობის, სოციალური მომსახურების სააგენტოს, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით. ამავე დღეს რამდენჯერმე აღინიშნა გასვლითი ღონისძიება საქართველოს უსინათლოთა კავშირის ქუთაისის ფილიალსა და შშმ პირთა ასოციაცია „მოწყალეობაში“, რომელთაც გადაეცათ ფასიანი საჩუქრები. აწესი-ს ადმინისტრაცია რამდენჯერმე ესტუმრა sos - ბავშვთა სოფელს ფასიანი საჩუქრებით.
 - 2016 აწესი ჩართული იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პროექტში „საქართველოს უნივერსიტეტები საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის“, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა 23 საჯარო ლექცია სამხედრო მოსამსახურეებისათვის.
 - საქართველოს სასჯელსაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსთან არსებული მემორანდუმის ფარგლებში აწესი აქტიურად არის ჩართული მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის უზრუნველყოფაში, კერძოდ პროფესიული განათლების მიღებასა და ხელშეწყობაში, სამინისტროსათვის შესაბამისი დახმარების აღმოჩენაში სამართლებრივ, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, მედიცინისა და სხვა სფეროებში. აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში განხორციელდა პროფესიული განათლების პროგრამა, ჩატარდა ლექციები, მომზადდა ვიდეო-ლექციები;
 - 2015 წელს სად-ის #2 დაწესებულების არასრულწლოვანთა განყოფილებას ბიბლიოთეკის განახლების მიზნით გადაეცა წიგნები;
 - აწესი პროფესურა აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს კონსტიტუციის საჯარო განხილვებში საქართველოს პარლამენტში.
- დანერგილია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, რომელიც იძლევა ქალაქის გამოყენების შემცირების საშუალებას;
- 2016 წლიდან აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს „მწვანე ყუთი“ - მაკულატურის შეგროვების პუნქტი. აღნიშნული პუნქტიდან შეგროვებული მაკულატურა ბარდება შესაბამის დაწესებულებას (ქალაქის გამამამუშავებელ საწარმოს), საიდანაც შემოსული თანხა ხმარდება საბიბლიოთეკო ფონდის განახლებას ან/და უნივერსიტეტის გამწვანებას;
- აწესი ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპის დანერგვას. ამ მიზნით, 2011 წლის დეკემბრის თვიდან უნივერსიტეტში ფუნქციონირება დაიწყო უწყვეტი განათლების ცენტრმა.
ცენტრის მიზნებია:
 - სწავლა-სწავლების უწყვეტობის პრინციპის ხელშეწყობა, ახალ გამოწვევებზე რეაგირება, საგანმანათლებლო სერვისების შეთავაზება;
 - უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, დაინტერესებული სამიზნე ჯგუფების კვალიფიკაციის ამაღლება რეგიონის ფარგლებში;
 - ტრენინგ- პაკეტებისა და სასწავლო კურსების, განმავითრებელი საზაფხულო სკოლების შემუშავება- განხორციელება;
 - თანამშრომლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სტუდენტურ თვითმმართველობასთან, არასამთავრობო/სამთავრობო ორგანიზაციებთან, ბიზნეს სექტორთან;




- საუნივერსიტეტო აქტივობებსა და ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა.

2012 წლიდან დღემდე უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ გადამზადდა 3500-მდე მსმენელი. ცენტრი ახორციელებს 94-მდე ტრენინგ-მოდულსა და სასერტიფიკატო კურსს.



უწყვეტი განათლების ცენტრის სენსიტიურობა დამოკიდებულია საბაზრო მოთხოვნებზე. თანამედროვე ტენდენციების საფუძველზე ცენტრი უზრუნველყოფს შესაბამისი სერვისების შემუშავებას და ტრენინგ-პაკეტების მომზადებას. მსმენელთა მომართვიანობა და დასწრება ტრენინგებზე ძირითადად გამომდინარეობს როგორც საგანმანათლებლო სფეროში სტანდარტების ცვლილებებისა და პრიორიტეტული მიმართულებების გამოკვეთის შესაბამისად, ასევე საგრანტო პროექტებში ჩართულობის შედეგად.



2015 წელს მსმენელთა რაოდენობის ზრდა გამოწვეული იყო განათლებისა და მცნიერების სამინისტროს მიერ სკოლამდელი განათლების სტანდარტში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად შემუშავებული სკოლამდელი განათლების მიმართულების ტრენინგ-მოდულებზე მომართვიანობით. ძირითადად 2015 წელს გადამზადდა სკოლამდელი განათლების სფეროს სპეციალისტები შემდეგი რეგიონებიდან: იმერეთი, რაჭა-ლაჩხუმი, ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, აჭარა.

ამასთან, 2015 წელს შ.პ.ს. „ჯორჯიან მანგანუის“ მომართვიანობის შედეგად საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში დაფინანსდა ტექნიკური მიმართულებების ტრენინგ-მოდულები: „ელექტრობა“, „შემდუღებელი“, „ელექტროაირშემდუღებელი და მჭრელი“.



2012-2017 წლებში უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ სულ გადამზადებულია 3605 მსმენელი. აქედან სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსებით - 460 სტუდენტი (სტუდენტებზე ვრცელდება 40%-იანი ფასდაკლება ნებისმიერ ტრენინგზე)

ყოველწლიურად უწყვეტი განათლების ცენტრი სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის (25 მსმენელი) უფასოდ ატარებს ტრენინგს - „ეფექტური კომუნიკაცია“.

2012-2017 წლებში სულ გადამზადდა 198 აკადემიური პერსონალი, მათ შორის უცხო ენებში გადამზადდა 70 აკადემიური პერსონალი.

უწყვეტი განათლების ცენტრის სამუშაოების მასშტაბურობის მიუხედავად, უნივერსიტეტში არ შესრულებულა ტრენინგ-კურსების ხარისხის შეფასება. ამ მიზნით შესამუშავებელია შესაბამისი მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც შეფასდება და გაუმჯობესდება არსებული კურსები.

უნივერსიტეტი შემდგომ მუშაობაში გეგმავს განავითაროს ელექტრონული სწავლება და ხელი შეუწყოს ელექტრონული კურსების განვითარებას, რომელზეც არსებობს დიდი მოთხოვნა საზოგადოებაში და საგანმანათლებლო სივრცეში (სტრატეგიული მიმართულება 1, შედეგი 1,5).

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი); (დანართი 1)
 - სტრატეგიული და ოპერაციული დაგეგმვისა და შეფასების პროცედურა; (დანართი 1)
 - უნივერსიტეტის 2018-2020წწ სამოქმედო გეგმის ფინანსური უზრუნველყოფის სქემა; (დანართი 1)
 - შრომითი უნარების განმავითარებელი პროექტები, იმერეთის სკოლებთან დადებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები; (დანართი 63)
 - უწყვეტი განათლების ცენტრის დებულება; (დანართი 7)
 - უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგები; (დანართი 13)
 - რექტორის ანგარიშები 2015-2016, 2016-2017. (დანართი 5)

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

- ძლიერი მხარეები**
- მისია, ხედვა და ღირებულებები გააზრებულია და ბმავს სტრატეგიული გეგმასთან და უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ აქტივობებთან;
 - სტრატეგიული დაგეგმვა შესრულდა შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების მაქსიმალურად შესაძლო ჩართულობით;
 - უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული გეგმის გაუმჯობესება დაფუძნებულია PDCA-ციკლზე;
 - სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია შემუშავებულია PDCA-ციკლის გამოყენებით;
 - სტრატეგიული დაგეგმვის და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში აუტსორსინგის გზით ჩართული იყვნენ გამცდილი ექსპერტები;
 - სამოქმედო გეგმაში ნათლად არის ჩამოყალიბებული განსახორციელებელი აქტივობები, განსაზღვრულია განხორციელების ვადები;
 - გაცხადებულია უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა და დაგეგმილია შესაბამისი აქტივობები.
- გასაუმჯობესებელი მხარეები**
- გასაუმჯობესებელია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ხარისხი.



2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1. ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას;
- უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი;
- უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას;
- უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნების შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

აღწერა და შეფასება

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მმართველობა ხორციელდება უნივერსიტეტის წესდებისა და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებების საფუძველზე და რომელზეც ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

უნივერსიტეტის ორგანიზაციული მმართველობითი სტრუქტურა შედგება შემდეგი ფუნქციონალური ერთეულებისაგან:

1. უნივერსიტეტის მართვის ორგანოები, რომლებიც უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის სტრატეგიულ და ოპერაციულ მმართველობას;
2. ფაკულტეტები, რომლებიც წარმოადგენენ უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულებს. თითოეული ფაკულტეტი თავის მხრივ იყოფა დეპარტამენტებად, რომელთა უშუალო ჩართულობით ხორციელდება შესაბამისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო მუშაობა.
3. ბიბლიოთეკა და სხვა სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ასრულებენ დამხმარე ფუნქციებს და თავიანთი ფუნქციების ფარგლებში უზრუნველყოფენ სწავლა/სწავლებისა და კვლევითი პროცესების ხელშეწყობას, სტუდენტური სერვისების მიწოდებასა და ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელებას. ამრიგად, მმართველობითი პრინციპების გათვალისწინებით უნივერსიტეტის სტრატეგიული და ოპერაციული მმართველობა ხორციელდება უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის დონეზე.

საუნივერსიტეტო დონეზე მმართველობითი ორგანოებია: აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

აკადემიური საბჭო წარმოადგენს უნივერსიტეტის უმაღლეს წარმომადგენლობითი ორგანოს, რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე – რექტორი. მისი პასუხისმგებლობა ვლინდება უნივერსიტეტში სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების პროცესების სტრატეგიულ და ოპერაციულ მართვაში.

ამჟამად აკადემიურ საბჭოში სიითი შემადგენლობით შედის 19 წევრი, საიდანაც 11 პროფესორია, 8 ასოცირებული პროფესორი. საბჭოს წევრები აირჩევიან 4 წლის ვადით ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. აკადემიურ საბჭოში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მაქსიმალური ჩართულობის მიზნით, საბჭოში თითოეული ფაკულტეტიდან აირჩევა 2 წევრი - პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, რომელიც საბჭოს წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

რექტორი არის უნივერსიტეტის უმაღლესი აკადემიური და წარმომადგენლობითი თანამდებობის პირი და აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე. იგი ახორციელებს უნივერსიტეტის ზოგად ხელმძღვანელობას და პასუხისმგებელია უნივერსიტეტში სწავლა/სწავლების, სამეცნიერო კვლევის პროცესებისა და სტუდენტური სერვისების განხორციელებაზე, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მუშაობის წარმართვაზე, აგრეთვე



უნივერსიტეტის ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვა/განკარგვის მიზნით მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებასა და მათი შესრულების მონიტორინგზე. თავის საქმიანობის განხორციელებისას იგი ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოს წინაშე.

რექტორს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, 4 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით ირჩევს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. რექტორის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

რექტორს ჰყავს ერთი მოადგილე, რომელიც ასრულებს რექტორის მოვალეობას მისი არყოფნის შემთხვევაში.

პროცესების ოპერატიული მართვისათვის რექტორთან არსებობს აგრეთვე სამი სათათბირო ორგანო:

1. რექტორატი,
2. სამეცნიერო საბჭო;
3. უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის სათათბირო საბჭო.

რექტორთან არსებული სათათბირო ორგანოს შემადგენლობას განსაზღვრავს რექტორი.

წარმომადგენლობითი საბჭო უნივერსიტეტის მართვის საკითხებში სტრატეგიული და მმართველობითი გადაწყვეტილების მიმღები უმაღლესი ორგანოა, რომელსაც ხელმძღვანელობს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი.

ამჟამად აწუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოში სიითი შემადგენლობით შედის 36 წევრი, მათ შორის 8 პროფესორი, 14 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი და 13 სტუდენტი. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში შედის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი.

წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევა ხდება საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით უნივერსიტეტის ფაკულტეტებიდან, წარმომადგენლობის საფუძველზე, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ცალ-ცალკე, ფაკულტეტებზე მათი რაოდენობის პროპორციულად.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი არის უნივერსიტეტის უმაღლესი ადმინისტრაციული მმართველი ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების განკარგვის სფეროში. იგი ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და პასუხისმგებელია მის ეფექტურ მუშაობაზე, უნივერსიტეტის ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებაზე. თავის საქმიანობის განხორციელებისას იგი ანგარიშვალდებულია წარმომადგენლობითი საბჭოსა და აკადემიური საბჭოს წინაშე.

წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს წარდგინებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით ირჩევს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. ერთი და იგივე პირი ადმინისტრაციის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმართავს უნივერსიტეტში მიმდინარე სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის მართვის საკითხებს, რისთვისაც შეიმუშავებს პროცესების ხარისხის შეფასების მეთოდოლოგიას, უზრუნველყოფს მათ დანერგვასა და შეფასებას. გარდა აღნიშნული საქმიანობისა, სამსახური ახორციელებს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებებს და უზრუნველყოფს სამუშაოთა კოორდინაციას უნივერსიტეტს ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის პროცესებში; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს წარდგინებით 4 წლის ვადით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე, პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ ორჯერ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 9 ფაკულტეტი:

1. აგრარული ფაკულტეტი.
2. ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი;
3. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი;
4. მედიცინის ფაკულტეტი;
5. პედაგოგიური ფაკულტეტი;
6. საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტი;
7. საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი;
8. საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი;
9. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი;

ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: უმაღლესი საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამის/პროგრამების შემუშავება, განხორციელება და შესაბამისი საფეხურის აკადემიური ხარისხის ან პროფესიული განათლების კვალიფიკაციის მინიჭება; სამეცნიერო კვლევებისა და შემოქმედებითი მუშაობის დაგეგმვა, წარმართვა და სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა.



საფაკულტეტო დონეზე მმართველობითი ორგანოებია: ფაკულტეტის საბჭო, დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

ფაკულტეტის საბჭო - ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც უზრუნველყოფს სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო საქმიანობის ოპერაციულ გეგმარებას, მონიტორინგსა და შეფასებას. საბჭო ირჩევს და ათავისუფლებს დეკანს და მის მოადგილეს, აგრეთვე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა თვითმმართველობის არჩეული წარმომადგენლები, არანაკლებ საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები. ფაკულტეტის საბჭოს არჩევა ხდება პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, ფაკულტეტის ძირითადი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულებიდან აკადემიური პერსონალის მიერ, სტრუქტურულ ერთეულებში მათი რაოდენობების პროპორციულად.

დეკანი ხელმძღვანელობს ფაკულტეტის სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო საქმიანობის ოპერაციულ საქმიანობას, უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე და ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე.

ფაკულტეტის დეკანს (ფაკულტეტის პროფესორს ან ასოცირებული პროფესორს) ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის საბჭო 4 წლის ვადით. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელია ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის უზრუნველყოფაზე და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების წარმართვაზე. სამსახური რეგულარულად აფასებს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო და სამეცნიერო პროცესებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულის - დეპარტამენტის ხელმძღვანელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებას და სტრუქტურული ერთეულის პროფესორებთან და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად უზრუნველყოფს სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვას.

ბიბლიოთეკა წარმადგენს ძირითად სტრუქტურულ ერთეულს რომელიც უზრუნველყოფს სწავლა/სწავლების და კვლევის პროცესების ბეჭდური და ელექტრონული წიგნადი ფონდთან, საქმცნიერო მონაცემთა ბაზენთან, ექტრონულ ჟურნალებთან და ბიბლიოთეკათშორისი ფონდებთან წვდომასა.

დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ სწავლა/სწავლისთვისა და სამეცნიერო კვლევების პროცესების მხარდაჭერას, სტუდენტებისა და საუნივერსიტეტო საზოგადოების მოთხოვნებზე მორგებული სერვისებისა და შემოქმედებითი აქტივობების განხორციელება/განვითარებას, აგრეთვე ინფორმაციის, ადამიანური და მატერიალური რესურსების, ინფრასტრუქტურის მართვასა და განვითარებას.

უნივერსიტეტის სტრუქტურაში შედის სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების პროცესების დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელი შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

1. **სასწავლო პროცესის მართვის სამსახური** უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ორგანიზებას, მონიტორინგსა და განვითარებას, აგრეთვე სტუდენტების კონტინენტის ადმინისტრირებას; მის შემადგენლობაშია **საგამოცდო სექტორი**, რომელიც ტექნიკურ ორგანიზაციას უწევს გამოცდების ჩატარებას;
2. **სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი** ახორციელებს უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესების ინტეგრაციის პროცესების, აგრეთვე სამეცნიერო კვლევების შედეგების დეპონირების, დაპატენტების, კომერციალიზაციის და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობას;
3. **უნივერსიტეტის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი** წარმართავს უნივერსიტეტში სპორტულ და კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობას, უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო სივრცეში სპორტული და სახელოვნებო-შემოქმედებითი მოღვაწეობის პოპულარიზაციას;
4. **ბიბლიოთეკა** უზრუნველყოფს სწავლა/სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად სტუდენტური და აკადემიურ კონტინენტის საბიბლიოთეკო ელექტრონულ და ნაბეჭდ რესურსებთან წვდომას, აგრეთვე კომფორტულ და აღჭურვილ სამუშაო გარემოსთან ხელმისაწვდომობას;
5. **უწყვეტი განათლების ცენტრი** წარმოადგენს ზრდასრულთა უწყვეტი განათლების განმახორციელებელ ძირითად სტრუქტურულ ერთეულს, იგი უზრუნველყოფს როგორც უნივერსიტეტის სტუდენტური და აკადემიური პერსონალის, აგრეთვე ყველა დაინტერესებული მხარის გადამზადების, კვალიფიკაციის



ამაღლების, პერსონალის გადამზადების მოკლევადიანი სასწავლო კურსების, ტრენინგების, სემინარების და საზაფხულო სკოლების ორგანიზებას.

6. საგარეო ურთიერთობების და სტრატეგიული განვითარების სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტში სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების პროცესის ინტერნაციონალიზაციის მთავარ ხელშემწყობ სტრუქტურულ ერთეულს, რისთვისაც ის კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისა და ფაკულტეტების საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში საქმიანობას, უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობას, აგრეთვე უცხოელ სტუდენტისათვის ადაპტაციის და ინტეგრაციის სერვისების მიწოდებას;
7. სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისების მიზანია სტუდენტების მოთხოვნებზე ორიენტირებული სერვისების მიწოდება, მათ შორის: სტუდენტისა და უნივერსიტეტის მართვის სტრუქტურებთან მედიაციისა და კონსულტაციის სერვისი, ტუტორის სერვისი, პირველკურსელებთან გაცნობითი (ინფორმაციული) სახის შეხვედრების ორგანიზება, სტუდენტთა კარიერული განვითარების სერვისი, აწსუ-ს კურსდამთავრებულთა ქსელის მხარდაჭერა, იურიდიული და ფსიქოლოგიური დახმარების სერვისები, სტუდენტური საცხოვრისით უზრუნველყოფის მხარდაჭერა და სხვა;
8. მომავლის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია (FabLab ATSU) შექმნილია საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან დადებული ერთობლივი მემორანდუმის ფარგლებში. მისი მიზანია ახალი იდეების გენერირება, გამოგონებებისა და საგანმანათლებლო პლატფორმის შექმნა, რომელიც წახალისებს საქართველოში ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესს. იგი მოტივირებულ, შედეგზე ორიენტირებულ ადამიანებს აძლევს თანამედროვე ტექნიკითა თუ ტექნოლოგიებით მუშაობისა და საკუთარი იდეების რეალიზების საშუალებას. ლაბორატორიაზე წვდომა აქვთ როგორც უნივერსიტეტის სტუდენტებს, ლექტორ-მასწავლებლებს და მეცნიერ-თანამშრომლებს, ასევე სხვადასხვა კერძო სამრეწველო პარტნიორებს.

სწავლა/სწავლების, სამეცნიერო და სტუდენტური სერვისების პროცესების მხარდაჭერი სტრუქტურული ერთეულების უშუალო მართვას ახორციელებს რექტორის მოადგილე, გარდა საგარეო ურთიერთობების და სტრატეგიული განვითარების სამსახურისა, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება რექტორს. აღნიშნული სტრუქტურა უზრუნველყოფს სამსახურების ეფექტიან მუშაობას, ანგარიშვალდებულებას და საქმიანობის შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასა და უნივერსიტეტის მარეგულირებელ დოკუმენტებთან, მმართველობით გადაწყვეტილებებთან.

უნივერსიტეტის ადმინისტრირების და დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულებია:

1. მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახური - უშუალოდ ახორციელებს სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების ხარისხის შეფასებისა და უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული მომსახურების მომხმარებელთა (ჩართულ მხარეთა) მოთხოვნილებების შესწავლას და სტრუქტურული ერთეულების მიერ დაგეგმილი მარკეტინგული ტიპის კვლევების განხორციელებისას რეკომენდაციების შემუშავებას. ასევე იგი ზრუნავს უნივერსიტეტის პოზიტიური, მიზნობრივი აუდიტორისათვის მიმზიდველი იმიჯის ფორმირება/გამყარებას, ცნობადობის გაზრდას და უნივერსიტეტის ბრენდირებას;
2. ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახური - უზრუნველყოფს საბუღალტრო და ფინანსურ აღრიცხვას, აგრეთვე ქონებისა და მატერიალური რესურსების ყაირათიან გამოყენებას, მართვასა და განვითარებას;
3. კანცელარია - ახორციელებს ინფორმაციის დროული ურთიერთგაცვლის და დოკუმენტბრუნვის პროცესებს, როგორც უნივერსიტეტის მართვისა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის, აგრეთვე უნივერსიტეტისა და საქართველო/უცხოეთის სხვა ორგანიზაციებს შორის;
4. იურიდიული სამსახური - უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულში მმართველობითი გადაწყვეტილების სამართლებრივ ექსპერტიზას და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დაცვას;
5. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიზანია ადამიანური რესურსების მართვის პროცესების იმგვარად დაგეგმვა და განხორციელება, რომ მაქსიმალურად ხელი შეეწყოს ორგანიზაციის წინაშე არსებული მიზნების მიღწევას. ამისათვის იგი უზრუნველყოფს საქმიანი, მაღალკვალიფიციური და ერთგული თანამშრომლების მოზიდვას, განვითარებასა და შენარჩუნებას.
6. ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახური - ავითარებს ინფორმაციის შენახვის, მართვის და კომუნიკაციური ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურას, რათა შესაძლებელი იყოს თანამედროვე



გამტარებელი და უფლებათა დამცველის ფორმალური სტრუქტურა, მონაწილეობას იღებენ უნივერსიტეტის მართვის პროცესში და ამავდროულად დამოუკიდებლად წარმართავს თავის საქმიანობას. იგი წარმოადგენს შესაძლებლობათა სივრცეს, რომელიც სხვადასხვა ფორმით შეუძლიათ გამოიყენონ სტუდენტებმა.

სტუდენტური თვითმმართველობა სტრუქტურულად შედგება სტუდენტური პარლამენტისაგან, რომელიც მოიცავს საყოველთაო, თანასწორი და ფარული არჩევნების საფუძველზე არჩეული ფაკულტეტის საბჭოების ყველა სტუდენტ წევრს, გარდა ამისა არსებობს პრეზიდენტის აპარატი და გამგეობა. ეს უკანასკნელი შედგება შემდეგი ოთხი დეპარტამენტისა და კლუბების: სოციალურ საკითხთა დეპარტამენტის, კულტურისა და ხელოვნების დეპარტამენტის, მეცნიერებისა და განათლების დეპარტამენტის, სპორტის დეპარტამენტის, კინო კლუბისა და დებატ კლუბის ხელმძღვანელებისაგან.

უნივერსიტეტის სტრუქტურა სრულად იძლევა უნივერსიტეტის მისიით დეკლარირებული მიზნების მიღწევისა და შესაბამისი საქმიანობის წარმართვის შესაძლებლობას, რადგან უზრუნველყოფს:

- უნივერსიტეტის 3 ძირითადი საქმიანობის (სწავლა/სწავლების, სამეცნიერო საქმიანობის და ადმინისტრაციული მართვის) წარმართვას;
- მართვის სისტემაში წარმოადგენლობითი და მმართველობითი ფუნქციის განმახორციელებელ სტრუქტურებს შორის ფუნქციათა განაწილებას;
- სტრატეგიულ, ტაქტიკურ და ოპერაციული დონეზე გადაწყვეტილების მიმდებ ორგანოთა უფლებამოსილების გამიჯვნას.

წარმოდგენილი სტრუქტურა ჩამოყალიბდა 2010 წლისათვის 3 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების: წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტისა და სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შერწყმის შედეგად. შერწყმის პროცესის დასრულების შემდეგ საჭრო გახდა მისი სტრუქტურის ოპტიმიზაცია, განსაკუთრებით ეს პროცესი დაჩქარდა 2016-2017 წწ-ში სტრატეგიული გეგმის შემუშავების პერიოდში. განხორციელებული სამუშაოების შედეგად გამოვლინდა უფლებამოსილებათა და სამუშაოთა რიგი გადაფარვები. მათ შორის: ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურებს შორის - სწავლა/სწავლების პროცესის შეფასების საკითხებში; მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურსა და სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვის ცენტრს შორის - სტუდენტებზე ორიენტირებულ სერვისების მიწოდების საკითხებში. მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურსა და საგარეო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურებს შორის - პროექტების მართვის საკითხებში. შედეგად გადაიხედა სტრუქტურული ერთეულების დებულებები და შესაბამისად შეიცვალა უნივერსიტეტის სტრუქტურა.

2017 წელს მართვის სისტემის ეფექტიანობის და ოპტიმიზაციის მიზნით განხორციელდა უნივერსიტეტის ფაკულტეტების მართვის ეფექტიანობის შიდა შეფასების პროცესი (რექტორის ბრძანება №01-04.10 10.03.2017), რომლის ფარგლებში მოხდა ფაკულტეტების სწავლა/სწავლების, კვლევის და მართვის არსებული პრაქტიკის შეფასება შემდეგი მოთხოვნებთან მიმართებაში:

1. ადმინისტრაციული მართვა (სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, პასუხისმგებლობა და ორგანიზაციული მართვა);
2. საქმის წარმოება;
3. სასწავლო პროცესის მართვა;
4. საგანმანათლებლო პროგრამები;
5. პერსონალის მართვა;
6. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

განხორციელებული სამუშაოების ფარგლებში:

- ყველა ფაკულტეტების წარმომადგენლების წინაშე განხორციელდა ანგარიშების პრეზენტაცია და შედეგების განხილვა;
- განხორციელდა ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების ანალიზი, რომელთა საფუძველზეც გამოვლენილი ყოფილ იყო ღიობები არსებული პრაქტიკასა და კანონმდებლობის მოთხოვნილებებთან;
- გამოვლენილი და გაზიარებული იქნა ფაკულტეტებზე განხორციელებული პროცესების კარგი პრაქტიკები, სისუსტეები და მათი აღმოფხვრის სავარაუდო გზები;
- შემუშავებული იქნა საქმის წარმოების წესების ახალი რედაქცია;

ფაკულტეტების შეფასების აღნიშნული მეთოდოლოგია მიჩნეული იქნა წარმატებულად და მის საფუძველზე შემუშავდა მართვის ეფექტიანობის შეფასების პროცედურა.



2017 წლის განმავლობაში განხორციელდა მთელი რიგი საქმიანობები მიმართული მართვის სისტემის ოპტიმიზაციისა და ანგარიშგების გაუმჯობესებაზე. ამ საქმიანობის ფარგლებში:

- შემუშავდა მეთოდოლოგია, ფაკულტეტების სტრატეგიული გეგმები, კვლევითი და სამეცნიერო პროფილები, მოხდა ფაკულტეტებს შორის ურთიერთგაზიარება;
- ფაკულტეტების მიერ შემუშავებული იქნა სახელობითი თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- შემუშავდა ფაკულტეტებისა და სტრუქტურული ერთეულების ანგარიშგების სისტემა და ფორმები, რომლის საფუძველზეც მოხდა ანგარიშების წარდგენა, ანალიზი და დებულებების ცვლილებები.

პროცესების კიდევ უფრო ეფექტური მართვისა და გადაწყვეტილების დროული მიღების, მეტი დეცენტრალიზაციისა და აკადემიური თავისუფლების ეფექტიანი წახალისებისათვის უნივერსიტეტის მართვის სისტემა კიდევ საჭიროებს შეფასებასა და ანალიზს. ამისათვის უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმით (სტრატეგიული მიმართულება #5. მართვის სისტემის გაუმჯობესება, შედეგი 5.1) დაგეგმილია უნივერსიტეტში სტრუქტურული ოპტიმიზაციის ღონისძიებები და ანგარიშვალდებულების სისტემის განმტკიცებისთვის გამიზნული საქმიანობები. ამისთვის პირველ ეტაპზე ჩატარდება სტრუქტურისა და მართვის სისტემის აუდიტი, რომელიც უზრუნველყოფს მტკიცებულებებზე დაფუძნებული ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიის შესაბამისად. აუდიტის მიგნებებისა და რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდება სტრუქტურული ცვლილებების პროექტი. აღნიშნული პროცესი წარმართება კვალიფიციური სპეციალისტებისა და აუდიტორების ჩართულობით. უზრუნველყოფილი იქნება პროცესში საუნივერსიტეტო საზოგადოების მონაწილეობა განხილვებისა და კონსულტაციების მეშვეობით, აგრეთვე შემუშავდება პროფესიული და არაფორმალური განათლების პროგრამების მიწოდების ოპტიმალური სისტემა.

მართვის სისტემის კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტი გეგმავს მისი სპეციფიკიდან გამომდინარე ხარისხის მართვის საყოველთაოდ აღიარებული სისტემის (EFQM/ISO/TQM ან სხვა) შერჩევას, დანერგვას და სერტიფიცირების პროცესის განხორციელებას (სტრატეგიული მიმართულება #5. მართვის სისტემის გაუმჯობესება, შედეგი 5.4)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ამიტომაც სავალდებულოა, რომ უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურების შემუშავებისას და მათი განხორციელებისას ყველა პროცედურა ეფუძნებოდეს აკადემიურ დამოუკიდებლობას, ამავე დროს უნდა გათვალისწინებული იქნეს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონისა და საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებიც.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ხოლო ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

ადამიანური რესურსების მართვის შესაბამისი პროცედურების განხორციელებაზე, თავის კომპეტენციების ფარგლებში, პასუხისმგებელია:

- უნივერსიტეტის ადმინისტრაცია;
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;
- ფაკულტეტი ;
- უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავების, იმპლემენტაციის და შეფასების პროცესებს კოორდინაციას უწევს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური.

კარგი მმართველობის (Good Governments) პრინციპებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტში ადამიანური რესურსების მართვის სისტემა ეფუძნება შემდეგ სახელმძღვანელო პრინციპებს:

დამსახურებებზე დაფუძნებული მიდგომა. საკვანძო გადაწყვეტილებების მიღება (დაქირავება, ანაზღაურება, წახალისება, დაწინაურება და ა.შ.) ხდება ინდივიდის კომპეტენციაზე დაყრდნობით, უნივერსიტეტის წინაშე მისი დამსახურებების გათვალისწინებით;

სამართლიანობა. ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღმა არსებობს სამართლიანი არგუმენტი და გადაწყვეტილების მიღების ობიექტური კრიტერიუმი;

თანასწორობა. ყველა თანამშრომლის მიმართ ვლინდება ერთნაირი მიდგომა. გენდერული, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით განსხვავებული თანამშრომლების მიმართ დამოკიდებულება ერთნაირი და მიუკერძოებელია.

მიზანშეწონილობა. ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილებები მიიღება გააზრებულად, ღრმა ანალიზის საფუძველზე. არსებული ალტერნატივებიდან ხდება ფინანსური თუ სხვა რაციონალური ნიშნით ყველაზე მიზანშეწონილი გადაწყვეტილების მიღება.



გამჭირვალობა. ორგანიზაცია იყენებს ღია და საჯარო მიდგომებს ადამიანური რესურსების მართვის ყველა ფუნქციის დაგეგმვა/განხორციელებისას. მართვის პროცედურები/რეგულაციები ღიად არის ჩამოყალიბებული.

უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მმართველი ორგანოების ხელმძღვანელები ინიშნებიან არჩევნების საფუძველზე, ხოლო დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების დანიშვნა ხორციელდება კონკურსების საფუძველზე. პროცედურებით აგრეთვე უზრუნველყოფილია ერთ თანამდებობაზე ხელმძღვანელი პირის არაუმეტეს 8 წლით (ზედიხედ ორჯერ 4 წლით) დანიშვნის შეზღუდვა, ხოლო აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებში წევრთა სავალდებულო როტაცია.

დანიშვნის/არჩევნის პროცედურები ითვალისწინებს ვაკანტური თანამდებობის დაკავებაზე კონკურსის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას როგორც უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ასევე საინფორმაციო დაფაზე და საუნივერსიტეტო გაზეთში.

უნივერსიტეტში ამჟამად მოქმედი ახალი კადრების მოზიდვის სისტემა არის რეაქტიული გამოწვევებთან მიმართებაში, თუმცა ეფექტიანი მმართველობის სისტემის ფარგლებში მომავალში იგეგმება პოტენციური კადრების მოზიდვის პროაქტიული სისტემის შემუშავება და დანერგვა (სტრატეგიული მიმართულება #1. სწავლებისა და კვლევის ხარისხის განვითარება, შედეგი 1.2)

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში აღწერილია მმართველობითი კრიტერიუმები, რომელთაც ეფუძნება უნივერსიტეტში ხელმძღვანელ, აკადემიურ და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე დანიშვნის კონკურსების ჩატარების პროცესები. უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში არჩევნის/დანიშვნის პროცედურები აღწერილია უნივერსიტეტის წესდებაში, ხოლო სტრუქტურული ერთეულების დანიშვნის წესი კი შესაბამისი კონკურსების ჩატარების ბრძანებებში.

2013 წელს განხორციელდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდაქმნა (საქართველოს მთავრობის დადგენილება №191, 2013 წლის 29 ივლისი), რამაც გამოიწვია ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ცვლილება/ოპტიმიზაციის პროცესი. 2015-2016 წწ-ში შემუშავდა და დაინერგა კონკურსების ჩატარების ახალი წესები, 2017 წელს განხორციელდა აკადემიური და ადმინისტრაციული კონტინგენტის სამუშაო აღწერების გადახედვისა და ოპტიმიზაციის პროცესი, 2018 წლიდან საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში შეტანილმა ცვლილებებმა დღის წესრიგში დააყენა ადამიანური რესურსების მართვის რეორგანიზაცია/ოპტიმიზაციის საკითხები. შესაბამისად, შემუშავდა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტი და დაიწყო არსებული პროცედურების გადახედვისა და ოპტიმიზაციის, ასევე ახალი პროცედურების შემუშავების პროცესი, რომელიც უნდა დასრულდეს 2018 წლის განმავლობაში.

გარდა ამისა, 2017 წელს უნივერსიტეტის მართვის ოპტიმიზაციის პროცესის ფარგლებში, განხორციელდა ფაკულტეტებზე დასაქმებული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობის დაზუსტებისა და ოპტიმიზაციის პროცესი.

უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევნის/დანიშვნის პროცედურების ერთ-ერთ ძირითადი სისუსტეა უნივერსიტეტში არსებული ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის დისემინაციის არასკმარისო დონე. ყველა საინფორმაციო რესურსი, რომელიც გამოიყენება ინფორმაციის გავრცელებისათვის არის შიდა საუნივერსიტეტო, ეს რესურსები უზრუნველყოფენ საუნივერსიტეტო საზოგადოების სათანადო ინფორმირებულობას, მაგრამ ისინი ვერ უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის გარედან სათანადო კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალების მოზიდვას. შესაბამისად, მნიშვნელოვლად მივიჩნევთ, შვაფასოთ ინფორმაციის გავრცელების წყაროთა ეფექტურობა და შევიმუშაოთ შესაბამისი ინსტრუმენტები აღნიშნული საქმინაობა განხორცილდება ადამიანური მართვის პროცედურების გადახედვის საქმიანობის ფარგლებში.

უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე დასახული მიზნების მისაღწევად და საქმიანობის ეფექტიანად განსახორციელებლად უნივერსიტეტის მმართველობით სისტემა ემყარება კარგი მმართველობის (Good Governments) პრინციპებს, რომელიც გულისხმობს შემდეგ საკითხებს:

- **აკადემიური თავისუფლება**

აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა უფლება დამოუკიდებლად დაგეგმონ, განახორციელონ სწავლება/სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის პროცესი, აღნიშნული დებულება წარმოადგენს მართვის ქვაკუთხედს და გათვალისწინებულია ყველა მმართველობით პროცედურის შემუშავებისას. აკადემიური დამოუკიდებლობის ცალსახა გამოვლინება არის უნივერსიტეტის საზოგადოების უფლება, თავად აირჩიოს ყველა მმართველი ორგანოს ხელმძღვანელები პირდაპირი კენჭისყრის წესით.



- თანამონაწილეობა**

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტური კონტინგენტის, ასევე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას. უნივერსიტეტში ყველა დონეზე სწავლა/სწავლების, სამეცნიერო კვლევებისა და მართვის საკითხებში სტრატეგიული და ოპერაციული მართვა, აგრეთვე გადაწყვეტილების მიღების პროცესები ხორციელდება როგორც აკადემიური, ასევე სტუდენტური კონტინგენტის მაღალი ჩართულობით. როგორც აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების, ასევე ფაკულტეტის საბჭოების ფორმირება ხდება აკადემიური პერსონალისა და სტუდენტური კონტინგენტიდან, მაღალი როტაციის წესით, რათა მაქსიმალურად ბევრ სუბიექტს შეეძლოს თავისი წვლილის შეტანა უნივერსიტეტის მართვაში.
- მმართველობითი დეცენტრალიზაცია**

მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ფაკულტეტის მართვის ორგანოებისათვის გადაწყვეტილებების მიღების ავტონომიურობას. უნივერსიტეტში ფაკულტეტები, გარდა იმისა რომ თავად განსაზღვრავენ როგორც სწავლა/სწავლების და სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმებს (ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმების დოკუმენტი), ასევე მათ 2015 წლიდან გააჩნიათ ხარჯვითი ლიმიტი, რომლის განკარგვასაც ახორციელებენ დამოუკიდებლად .
- გამჭვირვალობა**

უნივერსიტეტის მმართველობის ორგანოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და მათი აღსრულება ხდება გარკვეული წესებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა მათთვის, ვისაც უშუალოდ ეხება აღნიშნული გადაწყვეტილებები და/ან მათი აღსრულება. ამისთვის რამდენიმე მეთოდი და გზა გამოიყენება: საინფორმაციო კედლები და მულტიმედია სტენდები, უნივერსიტეტის ვებ გვერდი, ელექტრონული ფოსტის გზავნილები, სმარტფონის აპლიკაცია, გაზეთი „უნივერსიტეტის მოამბე“.
- ანგარიშვალდებულება**

უნივერსიტეტი ანგარიშვალდებულებული არის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტური კონტინგენტის, აგრეთვე საზოგადოებისა და დაინტერესებულ მხარეთა წინაშე. ყველა დონის, როგორც საუნივერსიტეტო, ასევე საფაკულტეტო, ხელმძღვანელობა და მართვის ორგანოები ვალდებული არიან წელიწადში ერთხელ ანგარიში წარადგინონ დაქვემდებარებულ ორგანოსა და საუნივერსიტეტო საზოგადოების წინაშე: ასე მაგალითად, დეკანი წარადგენს წლიურ ანგარიშს ფაკულტეტის საბჭოს წინაშე, ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი წარმომადგენლობით საბჭოსთან, ხოლო რექტორი და ხარისხის განვითარების სამსახურის უფროსი - აკადემიურ საბჭოსთან. ანგარიშის წარდგენა არის საჯარო და დოკუმენტები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელი ყველა სტრუქტურული ერთეულის უფროსი ანგარიშვალდებულაა აგრეთვე ადმინისტრაციის უფროსთან (უნივერსიტეტის წესდება).
- ეფექტურობა და შედეგიანობა**

უნივერსიტეტში განხორციელებული პროცესები იძლევიან იმგვარ შედეგებს, რომ დაკმაყოფილდეს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტური კონტინგენტის საჭიროებები, აგრეთვე უზრუნველყოფილი იქნეს რესურსების ეფექტიანი გამოყენება. დასახული მიზნისათვის უნივერსიტეტში გამოიყენება რამდენიმე ინსტრუმენტი:

 - სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების ხარისხის შესაფასებლად უნივერსიტეტი სისტემატურად ატარებს სტუდენტების, კურსდამთავრებულების და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევას;
 - ხარისხის მართვის შიდა სისტემის საშუალებით, ფასდება სწავლა/სწავლების და სამეცნიერო კვლევების პროცესების ეფექტურობა და ხდება შემდგომი გაუმჯობესება. პროცესების კონტროლდება როგორც საუნივერსიტეტო დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, ასევე საფაკულტეტო დონეზე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. ხარისხის კონტროლისათვის გამოიყენება სხვადასხვა ინსტრუმენტი, როგორც: აკადემიური პერსონალის ურთიერთდასწრება, საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასება და რეფერირების სისტემა და სხვა;
 - აკადემიური პერსონალის დატვირთვის შეფასებისა და რეაგირების სისტემა უზრუნველყოფს დაგეგმილი და ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოთა შეფასებას;
 - ფაკულტეტებისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების ხარჯვის მიზნობრიობას უზრუნველყოფს ფინანსებისა და მატერიალური რესურსების მართვის სამსახური და ადმინისტრაციის უფროსი;



- რადგან უნივერსიტეტი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ამიტომ მისი ფინანსური და მატერიალური რესურსების ყირათიან ხარჯვას მონიტორინგს უწევს საქართველოს ფინანსთა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები;
- წელიწადში ერთხელ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ანგარიშს უნივერსიტეტის ხარისხის სისტემის, პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ, ხოლო ადმინისტრაციის უფროსი წარადგენს ანგარიშს უნივერსიტეტში ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების განკარგვის შესახებ

მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების სისტემა ეფუძნება როგორც ვერტიკალურ, ასევე ჰორიზონტალურ სტრუქტურებს შორის კავშირებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მაქსიმალური ჩართულობით.

მართვის სისტემა ემყარება ჩამოყალიბებულ პოლიტიკებსა და სამუშაოთა აღწერის პროცედურულ მიდგომებს, უნივერსიტეტში არსებობს სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების ხარისხის მართვის, სასწავლო პროცესის წარმართვის, ადამიანური რესურსების მართვისა და სამეცნიერო კვლევის პოლიტიკები და მათი შესაბამისი პროცედურები, წესები და ინსტრუქციები. ყოველი პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენს მისი განხორციელების შეფასება და გაუმჯობესების პროცედურები.

2016-2017 წწ-ში სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესმა ბიძგი მისცა უნივერსიტეტის მართვის სისტემის ოპტიმიზაციის პროცესს. ამ პროცესის ფარგლებში:

- ყველა ფაკულტეტმა შეიმუშავა საკუთარი სტრუქტურული ერთეულის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, რომლებიც ერთი მხრივ, აძლიერებენ საუნივერსიტეტო სტრატეგიულ გეგმას, და მეორე მხრივ, ითვალისწინებენ საგანმანათლებლო მიმართულების სპეციფიკასა.
- ყველა ფაკულტეტმა შეიმუშავა საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროფილები. აღნიშნული დოკუმენტები აღწერენ ფაკულტეტზე მიმდინარე საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობას, ავლენენ ძიერ და სუსტ მხარეებს, პერსპექტიულ მიმართულებებს, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი მიმართულების პოტენციალის ზრდას, მათი განხორციელების თანამდევ პრობლემების უკეთ გააზრებას და უზრუნველყოფს შესაბამის საქმიანობის გატარებას.
- ადამიანური რესურსების მართვის ოპტიმიზაციის და შეფასების სისტემის ჩამოყალიბების მიზნით უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში გაანალიზებული და ხელახლა ჩამოყალიბებული იქნა დასაქმებული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო და თანამდებობრივი აღწერები.

ოპტიმიზაციის პროცესში მაქსიმალური საჯაროობისა და ინფორმაციის გაზიარების მიზნით ყველა სტრუქტურული ერთეული საჯაროდ წარადგენდა თავის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმას, აგრეთვე საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროფილებს. აუცილებელი პირობა იყო ყველა წარმოდგენილი დოკუმენტის შემუშავება და განხილვა ფაკულტეტის თანამშრომლების მიერ და დამტკიცება ფაკულტეტის საბჭოს მიერ. აღნიშნული მიდგომის მიზანი აგრეთვე იყო ინფორმაციის ფართო გაზიარების გზით სტრუქტურულ ერთეულებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და ერთობლივად პრობლემების იდენტიფიცირების წახალისება.

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მიზნით ფაკულტეტების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა, აგრეთვე საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროფილები გამოქვეყნებული არის უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.

უსდ-ის ეფექტური მართვის ძირითად გამოწვევაა მართვის ეფექტურობა და შედეგიანობის უზრუნველყოფა. ამჟამად თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების შეფასება ეფუძნება რაოდენობრივ მაჩვენებლებს, რაც საკმარისად ეფექტიანად ვერ უზრუნველყოფს პროცესის ხარისხის ეფექტურ შეფასებას. საჭიროა ანგარიშგების ხარისხობრივ მაჩვენებლებზე გადასვლა, რაც გულისხმობს მართვის სისტემაში ცვლილებების შეტანას. 2018-2024 წწ-ის სტრატეგიული გეგმის მე-5 სტრატეგიული მიმართულების შედეგი 5.4-ით დაგეგმილია ხარისხის სისტემის გაუმჯობესება, რომლის შემადგენელ ნაწილად მოიაზრება ანგარიშგების სისტემის ცვლილებაც, როგორც სტრუქტურული ერთეულებისათვის, ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შესაფასებლად.

უნივერსიტეტის მისიიდან და 2018-2024 წლების სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების ინტერნაციონალიზაციის პროცესების ხელშეწყობას.

საერთაშორისო თანამშრომლობაზე და ინტერნაციონალიზაციის პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია საგარეო ურთიერთობების და სტრატეგიული განვითარების სამსახური. სამსახური ახორციელებს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისა და ფაკულტეტების საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში საქმიანობის კოორდინაციას, უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო




მობილობის ხელშეწყობას, აგრეთვე უცხოელი სტუდენტებისათვის ადაპტაციის და ინტეგრაციის სერვისების მიწოდებას.

საგარეო ურთიერთობების და სტრატეგიული განვითარების სამსახური თანამშრომლობს ფაკულტეტებთან და მოიძიებს ინფორმაციას საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობის შესახებ, ხელს უწყობს კავშირების დამყარებას, პროექტის მომზადებას და შემდგომ განხორციელებას.

უნივერსიტეტი ზრუნავს საქმიანობის იტერნაციონალიზაციასა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებაზე. კერძოდ, აწესებს აქტიურად მუშაობს შემდეგი მიმართულებებით:


- **ინსტიტუციური პარტნიორობა.** უნივერსიტეტი სხვადასხვა ფორმატით თანამშრომლობს მსოფლიოს 100-ზე მეტ უნივერსიტეტთან (ძირითადად ხელშეკრულებების ფარგლებში). 2011 წლიდან დღემდე უცხოურ უნივერსიტეტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა 5-ჯერ გაიზარდა. წარმატებული ინსტიტუციური თანამშრომლობის მაგალითია ჩეხეთის, პრადის სოცოცხლის შემსწავლელ უნივერსიტეტთან თანამშრომლობა, რომელიც დაიწყო 2014 წლის ოქტომბერში პროექტით „განათლების გაუმჯობესება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში“, 2016-2017 წლებში თანამშრომლობა გაგრძელდა ახალი პროექტის სახით „აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კომპეტენციების ამაღლება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში“. პროექტი დააფინანსა ჩეხეთის რესპუბლიკის განვითარების სააგენტომ. პროექტის მიზანია ჩეხეთის პრადის სოცოცხლის შემსწავლელი უნივერსიტეტისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტების სპეციალისტებს შორის გამოცდილების გაზიარება. პროექტის ფარგლებში ჩეხმა სპეციალისტებმა ლექციები წაიკითხეს და უნივერსიტეტის ლექტორებისათვის ჩაატარეს სემინარები. სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს კვლევის საგრანტო კონკურსში და ჩეხ კოლეგებთან ერთად და ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაციის „ადამიანი გაჭირვებაში“ ENPARD პროექტის დახმარებით ჩაერთნენ 2015 და 2016 წლების საზაფხულო სკოლებში. ზაფხულის სკოლების ფარგლებში სტუდენტებს ჩაუტარდათ თეორიული და პრაქტიკული ლექციები კვლევის კომპეტენციების გაუმჯობესების მიზნით. მხარდაჭერილი იქნა სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის დოკუმენტური ფილმის ფესტივალის ჩატარება. ამასთან, ჩეხეთის რესპუბლიკის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით უნივერსიტეტში პირველად მოეწყო კარიერის დღე, რომელიც ყოველწლიურად ტარდება ბოლო 3 წლის მანძილზე. პროექტის ფარგლებში შეძენილი იქნა ტექნიკა და სამეცნიერო ლიტერატურა. 2017 წელს პროექტში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ სტანდარტებსა და რეკომენდაციებზე (ESG), ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტების როლზე (ESG), განსაკუთრებით ESG1 - ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკასა, ESG 3 - სტუდენტებზე და სტუდენტების შეფასებაზე ფოკუსირებულ განათლებაზე.






- თანამშრომლობა რეგიონში აქტიურ ყველა მსხვილ დონორ ორგანიზაციასთან, რომელთაც გააჩნიათ სპეციალური პროგრამები და პროექტები უმაღლესი სასწავლებლებისათვის, European Commission-Erasmus+; Horizon 2020, NATO; GIZ; USAID; Millenium Chalange Corporation (MCA Georgia); Volkswagen Foundation, US State Department, British Council; DAAD; CEU. 2016 წლამდე უნივერსიტეტი მხოლოდ მონაწილეობას იღებდა Erasmus+ საგრანტო პროექტებში. უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა უნივერსიტეტებთან Erasmus+ საგრანტო წინადადებების წარდგენაში.

აწსუ-ს მონაწილეობა აქვს მიღებული 15-ზე მეტ საერთაშორისო პროექტში და ამ პროექტებიდან მიღებული აქვს მილიონამდე ლარი. 2016 წელს კი უნივერსიტეტი გახდა ERASMUS+ პროექტის კოორდინატორი, რომელიც ეხება სტუდენტური ომბუდსმენის სერვისის განვითარებას. უნივერსიტეტის კოორდინატორობამ გაზარდა საერთაშორისო ცნობადობა. საერთაშორისო პროექტებიდან შემოსული თანხებით უნივერსიტეტში შექმნილია 10 კომპიუტერული ლაბორატორია. შვედეთის სამეფო უნივერსიტეტისა და დიდი ბრიტანეთის საელჩოს დახმარებით უკრაინაში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს საჩუქრად გადაეცა „DELCAM“ ლიცენზიის გასაღები, რომლის ღირებულებაც შეადგენს მილიონ ფუნტ სტერლინგს.




- საერთაშორისო მობილობა და გაცვლითი პროგრამები. საერთაშორისო მობილობის ფარგლებში აწსუ ახორციელებს გაცვლით პროგრამებს 10-მდე პარტნიორ უნივერსიტეტთან ყველა საფეხურის სტუდენტების და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალისათვის. საერთაშორისო მობილობა განხორციელდა იმ ERASMUS+ პროექტების ფარგლებში, რომელშიც აწსუ მონაწილეობდა. აღნიშნულის გამო, უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის დინამიკამ 2012 წლიდან 2016 წლამდე მკვეთრად იმატა, მაგრამ ევროკომისიის გადაწყვეტილებამ, გაეფართოებინა პროექტებში ჩართული ქვეყნების სია, ბიუჯეტის რეალობაში მკვეთრად იმოქმედა სტუდენტთა მობილობის რაოდენობის შემცირებაზე.





სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება ვებგვერდის, საინფორმაციო სტენდების, კორპორაციული ელფოსტისა და ანდროიდის აპლიკაციის საშუალებით.

- საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და ახალი, უცხოენოვანი პროგრამების შექმნა. საერთაშორისო პროექტების ფარგლებში შეიქმნა და გაუმჯობესდა საგანმანათლებლო პროგრამები. MAHATMA, MathGear, BME, მედიცინა+PBL. აწესდა ახორციელებს ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებს და ზრუნავს ამ პროგრამებზე უცხოელი სტუდენტების მოზიდვასათვის. 2016-2017 წლებში გაიზარდა უცხოელი სტუდენტების ნაკადი. ამას ხელი შეუწყო უნივერსიტეტის მიერ ახალი ინგლისურენოვანი პროგრამების შემუშავებამ, განსაკუთრებით სამედიცინო მიმართულებით. ამჟამად უნივერსიტეტს აქვს 4 ინგლისურენოვანი პროგრამა.



- თანამშრომლობა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიებთან და საქართველოს საელჩოებთან. თურქეთის საელჩოსა და იუნუს მერეს ინსტიტუტის მოწვევით უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს თურქი ლექტორი. დამყარდა ურთიერთობები ერაცის და ინდოეთის საელჩოებთან უცხოელი სტუდენტების რეკრუტირების მიზნით.
- ზრუნავს უცხოელი მაღალკვალიფიციური აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მოზიდვაზე და მათ ჩართულობაზე სასწავლო და კვლევით პროცესებში.

- საგარეო ურთიერთობების და სტრატეგიული განვითარების სამსახური ახდენს უცხოელი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის სოციალიზაციასა და ადაპტაციას სხვადასხვა სერვისების (იურიდიული კონსულტაცია, სავიზო მხარდაჭერა, საცხოვრისის დაქირავების ხელშეწყობა, ენის კურსები) მიწოდების გზით;
- უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები როგორც სტუდენტებისათვის, ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის;
- საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებში ჩასართავად საგარეო ურთიერთობების და სტრატეგიული განვითარების სამსახური კონსულტაციას უწევს სტუდენტებს, აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს.

მიუხედავად მზარდი მაჩვენებლებისა, უნივერსიტეტში ძირითად გამოწვევას წარმოადგენს როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული კონტინგენტის ინგლისური ენის ცოდნის დონის გაუმჯობესების დაბალი მაჩვენებელი. შესაბამისად მცირე ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამებისა და კურსების რაოდენობაც.

უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე (სტრატეგიული მიმართულება #2 : ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება), უნივერსიტეტის მმართველობა გეგმავს:

- 2024 წლისათვის ERASMUS+ პროექტების რაოდენობის გაზრდას 20-მდე;
- პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გაცვლით პროექტებში მეტ მონაწილეობას;
- ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამებისა და კურსების შემუშავებას;



- სტუდენტებისათვის, აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალისათვის ინგლისური ენის გაღრმავებული სასწავლო კურსების შეთავაზებას;
- საერთაშორისო საუნივერსიტეტო ქსელებში გაწევრიანების გზით უნივერსიტეტის იმიჯის გაძლიერებას საერთაშორისო დონეზე;
- ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუ-ს სტრატეგიული გეგმა, (დანართი 1);
- აწსუ-ს წესდება, (დანართი 8);
- ფაკულტეტების მართვის ეფექტიანობის შიდა შეფასების კომისიის შექმნის შესახებ რექტორის ბრძანება (№ 01-04.10 10.03.2017) (დანართი 64);
- ჩატარებული შეხვედრების და განხილვების ოქმები; (დანართი 62);
- აწსუ-ს სამსახურებისა და ფაკულტეტების დებულება; (დანართი 7);
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- რექტორის ანგარიშები 2015-2016, 2016-2017. (დანართი 5).

2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას;
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

აღწერა და შეფასება

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა წარმოადგენს სასწავლო, კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის შიდა შეფასების სისტემას, რომელიც ხელმძღვანელობს „უმალესი განათლების შესახებ“ კანონით, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებით, უნივერსიტეტის წესდებით, სხვა ნორმატიული დოკუმენტებითა და სტანდარტებით და ხელს უწყობს უნივერსიტეტს სტრატეგიული მიზნებისა და მისიის განხორციელებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უნივერსიტეტის განვითარებისთვის საჭირო დაგეგმვის, მართვისა და მონიტორინგის განუყოფელი ნაწილია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასება, შეფასების შედეგების ანალიზი და მათი გამოყენება სწავლა/სწავლების პროცესის შემდგომი განვითარებისათვის.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა შედგება სხვადასხვაგვარი პოლიტიკისაგან, პროცედურებისა და ინსტრუქციებისგან/წესებისგან/გზამკვლელებისგან, რომლებზე დაყრდნობითაც წარიმართება უნივერსიტეტის საქმიანობა.

ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია ეფუძნება სამ ძირითად პოლიტიკას და მოიცავს ხუთ ძირითად პროცედურას.

პოლიტიკა	პროცედურა
1. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა- EP-QA	EP-QA 1.1 საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა;
	EP-QA 1.2 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა;
	EP-QA 1.3 მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა.
2. კვლევის განვითარების პოლიტიკა - RE-QA	
3. მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა - ME-QA	ME-QA 3.1 თვითშეფასებისა და ანგარიშგების პროცედურა
	ME-QA 3.2 მართვის ეფექტიანობის შეფასების პროცედურა.



წარმოდგენილი სისტემა შემუშავებულია საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის მართვის საერთაშორისო პრაქტიკის (IQM-ის სახელმძღვანელო „ხარისხის შიდა მართვა კომპეტენციებზე დაფუძნებულ განათლებაში“) მიდგომების გათვალისწინებით, ეყრდნობა საქართველოში მოქმედ ნორმატიულ და მარეგულირებელ მოთხოვნებს, აგრეთვე უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს (ESG).

აწსუ-ში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ჩამოყალიბება და განვითარება მიმდინარეობს გარე შეფასებისა (ავტორიზაცია, აკრედიტაცია, საექსპერტო მომსახურება და სხვა თანამშრომლობა) და მხარდაჭერის (Erasmus+ პროექტების, სხვადასხვა ფონდების დახმარებით განხორციელებული პროექტების, მოწვეული ექსპერტების, ვიზიტებისა და ტრენინგების) საშუალებით.

წარმოდგენილი მიდგომები აყალიბებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს სათანადო მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით სანდო და საჭირო ინფორმაციის გენერირებას, შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურისა და პრაქტიკის განვითარებას.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში გამოყენებულ ოპერაციულ, მმართველობით, დამხმარე და ხარისხის განვითარების პროცესებსა და პროცედურებში მონაწილეობას იღებს აწსუ-ს ადმინისტრაცია, ხუს-ი, ფაკულტეტები, სამსახურები, სტუდენტები და სტუდენტური თვითმმართველობა, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები. ამ მექანიზმებში ყველა მოქმედი რგოლის ჩართულობა არათანაბარია. მიმდინარე ეტაპზე აწსუ ცდილობს არსებული მექანიზმების განავითარებას ყველა მოქმედი რგოლის მაქსიმალური ჩართულობით, როცა პასუხისმგებლობები და ჩართულობის ხარისხი ყველა რგოლზე კომპეტენციების ფარგლებში მაქსიმალურადაა გადანაწილებული.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უნივერსიტეტის განვითარებისთვის საჭირო დაგეგმვის, შეფასების, მართვისა და მონიტორინგის განუყოფელი ნაწილია. მიმდინარე ეტაპზე აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა მიმართულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განხორციელებისაკენ ყველა რგოლის ეფექტური ჩართულობით.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში მნიშვნელოვანი რგოლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც თანამშრომლობს სხვადასხვა დონის მმართველობასთან: აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის საბჭო, დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი, სწავლა/სწავლისთვის და სამეცნიერო კვლევების პროცესების დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელი შემდეგი სტრუქტურული ერთეულები, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა ეფუძნება ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესის განვითარებას თითოეული ფაკულტეტის თავისებურებების გათვალისწინებითა და მისი ავტონომიურობის დაცვით, რომელიც გულისხმობს დამოუკიდებლობას შეთანხმებულ ფარგლებში. უნივერსიტეტის 9 ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები და სპეციალისტები ასრულებენ ფაკულტეტზე მიმდინარე ძირითად სამუშაოს. მათი ჩართულობით აწსუ-ს ხარისხის სამსახურში შექმნილია საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც იხილავს და იღებს გადაწყვეტილებებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარებისათვის.


აწსუ-ს მიზანია წარმოდგენილი სისტემის გამოყენებით მუდმივად გააუმჯობესოს და განავითაროს პროცესები და პროცედურები, პერიოდულად მიმოიხილოს ხარისხის სისტემის ეფექტიანობა და უზრუნველყოს ხარისხის კულტურის მდგრადი განვითარება თანამშრომელთა და ყველა დაინტერესებული მხარის მაღალი ჩართულობით.

შესაბამისად, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება და მუდმივი განვითარება ხდება PDCA ციკლური პროცესის გამოყენებით.

2015 წელს აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონცენტრირება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დახვეწასა და განვითარებაზე, რომელიც მოიცავდა შემდეგ საკითხებს: საგანმანათლებლო პოლიტიკისა და მარეგულირებელი დოკუმენტების გამართულობა; ახალი საგანმანათლებლო პროგრამების წარდგენისა და დამტკიცების პროცედურები; საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული შეფასება და ყოველწლიური ანგარიშები; სტუდენტთა გამოკითხვა სწავლების პროცესისა და აკადემიური პერსონალის შესახებ და მათი მოსაზრებების გათვალისწინება; აკადემიური პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა; სასწავლო რესურსების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სტუდენტთა მომსახურების მექანიზმების განვითარება და სხვა.



ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარება 2015 წელს



ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარებისათვის 2016 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ორიენტირებული იყო შიდა მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების გამოყენებაზე, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე გამოკითხვების, შეხვედრების, დისკუსიების, ფაკულტეტებიდან და სხვა სამსახურებიდან მიღებული მონაცემების კომპლექსური შეფასებების შედეგებზე დაყრდნობით.

აღნიშნული შიდა მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს PDCA-ციკლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს, რომლის გამოყენებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს თავის საქმიანობას. აწსუ-ს ხელმძღვანელობა შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებს ხარისხის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით და შეფასების შედეგები გამოიყენება დაწესებულების საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.

ერთ-ერთი ასეთი მაგალითია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლური პროცესის გამოყენება შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გზამკვლევის შემუშავებისათვის (იხ. შესაბამისი სქემა).

2015 წელს აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, გამოვლინდა, რომ ლექტორ-მასწავლებელთა უმრავლესობა, თვითგანვითარებისა და სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად მიიჩნევს კვალიფიკაციის ამაღლებას სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების კუთხით.


2016 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეამოწმა, რამდენად შეესაბამებოდა შუალედური და დასკვნითი საგამოცდო საკითხები საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებით განსაზღვრულ თემატიკას. ჩატარდა სასწავლო კურსების შემაჯამებელი გამოცდის საკითხების/ტესტების ფორმისა და შინაარსის შეფასება სასწავლო კურსის შედეგებთან მიმართებით. გაანალიზდა სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების, შეფასების ფორმების და კრიტერიუმების შესაბამისობა.



ხარისხის უზრუნველყოფის ციკლური პროცესის გამოყენება შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გზამკვლევი



ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა შეფასების შედეგების ანალიზი - უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროგრამების, შუალედური და დასკვნითი საგამოცდო საკითხების სილაბუსებით განსაზღვრულ თემატიკასთან კავშირის მონიტორინგი.



ამასთან, 2016 წელს არსებითი ცვლილებები შევიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებაში "უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესი" (2016.29.01 და 2016.18.08 ცვლილებები).

შესაბამისად, შეფასების შედეგებმა და ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა აღნიშნული გზამკვლევის შექმნის აუცილებლობა. გზამკვლევი წარმოდგენილია სტუდენტის ცოდნის შეფასების მიზნები და ფორმები; განხილულია შეფასების სხვადასხვა მეთოდები და კრიტერიუმები, მოცემულია რეკომენდაციები სტუდენტთა პერსონალური განვითარების თვითშეფასების შესახებ და გაანალიზებულია უკუკავშირის, როგორც წარმატების მიღწევის მექანიზმის მნიშვნელობა.

ხარისხის კულტურის მდგრადი განვითარებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობა დაფუძნებულია საერთაშორისო „კარგ პრაქტიკისა“ და გამოცდილების გაზიარებაზე, რომლის გათვალისწინებით იგეგმება ხარისხის სისტემაში გამოყენებული პოლიტიკები, პროცედურები და ინსტრუქციები. მათ შორის EP-QA 1.2 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისათვის გამოყენებული ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა შემუშავდა Bath Spa University-ის გამოცდილების გაზიარებით; შიდა ხარისხის სისტემის განვითარებაში ESG-ის სტანდარტების იმპლემენტაციის ხელშეწყობისათვის შემუშავდა პროექტი, რომლის ფარგლებში ჩეხეთის პრადის სიცოცხლის შემსწავლელი უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ჩაატარეს ტრენინგი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლებისათვის; მობილობისა და კრედიტების აღიარების პროცედურების განვითარებისათვის და თანამედროვე მიდგომების დასაწერად უნივერსიტეტი თანამშრომლობს London Middlesex University-თან.


ხარისხის სისტემის განვითარებისათვის საჭირო მრავალმხრივი მიდგომების დასაწერად აწესდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს სხვადასხვა ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, შეიმუშავებს საპროექტო წინადადებებს, რითაც ცდილობს გამოცდილი სპეციალისტების ჩართვას და სხვადასხვა შესაძლებლობების გამოყენებას. სწორედ ამგვარი წარმატებული თანამშრომლობითა და ევროკავშირის დაფინანსებით შესაძლებელი გახდა ისეთი პროექტების განხორციელება, როგორცაა სტრატეგიული,



მონიტორინგის და სამოქმედო გეგმების დასრულება, პროფესიული განათლების სუბსტრატეგიის მომზადება, მოდულური პროფესიული პროგრამების გზამკვლევები, მოდულური პროფესიული პროგრამების ვიზუალიზაცია, საერთაშორისო კონფერენციის მხარდაჭერა GIZ-ის მიერ.

დღეისათვის მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სამი ძირითადი პოლიტიკა, შესაბამისი პროცედურები, ინსტრუქციები/წესები/გზამკვლევები შემუშავებულია PDCA ციკლური პროცესის გამოყენებით, თავად ამ დოკუმენტებში წარმოდგენილი პროცესები გაწერილია PDCA ციკლის მიხედვით. აღნიშნულის მაგალითია ურთიერთდასწრების გზით სასწავლო პროცესზე დაკვირვების პროცესი (იხ. შესაბამისი სქემა), რომელიც EP-QA 1.2 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. იგი გამოიყენება სასწავლო პროცესის სრულყოფისა და გაუმჯობესებისათვის, მოქმედი პროგრამების განახლებისა და განვითარებისათვის, ასევე მუდმივად ცვალებად გარემოსთან მათი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ურთიერთდასწრება და სააუდიტორიო მუშაობის შეფასება



სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად აწეს ასევე იყენებს სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმს. EP-QA 1.3 მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა გამოიყენება აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისათვის, მოქმედი პროგრამების განახლებისა და განვითარებისათვის. ამ მიზნით გამოიყენება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი და ძირითადი დაინტერესებული პირების (სტუდენტი, პედაგოგი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული) გამოკითხვები. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგისა და ანალიზის წარმმართველ პირს/სტრუქტურას წარმოადგენს შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაცია. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი სრულდება რაოდენობრივი (მათ შორის გაუსის განაწილების) და ხარისხობრივი მაჩვენებლების (პროგრამის სწავლის შედეგების) მიხედვით. ფაკულტეტის ადმინისტრაცია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგებსა და მის ანალიზს დადგენილი პერიოდულობითა და ვადებით (2-ჯერ სასწავლო წელიწადში, ზამთრის სემეტრისათვის - მარტი; ზაფხულის სემეტრისათვის - სექტემბერი) უგზავნის პროგრამის ხელმძღვანელს და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

ძირითადი დაინტერესებული პირების (სტუდენტი, პედაგოგი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული) გამოკითხვების წარმმართველ პირს/სტრუქტურას წარმოადგენს პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; კითხვარებს ადგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; გამოკითხვის სახე, ფორმა და კითხვარები განიხილება და მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ; დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვას წარმართავს პროგრამის ხელმძღვანელი; გამოკითხვის შედეგების ანალიზებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; ფაკულტეტის ხარისხის



უზრუნველყოფის სამსახური გამოკითხვის შედეგების ანალიზს (დადგენილი პერიოდულობითა და ვადებით) უზაზნის პროგრამის ხელმძღვანელს და შესაბამის დეპარტამენტს.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფისათვის აწსუ ეფექტურად იყენებს შესაბამის ადამიანურ, საინფორმაციო და მატერიალურ რესურსებს. ადამიანური რესურსები წარმოდგენილია აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სახით. ამ კუთხით აღსანიშნავია აწსუ-ს აკადემიური პერსონალი, რომლებსაც გააჩნით განათლების განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტობის მრავალწლიანი გამოცდილება. ექსპერტთა კორპუსის ეს შესაძლებლობა გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამების შიდა „ორმაგი“ შემოწმებისათვის და აკადემიური პერსონალის ტრენინგებისათვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში წლების მანძილზე დამკვიდრებული სტუდენტთა სტაჟირების პროგრამა ორმხრივ სასარგებლოა, რადგან სტუდენტების შესაძლებლობების გამოყენებას და მათი პროფესიულ ზრდას ემსახურება.

საინფორმაციო რესურსები წარმოდგენილია შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი), უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდით, ელექტრონული სერვისებითა და მართვის ელექტრონული სისტემებით, რომელიც გამიზნულია აწსუ-ს სერვისებისათვის და სტაბილურად ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისათვის.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ეფექტურად განსახორციელებლად და მდგრადი პრაქტიკის დასანერგად აწსუ თავის მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს მიმართავს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესისათვის. ყოველ ორ წელიწადში ერთხელ აწსუ-ს ტრადიციად იქცა საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება დასახელებით: „უმალესი განათლება - ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციები/ HENTI - High Education - New Technologies and Innovation“. უკვე ჩატარდა ორი საერთაშორისო კონფერენცია HENTI-2015 და HENTI-2017.

საერთაშორისო კონფერენციის პროგრამის ფარგლებში მუშაობა მიმდინარეობდა შემდეგ სექციებში: გლობალური საკითხები და თანამედროვე გამოწვევები განათლებაში; მასწავლებელთა გადამზადება (TT) / ტრენერთა ტრენინგი (TOT) / სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე (LLL); კურიკულუმის დიზაინი: თანამედროვე პრინციპები, მეთოდები და ტექნოლოგიები; აკრედიტაცია-ავტორიზაცია და ხარისხის უზრუნველყოფა განათლებაში; სასწავლო პროცესისა და კვლევების ინტეგრაცია; ინტერნაციონალიზაცია და მულტიკულტურული პროექტები საგანმანათლებლო სივრცეში; ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციები სწავლა / სწავლების / კვლევის პროცესში.

სამეცნიერო კონფერენციებმა აწსუ-ს ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს მისცა საშუალება ღია დიალოგისა, კომუნიკაციისა იდეებისა და სამომავლო პერსპექტივების დასახვისათვის. ამ ჭრილში უმნიშვნელოვანესი გახლდათ ინტერნაციონალიზაციის საკითხი, როგორც ახალი გამოწვევა საქართველოს განათლების სფეროში, რომელიც უამრავ ახალ შესაძლებლობას აჩენს სათანადო სივრცეში.

აწსუ-ს პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე) საქმიანობის შეფასება განაწილებულია სხვადასხვა ოპერაციულ, მმართველობით და დამხმარე პროცესებში და შედარებით ნაკლებად წარმოდგება სისტემური სახით.

ადმინისტრაციული პერსონალის (რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხარისხის სამსახურის უფროსი) მუშაობას დასაბუთებულია წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოს მიერ წლიური და მიმდინარე ანგარიშგების გზით.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფასდება როგორც წლიური დატვირთვების შესრულების (დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის დეკანი) და კოლეგიალური ურთიერთდასწრების პოლიტიკის საშუალებით, ისე სტუდენტთა გამოკითხვების გზით.

ფაკულტეტის ადმინისტრაციის მუშაობა ფასდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ წლიური და მიმდინარე ანგარიშგების საშუალებით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისა და სპეციალისტების მუშაობის შეფასება ხდება წლიური და მიმდინარე ანგარიშგების საშუალებით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

აღწერილი სამუშაოების მიუხედავად, სამომავლო სამუშაოებში უნივერსიტეტი აქცენტს გააკეთებს პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე) საქმიანობის შეფასების სისტემის გაუმჯობესებაზე, რისთვისაც გამოიყენებს PDCA-ციკლზე დაფუძნებულ მიდგომებს.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინენტის განსაზღვრა ეყრდნობა:

- ✓ ერთი მხრივ, 2011 წელს მიღებული ავტორიზაციით, აღნიშნული პერიოდისათვის არსებული ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, აწსუ-თვის განსაზღვრულ სტუდენტთა



კონტინგენტი - 11312. მ.შ. პროფესიული პროგრამებისათვის - 812 (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #82, 07.11.2011);

- ✓ მეორე მხრივ, უნივერსიტეტის სტრატეგიური განვითარების პერსპექტივებსა და სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო გარემოს სრულყოფის შესაძლებლობებს 2022 წლისათვის.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, 2022 წლისათვის უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის სამიზნე ნიშნულია 13 000-მდე სტუდენტი. ზრდა, ძირითადად, დაეფუძნება ახალი ერთობლივი პროგრამების ფორმირებას, საერთაშორისო მობილობით სტუდენტების მოზიდვის მაჩვენებლის გაუმჯობესებას, აწსუ უცხოეთიდან პროგრამებზე სტუდენტების ოდენობის მნიშვნელოვან ზრდას.

ზოგადად, უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა ეფუძნება ქვემოდან-ზემოთ (bottom-up) პრინციპს, სადაც ფაკულტეტებს ენიჭებათ მაქსიმალური თავისუფლება თავად განსაზღვრონ სტუდენტთა ოდენობები საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, საკუთარი სპეციფიკის, პოტენციალისა და რესურსული უზრუნველყოფის შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ცალკეული პროგრამის მიხედვით (ბაკალავრიატი, ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა, პროფესიული, ქართულ ენაში მომზადების, მასწავლებლის მომზადების 1 წლიანი) სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრა, ძირითადად, ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს:

- ✓ მოცემულ პროგრამაზე უკანასკნელი არანაკლებ 5 წლის მონაცემების დინამიკურ ანალიზებს;
- ✓ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით ჩატარებულ ბაზრის კვლევებს, რომლებიც ხორციელდება გარკვეული პერიოდულობით, განსაკუთრებით ახალი პროგრამის ინიცირების ან არსებულში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის დროს;
- ✓ შრომის ბაზარზე სამუშაო ადგილებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზებს;
- ✓ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის და/ან მისი ცალკეული კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებას;
- ✓ პროგრამის უზრუნველყოფის მდგომარეობას ადამიანური და მატერიალური რესურსების მდგომარეობის, სათანადო ინფრასტრუქტურის არსებობისა და გამართულობის, ფინანსური მდგრადობის კუთხით;
- ✓ უნივერსიტეტის ინტერესის, სამომავლო პერსპექტივების, გარემოში (მ.შ. ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე) გამოკვეთილი ტენდენციებისა და უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებას ა.შ.

აწსუ-ს სამომავლო ხედვა უკავშირდება სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის სისტემის განვითარებას საუკეთესო პრაქტიკისა და PDCA ციკლის გამოყენებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია; (დანართი 11);
- აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2015 წლის ანგარიში, (დანართი 5);
- აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2016 წლის ანგარიში, (დანართი 5);
- HENTI-2015-ის ვებგვერდი <http://atsu.edu.ge/Conferences/HENTI2015/>;
- HENTI-2017-ის ვებგვერდი <http://atsu.edu.ge/Conferences/HENTI/index.php?page=content&lng=En>;
- აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეხვედრების ოქმები, (დანართი 65);
- შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გზამკვლევი. აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (დანართი 69).



2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია;
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები;
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

აღწერა და შეფასება

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოწოდებულია, უზრუნველყოს სწავლა/სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის მაღალი ხარისხი, რომლებიც აღიარებული იქნება საერთაშორისო ასპარეზზე და ლეგიტიმური – ადგილობრივ კონტექსტში. აღნიშნული ხედვის განხორციელების მნიშვნელოვანი წინაპირობაა - კვლევით და სასწავლო საქმიანობაში აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფა.

დასახული მიზნების მისაღწევად უნივერსიტეტში დანერგილია:

1. აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის კოდექსი, რომელიც მიმართულია აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებში პლაგიატისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის სხვა ფორმების პრევენციისა და მართვისაკენ, რაც თავის მხრივ, შეამცირებს სამართლებრივ რისკებს უნივერსიტეტისათვის.

უნივერსიტეტი სათანადო რეგულაციებით, მექანიზმებით, საინფორმაციო კამპანიით და სხვა საშუალებებით ხელს უწყობს პლაგიატის თავიდან აცილებას და პლაგიატის ფაქტების გამოვლენას, მათ შორის:

- სტუდენტები და აკადემიური პერსონალი პლაგიატის საწინააღმდეგო წესების შესახებ ინფორმაციას იღებენ: სილაბუსებიდან (სადაც შეფასების ერთ-ერთი ფორმაა რეფერატის ან პრეზენტაციის მომზადება); აკადემიური წერის კურსიდან; სტუდენტთა გარკვეული ჯგუფები ბიოეთიკის, სამედიცინო ეთიკის კურსებიდან; სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესიდან; სადისერტაციო საბჭოს დებულებიდან; უნივერსიტეტის წესდებიდან; ეთიკის კოდექსიდან; აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის კოდექსიდან და სხვა.
- უნივერსიტეტში სტუდენტებისათვის ეწყობა სააუდიტორიო, ინტერდისციპლინური დისკუსიები პლაგიატის, პლაგიატის სახეებისა და შემთხვევების შესახებ. იგი უზრუნველყოფს პერსონალის მოღვაწეობისა და სტუდენტების სწავლის პროცესის მოწესრიგებას. რაც დასტურდება ეთიკური ნორმების დარღვევათა სიმცირით.
- უნივერსიტეტში არსებობს პლაგიატის საწინააღმდეგო სანქციები, რომჩამოყალიბებულია ნორმატიულ დოკუმენტებში. სტუდენტებთან მიმართებით, პლაგიატზე რეაგირების ისეთი მექანიზმები გამოიყენება, როგორცა: სიტყვიერი გაფრთხილება, ნიშნის დაკლება, ჩაჭრა, სამაგისტრო ნაშრომის, რეფერატის, პრეზენტაციის უარყოფითი შეფასება და სხვა;
- უნივერსიტეტში შექმნილია სადისერტაციო ნაშრომების შიდა ბაზები და გამოქვეყნებულია ვებგვერდზე; სამუშაო პროცესშია სამაგისტრო, აკადემიური პერსონალის ნაშრომების შიდა ბაზების მომზადება, რაც ასევე განთავსდება ვებგვერდზე;
- უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისათვის ჩატარდა სემინარი: „პლაგიატი საქართველოს აკადემიურ სივრცეში: პრევენცია და ბრძოლა.“ აღნიშნული სფეროს მკვლევარ-ექსპერტებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები საქართველოში არსებული სიტუაციების მიმოხილვით;
- 2017წ ოქტომბრიდან უნივერსიტეტი ჩართულია Erasmus+ ინსტიტუციური განვითარების პროექტში INTEGRITY (აკადემიური კეთილსინდისიერება), რომლის მიზანია ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობს პლაგიატის შემთხვევების გამოვლენას, აღმოფხვრასა და პრევენციას.

აკადემიური არაკეთილსინდისიერების მხრივ, გარდა მიმდინარე საქმიანობისა, უნივერსიტეტი აგრეთვე მონაწილეობს აღნიშნულ სკიოტზე კვლევებშიც, მათ შორის 2015-2016 წწ-ში Erasmus + ოფისმა საქართველოში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, მათ შორის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, განახორციელა პლაგიატთან ბრძოლის მექანიზმების გაუმჯობესების პროექტი, რომლის მიზანი იყო პლაგიატის პრობლემის კვლევა და კვლევის შედეგების საჯარო განხილვების საფუძველზე, პლაგიატთან მიმართებით ერთიანი ქმედითი პოზიციის შემუშავება, რომელიც გამყარდებოდა შესაბამისი იურიდიული დოკუმენტებით.

აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის პოლიტიკის განხორციელებისას ძირითად გამოწვევას წარმოადგენს პლაგიატის ფაქტის დადგენის სირთულე. ეს გამოწვეულია იმ გარემოებებით, რომ:

- სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომების შემოწმება კომპიუტერულ ანტიპლაგიატის სისტემაში არ იძლევა სასურველ შედეგებს, რადგან საქართველოში არ არსებობს აკადემიური ნაშრომების



<p>ცენტრალიზებული ბაზა, სხვა უსდ-ში ა ქართულ ენაზე შექმნილი აკადემიური ნაშრომები მიუწვდომელია, ხოლო ინგლისურენოვან ბაზებთან ენის ბარიერის გამო, შეუძლებელია შემოწმება;</p> <ul style="list-style-type: none"> - აკადემიურ პერსონალში არსებული რეზისტენტულობა გამოწვეული გადამოწმების დიდი მოცულობით; - არსებული მართვის მექანიზმები არ არის ეფექტიანი, რადგან მიმართულია დასჯაზე და არა პრევენციაზე; მიუხედავად აღნიშნული პრობლემებისა, უნივერსიტეტი გეგმავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის პრევენციის, აღმოჩენისა და მართვის ეფექტური მექანიზმების გამუჯობებსასაა ანტიპლაგიატის სისტემის დანერგვას. <p>2. <u>სტუდენტებისა და პერსონალისთვის შემუშავებულია ეთიკის კოდექსი</u>, რომლითაც განისაზღვრება უნივერსიტეტში ქცევის სავალდებულო ნორმები, მათი დარღვევის გამო დისციპლინური გადაცდომის პირობები და დისციპლინური წარმოების პროცედურები და წესები. იგი ეფუძნება აკადემიური თავისუფლების პრინციპს და მომზადდა „უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს შრომის კოდექსის, უნივერსიტეტის წესდების და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად. ეთიკის კოდექსი წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა 2011 წლის 2 ივნისს, რომელიც შემდეგში განახლდა და დაამტკიცა 2016 წლის 23 თებერვალს; უნივერსიტეტში ეთიკის კოდექსის დარღვევის ფაქტზე ხორციელდება დისციპლინური საქმისწარმოება, რომელსაც უნივერსიტეტის პერსონალზე ახორციელებს ხუთი წევრისაგან შემდგარი ეთიკის კომისია, ხოლო სტუდენტების მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევაზე საქმის წარმოებას ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო;</p> <p>აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ადმინისტრაცია შესაბამისი ღონისძიებების გატარებით, მუდმივად ზრუნავს ეთიკური და ქცევის ნორმების დაცვის ხელშეწყობასა და წახალისებაზე. დისციპლინური გადაცდომებისა და აკადემიური არაკეთილსინდისიერების (განსაკუთრებით პლაგიატის) თავიდან აცილების მიზნით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული დოკუმენტების საჯაროობას და ხელმისაწვდომობას, რისთვისაც:</p> <ul style="list-style-type: none"> - დოკუმენტები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფებზე; - პირველკურსელების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ტუტორების ჩართულობით უზრუნველყოფს დოკუმენტების განხილვას; - უნივერსიტეტში სისტემატიურად ეწყობა დისკუსიები და საინფორმაციო შეხვედრები, რაც უზრუნველყოფს პერსონალის მოდერნიზაციას და სტუდენტების სწავლის პროცესის მოწესრიგებას. რაც დასტურდება ეთიკური ნორმების დარღვევათა სიმცირით. <p>3. <u>აკადემიური თავისუფლება</u>. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამის მარეგულირებელ აქტ(ებ)ში დეკლარირებულია აკადემიური თავისუფლების პრინციპების დაცვა:</p> <p>უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები იცნობენ და იზიარებენ აკადემიური თავისუფლების პრინციპებს, რაც მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა უფლებას, დამოუკიდებლად განახორციელონ სწავლება; ბ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა უფლებას, დამოუკიდებლად განახორციელონ სწავლა; <p>ეთიკის კოდექსი ხელს უწყობს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების აკადემიურ თავისუფლებას, მათ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებაში, თანასწორ მოპყრობას, განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა.</p> <p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> - ეთიკის კოდექსი, (დანართი 15); - აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის კოდექსი, (დანართი 16); - ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია (დანართი 11).

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

<p>ძლიერი მხარეები</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია და სისტემა - ჩამოყალიბებულია, გაწერილია, დანერგილია და ციკლური შეფასების პროცესშია; ▪ მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები; ▪ დეკლარირებული და გაზიარებულია მართვის პრინციპები და მათი დანერგვის მეთოდოლოგია. მიმდინარეობს ამ მეთოდოლოგიის გამოყენებით მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება.
--



- ინსტიტუციაში ძირითადი პროცესები იმართება განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების პასუხისმგებლობით პოლიტიკების, პროცედურების, წესებისა და ინსტრუქციების მიხედვით და ისინი დაფუძნებულია PDCA ციკლზე;
- მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.
- უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- მართვაში გამოიყენებულია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა;
- დაცულია აკადემიური თავისუფლების პრინციპები.

გასაუმჯობესებელი მხარეები

- გასაუმჯობესებელია მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა;
- გასაუმჯობესებელია მიწოდებული სერვისებისა და რესურსების ხარისხის შეფასების პროცესი და ამ შეფასებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების დროული განხორციელების უზრუნველყოფა.
- უცხოელი სტუდენტებისა და პერსონალის მოზიდვის მექანიზმები საჭიროებს გამრავალფეროვნებას;
- ასამაღლებელია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ყველა რგოლის ჩართულობა;
- დასახვეწი და შესაფასებელია სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მექანიზმი საუკეთესო პრაქტიკისა და PDCA ციკლის გამოყენებით;
- მიღებული რეგულაციებისა და მექანიზმების ეფექტური ამოქმედება პლაგიატის თავიდან აცილებისა და გამოვლენისათვის.




3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება</p>
<ul style="list-style-type: none"> • უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
<p>აღწერა და შეფასება</p> <p>აწსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების უმეტესი ნაწილი 2011-2012 წლებშია აკრედიტებული. ამ წლებში აწსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება ხდებოდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებისა და მოქმედი საკანონმდებლო თუ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად.</p> <p>2018 წლის იანვარში აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით დაიწყო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურის იმპლემენტაცია. მოქმედი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისათვის გამოყენებულ იქნა 2011-2017 წლების პერიოდის შეფასება შემდეგი აქტივობების/ღონისძიებების მიხედვით:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. პროგრამის განხორციელების სტატისტიკური მაჩვენებელი: <ul style="list-style-type: none"> • პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობა, • პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, • კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი; 2. პროგრამის განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ღონისძიებები: <ul style="list-style-type: none"> • პროგრამის გარე შეფასების (აკრედიტაციის, მონიტორინგის ან მოწვეული გარე ექსპერტების) შედეგები და განხორციელებული ცვლილებები/შესაბამისი ღონისძიებები, • პროგრამის შიდა შეფასების (სტუდენტთა გამოკითხვები, • აკადემიური მოსწრების ანალიზი, ურთიერთდასწრება, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) შედეგები და განხორციელებული ცვლილებები/შესაბამისი ღონისძიებები, • პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებები, ინტერნაციონალიზაცია, • აწსუ-ს სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები, • პრაქტიკა და კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტები; • პროგრამის მატერიალური რესურსები; 3. პროგრამის SWOT ანალიზი. <p>გამოყენებული ინდიკატორების მიხედვით უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურებმა წარადგინეს რეკომენდაციები პროგრამების შემდგომი განვითარებისათვის. ფაკულტეტის საბჭოებმა განიხილეს და მიიღეს გადაწყვეტილება გარკვეული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი ოპტიმიზაციის შესახებ, რაც წარდგენილი და დამტკიცებული იქნა აწსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ.</p> <p>აღწერილი პროცესის შედეგად, 2018 წლის საავტორიზაციო განაცხადში აწსუ-მ წარმოადგინა 92 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის 39 საბაკალავრო, 43 სამაგისტრო, 4 ერთსაფეხურიანი, 4 სადოქტორო, 2 ერთწლიანი პროგრამა.</p> <p>2018 წლის დასაწყისში მარკეტინგის, ღონისძიებებისა და პროექტების მართვის სამსახურმა ჩაატარა აწსუ-ს დოქტორანტთა გამოკითხვა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განიხილა და შეაფასა მიღებული შედეგები. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, სადოქტორო პროგრამების მიმართ აწსუ-მ ახალი მიდგომების დეკლარირება მოახდინა. ამ მხრივ გათვალისწინებულ იქნა თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნები, მეტი ყურადღება გამახვილდა პროგრამებში ჩართული პროფესორის საერთაშორისო გამოცდილებაზე, საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციებზე, ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებზე, პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე.</p>




უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა აწსუ-ში



უახლოეს მომავალში აწსუ გეგმავს შეიმუშოს დამსხვილებული და ერთობლივი სადოქტორო პროგრამები, ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხით, სადაც ურთიერთგაზიარებული იქნება ჩართული ინსტიტუციების კვლევითი პოტენციალი, ინფრასტრუქტურა, მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსები.


საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პროცესები აწსუ-ს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ძირითად სამუშაოს წარმოადგენს. 2016 წლისათვის აწსუ-ში მოქმედებდა არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და ახალი პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და დამტკიცების სქემა, რომელიც ეფუძნებოდა PDCA ციკლური პროცესს და იყენებდა პროგრამების „ორმაგ ექსპერტიზას“, რაც გულისხმობდა შეფასებას ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსების და აწსუ-ს იმ აკადემიური პერსონალის მიერ, რომლებიც იყვნენ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის ექსპერტები.

ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და დამტკიცების სქემა





2017 წელს აწსუ-მ დიდი სამუშაოები ჩაატარა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით. სამუშაო მოიცავდა არსებული სქემის გადახედვას და რევიზირებას ყველა დაინტერესებული რგოლის ჩართულობით (დეპარტამენტები, ფაკულტეტები, სამსახურები და ადმინისტრაცია). შედეგად ჩამოყალიბდა საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა-EP-QA, რომელიც აწსუ-ში ხორციელდება სამი პროცედურის საშუალებით.



საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ეფუძნება საგანმანათლებლო საკმიანობით საუნივერსიტეტო საზოგადოების ინტერესების დაკმაყოფილებას, საკვანძო გარე ფაქტორების გათვალისწინებას, საგანმანათლებლო პროგრამების გარე მოთხოვნებთან სრული თავსებადობის უზრუნველყოფას. იგი მიმართულია სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესების ინტეგრაციისა და ინტერნაციონალიზაციისაკენ.

საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა (EP-QA 1.1) ემსახურება ახალი აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, შემუშავებისა და დამტკიცების განხორციელების გზების, ძირითადი მოთხოვნებისა და პროცედურის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას.

წარმოდგენილი პოლიტიკა შემუშავდა თანამშრომელთა და ყველა დაინტერესებული მხარის მაღალი ჩართულობით და მოიცავს PDCA ციკლის ოთხი ძირითადი ურთიერთდაკავშირებული ელემენტის (დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება) უწყვეტი პროცესის უზრუნველყოფის მექანიზმებს.

ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა შედგება სამი ფაზისაგან: 1) საგანმანათლებლო პროგრამის იდეის ინიცირების ფაზა; 2) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ფაზა; 3) საგანმანათლებლო პროგრამის განხილვისა და დამტკიცების ფაზა.

ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინიციატორი შესაძლებელია იყოს: უნივერსიტეტის ფაკულტეტის საბჭო ან დეპარტამენტი, უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, უნივერსიტეტის სტუდენტები და დოქტორანტები, საქართველოსა და უცხოური უნივერსიტეტის ადმინისტრაცია (ერთობლივი პროგრამის განხორციელების შემთხვევაში), ყველა დაინტერესებული მხარე (საჯარო, კომერციული, არასამთავრობო და პროფესიული ორგანიზაციები).

პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელ ჯგუფში შედიან: პროგრამის იდეის ინიციატორი (ან მისი წარმომადგენელი), ფაკულტეტის და/ან დეპარტამენტის აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები ან/და სტუდენტური გაერთიანების წარმომადგენლები, სხვა ფაკულტეტის ან/და დეპარტამენტის თანამშრომლები (ინტერდისციპლინური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების შემთხვევაში). პარტნიორი უნივერსიტეტის წარმომადგენლები (ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების შემთხვევაში, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები).

შესაბამისად, წარმოდგენილი პროცედურა უზრუნველყოფს ყველა მხარის ურთიერთთანამშრომლობით მონაწილეობას პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა (EP-QA 1.2) აღწერს მოქმედი აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისათვის აუცილებელ აქტივობებს/ლონისმიებებს, ასევე შეფასებისათვის გამოყენებულ სხვადასხვა ინდიკატორსა და კრიტერიუმებს. პროცედურის განხორციელებით



მიღებული შეფასება გამოიყენება მოქმედი პროგრამების განახლებისა და განვითარებისათვის, ასევე მუდმივად ცვალებად გარემოსთან მათი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

მოქმედი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი აქტივობები/ლონისძიებები: 1. ძირითადი დაინტერესებული პირების (სტუდენტი, პედაგოგი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული) გამოკითხვები, 2. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, 3. კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი, 4. პროგრამაში ჩართული პირების (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული) განვითარების ანალიზი, 5. კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრაციის ანალიზი, 6. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ანალიზი, 7. ურთიერთდასწრების პროცესის ანალიზი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი აქტივობები/ლონისძიებები: 1. ძირითადი დაინტერესებული პირების (პროფესიული სტუდენტი, პროფესიული მასწავლებელი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული) გამოკითხვები, 2. მეცადინეობებზე დასწრების ოქმ,; 3. შეფასების ინსტრუმენტის შეფასების კითხვარი, 4. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის პერიოდული ანგარიში.

მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა (EP-QA 1.3) განსაზღვრავს მოქმედი აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის აუცილებელ ღონისძიებებს, მათი განხორციელების გზებსა და პასუხისმგებელ პირებს, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და ამ ცვლილებების დამტკიცების სამუშაოებს.

საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების/ცვლილებების ინიციატორი შესაძლებელია იყოს: უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, პროგრამის ხელმძღვანელი, დეპარტამენტი, ფაკულტეტის საბჭო, უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, უნივერსიტეტის სტუდენტები და დოქტორანტები, ერთობლივი პროგრამის განხორციელების მიზნით საქართველოსა და უცხოეთის უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, სხვა დაინტერესებული მხარე (მათ შორის საჯარო, კომერციული, არასამთავრობო და პროფესიული ორგანიზაციები).

2011 წლიდან ყველა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამისათვის ყოველწლიურად დგებოდა თვითშეფასების ანგარიში, რომელიც განიხილებოდა შესაბამის დეპარტამენტებზე, ფაკულტეტებზე და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში. წლების მანძილზე შესრულებული საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასებების ანალიზის შედეგად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აღნიშნავს, რომ ყველა პროგრამა ერთნაირად არ განიცდის ცვლილებებს და განვითარებას. გარკვეული პროგრამები სენსიტიურია, ზოგი ნაკლებად ეფექტურად რეაგირებს პრობლემებზე, ზოგი - ყველა პროცედურას ვერ იცავს. აწესი მიიჩნევს, რომ ამ საკითხის გასაუმჯობესებლად ეფექტურად არის ასამოქმედებელი მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, რაც ხელს შეუწყობს გონივრული და დროული გადაწყვეტილებების მიღებას. ვფიქრობთ, რომ ეს მიიღწევა 2017 წელს შემუშავებული ახალი პროცედურების გამოყენებით, რომელშიც განახლებულია მოთხოვნები პროგრამის ხელმძღვანელის მიმართ და ნათლადაა წარმოჩენილი მისი როლი პროგრამის გაუმჯობესებაში. უნივერსიტეტი გეგმავს გადახედოს პროგრამის ხელმძღვანელობისათვის დადგენილ საათების გადახედვას და მის მოდერნიზებას პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობის შესაბამისად.

ხარისხის სამსახურმა ასევე შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ფორმა, რომელშიც მონაცემები არის დეტალიზებული და ორიენტირებულია რაოდენობრივ მონაცემებზე, რაც საშუალებას გვაძლევს მარტივად წარმოჩინდეს პროგრამის განვითარების დინამიკა და მოხდეს მისი სუსტი და ძლიერი მხარეების იდენტიფიცირება.

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროფილი გრძელვადიან სტრატეგიაში გულისხმობს რიგი პროგრამების ოპტიმიზაციას, გაერთიანებას. უნივერსიტეტის მთავარი გამოწვევა არის პროგრამების ოპტიმიზაცია მოხდეს ბაზრის მოთხოვნებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაბამისად, ასევე ინტერნაციონალიზაციის კუთხით.

პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში აწესი ითვალისწინებს სტუდენტთა კანონიერ ინტერესებს და კონსულტირებას უწევს შესაბამისი პროგრამების შერჩევაში, ხელს უწყობს შიდა და გარე მობილობის პროცესში, და შიდა მობილობის ფარგლებში კრედიტების აღიარებაში.

2011 წელს უნივერსიტეტში რამდენიმე არსებული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებისა და მოდიფიცირების დროს პროგრამებზე დარეგისტრირებული სტუდენტები გადაყვანილ იქნენ ახალ მოდიფიცირებულ პროგრამებზე მათივე ინტერესების გათვალისწინებით. ანალოგიურად, იგეგმება სტუდენტებთან წინასწარი აქტიური თანამშრომლობა ახალი მოდიფიცირებული პროგრამების შემუშავებისათვის, რათა პროგრამული აკრედიტაციის შემდეგ დაცული იყოს მათი კანონიერი ინტერესები და შეუფერხებლად დაასრულონ სწავლა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში.



აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მობილობის პროცესის წესისა და პროცედურების შესახებ სტუდენტთა მაღალი დაინტერესებიდან გამომდინარე, შექმნა ვიდეორგოლი მობილობის პროცესის გზამკვლევის თემაზე. მობილობის წესისა და პროცედურების ასეთი სახით მიწოდებამ გააუმჯობესა სტუდენტების მობილობის განხორციელების პროცესის პროცედურების აღქმისა და მათ მიერ ამ მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობები.

დარწმუნებული ვართ, რომ მომავალი აკრედიტაციის პროცესი და აწსუ-ს მიერ დაგეგმილი კომპლექსური ღონისძიებები ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებას.

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკის ნაწილია გარე შეფასების მექანიზმების გამოყენება. ამ მიზნით უნივერსიტეტი თანამშრომლობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. 2017 წლის დეკემბერში პროექტ STUDY IN GEORGIA-ს ფარგლებში განხორციელდა მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის „მედიცინა+PBL“ განმავითარებელი შეფასება. უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანია როგორც თავად შეფასების პროცესის შედეგად მიღებული გამოცდილება, ასევე შეფასების შედეგები, რომელთა გათვალისწინებით დაისახება მოქმედი პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების ღონისძიებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, (დანართი 11);
- აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2015 წლის ანგარიში, (დანართი 5);
- აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2016 წლის ანგარიში, (დანართი 5);
- აწსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 18).



3.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

აღწერა და შეფასება

პროგრამის შემუშავებისას აწსუ ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის სახელმძღვანელო პრინციპებით. აწსუ-ში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა-EP-QA, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი პროცედურებისა და ინსტრუქციების/წესების/გზამკვლევების ერთობლიობას. ერთ-ერთია უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია, რომელიც აღწერს პროგრამების შემუშავებას ECTS კრედიტების გამოყენებით. იგი წარმოადგენს ერთგვარ ინსტიტუციურ ჩარჩოს, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

აწსუ-ში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს. ერთი კრედიტი შეესაბამება მუშაობის 25 საათს. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია ძირითადი სპეციალობისა (არანაკლებ 120 კრედიტი) და დამატებითი სპეციალობის (60 კრედიტი) კომბინირება შემდეგი პრინციპით: ა) ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები; ბ) ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები; გ) ძირითადი და ორი დამატებითი სპეციალობა. დამატებით სპეციალობაში სტუდენტს არ ენიჭება აკადემიური ხარისხი. დამატებითი სპეციალობა უნდა მოიცავდეს 60 კრედიტს.

სამაგისტრო პროგრამის მოცულობა განისაზღვრება 120 კრედიტის ოდენობით. სამაგისტრო ნაშრომის წილი შესაძლოა იყოს 20-30 კრედიტი.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს; დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის/კომპონენტების კრედიტების ჯამური რაოდენობა არ აღემატება 60 კრედიტს.

აწსუ-ში კურიკულუმი და მისი კომპონენტების დაგეგმილია კრედიტების გამოყენებით, სწავლის შედეგებისა და მათთან დაკავშირებული დატვირთვის, სასწავლო აქტივობებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების პროცესის/კრიტერიუმების აღნიშვნით. შემუშავებული სხვა დამხმარე დოკუმენტები (კურსის კატალოგი, სასწავლო ხელშეკრულება, ნიშნების ფურცელი) ხელს უწყობს ECTS კრედიტების გამოყენებას და ხარისხის განვითარებას.

სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები აისახება დიპლომის დანართში. დამატებითი სპეციალობის (არსებობის შემთხვევაში) შესახებ შესაბამისი ჩანაწერი აისახება დიპლომში.

აწსუ-ში მოქმედებს შემდეგი რეგულირებადი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები: იურიდიული, სამედიცინო, პედაგოგიური და საზღვაო. ამ პროგრამების სწავლის შედეგები ეყრდნობა საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს. სასწავლო კურსების და კრედიტების განაწილება თანხვედრაშია დარგობრივი სტანდარტის მოთხოვნებთან (არსებობის შემთხვევაში). რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 75% ეთმობა რეგულირებადი პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას.

აწსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს შესაბამისად 360/300 კრედიტს. მასწავლებლის მომზადების მინიმუმ ერთწლიანი (60-კრედიტიანი) პროგრამა შეიძლება განხორციელდეს როგორც ბაკალავრიატის პროგრამის ფარგლებში, ასევე ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისგან დამოუკიდებლად. კურსდამთავრებულზე გაიცემა მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ეფუძნება პროგრამის პროფილს, შეესაბამება უმაღლესი განათლების საფეხურის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. სწავლის შედეგები ნათლად აღწერს, რა იცის, რა ესმის და რისი გაკეთება შეუძლია სტუდენტს პროგრამის დასრულების შემდეგ.

საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში პროგრამისა და მისი საგანმანათლებლო კომპონენტების სწავლის შედეგები წარმოდგენილია მატრიცის სახით, რათა წარმოჩნდეს, თუ როგორ შეესაბამებიან და აძლიერებენ ისინი ერთმანეთს.



მიუხედავად აღნიშნულისა, აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიიჩნევს, რომ აუცილებელია სამომავლო მუშაობა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების უკეთ ჩამოყალიბებისათვის შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით:

- სწავლის შედეგები ადეკვატურად ასახავდეს საგანმანათლებლო პროგრამის კონტექსტს, საფეხურს, მიზანს და შინაარსს.
- სწავლის შედეგების განაცხადი უნდა იყოს ლაკონური და არ უნდა იყოს მეტისმეტად დეტალური.
- სწავლის შედეგები უნდა იყოს თანამიმდევრული.
- სწავლის შედეგები უნდა იყოს მარტივად გასაგები და გაზომვადი იმ შედეგების გათვალისწინებით, რასაც რეალურად მიაღწია სტუდენტმა პროგრამის დასრულების შემდეგ.
- სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელი უნდა იყოს მითითებული დატვირთვით.
- სწავლის შედეგები დაკავშირებული უნდა იყოს შესაბამის სასწავლო აქტივობებთან, შეფასების მეთოდებთან და კრიტერიუმებთან.

უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება ხდება პროგრამის შემადგენელი ყველა კომპონენტის ლოგიკური კავშირის გაუმჯობესებით. აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიდგომას წარმოადგენს, რომ ახალი პროგრამის შემუშავების პროცესის დროს მიღებული გადაწყვეტილებები, ასევე მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების გადაწყვეტილება განისაზღვროს კომპლექსური შეფასების საფუძველზე. აწსუ-ში მიღებული და დამკვიდრებული პრაქტიკა - ძირითადი დაინტერესებული პირების (სტუდენტი, პედაგოგი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული) გამოკითხვები და აკადემიური მოსწრების ანალიზი ემსახურება პროგრამის რეალურ დაგეგმვას და განხორციელებას, რომელიც უზრუნველყოფს საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას გონივრულ ვადაში.

აწსუ-ს უმეტესი საბაკალავრო პროგრამები აგებულია ძირითადი სპეციალობისა (არანაკლებ 120 კრედიტი) და დამატებითი სპეციალობის (60 კრედიტი) კომბინირებით შემდეგი პრინციპით ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები (30 საბაკალავრო პროგრამა); ასევე არსებობს პროგრამები, სადაც კომბინირებულია ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი (არჩევითი) კომპონენტები (16 საბაკალავრო პროგრამა).

უნივერსიტეტში მოქმედებს აწსუ-ს სტუდენტთა დამატებითი (minor) პროგრამებზე სტუდენტთა განაწილების, მოდულის და არჩევითი საგნის არჩევის წესი (აკადემიური საბჭოს დადგენილება № 8 (17/18)).

უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტის მიერ დამატებითი (minor) პროგრამის, მოდულის და არჩევითი საგნის არჩევა ხდება საკუთარი სურვილის გამოხატვის თავისუფლების, გამჭვირვალობისა და კონკურენციის პრინციპების დაცვით უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საიტზე.

შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან წინასწარი შეთანხმებით, პროგრამის აკადემიური პერსონალი დაინტერესებულ სტუდენტებს აწოდებს ინფორმაციას დამატებითი (minor) პროგრამის, მოდულის და არჩევითი სასწავლო კურსის შესახებ.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების კრედიტების მინიჭება ხდება სწავლის შედეგებისა და ამ შედეგის მისაღებად საჭირო დატვირთვის საფუძველზე.

აწსუ-ში პროგრამის კომპონენტისათვის კრედიტების მინიჭების პრაქტიკა არ არის სრულყოფილი, რადგან იგი ეფუძნება არასაკმარის მონაცემებს და ხშირ შემთხვევაში არაგაზომვად მონაცემებს. კომპონენტის მოცულობის განსაზღვრაში დარგის სპეციფიკის საკითხების გათვალისწინება მოითხოვს სპეციალისტებთან კონსულტაციას და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას.

2006 წლიდან აწსუ-ში მოქმედი რეგულაციით მიღებული იყო, რომ პროგრამის კომპონენტებისათვის მინიჭებული კრედიტები ყოფილიყო 5-ის ჯერადი (5 კრ-სათვის ფიქსირებული იყო კვირეული საკონტაქტო საათების რაოდენობა), რამაც გამოიწვია სასწავლო კურსებისათვის 2.5, 5 და 10 კრედიტის მინიჭება. დამკვიდრებული პრაქტიკა შეიცვალა, თუმცა მოქმედ პროგრამებში ჯერ კიდევ არის კრედიტების ასეთი განაწილება.

აწსუ-ში დღემდე არ შესრულებულა პროგრამის კომპონენტების კრედიტების განაწილების სრულყოფილი მონიტორინგი. მანამდე ეს პროცესი ატარებდა ფრაგმენტულ ხასიათს და არ სრულდებოდა შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით. ამ პროცესში ნაკლებად იყო გამოყენებული სტუდენტის გადაწყვეტი როლი.

2017 წელს აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით დაიწერა პროექტი, რომელიც განხორციელდება მედიცინის ფაკულტეტზე. პროექტი მოიცავს გარკვეული მიდგომების პილოტირებას, შედეგად შემუშავდება პროგრამის კომპონენტების კრედიტების მინიჭების მეთოდოლოგია, რომელშიც გათვალისწინებულია სხვადასხვა კრიტერიუმი და პარამეტრი, მათ შორის: კურსის ერთეულისათვის



განსაზღვრული კვირეული საკონტაქტო საათების რაოდენობა, ლექციების/სემინარების მომზადება და მათზე ჩანაწერების დასრულება, დამოუკიდებელი მუშაობის მოცულობა. ამ პროექტის მიხედვით, აწსუ შეიმუშავებს საგანმანათლებლო კომპონენტის შემოწმების ფორმას, რომელსაც ინდივიდუალურად შეავსებს სტუდენტი.

აწსუ მრავალდარგოვანი უნივერსიტეტია. ჰუმანიტარული თუ პედაგოგიური მიმართულებების პროგრამებში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები არსებითად განსხვავდება საინჟინრო, აგრარული თუ სამედიცინო მიმართულებების მიდგომებისაგან. საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას. მაგალითად სხვა მიმართულების პროგრამებისაგან განსხვავებით, სამედიცინო მიმართულების პროგრამებში წარმოდგენილია პრაქტიკული სამუშაოები, კლინიკაში მუშაობა და სხვა. საინჟინრო მიმართულებების პროგრამებში ფართოდ გამოიყენება ლაბორატორიული პრაქტიკუმები და საწარმოო პრაქტიკა, აგრარული მეცნიერებებში ფართოდ გამოიყენება პრაქტიკული სამუშაოები და სხვა.

აწსუ-ს მიღებული აქვს სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომლის გამოყენებით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. ამასთან, სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობას და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფას. ამ თვალსაზრისით უნივერსიტეტში მოქმედებს 2017 წლის 5 დეკემბრის აკადემიური საბჭოს დადგენილება №30(17/18) უნივერსიტეტში სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ. წესში განსაზღვრულია: სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა; სტუდენტის რეგისტრაციის პროცედურა; აკადემიური დატვირთვა; შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები; ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მსწავლები სტუდენტის შეფასების სისტემა; სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეფასება.

სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოადგენს სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილ სასწავლო გეგმას, შინაარსსა და მოცულობას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს როგორც სრული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ისე ცალკეული სასწავლო კურსებისათვის სემესტრის დაწყებამდე არა უგვიანეს ორი კვირისა.

სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების დროს სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დროს გამოიყენება კრედიტი-ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას გამოხატულს დროის ერთეულში-საათებში. ერთი კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს.

სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების დროს უნივერსიტეტი ითვალისწინებს საკანონმდებლო მოთხოვნას, რომ სტუდენტის სავალდებულო დატვირთვა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში მოიცავს 60 კრედიტს. დასაშვებია სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს 75 კრედიტის დარეგისტრირება, სემესტრში არაუმეტეს 40-სა.

სტუდენტი უნივერსიტეტის რექტორის სახელზე წერს განცხადებას, ითხოვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და განცხადებაში აფიქსირებს იმ სასწავლო კურსებს, რომლის ათვისება სურს სასწავლო წლის განმავლობაში.

სტუდენტის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ ფაკულტეტის საბჭოს რეკომენდაციით გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

ფაკულტეტის დეკანი რექტორის სამართლებრივი აქტით, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან შეთანხმებით ამტკიცებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მსწავლები სტუდენტის აკადემიურ კალენდარს, სადაც გათვალისწინებულია სილაბუსებით გათვალისწინებული შუალედური და დასკვნითი გამოცდების განრიგი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია (დანართი 11)
- აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2015 წლის ანგარიში, (დანართი 5);
- აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2016 წლის ანგარიში, (დანართი 5);
- აწსუ-ს სტუდენტთა დამატებითი (minor) პროგრამებზე სტუდენტთა განაწილების, მოდულის და არჩევითი საგნის არჩევის წესი (აკადემიური საბჭოს დადგენილება № 8 (17/18)).

<http://www.atsu.edu.ge/images/pdf/debulebebi/mainori->



[%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98-2017.pdf](#)

- აწსუ-ს სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი (2017 წლის 5 დეკემბრის აკადემიური საბჭოს დადგენილება №30(17/18), (დანართი 23).

3.3. სწავლის შედეგების შეფასება

- უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

აღწერა და შეფასება

სტუდენტის მიღწევების შეფასებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით (ბრიუსელი; 2005.14.02); „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით (2004.21.12) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესი” (2016.29.01 და 2016.18.08 ცვლილებების გათვალისწინებით) და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში განსაზღვრული წესით (ბრძანება №01-04-76; 21.10.2016).

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ შესაბამისი კომპონენტით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

შეფასების სისტემა მოიცავს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას. დადებითი შეფასებაა: (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%. უარყოფითი შეფასებაა: (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. დასკვნითი გამოცდა არ შეფასდება 40 ქულაზე მეტით. შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას; დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრა 15-25 ქულათა დიაპაზონით (სპეციფიკიდან გამომდინარე, განისაზღვრება კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამით).

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასებისათვის განკუთვნილია 60 ქულა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს: სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში (მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტებს) - არა უმეტეს 30 ქულა; შუალედური გამოცდა - არა ნაკლებ 30 ქულა; დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.

აწსუ-ში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების - სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომების შეფასება ხდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით), 100 ქულიანი სისტემით. (FX) ვერ ჩააბარა შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო (F) ჩაიჭრა შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იმავე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სადისერტაციო ნაშრომისა და საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების (მათ შორის კოლოქვიუმის) შეფასება შეესაბამება საქართველოში მოქმედ სამართლებრივ აქტებს. აღნიშნული



შემთხვევისათვის გამოიყენება შემდეგი შეფასების სისტემა: ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი; ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს; დამაკმაყოფილებელი (rite)–შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

არადამაკმაყოფილებელი (insufficient) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

კვლევითი კომპონენტისათვის გათვალისწინებული 120 კრედიტის ათვისება დასტურდება სადისერტაციო ნაშრომის წარმატებულად დაცვის შედეგად.

საგანმანათლებლო კომპონენტის განმახორციელებლის მიერ სტუდენტის შეფასება ხდება სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგების შესაბამისად შეფასების სხვადასხვა კომპონენტების და მეთოდების საშუალებით. აწსუ-ში გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები და მათი შესაბამისი კრიტერიუმები, რომლებიც ნათლადაა გაწერილი სილაბუსებში.

აწსუ-ში ჩატარებული სამუშაოები ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი მზადაა ნაბიჯ-ნაბიჯ, PDCA ციკლური პროცესის გამოყენებით გააუმჯობესოს სტუდენტის ცოდნის შეფასებაში გამოყენებული მიდგომები და უზრუნველყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე კრიტერიუმების გამოყენება. საგანმანათლებლო პროგრამები ყოველწლიურად განიცდის განახლებას და ყველა ცვლილება აისახება წლიურ თვითშეფასების ანგარიშში. ცვლილებების მნიშვნელოვანი წილი მოდის შეფასების სისტემის გასაუმჯობესებელ ღონისძიებებზე. მაგალითად, 2016 წლის სექტემბერში აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა 2016-2017 სასწავლო წლის საგანმანათლებლო პროგრამები. საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელდა ცვლილებები, რომელიც ფორმირებულ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესი” 2016.29.01 და 2016.18.08 ცვლილებები) გათვალისწინებით და ციკლური პროცესის (“დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე”) გამოყენებით.

საუნივერსიტეტო მასშტაბით, ყველა საბაკალავრო პროგრამაში ცვლილება განიცადა უცხო ენის სილაბუსებმა, რომლებიც გაუმჯობესდა დონეების მიხედვით სასწავლო ლიტერატურისა და შეფასების კომპონენტების ცვლილებით. თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილება განხილული იქნა დარგობრივ დეპარტამენტებზე.


2016 წლის აპრილში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხდომაზე მოისმინეს ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენლების ინფორმაცია შიდა შეფასების შედეგების შესახებ (ხუს-ის სხდომის ოქმი № 9-2016). აღინიშნა, რომ „სტუდენტთა გამოკითხვისა და ტუტორებთან შეხვედრის შედეგად იკვეთება მათი სურვილი, გავიდნენ უცხოური ენების სწავლების რეალურ შედეგებზე, მეტი კომპეტენციები შეიძინონ უცხო ენებთან დაკავშირებით. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში უცხო ენებზე გამოყოფილია 15 კრედიტი. უცხო ენათა ცენტრი მუდმივად ზრუნავს სასწავლო პროცესის მოწესრიგებაზე. შედეგები სახეზეა, თუმცა კიდევ ბევრია გასაკეთებელი. საყურადღებოა სტუდენტების მეცადინეობებზე დასწრების, მასწავლებლების მიერ ჟურნალების შევსების და მიმდინარე შეფასების საკითხი. სასწავლო პროცესში გასაუმჯობესებელია მიმდინარე შეფასების საკითხები, რაც დაკავშირებულია გაზომვადი სწავლის შედეგების დანერგვასთან. ეს გამოიწვევს სტუდენტთა აქტიურობისა და დასწრების ზრდას მეცადინეობებზე“. დაიგეგმა შეხვედრები აღნიშნული საკითხის შესახებ უცხო ენათა ცენტრის ხელმძღვანელთან და პედაგოგებთან. 2016 წლის ივნისში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხდომაზე (ხუს-ის სხდომის ოქმი № 12, 2016) მოისმინეს უცხო ენათა ცენტრის ხელმძღვანელის ნ. ზვიადამის ინფორმაცია საბაკალავრო პროგრამების უცხო ენის სილაბუსებში შეფასების კომპონენტების ცვლილების შესახებ.

ყოველი ცვლილება, რაც იგეგმება და ხორციელდება უცხო ენების სწავლებასთან დაკავშირებით ეყრდნობა კონკრეტული კვლევების ანალიზს. მათ შორის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით პირველკურსელთა გამოკითხვა უცხო ენების საუნივერსიტეტო კურსთან დაკავშირებით (2011-2012 სასწ. წწ.), ენათა ცენტრის მიერ მომზადებული კვლევა „გაუსის განაწილების“ გამოყენებით ფაკულტეტების მიხედვით (2013-2014, 2014-2015 სასწავლო წლების მონაცემებზე დაყრდნობით).



ბოლო 7 წლის მანძილზე, 2011-2012 სასწავლო წლის შემდეგ, სამჯერ მოხდა ინგლისური ენის კურსის ძირითადი სახელმძღვანელოების შეცვლა სტუდენტზე და კურსის სასწავლო მოცულობაზე ორიენტირებულად. 2016-2017 სასწავლო წელს განხორციელდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროექტი სახელწოდებით „სწავლების პროცესის გაუმჯობესება როგორც მონიტორინგის შედეგი“. პროექტის მიზანი იყო ინგლისური ენის სწავლების კუთხით არსებული მეთოდური საჭიროებების გამოვლენა. პროექტი განხორციელდა ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის მეთოდურმა ჯგუფმა. სამიზნე ჯგუფი იყო როგორც ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის, ისე აწსუ ენათა ცენტრის აკადემიური პერსონალი. პროექტის მიმდინარეობის ფარგლებში ჯგუფი დაესწრო სულ 30 პრაქტიკულ მეცადინეობას. შედეგების ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა კონკრეტული სტრატეგია ინგლისური ენის სწავლების განვითარების კუთხით. აღნიშნული სტრატეგიის თანახმად, მოხდა ინგლისური ენის საუნივერსიტეტო კურსის მოდერნიზება. კერძოდ, 2017-2018 სასწავლო წელს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ენათა ცენტრისა და ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის ინიციატივით, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის უშუალო ჩართულობით და ფაკულტეტების ფინანსური მხარდაჭერით განახლდა ინგლისური ენის რამდენიმე სასწავლო კურსი, რაც ითვალისწინებს სწავლების შერეულ მეთოდზე (Blended Method) გადასვლას. აღნიშნული მეთოდის უპირატესობა მდგომარეობს ინფორმაციული-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შერეული სწავლების საერთო ბლოკში გაერთიანებაში, რაც ხელს უწყობს კომუნიკაციური მიდგომით სწავლების ეფექტურ წარმართვას და სწავლების შედეგზე გასვლის საუკეთესო საშუალებას იძლევა. შექმნილ იქნა გამომცემლობის “Pearson Publishing” უახლესი სახელმძღვანელოები (Speakout inermediate with MyEnglishLab, Speakout pre-intemmediate with MyEnglishLab, New Language Leader with MyEnglishLab). “Language Lab”-ის თანხლება სახელმძღვანელოებს გაცილებით ეფექტურს და კომფორტულს ხდის. იგი ასევე მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის კვლევის თვალსაზრისით. მათ შორის: სტატისტიკური, ხარისხობრივი და მეთოდური ანალიზის კუთხით.

უცხო ენის სილაბუსებში შეფასების კომპონენტების ცვლილებები, 2016 წელი



2017-2018 სასწავლო წლის საგანმანათლებლო პროგრამებში აისახა უნივერსიტეტის მიერ სასწავლო პროცესისა და შეფასების საკითხებზე მიღებული რეგულაციები. ხუს-ის მიერ წარდგენილი ანალიზის შესაბამისად, უნივერსიტეტი გადავიდა ერთ შუალედური გამოცდაზე, ხოლო შუალედური შეფასების ზღვრულ ქულად განისაზღვრა 18-25 ქულა (პროგრამების მიხედვით). შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებში შეიცვალა და გაუმჯობესდა შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები.



შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით არსებული რეგულაციების გაუმჯობესება, 2017 წელი



სტუდენტი ინფორმირებულია უსდ-ში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი რეგულაციების შესახებ, რადგან აკადემიური სამჭოს დადგენილებები, რომლებშიც განსაზღვრულია უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა, ატვირთული და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. გარდა ამისა, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსები, ჯგუფის კურატორები, ტუტორები სტუდენტებს სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას შეფასების სისტემასთან დაკავშირებით.

აწსუ მიიჩნევს, რომ საინფორმაციო ხასიათის ვიდეორგოლების შექმნა და ინტერნეტ სივრცეში მათი განთავსება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესისა და მოქმედი რეგულაციების ახსნის კარგი საშუალებაა. პირველი ვიდეორგოლი შექმნა აწსუ-ს პირველკურსელებისათვის, რომელშიც წარმოდგენილია მინიმალური საჭირო ინფორმაცია სასწავლო გარემოსთან სწრაფი ადაპტირებისათვის. ვიდეორგოლი ნაჩვენებია იქნა პირველკურსელებთან შეხვედრების დროს, გადის უნივერსიტეტის ცენტრალური კორპუსის ფოიეში დამონტაჟებულ ეკრანზე, განთავსდა ინტერნეტში და სოციალურ ქსელებში, ეფექტურად იქნა გამოყენებული ტუტორების მიერ. მისასალმებელია აწსუ-ში უცხოელი სტუდენტების რაოდენობის მზარდი ტენდენცია. ასეთი სტუდენტებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მოამზადა ინგლისურენოვანი ვიდეორგოლი, რომელიც განთავსებულია ინტერნეტში.

უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემას სისტემა ხელს უწყობს სწავლის პროცესის ადმინისტრირებას. სტუდენტს საშუალება აქვს მუდმივად აკონტროლოს საკუთარი პროფილი, სასწავლო ბარათი, გაეცნოს საგანმანათლებლო პროგრამებს, სილაბუსებსა და საგნების სწავლების სპეციფიკას (წინაპირობებიდან და განსაკუთრებული მოთხოვნებიდან გამომდინარე), ასევე საშუალება ეძლევა ელექტრონულად აირჩიოს არჩევითი საგანი, პროგრამის სპეციალიზაცია, დამატებითი (minor) პროგრამა, დაავალიანებაში დარჩენილი ასათვისებელი საგანი.

სტუდენტებს ასევე საშუალება აქვთ, ისარგებლონ კორპორაციული ფოსტებით და მათი ყველა საშეღვათო პაკეტით (რომელიც დაშვებულია აწსუ-სათვის), რომელიც მათთვის დარეგისტრირდება უნივერსიტეტში მათი რეგისტრაციის გავლის მომენტში. აღნიშნული ფოსტის საშუალებით სტუდენტს საშუალება აქვს, მიიღოს ყველა ინფორმაცია, მათ შორის მისი აკადემიური მოსწრების შესახებ, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით პირადი კოდით, რომელიც ყველა სტუდენტს ეგზანება ინდივიდუალურად და უზრუნველყოფს მის კონფიდენციალურობას.

სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხდება ჯგუფის თანდასწრებით ღიად და გამჭვირვალედ. სტუდენტს უფლება აქვს გააპროტესტოს შედეგი (სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემას შესაბამისი ფუნქციის გამოყენებით ან განცხადების შეტანით სტუდენტური სერვისების განყოფილებაში) და მოითხოვოს ახსნა-განმარტება პედაგოგისაგან.

უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან (ქართულ და ინგლისურ ენოვანი), მაგისტრატურის და დამატებით (minor) საგანმანათლებლო პროგრამებზე საგამოცდო პროცესი წარიმართება ცენტრალიზებულად.



გამოცდების ჩატარებას ტექნიკურ ორგანიზაციას უწევს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში არსებული საგამოცდო სექტორი.

აწსუ-ში არსებობს შეფასების გასაჩივრების ეფექტური სისტემა. აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის №10 (17/18) დადგენილებით დამტკიცებულია გამოცდების აპელაციის წესი. სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სემესტრულ დასკვნით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას, უფლებამოსილია, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში დასაბუთებული აპელაციით მიმართოს რექტორის მოადგილეს, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა (მესამე და მეოთხე სასწავლო წლის სტუდენტები განცხადებას წერენ სტუდენტური მომსახურების სერვის ცენტრში, ხოლო პირველი და მეორე სასწავლო წლის სტუდენტები - ელექტრონულ დეკანატში). სტუდენტის აპელაციას 2 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს კომისია, რომელსაც ადგენს ფაკულტეტის დეკანი დეპარტამენტის ხელმძღვანელის წარდგინებით და წარუდგენს რექტორის მოადგილეს. აპელაციის კომისია იღებს გადაწყვეტილებას, ადგენს ოქმს და აპელაციის დაკმაყოფილების შემთხვევაში მას წარუდგენს რექტორის მოადგილეს, რომელიც ამტკიცებს კომისიის გადაწყვეტილებას და გადაეცემა ელექტრონულ დეკანატს ელექტრონული მართვის სისტემაში ნიშნის ასახვის თაობაზე. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია, სტუდენტის შეფასება შეცვალოს (მაგრამ არა საუარესოდ) ან დატოვოს ძალაში. აღნიშნული გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები და წარუდგენენ რექტორის მოადგილეს, როგორც სააპელაციო კომისიის თავმჯდომარეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები, (დანართი 18);
- უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები (დანართი 13, 19, 20, 60);
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხდომის ოქმები (დანართი 65);
- ენათა ცენტრის მიერ ჩატარებული სამუშაოების ანგარიში (დანართი 66);
- აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2015 წლის ანგარიში (დანართი 5);
- აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2016 წლის ანგარიში, (დანართი 5);
 - საინფორმაციო ვიდეო-რგოლები: <https://www.youtube.com/watch?v=3Es3sWi9h6I>
 - <https://www.youtube.com/watch?v=LXPfUxOAEu4>; <https://www.youtube.com/watch?v=683qDzhKZjY>
- გამოცდების ჩატარებისა და აპელაციის წესი; აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის №10 (17/18) დადგენილება.
- [აწსუ სტუდენტების მიერ განსხვავებული და/ან დავალიანებაში დარჩენილი კრედიტების ათვისების, პირობების და ფინანსური ვალდებულების შესრულების წესი აკადემიური საბჭოს დადგენილება #9;](#)

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

ძლიერი მხარეები

- არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება ურთიერთანამშრომლობითი პროცესია და მასში მონაწილეობს ყველა მხარე;
- არსებობს პროგრამების დამტკიცების, მათში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას უსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. პროგრამის კატალოგი ახლდება პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. ის ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და განთავსებულია უსდ-ის ვებგვერდზე.
- მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა.

გასაუმჯობესებელი მხარეები

- ასამაღლებელია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას შრომის ბაზრის მოთხოვნების, შიდა და გარე აქტორების ჩართვის მასშტაბი და ხარისხი.
- სასურველია მეტი კორელაცია პროგრამის კომპონენტის მოცულობისა და სტუდენტის დატვირთვას შორის, რომელიც დადგინდება განსაზღვრული მეთოდოლოგიით;
- გასაუმჯობესებელია საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდების შესაბამისობა დარგის სპეციფიკასთან და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევასთან;
- გასაუმჯობესებელია საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, რათა ისინი იყოს უფრო მოქნილი, ისე, რომ სტუდენტებს მიეცეთ არჩევანის მაქსიმალური შესაძლებლობა და გავითვალისწინოთ მათი საჭიროებები.



4. უსდ- პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე

4.1. პერსონალის მართვა

- უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას;
- უსდ უზრუნველყოფს აკადემიური / სამეცნიერო / მოწვეული / ადმინისტრაციული / დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

აღწერა და შეფასება

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი და ვალდებულია, რომ უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პროცედურების შემუშავებისას და მათ განხორციელებისას გაითვალისწინოს როგორც საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსი“, ასევე სხვა კანონების: „უმადლესი განათლების შესახებ“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ „საჯარო სამსახურის შესახებ“ მოთხოვნებიც.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, რომელშიც შედის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური.

ადამიანური რესურსების მართვის შესაბამისი პროცედურების განხორციელებაზე, თავის კომპეტენციების ფარგლებში, პასუხისმგებელია:

- უნივერსიტეტის ადმინისტრაცია;
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;
- ფაკულტეტის დეკანატები;
- უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული.

კარგი მართველობის (Good Governments) პრინციპებიდან გამომდინარე უნივერსიტეტში ადამიანური რესურსების მართვის სისტემა ეფუძნება შემდეგ სახელმძღვანელო პრინციპებს:

დამსახურებებზე დაფუძნებული მიდგომა. საკვანძო გადაწყვეტილებების მიღება (დაქირავება, ანაზღაურება, წახალისება, დაწინაურება და ა.შ.) ხდება ინდივიდის კომპეტენციაზე დაყრდნობით, უნივერსიტეტის წინაშე მისი დამსახურებების გათვალისწინებით;

სამართლიანობა. ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღმა არსებობს სამართლიანი არგუმენტი და გადაწყვეტილების მიღების ობიექტური კრიტერიუმი;

თანასწორობა. ყველა თანამშრომლის მიმართ ვლინდება ერთნაირი მიდგომა. გენდერული, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით განსხვავებული თანამშრომლების მიმართ დამოკიდებულება ერთნაირი და მიუკერძოებელია.

მიზანშეწონილობა. ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილებები მიიღება გააზრებულად, ღრმა ანალიზის საფუძველზე. არსებული ალტერნატივებიდან ხდება ფინანსური თუ სხვა რაციონალური ნიშნით ყველაზე მიზანშეწონილი გადაწყვეტილების მიღება.

გამჭვირვალობა. ორგანიზაცია იყენებს ღია და საჯარო მიდგომებს ადამიანური რესურსების მართვის ყველა ფუნქციის დაგეგმვა/განხორციელებისას. მართვის პროცედურები/რეგულაციები საჯაროა.

დასახული მიზნებიდან და სტრატეგიული გეგმებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია ისეთი კადრების მოზიდვა, რომლებიც:

- o მაღალ დონეზე შეძლებენ დაკისრებული მოვალეობების შესრულებას და არსებულ კონკურენტულ გარემოში უნივერსიტეტის წარმატების უზრუნველყოფას;
- o ფლობენ შესაბამის ცოდნასა და კვალიფიკაციას;
- o სრულად იზიარებენ უნივერსიტეტის ხედვას, მისიას, სტრატეგიულ მიზნებს და მაქსიმალურად იყენებენ საკუთარ შესაძლებლობებს უნივერსიტეტის საკეთილდღეოდ;



- მოქმედებენ უნივერსიტეტის შინაგანაწესის მოთხოვნების დაცვით და არსებული მექანიზმების გამოყენებით საკუთარი წვლილი შეაქვთ უნივერსიტეტის მართვის პროცესში;
- ხელს უწყობენ სწავლებისა და კვლევის პროცესებს შორის ჰარმონიულ და დაბალანსებულ ურთიერთკავშირს და ა.შ.

ორგანიზაციაში ადამიანური რესურსების მართვის სისტემა შედგება პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, შეფასებისა და განვითარების პროცედურებისაგან, შემუშავებული და დანერგილია:


- პერსონალის სამსახურში მიღების (არჩევა/დანიშვნა) გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი პროცედურები, რაც განაპირობებს აკადემიურ, სამეცნიერო, ადმინისტრაციულ და დამხმარე პოზიციებზე სათანადო საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური კადრის მოზიდვა/დასაქმებას,
- აკადემიური პერსონალის აფილირების წესი,
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმატივის განსაზღვრის, შესრულების აღრიცხვისა და შემოწმების წესი,
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის მუშაობის მონიტორინგის, შედეგებზე რეაგირებისა და გაუმჯობესების წესი.


პერსონალის მოზიდვა

2011 წლიდან 2017 წლის აგვისტომდე უნივერსიტეტში ჩატარდა 16 კონკურსი, სადაც საერთო ჯამში გამოცხადებული იყო 771 ვაკანსია, კონკურსში მიიღო მონაწილეობა 943 კანდიდატმა და კონკურსის შედეგად დაკავებილი იქნა 750 თანამდებობა.


მონაცემები ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტში მუშაობა მიმზიდველია კონკურსანტებისათვის, თუმცა აწსუ-ს რეგიონში მდებარეობის გამო, შეზღუდულია აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტული კადრების მოზიდვის შესაძლებლობა.

აკადემიური პერსონალის მოზიდვის დაგეგმვა ხდება ფაკულტეტებზე არსებული მიმართულებების მიხედვით, თუმცა ამ პროცესში აწსუ ნაკლებად იყენებს PDCA ციკლს.






აკადემიური პერსონალი ასაკისა და სქესის მიხედვით



ხელშეკრულებით მოწვეული დამხმარე პერსონალის სტატისტიკა სქესისა და ასაკის მიხედვით






სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში ჩართული პირების სტატისტიკა გენდერულ და ასაკობრივი ჭრილში განხილულ იქნა აწსუ-ს მიერ და დაგეგმილია პერსონალის მოზიდვის გარკვეული პოლიტიკის შემუშავება.

უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში ახალგაზრდა პერსონალის მოზიდვის მთავრ წყაროს წარმოადგენს დოქტორანტურა. აწსუ-ში დასაქმებულია როგორც თავად აწსუ-ს, ასევე სხვა უსდ-ს დოქტორანტები. ამჟამად უნივერსიტეტში საათობრივად და ხელშეკრულებით მუშაობს 91 დოქტორანტი, აქედან 64 არის აწსუ-ს დოქტორანტი. წახალისებულია უნივერსიტეტის შიგნით პერსონალის დაწინაურებაც და სისტემატიურად მიმდინარეობს უნივერსიტეტის გარედან ახალი კადრების ძიებაც, თუმცა ეს უფრო არაფორმალური სახეს ატარებს.

დამატებით შესაძლებლობას იძლევა ინტერნაციონალიზაციის პროცესში უცხოეთიდან კვალიფიციური პროფესორ/მასწავლებლის მოწვევა და მოხილობა, რასაც უნივერსიტეტი შეძლებისდამიხედვით მიმართავს. ასე 2012 წლიდან დღემდე უნივერსიტეტში დაგეგმილ სხვადასხვა სამეცნიერო-სასწავლო აქტივობებსა და კონფერენციებში მონაწილეობდა 20 ქვეყნის 194 აკადემიური და სამეცნიერო პროფილის პერსონალი (ძირითადად ევროპული უნივერსიტეტების პროფესორა) და ეს ტენდენცია არის მზარდი.

აწსუ-ში დაგეგმილ სხვადასხვა სამეცნიერო-სასწავლო აქტივობებსა და კონფერენციებში უცხოელი პერსონალის (აკადემიური და სამეცნიერო პროფილის) რაოდენობა 2014-2017 წლებში



პერსონალის შერჩევისა და დანიშნის/არჩევის პროცედურები

უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების ადმინისტრაციული პირების, ასევე ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების შერჩევისა და დანიშნის/არჩევის პროცესი რეგულირდება აწსუ-ს წესდებითა და „უნივერსიტეტის საარჩევნო კოდექსით“, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ.

უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური, ადმინისტრაციული, მასწავლებელთა და დამხმარე თანამდებობები. აწსუ-ს ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი და მათი მოადგილეები, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები. ადმინისტრაციულ თანამდებობებზე არ შეიძლება არჩეულ ან დანიშნულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი.

აწსუ-ში ადმინისტრაციული თანამდებობის პირების (საუნივერსიტო და საფაკულტეტო დონეზე) არჩევნების ჩატარება ხდება განსაზღვრული პროცედურების (აწსუ-ს წესდება და უნივერსიტეტის საარჩევნო კოდექსი) დაცვით, რომლის პირველი ეტაპია უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიისა და ფაკულტეტების საარჩევნო კომისიების შექმნა.

უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის წევრების შემადგენლობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით. კომისიის შემადგენლობაში შედის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის საქმიანობა რეგულირდება უნივერსიტეტის საარჩევნო კოდექსით. ფაკულტეტის საარჩევნო კომისია იქმნება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით. ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში შედის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი.



უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობებზე (რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი) დანიშვნა/არჩევა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობითა და აწსუ-ს წესდებით დადგენილი წესით. კერძოდ,

აწსუ-ს რექტორს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ირჩევს აკადემიური საბჭო ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, წესდებით განსაზღვრული ვადით (4 წელი). რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას აკადემიური საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე, საქართველოს კანონმდებლობითა და საკუთარი წესდებით დადგენილი წესით, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. რექტორის კანდიდატად განისაზღვრება პირი, რომელსაც აქვს დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და აკმაყოფილებს აწსუ-ს წესდებით დადგენილ მოთხოვნებს. რეგისტრაცია გრძელდება არანაკლებ 2 და არა უმეტეს 3 კვირისა. არჩევნებამდე კანდიდატურის შერჩევისას აკადემიური საბჭო აფასებს თითოეული კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარმომადგენლობითი საბჭო ამტკიცებს აკადემიური საბჭოს წარდგინებით, ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით, საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ დადგენილი წესის დაცვით. ადმინისტრაციის ხელმძღვანელზე ვრცელდება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები. ერთი და იმავე პირის კანდიდატურა აკადემიურმა საბჭომ წარმომადგენლობით საბჭოს შეიძლება წარუდგინოს მხოლოდ ორჯერ. წარმომადგენლობითი საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში აკადემიური საბჭო წარადგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ახალ კანდიდატურას. ერთი და იგივე პირი ადმინისტრაციის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შესარჩევად კონკურსს აცხადებს აკადემიური საბჭო. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისათვის წასაყენებელი მოთხოვნებს განსაზღვრავს აწსუ-ს წესდება, რომლის მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად შეიძლება არჩეულ იქნეს უნივერსიტეტის სრული ან ასოცირებული პროფესორი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ირჩევა 4 წლის ვადით და ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ ორჯერ. განცხადება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა შეიცავდეს იმ კრიტერიუმებსა და წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხას, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატურა. კრიტერიუმებსა და წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხას ამტკიცებს აკადემიური საბჭო შესაბამისი აქტით. განცხადების გამოქვეყნებიდან 15 დღის განმავლობაში მიმდინარეობს კანდიდატების რეგისტრაცია. განცხადებების მიღების ვადის დასრულებიდან 10 დღის ვადაში აკადემიური საბჭო აირჩევს კანდიდატურას. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კანდიდატურის არარჩევის შემთხვევაში, აკადემიური საბჭო აცხადებს ხელახალ კონკურსს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს წარდგინებით.

ფაკულტეტის დეკანს (ფაკულტეტის პროფესორს ან ასოცირებული პროფესორს) ირჩევს ფაკულტეტის საბჭო 4 წლის ვადით. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. ფაკულტეტის დეკანის არჩევნების გამოცხადება, დეკანობის კანდიდატის რეგისტრაციაში გატარება და დეკანის არჩევა ხდება აწსუ-ს წესდებისა და „უნივერსიტეტის საარჩევნო კოდექსის“ მოთხოვნების შესაბამისად.

დეკანს მოადგილე/მოადგილეების რაოდენობა და უფლებამოსილება განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით. დეკანის მოადგილეს, დეკანის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურის/ კანდიდატურების შერჩევა ხდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ, რომელიც ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურებს. ფაკულტეტის საბჭო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ კანდიდატურის/კანდიდატურების წარდგინიდან 5 დღის ვადაში სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რაც ფორმდება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით. ფაკულტეტის საბჭოს მიერ კანდიდატურის აურჩევლობის შემთხვევაში, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ახალ კანდიდატურას წარადგენს 3 დღის ვადაში.

აწსუ-ს წესდებით განსაზღვრულია თანამდებობრივი შეუთავსებლობა ადმინისტრაციული თანამდებობის პირებისათვის, კერძოდ: არ შეიძლება უნივერსიტეტში იმავდროულად ეკავოს სხვა ადმინისტრაციული თანამდებობა, იყოს სხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი; აკადემიური საბჭოს წევრს არ შეიძლება უნივერსიტეტში იმავდროულად ეკავოს ადმინისტრაციული თანამდებობა, გარდა რექტორისა, ან იყოს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი; წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს არ შეიძლება იმავდროულად ეკავოს



ადმინისტრაციული თანამდებობა; თუ ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების ან მართვის ორგანოს წევრობის წინაპირობაა აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნა, აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნის ვადის გასვლა იწვევს შესაბამის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ან მართვის ორგანოში უფლებამოსილების შეწყვეტას აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგების დამტკიცებისთანავე, თუ პირი არ აირჩა შესაბამის აკადემიურ თანამდებობაზე.

რაც შეეხება **აკადემიურ თანამდებობებს**, აწსუ-ს წესდებით განსაზღვრულია აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი და აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის პირობები. აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისაგან. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.

აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს. (აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 იანვრის #16(13/14) დადგენილება „სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის“ შესახებ).

კონკურსის ჩატარების წესს განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო. კონკურსს აცხადებს რექტორი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებაში აღინიშნება კონკურსანტების რეგისტრაციის დაწყების თარიღი, განცხადებების მიღების ბოლო ვადა და წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა. კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს საკონკურსო კომისია, რომელიც იქმნება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, რექტორის წარდგინებით. საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება რეგლამენტით, რომელსაც შეიმუშავენ აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საბუთების მიღებამდე არაუგვიანეს 1 და კონკურსის ჩატარებამდე არაუგვიანეს 2 თვით ადრე. განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება პრესაში (საუნივერსიტეტო გაზეთში), გამოიკრება უნივერსიტეტში თვალსაჩინო ადგილას და განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

კონკურსანტთა მონაცემების შეფასებას ასრულებს საკონკურსო კომისია. უნივერსიტეტის კონკურსებს ხელმძღვანელობს საკონკურსო კომისია, რომელიც ინიშნება რექტორის მიერ, ხოლო პროცესის კოორდინაციას ახდენს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური. საკონკურსო კომისიის მიერ, შესაბამისი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად, კენჭისყრის საფუძველზე გამოვლენილი გამარჯვებულები (კონკურსის შედეგები) დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიურ საბჭოს.

პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.

ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 3 ან 4 წლის ვადით.

ასისტენტის თანამდებობაზე წესდებით განსაზღვრული წესით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 3 ან 4 წლის ვადით.

აწსუ-ს წესდებით განსაზღვრულია თანამდებობრივი შეუთავსებლობა აკადემიური თანამდებობის პირებისათვის, კერძოდ: პირს არ შეიძლება უნივერსიტეტში ერთდროულად ეკავოს ორი აკადემიური თანამდებობა. აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სხვა სახის სამსახურებრივი შეუთავსებლობა განისაზღვრება აღნიშნული პერსონალების სამსახურში მიღების წესებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

მასწავლებელი უფლებამოსილია გაუძღვეს სასემინარო, პრაქტიკულსა და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე. (აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 3 აგვისტოს #122 დადგენილება „სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ).

უნივერსიტეტი უფლებამოსილია აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით (სპეციალისტის მოწვევის შესახებ წარდგინებას რექტორის წინაშე აკეთებს ფაკულტეტის დეკანი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით).



დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება სამტატო ნუსხით გათვალისწინებული უნივერსიტეტის საქმიანობისთვის აუცილებელი სხვა პირები.

უნივერსიტეტი უფლებამოსილია სამტატო განრიგით გათვალისწინებული დამხმარე პერსონალის გარდა, კონკრეტული საქმიანობისათვის შტატგარეშე დამხმარე პერსონალი სახით მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები (აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 2 ივლისის #32 დადგენილება „სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის“ შესახებ).

აკადემიურ საბჭოს უფლება აქვს, 65 წელს მიღწეულ სრულ პროფესორს მიანიჭოს ემერიტუსის წოდება. **ემერიტუსის წოდების** მქონე პირი მონაწილეობს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში აკადემიური ან/და ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების გარეშე. თუ პირი დანიშნულია აკადემიურ ან ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, მას ემერიტუსის წოდება მიენიჭება აკადემიურ/ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ყოფნის ვადის გასვლის შემდეგ. ემერიტუსის წოდების მქონე პირს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო ან კვლევით დაწესებულებაში აკადემიური, ადმინისტრაციული ან სხვა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული თანამდებობის დაკავების შემთხვევაში ჩამოერთმევა ემერიტუსის წოდება. (აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 12 თებერვლის #33(13/14) დადგენილება „სსიპ-აწსუ-ს ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭების წესისა და პირობების“ შესახებ).

ამრიგად, აკადემიური, ადმინისტრაციული და გარკვეული წილი დამხმარე პერსონალის შერჩევა ხორციელდება აწსუ-ს მიერ გამოცხადებული კონკურსების მოთხოვნების საფუძველზე.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეიცავს სამუშაოს აღწერილობას, კანდიდატებისადმი მოთხოვნილ კრიტერიუმებსა და შეფასების სისტემას, ასევე კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საკითხებს. სამუშაოს აღწერილობა უნივერსიტეტის მართვის ოპტიმიზაციის პროცესის ფარგლებში 2017 წელს გადაიხედა.

აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასება

უნივერსიტეტში შემუშავებული და დანერგულია აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების სისტემა. შეფასების ინსტრუმენტები განსხვავებულია თითოეული ტიპისათვის:

- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების სისტემა ეფუძნება სამსახურების მიერ განხორციელებული ყოველწლიური ანგარიშგების სისტემას. ყოველი სტრუქტურული ერთეული წელიწადში ერთხელ აჯამებს საკუთარი მუშაობის შედეგებს და შეიმუშავებს წლიურ ანგარიშს, რომელიც წარედგინება შესაბამის საუნივერსიტეტო მართვის ორგანოს. ამ პროცესის ფარგლებში ხდება თანამშრომელთა მიერ გაწეული საქმიანობის რაოდენობრივი და არაფორმალური ხარისხობრივი შეფასება.
- აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლების შესაფასებლად გამოიყენება სასწავლო წლის ფარგლებში წინასწარი ინდივიდუალური დატვირთვით განსაზღვრული სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობის შეფასება. აკადემიური პერსონალის სასწავლო - მეთოდური მუშაობას ამოწმებს ფაკულტეტის დეკანატი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რექტორის მოადგილე. პირველ ეტაპზე სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდურ საქმიანობას ამოწმებს დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომელიც აღრიცხავს თითოეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობის წლიურ ანგარიშს. შესრულებული სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ელექტრონული და მატერიალური სახით ინახება შესაბამის დეპარტამენტში.

აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის, ხელშეკრულებითა და საათობრივად მოწვეული სპეციალისტების ინდივიდუალური დატვირთვით განსაზღვრული სამუშაოს შესრულების ანგარიში განიხილება დეპარტამენტის სხდომებზე, ასევე დეკანის მიერ და წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად. დეპარტამენტების, მიმართულებების ხელმძღვანელების, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსების და ფაკულტეტის დეკანების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური სასწავლო წლის ბოლოს განიხილავს და აღრიცხავს აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების მიერ სასწავლო წლის მანძილზე სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური წლიური დატვირთვის შესრულების შედეგებს. შესრულებული სამეცნიერო-მეთოდური სამუშაოს ხარისხზე, სამეცნიერო-დარგობრივი საქსპერტო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი.

აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების ერთგვარ ინსტრუმენტად შეიძლება აგრეთვე განვიხილოთ პრემირების ან წახალისების სისტემა. აწსუ თვლის, რომ ეს სისტემა გასაუმჯობესებელია რადგან პრემირების კრიტერიუმები არ არის უშუალოდ მიბმული თანამშრომლის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებაზე და ეფუძნება ფორმალურ მიდგომებს.



აფილირება

2017 წელს, ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად, აწსუ-მ შეიმუშავა აფილირების წესი და განსაზღვრა მასთან აფილირებული აკადემიური პერსონალი. (აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 22 ნოემბრის #133 დადგენილება სსიპ-აწსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების წესის დამტკიცების შესახებ).

აკადემიურ პერსონალთან დაიდო ინდივიდუალური ხელშეკრულებები აფილირების შესახებ. აწსუ-ში მომუშავე 478 აკადემიური პერსონალიდან აფილირებულია 466.

უნივერსიტეტის მიერ აფილირება განიხილება როგორც აკადემიურ პერსონალის ლოიალობისა და წახალისების ერთ-ერთი ინსტრუმენტი. იგი წარმოადგენს საკადრო პოლიტიკის და პერსონალის მართვის შემადგენელ კომპონენტს, რომლის მიზანია შექმნას შიდასაუნივერსიტეტო კონკურენტული აკადემიური გარემო, გაზარდოს აკადემიური პერსონალის მოტივაცია და აქტივობა. უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალისათვის აფილირება არის ნებაყოფილობითი.

აფილირებულ პირებისათვის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შემდეგი პრივილეგიებს:

- აწსუ-ს არჩევითი ორგანოებში აფილირებულ პირებს გაჩნიათ ფაკულტეტიდან წარდგენილ წევრთა შორის კვოტა;
- აფინანსებს აფილირებული პირის მიერ აწსუ-ს სახელით მომზადებულ სახელმძღვანელოს/მეთოდურ მასალასა და სტატია/კუბლიკაციას;
- აფინანსებს (სრულად ან ნაწილობრივ) აფილირებული პირის ან მის მიერ მომზადებულ სტუდენტის აწსუ-ს სახელით საერთაშორისო ფორუმებში/კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯებს;
- იყენებს წახალისების ფინანსურ მექანიზმებს: ერთჯერადი ფულადი ჯილდო, პრემია, ხელფასის დანამატი და სხვა;
- მხოლოდ აფილირებულ პირს ანიჭებს ემერიტუსის წოდებას;
- აფინანსებს (სრულად/ნაწილობრივ) აფილირებული პირის მიერ კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებას;
- უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევებისათვის საჭიროებიდან გამომდინარე ერთწლიან წვდომას აფილირებული პირის მიერ არჩეულ საერთაშორისო ელექტრონული ჟურნალის მასალებთან;
- ნებას რთავს, რომ აფილირებულმა პირმა მოახდინოს ყოველწლიური ინდივიდუალური დატვირთვის სქემის კორექტირება - ერთი აკადემიური წლისთვის შეამციროს პედაგოგიური დატვირთვა და გაზარდოს სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტი.

აწსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები

უნივერსიტეტში მოქმედებს პერსონალის პროფესიული განვითარების სხვადასხვა მექანიზმი, თუმცა ისინი არ არის სისტემატიზებული და გაერთიანებული, რის გამოც ნაკლებად წარმოდგება ერთიანი პოლიტიკის სახით.

მიუხედავად ამისა, მიმდინარე ეტაპზე, უნივერსიტეტი თვლის, რომ მისი მიმდინარე საქმიანობა ორიენტირებულია პერსონალის პროფესიული განვითარებაზე, ამასთან, აწსუ გეგმავს გააუმჯობესოს არსებული პრაქტიკა და დაწეროს ახალი მიდგომები, რაც წარმოდგება პერსონალის პროფესიული განვითარების მწყობრივ სისტემის სახით.

გატარებული ღონისძიებების გათვალისწინებით, აწსუ-ში მოქმედებს პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები შემდეგი სერვისების სახით:


- აწსუ-ს სერვისები პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის;
- სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების ფარგლებში აწსუ-სთან თანამშრომლობით დაგეგმილი მობილობა/ტრენინგები/სემინარები/ სამუშაო შეხვედრები;
- სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ აწსუ-სთან თანამშრომლობის ფარგლებში დაგეგმილი ტრენინგები/სემინარები/ სამუშაო შეხვედრები.

აწსუ-ს სერვისები პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის. აღნიშნული სერვისებიდან მნიშვნელოვანი წილი მოდის შემდეგ ღონისძიებებზე:

- ტრენინგებზე და სამეცნიერო კონფერენციებზე მივლინება;
- აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილი ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები;
- აწსუ-ს ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება;
- უწყვეტი განათლების ცენტრის უცხო ენის შემსწავლელი კურსები;
- აწსუ-ს სამეცნიერო კონფერენციების სერვისები.



2011-2017 წლებში ტრენინგ-კურსებში მონაწილეობა მიიღო 172-მა პირმა და საერთო ჯამში მათ გაიარეს 1223 დასახელების სხვადასხვა ტრენინგ-კურსი, მათ შორისაა დარგობრივი, მეთოდური და პერსონალური უნარ-ჩვევების განვითარებაზე მიმართული ტრენინგ-კურსები.



ეს კურსები შეთავაზებული იყო როგორც სხვადასხვა დონორის მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში, ასევე თავად უნივერსიტეტის მიერ; ფაკულტეტებს უნივერსიტეტის მიერ მათთვის გამოყოფილ ფინანსების ფარგლებში შეუძლიათ თავად განსაზღვრონ და მიავლინონ თავიანთი თანამშრომლები ტრენინგ-კურსებზე.

ამავდროულად, საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტს ევალება თანამშრომელთა პერსონალური განვითარების გეგმების შემუშავება და თავის ბიუჯეტის ნაწილის მიმართვა მათ განვითარებაზე. შესაბამისად, უნივერსიტეტი თავისი ბიუჯეტის ნაწილს მიმართავს პერსონალის განვითარებაზე და აფინანსებს სამეცნიერო-შემოქმედებით მივლინებებს.

პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე მიმართულ საქმიანობას, დაგეგმილი ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების გზით, ახორციელებს აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. 2015 წელს ამ სამსახურის ინიციატივით დაიგეგმა შეხვედრების ციკლი 10 აქტუალური თემით: 1. საგანმანათლებლო პროგრამები, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები; 2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით; 3. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის მიზნები და მათი კავშირი სწავლის შედეგებთან; 4. უცხოენოვანი პროგრამები, ერთობლივი პროგრამები, პროგრამების ინტერნაციონალიზაცია; 5. საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი, სასწავლო გეგმა, კომპეტენციათა რუქა, სასწავლო კურსის სილაბუსი; 6. საგანმანათლებლო პროგრამის SWOT ანალიზი; 7. სწავლის შედეგები; სწავლების მეთოდები და მათი კავშირი შეფასების სისტემასთან; სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა; 8. სწავლებისა და სწავლის მეთოდები; 9. ხარისხის შიდა შეფასების მექანიზმები და კონტროლი; 10. საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებისათვის საჭირო თანხლები დოკუმენტაცია. სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომობის შესახებ.

აღნიშნულ შეხვედრებს უძღვებოდნენ ადგილობრივი და მოწვეული ექსპერტები. ძირითად სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა ფაკულტეტების დეკანები, დეპარტამენტების ხელმძღვანელები, პროგრამების ხელმძღვანელები და სხვა დაინტერესებული პირები. ინტერაქტიულ რეჟიმში მიმდინარე შეხვედრებს დაესწრო 150-მდე მსმენელი, რომელთაც დაეზავნათ ყველა შეხვედრის ანგარიში თანდართულ მასალებთან ერთად. შეხვედრის ყველა მონაწილეს და ფასილიტატორებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

უნივერსიტეტი ცდილობს, პერსონალის პროფესიულ განვითარებისთვის გამიზნული საქმიანობა გააუმჯობესოს PDCA ციკლის მიდგომების თანამიმდევრული გამოყენებით. მაგალითად, 2015 წელს ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების შეფასებისა და სამომავლო დაგეგმვის პროცესისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გამოიყენა მონაწილეთა გამოკითხვის მეთოდი, რომლის მეშვეობით შესაძლებელი გახდა ჩატარებული აქტივობის ანალიზი. კითხვარები მოიცავდა შემდეგ სეგმენტებს: თემის აქტუალურობა, მიწოდებული მასალის რელევანტურობა და ფასილიტატორების მიერ შეხვედრის წარმართვის ეფექტურობა. კითხვარი ასევე მოიცავდა განხილვისათვის სასურველი თემატიკის მითითების შესაძლებლობას, რაც უნდა გაითვალისწინოს აწსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეხვედრების შემდგომი ეტაპის დაგეგმვის დროს. შესაბამისად, 2016 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილი ტრენინგები მოიცავდა იმ თემატიკას, რაც წინა წლის გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა.




აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტრენინგების ციკლი ჩატარდა 2016 წლის ივნისში. ტრენინგების თამატიკა იყო: 1. ხარისხის კულტურა და ხარისხის გაუმჯობესების უწყვეტი პროცესი. 2. ცოდნის მენეჯმენტი აკადემიურ სივრცეში, საუნივერსიტეტო ცოდნის ანალიზი. 3. კურსის მონიტორინგი და ევროპული სტანდარტები. 4. განათლება მდგრადი განვითარებისათვის.


დაგეგმილ ტრენინგებზე დასასწრებად აწსუ-მ გამოიყენა ელექტრონული რეგისტრაციის სისტემა. ელექტრონული რეგისტრაცია გაიარა 62 თანამშრომელმა. მონაწილეებს გადაეცეთ შესაბამისი სერტიფიკატები. ყველა ტრენინგს დაესწრო ფაკულტეტის ხუს-ის უფროსები, მიღებული ინფორმაციისა და ცოდნის ფაკულტეტებზე გავრცელების მიზნით.

2017 წელს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე მიმართული ღონისძიებების დასაგეგმად აწსუ-ს მარკეტინგის, ღონისძიებებისა და პროექტების მართვის სამსახურმა ჩაატარა პერსონალის კმაყოფილების კვლევა, რომლის საფუძველზეც შეფასდა არსებული სერვისები და დაიგეგმა სამომავლო სამუშაოები.

9. როგორ მიგაჩნიათ, პროფესიული საქმიანობისათვის რომელ სფეროში გესაჭიროებთ ცოდნის ამაღლება? (მიუთითეთ ყველა სასურველი ვარიანტი)



10. უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული რომელი სერვისებით სარგებლობთ/გისარგებლიათ? (მიუთითეთ ყველა შესაბამისი პასუხი)



წარმოდგენილი გამოკითხვის შედეგებიდან ჩანს, რომ პერსონალი პროფესიული განვითარებისათვის პრიორიტეტულად მიიჩნევს ხუთ სფეროს: უცხო ენას, სწავლების თანამედროვე მეთოდებს, კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს, ეფექტურ კომუნიკაციას და პრეზენტაციის ხელოვნებას.

2012-2017 წლებში აწსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრში უცხო ენებში გადამზადდა 70 აკადემიური პერსონალი. აწსუ გეგმავს 2018 წლისათვის გაზარდოს უწყვეტი განათლების ცენტრის უცხო ენის შემსწავლელი კურსებზე პერსონალის დაფინანსება, ასევე ჩაატაროს კომპიუტერულ უნარ-ჩვევების, ეფექტური კომუნიკაციისა და პრეზენტაციის ხელოვნების ტრენინგ-კურსები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უშუალო კურირებით ჩატარდეს სემინარები სწავლების თანამედროვე მეთოდების საკითხებზე. 2018 წლიდან აწსუ-ს ერთ-ერთი მიდგომა იქნება ფაკულტეტების ადმინისტრირების შესაძლებლობების გაძლიერება და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მუშაობა გამოვლენილი საჭიროებების გადასაჭრელად.

აწსუ-ს ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება. აკადემიურ პერსონალს აკადემიური თანამდებობის დაკავებიდან 1 წლის შემდეგ, აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ერთხელ, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება მიეცეს ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება არა უმეტეს 6 თვის ვადით. ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების მიცემის წესი განისაზღვრება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით. ამ შესაძლებლობის გამოყენებით აწსუ-ს თანამშრომლები



სამსახურებრივი მივლინების ფორმატით იმყოფებოდნენ საქართველოსა და ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში, კვლევით დაწესებულებებში და საწარმოებში.

აწსუ-ს სამეცნიერო კონფერენციების სერვისები. 2015 წლიდან აწსუ-ში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციების ფორმატში ტარდება სხვადასხვა სახის სემინარები. ამ მხრივ აღსანიშნავია საერთაშორისო კონფერენცია „უმაღლესი განათლება - ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციები/ HENTI - High Education - New Technologies and Innovation“ - HENTI-2015 და HENTI-2017, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „თანამედროვე ტექნოლოგიები და გარემოს დაცვა“ METEP-2016; "რეგიონული განვითარების, ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები" ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელი: გუშინ, დღეს, ხვალ“.

სამუშაო შეხვედრები: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წვლილი საზოგადოების განვითარებაში; უმაღლესი სამედიცინო განათლება; მასწავლებლების მომზადება; საერთაშორისო აკრედიტაცია; ენობრივი პოლიტიკა; პროფესიული განათლება;

სემინარები: AA/DCFTA-ს მოთხოვნებთან დაკავშირებული უნარების განვითარების საჭიროებები და უმაღლესი განათლება - მიმდინარე მდგომარეობა და ხედვა; ნარჩენების მართვისა და ნაგავსაყრელის მოპოვებითი გათხრების ევროპული გამოცდილება. კონფერენციების სამუშაო შეხვედრებსა და სემინარებში მონაწილეობდა უცხოელი პროფესორა და საერთო ჯამში 500-მდე მსმენელი დაესწრო.

აწსუ-ს პერსონალის განვითარებაზე მიმართულია ასევე **სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების ფარგლებში თანამშრომლობით დაგეგმილი მოხილობა/ტრენინგები/სემინარები/ სამუშაო შეხვედრები.**

საერთაშორისო მოხილობის ფარგლებში აწსუ ახორციელებს გაცვლით პროგრამებს 10-მდე პარტნიორ უნივერსიტეტთან, რაც აწსუ-ს აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის განვითარების ყველაზე ეფექტური საშუალებაა, რადგან ეფუძნება „კარგი პრაქტიკის“ გაზიარებას და პრაქტიკულ უნარების განვითარებაზე გამიზნული სამუშაოს შესრულებას.

2011-2017 წლებში საერთაშორისო მოხილობის ფარგლებში აწსუ-ს აკადემიური/ ადმინისტრაციული პერსონალის 300-მდე ვიზიტი განხორციელდა.

თანამშრომლობის გზით ასევე ეწყობა სხვადასხვა შინაარსის ტრენინგები/სემინარები/სამუშაო შეხვედრები, მათგან აღსანიშნავია ERASMUS+ პროგრამის პროექტები „სამაგისტრო პროგრამა განათლების მენეჯმენტში: ლი-დერების აღზრდა საგანმანათლებლო რეფორმებისათვის- MAHATMA“ და „BME-ENA ბიოსამედიცინო განათლების განვითარება“ და სხვები.

სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ აწსუ-სთან თანამშრომლობის ფარგლებში დაგეგმილი ტრენინგები/სემინარები/ სამუშაო შეხვედრების ფორმატით აწსუ-ში სხვადასხვა სახის ღონისძიებები ტარდება.

აწსუ მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან, მათ შორისაა: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრი, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, Erasmus+ - ის ეროვნული ოფისი, კონსულტაციების და ტრენინგების ცენტრი (ctc), საერთაშორისო ორგანიზაცია GIZ, ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანი გაჭირვებაში (PIN), ფონდი - „ღია საზოგადოება - საქართველო“.

აღსანიშნავია, რომ ღონისძიებების დაგეგმვისას აწსუ იყენებს SWOT ანალიზის შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესებაზე მიმართულ მიდგომას. მაგალითად,

2015 წელს კონსულტაციების და ტრენინგების ცენტრის (ctc) ტრენინგები აწსუ-ს ლექტორებისა და მასწავლებლებისათვის ორი სხვადასხვა თემატიკით: 1. ზრდასრულთა სწავლების მეთოდები (კურსი გაიარა 30-მდე ლექტორმა და მასწავლებელმა) და 2. გამოყენებითი კვლევა სასწავლო დაწესებულების მართვაში (კურსი გაიარა ადმინისტრაციის 15 წარმომადგენელმა).

2016 წელს ჩატარდა სემინარი "პლაგიატი საქართველოს აკადემიურ სივრცეში: პრევენცია და ბრძოლა", რომელიც Erasmus+ - ის ეროვნული ოფისის ინიციატივით შედგა. სემინარი საქართველოს აკადემიურ სივრცეში პლაგიატის არსებული მიდგომების შესახებ, იმსჯელეს მეთოდებზე და რეკომენდაციებზე, რომელიც შესაძლებელია გამოვიყენოთ პლაგიატთან ბრძოლისათვის.

2016 წელს მუშაობა ასევე მიმართული იყო პროფესიული პროგრამების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე და გადამზადებაზე. უნივერსიტეტის თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები:

- ტრენინგი „კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში“ - აწსუ, 5-7.09.2016, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
- ტრენინგი „კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო სისტემებში“ - აწსუ, 18-19.10.2016, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.



- ტრენინგი „პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგი მოდულური სწავლების საკითხებში“ - აწსუ, 24-25.10.2016, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრი.
- სამუშაო შეხვედრა მოდულური პროგრამის ხელმძღვანელებთან და შესაბამის პირებთან, რომლებმაც თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს იმ პირებს, რომლებიც 2016 წლის შემოდგომიდან გეგმავდნენ მოდულური პროგრამების განხორციელებას.

2017 წელს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით აწსუ-ში განხორციელდა პროექტი „სოციალური, ფილოსოფიისა და კულტურის მეცნიერებების განვითარების ხელშეწყობა აწსუ-ში“. პროექტი ატარებდა ინტერდისციპლინურ ხასიათს და შეეხებოდა თემებს, რომლებიც თანაბარმნიშვნელოვანი იყო როგორც სოციალური მეცნიერების, ისე ფილოსოფიისა და კულტურის მეცნიერების წარმომადგენლებისთვის.

პროექტი მიზნად ისახავდა კვლევითი და სასწავლო პროცესების ინტეგრაციას და ინტერნაციონალიზაციას; სწორედ ამიტომ, პროექტის ფარგლებში, გარდა საქართველოს უნივერსიტეტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შორის კოლაბორაციისა, ასევე მოწვეულნი იყვნენ უცხოელი პროფესორები გერმანიიდან, რომელთა მოხსენებების შემდგომ, აქტიური დისკუსიები მიმდინარეობდა სტუდენტებს და პროფესორებს შორის. აღნიშნული ღონისძიებების საფუძველზე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, პრეზიდენტის ფონდის თანადაფინანსებით, გამოსცა ახალი სამეცნიერო კრებული „სახელმწიფო და რელიგია“, რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს კვლევის განვითარებაში როგორც ფილოსოფიის, ისე სოციალური თეორიების და კულტურის მეცნიერებების მიმართულებით.

იმისათვის, რომ სასწავლო პროცესს მიეღო წამყვან ევროპულ ქვეყნებთან დაახლოებული ჩარჩოები, ჩატარებულ იქნა სტუდენტური სემინარი „სამათლიანობის თეორიები“, რომელიც ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში ფართოდაა გავრცელებული ტუტორიუმის სახელით. აღნიშნული პროექტი სამომავლოდ მიზნად ისახავს, გაზარდოს სტუდენტების ამგვარი აქტივობები. ამავდროულად, აწსუ-მ გადადგა პირველი ნაბიჯი იმისკენ, რომ ქართულ სააზროვნო სივრცეში მომხდარიყო იმგვარი საკითხების რეცეფცია, როგორებიცაა სამართლიანობის, თავსუფლების იდეები, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეები ქართული მწერლობის საფუძველზე. ამ მიზნით, ჩატარდა პირველი კონფერენცია „ადამიანი, საზოგადოება, სამყარო (ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედებაში)“, სადაც მონაწილეობდნენ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და დოქტორანტები. ამ კონფერენციის მასალებზე დაყრდნობით, გამოიცემა ახალი კრებული. 2018 წლიდან დაგეგმილია ჩატარდეს მუდმივმოქმედი ლექცია-სემინარები ქართულ სააზროვნო სივრცეში ზემოთჩამოთვლილი საკითხების განსახილველად, რომელსაც მიეცემა რეგულარული ხასიათი და 2018 წლის შემოდგომა-ზამთრის სემესტრიდან უშუალოდ ინტეგრირებული იქნება სასწავლო პროცესში. სასწავლო კურიკულუმში ასევე შევა ახალი სალექციო კურსები სამართლიანობის თემატიკასთან დაკავშირებით, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ბონის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი თეო კობუში და მაგდებურგის უნივერსიტეტის პროფესორი და ადამიანთა უფლებების წამყვანი სპეციალისტი, გერმანელი ფილოსოფოსი გეორგ ლომანი.

ყოველი წლის ოქტომბრის ბოლო კვირას, დაგეგმილია ჩატარდეს სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მასალები კრებულის სახით იქნება გამოცემული. ასევე, ქართულ უნივერსიტეტებთან კოლაბორაციაში, ჩატარდება ზამთრის და ზაფხულის სკოლები, სადაც მონაწილეობას მიიღებენ უცხოელი პროფესორები.

2017 წელს დადებულ იქნა მემორანდუმი ფრიბურგის უნივერსიტეტთან, რომელთანაც დაგეგმილია ერთობლივი მრავალწლიანი პროექტის განხორციელება სოციალურ და კულტურის მეცნიერებებში.

2017 წელს აწსუ-მ აქტუალურ საკითხად განსაზღვრა პერსონალის კვლევითი უნარ-ჩვევების გაუმჯობესება. ამ მიზნით აკადემიური პერსონალისათვის და დოქტორანტებისათვის ჩატარდა სხვადასხვა სახის ტრენინგები. მათგან აღსანიშნავია:

2017 წლის დეკემბერში, „ნოუ ჰაუ ტრენინგ ცენტრის“ მიერ ჩატარებული ტრენინგი თემაზე: "რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში". ტრენინგი დაიგეგმა აწსუ-ს ინიციატივით. ტრენინგს უძღვებოდა ამერიკელი პროფესორი როის ჯეფერსონ ჯორჯი. ტრენინგი დაფინანსდა საქართველოში აშშ-ის საელჩოს დემოკრატიის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში. ტრენინგი მოიცავდა კომპიუტერული პროგრამების/აპლიკაციების მეშვეობით რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებას, პრაქტიკულ რჩევებსა და რეკომენდაციებს. მონაწილეებმა თავად აწარმოეს სხვადასხვა სტატისტიკური ანალიზები Excel-ისა და SPSS-ის პროგრამების მეშვეობით. ტრენინგს 24 მონაწილე (დოქტორანტები და ახლგაზრდა მეცნიერები) ესწრებოდა.

2017 წელს ჩეხეთის პრადის სიცოცხლის შემსწავლელი უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლებისათვის ჩატარეს ტრენინგების ციკლი შემდეგ თემატიკაზე: სამეცნიერო კვლევის შეფასება და გაუმჯობესება. განიხილეს ჩეხეთის უნივერსიტეტის გამოცდილება, თუ როგორ



დაიგეგმა უსდ-ში კვლევის განვითარება და როგორ დაუკავშირეს კვლევის ხარისხს პერსონალის ანაზღაურებისა და დაფინანსების რაოდენობა.

ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარების სამუშაოები

2013 წელს განხორციელდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – აწსუ-ს გარდაქმნა (საქართველოს მთავრობის დადგენილება №191, 2013 წლის 29 ივლისი), რამაც გამოიწვია ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ცვლილება/ოპტიმიზაციის პროცესი. 2015-2016 წწ-ში შემუშავდა და დაინერგა კონკურსების ჩატარების ახალი წესები.

2017 წლის განმავლობაში, განხორციელდა რიგი სამუშაოები, რამაც ხელი შეუწყო ადამიანური რესურსების მართვის მიმართულების პროცესების დახვეწასა და შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრას. ჩატარდა სამუშაო შეხვედრები (ფოკუს-ჯგუფები, ინტერვიუ), სადაც მოხდა როგორც არსებული სიტუაციის მიმოხილვა და ანალიზი, ასევე, მოხდა საჭიროებების განსაზღვრა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების მართვის კუთხით განსახორციელებელი სამუშაოების სრულყოფისა და შემუშავებისათვის.

საჭიროებებიდან გამომდინარე, მოხდა უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში არსებული დებულებების სრულყოფა, გაიმიჯნა სტრუქტურული ერთეულისა და პოზიციების ფუნქცია-მოვალეობები და ეს უკანასკნელი ჩამოყალიბდა თანამდებობრივი ინსტრუქციების სახით დებულების დანართად. უნივერსიტეტში მომუშავე ყველა თანამშრომელი გაეცნო თავის კუთვნილ, სახელობით თანამდებობრივ ინსტრუქციას და დაადასტურა ხელმოწერით. თითოეული სტრუქტურული ერთეულის დებულებაში, ჩაემატა პოზიციური სტრუქტურა როგორც ადმინისტრაციული, ასევე ფუნქციონალური დაქვემდებარებისა და ურთიერთქმედების გათვალისწინებით.

შემუშავდა ელექტრონული მონაცემთა ბაზა თანამშრომლების შესახებ, რომელზეც მიბმულია ანკეტის (CV) შაბლონი და გამარტივდა კონკრეტული თანამშრომლის შესახებ ინფორმაციის მოძიება. შექმნილი და შევსებული ანკეტების საფუძველზე, შესაძლებელი გახდა როგორც პერსონალური მონაცემების, ასევე თანამშრომლის პროფესიული განვითარების ისტორიის დეტალების მოძიება. ამ ტიპის დეტალური ინფორმაცია, საფუძველად დაედება პერსონალის პროფესიული რესურსების მიზნობრივად გამოყენებასა და წარმატებული საქმიანობის შემთხვევაში, მათ აღიარება-დაფასებას. ანკეტებში დაფიქსირდა ინფორმაცია უცხო ენების ხარისხობრივი ცოდნის შესახებაც, რაც საეჭვოდ მაღალია. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება ტესტირების საფუძველზე გადამოწმდეს რეალური დონე და დაიგეგმოს ღონისძიებები პერსონალის უცხო ენის კომპეტენციის განვითარებაზე.

არსებული მრავალრიცხოვანი დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად, შემუშავდა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, აღნიშნული დოკუმენტი მნიშვნელოვანი საფუძველია უნივერსიტეტში მიმდინარე ადამიანური რესურსების მართვის პროცესების ეფექტურად დაწესებისა და განხორციელებისათვის. დოკუმენტის მიზანია უზრუნველყოს ფორმალიზებული მიდგომებითა და სტანდარტული პროცედურებით უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პროცესები. სამომავლოდ, დოკუმენტში არსებული პროცედურების შესაბამისად, მოხდება ადამიანური რესურსების მართვის სისტემების უფრო მეტად სრულყოფა და პრაქტიკაში დანერგვა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს უნივერსიტეტის პერსონალის მოზიდვის, შენარჩუნების, შეფასების, განვითარებისა და კომპეტენციის ამაღლებას.

აღნიშნული დოკუმენტი შემუშავდა ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტების მიერ, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლების მაღალი ჩართულობით. მუშაობის პროცესში, გამოვლინდა რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა, რომლებიც ინტენსიურ რეჟიმში უნდა დაინერგოს უნივერსიტეტში, კერძოდ, პრიორიტეტულ აქტივობებში დასახელდა შემდეგი რიგი საკითხებისა:

- პერსონალის შერჩევა-მოზიდვის პროცედურის დახვეწა, რაც უზრუნველყოფს სამუშაოს მოთხოვნებთან ადეკვატური უნარ-ჩვევების, ცოდნის, გამოცდილებისა და ღირებულებების მქონე ადამიანთა მოზიდვას, შერჩევას, დაქირავებასა და ორგანიზაციის სამუშაო გარემოში პირველად ადაპტაცია-ორიენტაციას;
- პერსონალის პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების მექანიზმები, რაც საფუძველად დაედება უნივერსიტეტის გრძელვადიანი მიზნების მიღწევას კვალიფიციური თანამშრომლების რესურსების გამოყენებით;
- პერსონალის შეფასების არსებული სისტემის გადახედვის საფუძველზე, რომლის თანახმად, მკაფიოდ არის განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები და ნორმატივები, დამატებით, დაიგეგმა პერსონალის შეფასების ობიექტური სისტემის შემუშავება, რაც სამომავლოდ გახდება თანამშრომელთა დაწინაურების, წახალისების, გადაყვანის, დაქვეითების და გათავისუფლების საფუძველი; უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის მიხედვით განისაზღვრება შემდეგი წლის მიზნები და ამოცანები, ასევე შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები;



- მნიშვნელოვან პუნქტად განისაზღვრა უნივერსიტეტში მომუშავე პერსონალის ქცევის სტანდარტები, რაც პირდაპირ კავშირშია ორგანიზაციის იმიჯის ფორმირებასა და რეპუტაციის შენარჩუნებაზე;
- გამოიკვეთა ჩამონათვალი თანამშრომელთათვის დამატებითი სარგებელის შესახებ, რაც შეიძლება განიხილოს უნივერსიტეტში მომუშავე პერსონალის დამატებით მოტივატორად და ლოიალობის საფუძვლად.

აწსუ-ს არჩევის/დანიშვნის პროცედურების ერთ-ერთ ძირითად სისუსტეს წარმოადგენს უნივერსიტეტში არსებული ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის დისემინაციის არასაკმარისი დონე. ყველა საინფორმაციო რესურსი, რომელიც გამოიყენება ინფორმაციის გავრცელებისათვის არის შიდა საუნივერსიტეტო, ეს რესურსები უზრუნველყოფენ საუნივერსიტეტო საზოგადოების სათანადო ინფორმირებულობას, მაგრამ ისინი ვერ უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის გარედან სათანადო კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალების მოზიდვას. შესაბამისად, მნიშვნელოვლად მივიჩნევთ ინფორმაციის გავრცელების წყაროთა ეფექტურობის შეფასებასა და შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავებას. აღნიშნული საქმიანობა განხორციელდება ადამიანური რესურსების მართვის პროცედურების გადახედვის საქმიანობის ფარგლებში.

სტრატეგიული გეგმით იგეგმება (სტრატეგიული მიმართულება 1. “სწავლებისა და კვლევის ხარისხის განვითარება“, შედეგი 1.2) იგეგმება შეფასების სისტემის ეფექტური ანგარიშგების სისტემის საფუძვლებზე დაყრდნობით რაოდენობრივი კრიტერიუმებიდან გადასვლა ხარისხობრივზე. თავსი მხრივ, ეს პროცესი უნდა მოექცეს უნივერსიტეტის შეფასებისა და ანალიზის ერთიანი სისტემის შიგნით, რის ფარგლებშიც მოხდება როგორც სტრუქტურული ერთეულებისა შეფასება ასევე სწავლა/სწავლების, სამეცნიერო საქმიანობისა და ხარისხის სისტემის ერთიანი შეფასება, მიღებული შედეგების ანალიზი და სამომავლო ნიშნულების განსაზღვრა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები (დანართი 24).
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანებით „სსიპ - აწსუ-ს წესდების დამტკიცების თაობაზე“; (დანართი 8)
- აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 იანვრის #16(13/14) დადგენილება „სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის“ შესახებ (დანართი 27);
- აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 2 ივლისის #32 დადგენილება „სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის“ შესახებ (დანართი 27);
- აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 12 თებერვლის #33(13/14) დადგენილება „სსიპ-აწსუ-ს ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭების წესისა და პირობების“ შესახებ (დანართი 30);
- აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 3 აგვისტოს #122 დადგენილება „სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ (დანართი 27);
- აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 23 თებერვლის #60 დადგენილება „სსიპ-აწსუ-ს შინაგანაწესის დამტკიცების“ შესახებ (დანართი 17);
- აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 22 ნოემბრის #133 დადგენილება სსიპ-აწსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების წესის დამტკიცების შესახებ. (დანართი 31).
- პროექტი: “სოციალური, ფილოსოფიისა და კულტურის მეცნიერებების განვითარების ხელშეწყობა აწსუ-ში”, 2017 წლის ანგარიში (დანართი 70).

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

- უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია

აღწერა და შეფასება

აწსუ-ს აქვს აკადემიური პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვას მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე.

აწსუ-ში მოქმედებს აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმები, რომელშიც:

- აკადემიური პერსონალის წლიური დატვირთვა შეადგენს 1500 საათს. დასაშვებია აღნიშნული ნორმატივის ცვლილება არაუმეტეს 3%-ის ფარგლებში;



- ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტის დატვირთვის წლიური მოცულობა განისაზღვროს 1000 საათის ოდენობით (მ.შ. 400 საათი სასწავლო დატვირთვა, 600 საათი სამეცნიერო და მეთოდური მუშაობა).
 - ემერიტუსის წლიური დატვირთვა განისაზღვროს - 1000 საათის ოდენობით, დასაშვებია აღნიშნული ნორმატივის ცვლილება არაუმეტეს 3%-ის ფარგლებში;
 - მასწავლებლის წლიური სასწავლო დატვირთვის მოცულობა განისაზღვროს 600 საათის ოდენობით (მ.შ. საკონტაქტო - 420 საათი). დასაშვებია აღნიშნული ნორმატივის ცვლილება არაუმეტეს 3%-ის ფარგლებში; აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების დატვირთვის შემადგენელი კომპონენტებია:
 - **სასწავლო-საკონტაქტო:** აუდიტორიული მუშაობა (ლექცია, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები, დოქტორანტის ხელმძღვანელობა (არაუმეტეს 15 სთ ერთ დოქტორანტზე);
 - **სასწავლო-მეთოდური:** წერიტი ნაშრომის გასწორება; სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა (კონსულტაცია); ტესტების მომზადება, გამოცდების ჩატარება და სტუდენტის შეფასება.
 - **სასწავლო-ორგანიზაციული:** დეპარტამენტის პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელობა; მაგისტრანტის ხელმძღვანელობა; დოქტორანტის ხელმძღვანელობა (არანაკლებ 65 სთ ერთ დოქტორანტზე); სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასემინარო ნაშრომის ხელმძღვანელობა; საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა; სასწავლო, საწარმოო, პედაგოგიური, პროფესიული, საველე და სხვა ტიპის პრაქტიკის ხელმძღვანელობა და ჩატარება, კურატორობა-ტუტორობა;
 - **სამეცნიერო-მეთოდური მუშაობა** - მონოგრაფიის მომზადება, გამოცემა, რედაქტირება, რეცენზირება; სახელმძღვანელოს ან სალექციო კურსის მომზადება, განახლება, გამოცემა, რედაქტირება, რეცენზირება, თარგმნა; საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება, განახლება; მეთოდური ხასიათის ერთობლივი კვლევების განხორციელება; სილაბუსის მომზადება; სამეცნიერო სტატიის მომზადება, გამოცემა, თარგმნა, რეცენზირება; სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება-ხელმძღვანელობა, მონაწილეობა; სამეცნიერო გამოცემების რედაქციის წევრობა; სტუდენტთა მომზადება სამეცნიერო კონფერენციებისათვის, სტუდენტთა სამეცნიერო წრეების ხელმძღვანელობა; სამეცნიერო საგრანტო პროექტის წარდგენა, მონაწილეობა; სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება, შეფასება, სადოქტორო დისერტაციის საფაკულტეტო საექსპერტო კომისიის წევრობა და სხვა სახის სამეცნიერო აქტივობები;
 - **სხვა აქტივობები** - მონაწილეობა სხვადასხვა სახის პროფესიულ სემინარებსა და ტრენინგებში; სტაჟირების გავლა და სხვა მსგავსი აქტივობა, რომელიც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატის, დიპლომის და ა.შ. წარმოდგენით; სასწავლო პროცესთან პირდაპირ და უშუალოდ დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის აქტივობა.
- ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში აკადემიური პერსონალის დატვირთვა იგეგმება ინდივიდუალური სამუშაო გეგმის სახით, სპეციალურად შემუშავებული ელექტრონული ფორმის (ექსელის ფაილი) გამოყენებით. ფორმაში გათვალისწინებულია სემესტრულად განახლებადი დატვირთვა, რომელიც მოიცავს საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრებს დაგეგმილი და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს იდენტიფიცირების გზით.
- აკადემიური პერსონალი სასწავლო-მეთოდურ მუშაობას გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში აწსუ-ს მიერ განსაზღვრული ნორმატივების შესაბამისად (აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 დეკემბრის #29(17/18) დადგენილება „აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის, ხელშეკრულებითა და საათობრივად მოწვეული სპეციალისტების სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვების ნორმატივების განსაზღვრის, დამტკიცების, აღრიცხვისა და შესრულების შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ“).
- აღნიშნული ნორმატივი შემუშავებულია აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის მაქსიმალური საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით და იძლევა პერსონალის მიერ შესრულებული სხვადასხვა სახის სამუშაოების გადათვლის (გადაანგარიშების) შესაძლებლობას დროის ერთეულში. თითოეული აქტივობისათვის განსაზღვრულია როგორც ნორმირებული, ასევე მაქსიმალურად შესაძლო საათები, რაც გარკვეულწილად ემსახურება პერსონალის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, კვლევითი და სხვა დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას. აწსუ ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის დატვირთვას ყველა იმ უსდ-ში, სადაც მას უკავია აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობა.
- ნორმატივების დახვეწისა და დოკუმენტის გაუმჯობესების მიზნით, უკანასკნელ წლებში, ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასაწყისში, აწსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ინიცირებას უკეთებს „აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის, ხელშეკრულებითა და საათობრივად მოწვეული სპეციალისტების სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვების ნორმატივების განსაზღვრის, დამტკიცების, აღრიცხვისა და შესრულების შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების ცვლილებებს. ამ მიზნით ადმინისტრაცია, ყველა ფაკულტეტი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარადგენს თავის მოსაზრებებს ნორმატივების შესახებ, რაც ეყრდნობა წინა სასწავლო წლის შეფასებას და გამოცდილებას. წარდგენილი წინადადებები



განიხილება ადმინისტრაციაში და წარედგინება აკადემიურ საბჭოს. საბჭო იხილავს და ამტკიცებს ნორმატივების ცვლილებას.

ამრიგად, აღნიშნული პროცესი PDCA ციკლის გამოყენებით წარიმართება, რაც კარგი მაგალითია სხვა მოქმედი დებულებების გასაუმჯობესებლად.

აწსუ-ში სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და პერსონალის დატვირთვის ნორმატიული სისტემითა და ადმინისტრაციული აქტებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკა, რომლის მიხედვით განსხვავებული საგანმანათლებლო კომპონენტის საათების დაგეგმვა და დაშვებული სტუდენტების კონტიგენტი. (მაგ. პრაქტიკის (სასწავლო, საწარმოო, პედაგოგიური, სამედიცინო მიმართულების კომპონენტი, ლაბორატორიული სამუშაოები და სხვა).

პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვისას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება აწსუ-ში გამოყენებულია ისეთ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელიც საერთაშორისო პროგრამების ფარგლებში შემუშავდა (ერთობლივი და ინგლისურენოვანი პროგრამები). ამ პრაქტიკის გამოყენება ყველა პროგრამისათვის მოითხოვს დიდი მოცულობის სტატისტიკური და ხარისხობრივი მონაცემების კომპლექსურ ანალიზს, რისი პრაქტიკაც აწსუ-ს ჯერ-ჯერობით არ გააჩნია.

მიუხედავად ამისა, საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური მდგრადობის გაანგარიშებისას აწსუ იყენებს თავის ინდივიდუალურ მიდგომებს, რომელიც წარმოდგენილია ფინანსური და მატერიალური რესურსების აღწერაში.

2017 წელს აწსუ-ს აწსუ-ს აკადემიური პერსონალის 98,5 % თანხმობა განაცხადა აწსუ-სთან აფილირებაზე, რითაც დაადასტურეს, რომ დასაქმებული არიან მხოლოდ აწსუ-ს აკადემიურ თანამდებობაზე და შეთავსებით არ იკავებენ სხვა დაწესებულების აკადემიურ თანამდებობას. აფილირებულ პირთა შესახებ ინფორმაციის თავმოყრა, შესაბამის ბაზაში შეყვანა და პერიოდული მონიტორინგი, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ადამიანური რესურსების მართვისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურებს დაევალებათ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 დეკემბრის #29(17/18) დადგენილება აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის, ხელშეკრულებითა და საათობრივად მოწვეული სპეციალისტების სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმატივების განსაზღვრის, დამტკიცების, აღრიცხვისა და შესრულების შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ (დანართი 30);
- აწსუ-სთან დადებული აფილირების ხელშეკრულებები (დანართი 29).

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

ძლიერი მხარეები

- არსებული პრაქტიკისა და საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით შემუშავებული და დანერგილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- PDCA ციკლზე დაფუძნებით გადახედილი და განახლებულია უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულების დებულებები და სტრუქტურული ერთეულისა და თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- დანერგილია პერსონალის სამსახურში მიღების (არჩევა/დანიშვნა) გამჭვირვალე და ობიექტური პროცედურა;
- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობა;
- აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, კვლევითი და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას.

გასაუმჯობესებელი მხარეები

- უნივერსიტეტში აკადემიური და დამხმარე პერსონალის პრაქტიკული მოზიდვის სისტემის ჩამოყალიბება;
- პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკის შემდგომი განვითარება.
- პერსონალის მართვის პროცესში პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგებს გამოყენების უზრუნველყოფა;
- საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიის განვითარება;
- სამართლიანი და ეფექტიანი ანაზღაურებისა და წახალისების სისტემის დახვეწა, რომლებიც ითვალისწინებს თანამშრომელთა მუშაობის შეფასების შედეგებს.



5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვა; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდაჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

<p>5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები</p>
<ul style="list-style-type: none"> • უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები; • უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
<p>აღწერა და შეფასება</p> <p>სწავლების საფეხურების მიხედვით (ბაკალავრიატი, ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა, პროფესიული) აწსუ-ში მოქმედებს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების და სტუდენტთა უფლება-მოვალეობების წესი.</p> <p>უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვება უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ (საბაკალავრო) საფეხურზე და ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების ან მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით. შესაძლებელია აგრეთვე სტუდენტის სტატუსის მოპოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.</p> <p>მაგისტრატურის საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების, მობილობის ან საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე. გარდა აღნიშნულისა დაწესებულება ადგენს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა/გამოცდებს სპეციალობაში და უცხო ენაში.</p> <p>დოქტორანტურაში სტუდენტის სტატუსის მოპოვება განისაზღვრება დოქტორანტურის დებულების საფუძველზე. კერძოდ, საუნივერსიტეტო მისაღები გამოცდა ტარდება უცხო ენაში და სპეციალობაში.</p> <p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საწყის საფეხურზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველს წარმოადგენს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების შედეგები, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ საფეხურზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველს წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული შიდა ტესტირების შედეგები.</p> <p>მასწავლებლის მომზადების ერთწლიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტატუსის მოპოვება შეუძლია პირს, რომელსაც ჩაბარებული აქვს საგნის გამოცდა ან არიას სერტიფიცირებული და აბარებებს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდას.</p> <p>უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის გავლის შემდეგ, პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი. კანონმდებლობის მიხედვით განსაზღვრულია სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძველები. ძირითადად, უნივერსიტეტში სტუდენტს სტატუსი უჩერდება სწავლის საფასურის გადაუხდელობის ან პირადი განცხადების საფუძველზე. მედიცინის ფაკულტეტის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე, როდესაც სტუდენტი სამჯერ ვერ აბარებს საკვალიფიკაციო გამოცდას, მას უჩერდება სტატუსი. 2013 წლიდან, როდესაც საქართველოში დამტკიცდა დაფინანსებადი საგანმანათლებლო პროგრამები, იყო შემთხვევები, რომ სტუდენტთა გარკვეული რაოდენობა არ ცხადდებოდა ლექცია - პრაქტიკუმებზე, ვერ ითვისებდა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტებს, ამიტომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველად დაემტკიცებინა სასწავლო სემესტრით გათვალისწინებული კრედიტების მთლიანი მოცულობის (30 კრედიტი) არ/ვერ ათვისება, რადგან ამ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტები არ ესწრებოდნენ ლექციებს, ჯგუფურ მუშაობებს და არ მონაწილეობდნენ სილაბუსებით განსაზღვრულ აქტივობებში.</p> <p>ქვეყანაში არსებული სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, უნივერსიტეტი სტუდენტს საშუალებას აძლევს შედარებით მარტივად შეძლოს სწავლის საფასურის გადახდა. 2012 წლიდან სტუდენტთან გასაფორმებელ</p>



ხელშეკრულებებში შევიდა ცვლილება, თუ მანამდე სტუდენტს აკადემიური სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ უნდა გადაეხადა სწავლის საფასური, ამჟამად სტუდენტი ვალდებულია ყოველი სასწავლო წლის სწავლის საფასურის გადახდა განახორციელოს ყოველი სასწავლო წლის განმავლობაში 4 თანაბარ ნაწილად არა უგვიანეს შემდეგი რიცხვებისა: ა. თანხის პირველი ნაწილი არაუგვიანეს 30 სექტემბრისა; ბ. თანხის მეორე ნაწილი არაუგვიანეს 30 დეკემბრისა; გ. თანხის მესამე ნაწილი არაუგვიანეს 30 მარტისა; დ. თანხის მეოთხე ნაწილი არაუგვიანეს 30 ივნისისა;

უნივერსიტეტში დაწესებულია ფინანსური ვალდებულების დასაფარად დახმარების წესი სხვადასხვა კატეგორიის სტუდენტებისათვის. სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, სტუდენტები არ გამოთქვამენ უკმაყოფილებას უნივერსიტეტში არსებული სტუდენტთა სწავლის საფასურის პოლიტიკასთან დაკავშირებით.

აწსუ-ში სტუდენტი სტატუსის შეჩერებიდან 1-დან 5 წლის განმავლობაში სარგებლობს ადდგენის უფლებით. სტუდენტის სტატუსის აღდგენას სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის განმავლობაში აღადგენს ფაკულტეტის დეკანატი, ხოლო სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 10 წლის გასვლის შემდეგ მისი ხელახალი მოპოვება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გზით.

სტუდენტთა მობილობა აწსუ-ში ხორციელდება კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადაში; მობილობით გადმოსულ სტუდენტთა კონტიგენტის რაოდენობა დიდია ზაფხულის მობილობის პერიოდში, შედარებით მცირე კი ზამთრის მობილობის დროს. მობილობა ხორციელდება უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში; უნივერსიტეტში მობილობით ჩარიცხულ სტუდენტთა რიცხვი ყოველთვის აღემატება მობილობით გადასულ სტუდენტთა რიცხვს. უნივერსიტეტში ხორციელდება აგრეთვე შიდა მობილობის პროცედურები, წელიწადში ორჯერ. შიდა მობილობის წესით ვაკანტური ადგილების დაკავების უფლება ეძლევა სტუდენტებს სწავლების მეორე სემესტრიდან. შიდა მობილობის პროცესს უნივერსიტეტში წარმართავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების სექტორი.

სასწავლო წელი	მობილობის წესით ჩაირიცხა	მობილობის წესით ამოირიცხა
2012-2013	257	88
2013-2014	223	164
2014-2015	257	136
2015-2016	190	105
2016-2017	187	111
2017-2018	129	94
სულ	1243	698

სტუდენტთა მაღალი დაინტერესების გამო, აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მოამზადა ვიდეორგოლი - გზამკვლევი მობილობის პროცესის წესისა და პროცედურების შესახებ, რომელიც განთავსებულია ინტერნეტში. ასეთი სახით ინფორმაციის მიწოდებამ სტუდენტებისათვის გააიოლა მობილობის პროცესისათვის მოსამზადებელი ეტაპი და მისცა მათ ამ მექანიზმის დროულად გამოყენების შესაძლებლობა.

უნივერსიტეტი ყოველთვის უთმობს სათანადო სივრცეს და ხელს უწყობს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროფილის ორგანიზაციებს საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებისათვის, განსაკუთრებით სტუდენტების საერთაშორისო მობილობასთან დაკავშირებული შეხვედრებისათვის. ამ კუთხით ყოველწლიურად ტარდება შეხვედრები ERASMUS+ პროგრამების შესახებ, სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებისა და უნივერსიტეტების წარმომადგენლები (შვედეთი, ლატვია, ესტონეთი, ლიტვა, ჩეხეთი, პოლონეთი, უნგრეთი, გერმანია, ავსტრია და ა.შ) ხვდებიან აწსუ-ს სტუდენტებს გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

უნივერსიტეტისათვის სტუდენტის მიერ საზღვარგარეთ მიღებული კრედიტების აღიარების პრაქტიკა შედარებით ახალია. მობილობისა და კრედიტების აღიარების პროცედურების განვითარებისა და თანამედროვე მიდგომების დანერგვის მიზნით, აწსუ მონაწილეობს ERASMUS+ პროგრამაში Paving the way to interregional mobility and ensuring relevance, quality and equity of access (PAWER) და პროექტის ფარგლებში ბრიტანელი, იტალიელი და პოლონელი კოლეგების დახმარებით გეგმავს გზამკვლევების შემუშავებას საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების პროცედურების გაუმჯობესების მიზნით. პროექტით გათვალისწინებულია ტრენინგები აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის, რომლის ფარგლებშიც აწსუ-ს 5 პერსონალმა გაიარა ტრენინგები ბრიტანეთის, ვროცლავისა და ბუდაპეშტის უმაღლეს სასწავლებლებში.



საქართველოს უნივერსიტეტებში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარებას მობილობის პროცესში ახდენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. სასწავლო კურსების აკადემიური ცნობის დასკვნის მოსამზადებლად იქმნება საფაკულტეტო კომისია. მისი გადაწყვეტილების საფუძველზე დგინდება კრედიტების თავსებადობა. აღიარებული კრედიტებიდან გამომდინარე, მიმღებ პროგრამაზე არსებული წინაპირობების დაცვით და იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტს შეუძლია აითვისოს წლის განმავლობაში არა უმეტეს 75 კრედიტისა, სტუდენტს განესაზღვრება პროგრამაზე ჩარიცხვის სემესტრი.

სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის (აკადემიური საბჭოს 2017 სასწავლო წლის 10 ნოემბრის დადგენილების № 12(17/18) მიხედვით. რექტორის ბრძანებით დამტკიცებული კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისია იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე.

აწსუ უზრუნველყოფს სტუდენტის უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვას. სტუდენტის უფლებები და მოვალეობები განსაზღვრულია აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით, რომელიც ეფუძნება უნივერსიტეტის შიდა განაწესს და ეთიკის კოდექსს. სტუდენტს, რომელიც ჩაირიცხა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას და დებს ხელშეკრულებას უნივერსიტეტთან. ხელშეკრულება იბეჭდება ორ ეგზემპლარად. ხელშეკრულების ფორმა და ნიმუშები, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

ERASMUS+ პროგრამის მიმდინარე პროექტის ფარგლებში უნივერსიტეტი ავითარებს სტუდენტური ომბუდსმენის სერვისს, რომლის საშუალებით შეიქმნა სტუდენტთა კანონიერი ინტერესების დამცველი სამსახური. უნივერსიტეტის სტუდენტები თავიანთი პრობლემებით ნაკლებად მიმართავენ უნივერსიტეტში არსებულ ეთიკისა და კეთილსინდისიერების კომისიას, რის გამოც ნაკლებად ხდება არსებული პრობლემების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება. ომბუდსმენის სერვისის განვითარების მიმდინარე პროექტის ფარგლებში შეიქმნება მექანიზმი ღიაობისა და სტუდენტთა ინტერესების დაცვისა და იგი გამოყენებული იქნება უნივერსიტეტის ყველა სერვისის სტუდენტზე ორიენტირებულობის გაუმჯობესებისათვის.

სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, თავად დაგეგმოს სასწავლო პროცესი და ისარგებლოს ინდივიდუალური გეგმით. ამ თვალსაზრისით აწსუ-ში მოქმედებს სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს და ქმნის ხელსაყრელ პირობებს სტუდენტისათვის საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებისათვის, სილაბუსებისა და სასწავლო მასალების მიწოდება ხდება სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით.

უნივერსიტეტი შეიმუშავებს აკადემიურ კალენდარს, რომელიც სტუდენტებს მიეწოდება კოორპორაციული ფოსტისა და უნივერსიტეტის ვებგვერდის საშუალებით. სწავლების პროცესთან, სასწავლო კურსებთან, აპელაციასთან, ასათვისებელ კრედიტებთან, შეფასებასთან, შუალედური, დასკვნითი გამოცდების ჩატარებასთან და განრიგთან დაკავშირებით სტუდენტს ინფორმაცია მიეწოდება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით.

აწსუ-ში ინფორმაცია საჯაროა, განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დებულება უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ფინანსური ვალდებულების (სწავლის ქირის) დასაფარავად დახმარების დაწესების შესახებ. წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება №5(13/14), 18.10.2013, (დანართი 35);
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები (დანართი 13);
- აწსუ-სა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები (დანართი 32);
- ვიდეორგოლი - გზამკვლევი მობილობის პროცესის წესისა და პროცედურების შესახებ <https://www.youtube.com/watch?v=683qDzhKZjY>



5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება;
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით;
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას;
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

აღწერა და შეფასება

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება. ასეთი მომსახურების სახეებს წარმოადგენს სტუდენტების მოთხოვნებზე მორგებული სხვადასხვა სერვისი (რომლებიც დაწვრილებითაა აღწერილი ქვემოთ), ასევე თავად სასწავლო პროცესი, რომლის აუცილებელი კომპონენტია სტუდენტებისათვის შესაბამისი კონსულტაციების გაწევა საგანმანათლებლო კომპონენტის ფარგლებში. ყველა სილაბუსში საკონტაქტო საათების გარდა, გამოყოფილია კონსულტაციის საათები, რომლის შესაბამისად კურსის წარმმართველი პედაგოგი გამოყოფს შესაბამის ადგილსა და დღეებს. ეს ინფორმაცია მითითებულია სილაბუსებში და გამოკრულია დეპარტამენტების საინფორმაციო დაფებზე. ასეთი კონსულტაციები პერსონალის მხრიდან სრულდება როგორც სტუდენტების აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, ასევე მათი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დასახმარებლად.

უნივერსიტეტში სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია სტუდენტების მოთხოვნილებაზე მორგებული მრავალფეროვანი სერვისები, რომელთა მიწოდებაზე და განვითარებაზე პასუხისმგებლები არიან:

- სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისები;
- საგარეო ურთიერთობების და სტრატეგიული განვითარების სამსახური;
- უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები;
- ფაკულტეტები;
- სტუდენტური თვითმმართველობა.

უნივერსიტეტში სტუდენტების მოთხოვნილებაზე მორგებული სერვისების ძირითადი მიმწოდებელი სტრუქტურა არის სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისები, რომელიც TEMPUS პროექტის ფარგლებში 2014 წელს შეიქმნა. მისი საქმიანობის ძირითადი მიზანი არის სტუდენტთა კონსულტირება და მხარდაჭერა. სტუდენტს სასურველი სერვისის ან/და ინფორმაციის მისაღებად შეუძლია მიმართოს სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისების უნივერსიტეტის პირველ კორპუსში განლაგებულ ოფისში, ასევე 24 საათიან რეჟიმში კორპორაციული ელ. ფოსტის მეშვეობით info.students@atsu.edu.ge და მოითხოვოს შესაბამისი სერვისის მიღება ან გააკეთოს განაცხადი, აგრეთვე შესაძლებელია დასვას მისთვის სასურველი შეკითხვა, რაზეც პასუხს მიიღებს ერთ სამუშაო დღეში.

სტუდენტების მოთხოვნილებაზე მორგებული შეთავაზებული სერვისები შეიძლება დავყოთ როგორც განმავითარებელი, ინფორმაციული, ხელშემწყობი და საკონსულტაციო.

უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს სტუდენტების მოთხოვნილებაზე მორგებულ შემდეგი სახის სერვისებს:

- **ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან კომუნიკაციის სერვისი.** ამ სერვისის მიზანია სწავლების პერიოდში სტუდენტის წინაშე წამოჭრილი აკადემიური, ფინანსური თუ სხვა სახის პრობლემების გადაჭრის პროცესის ხელშეწყობა და ეფექტური კომუნიკაციის დამყარება სტუდენტსა და უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს შორის. სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისების თანამშრომლები სტუდენტებს ეხმარებიან პრობლემის იდენტიფიცირებაში, განსაზღვრავენ პრობლემის გადაჭრაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს და კონსულტაციას უწევენ შესაბამისი დოკუმენტაციის შევსებისას. განაცხადის შედგენის შესახებ საბოლოო პასუხს სტუდენტი იღებს სამი სამუშაო დღის შემდეგ ფაკულტეტის სამდივნოში ან დეკანატში.

2014 წლიდან დღემდე სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისებში ფიქსირდება სტუდენტთა 50 000-ზე მეტი განაცხადი.



- **ტუტორთა სერვისი.** უნივერსიტეტში, 2016 წლის სექტემბერიდან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან არსებობს ტუტორთა ინსტიტუტი, ტუტორთა სერვისის მიზანს წარმოადგენს:
 - საუნივერსიტეტო სერვისების, უნივერსიტეტში არსებული სიახლეებისა და აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისათვის პირველკურსელი სტუდენტების უნივერსიტეტის ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შეხვედრებისა და პრეზენტაციების მოწყობა, აგრეთვე მათი ტექნიკურ დეტალებზე კონსულტირება;
 - სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროფილის ფორმირებაში დახმარებისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად ხელშეწყობის მიზნით სტუდენტთა კონსულტირება და ტექნიკური მხარდაჭერა;
 - სტუდენტებთან გამოკითხვით გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე ყოველი სემესტრის დასაწყისში საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებისა და პრეზენტაციების მოწყობა;
 - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების სასწავლო პროცესში ადაპტირებისათვის ხელშეწყობა;
 - უცხოელი სტუდენტების სასწავლო პროცესში ინტეგრირების ხელშეწყობა;
 - ფაკულტეტზე მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში ინტეგრირების ხელშეწყობა. მიმდინარე ეტაპზე ტუტორთა ინსტიტუტში ჩართულია ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის 60-მდე სტუდენტი, თითოეულ ფაკულტეტზე სტუდენტთა კონსულტირების და დახმარების მიზნით საქმიანობას ეწევა 5-10 ტუტორი. ტუტორად შეირჩევა ფაკულტეტის დოქტორანტი, ან მაგისტრი, ან ბაკალავრიატის (ძირითადად III-IV კურსის) წარჩინებული სტუდენტი, რომელიც კომპეტენტურია სასწავლო პროცესის მართვის საკითხებში და აქვს სტუდენტებთან მუშაობის გამოცდილება.
უნივერსიტეტის სტრუქტურული ოპტიმიზაციის ფარგლებში 2018 წლიდან აღნიშნული სერვისის პროვაიდერი იქნება სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისები.
- **სტუდენტთა კარიერული განვითარების სერვისი.** სერვისის მიზანია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა შემდგომ დასაქმების ხელშეწყობა. სტუდენტებს ამ სერვისს აწვდის ფაკულტეტების, სტუდენტური თვითმმართველობისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ერთობლივი ჩართულობით სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისები, რისთვისაც იგი ახორციელებს:
 - შრომის ბაზარზე ვაკანსიების მუდმივი მონიტორინგსა და მათ შესახებ სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდებას;
 - პოტენციური დამსაქმებლების მოზიდვას ურთიერთთანამშრომლობის მიზნით;
 - სტუდენტთა და დამსაქმებელთა დაახლოებისა და მათ შორის ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობის მიზნით დამსაქმებელთან ერთად სხვადასხვა წამახალისებელ თუ საინფორმაციო ღონისძიებების, შეხვედრების მოწყობას;
 - კარიერული ზრდის ხელშეწყობის მიზნით სპეციალური ტრენინგ-კურსების ორგანიზებას;
 - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების, ასევე სხვა მოწყვლადი ჯგუფების (სოციალურად დაუცველი, დევნილი ოჯახები და სხვა) დასაქმების ხელშეწყობას;
 - დასაქმების ფორუმებში მონაწილეობას და ორგანიზებას;
 - დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ინფორმირების მიზნით სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი ვაკანსიების და კარიერული ზრდის მხარდაჭერი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ: კორპორაციულ მაილებზე, ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სმარტ ტელეფონის აპლიკაცია ATSU NEWS და უნივერსიტეტის ოფიციალურ facebook გვერდზე.
- **საფაკულტეტო საკონსულტაციო სერვისი.** უნივერსიტეტში სტუდენტებს ემსახურება შესაბამისი ფაკულტეტის სამდივნო, სადაც სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების შესახებ სტუდენტი იღებს ინფორმაციასა და კონსულტაციას, კერძოდ, სტუდენტს სასწავლო წლის მანძილზე ფაკულტეტის სამდივნოში შეუძლია მიიღოს ინფორმაცია მიღებულ შეფასებებსა და დაგროვებულ კრედიტებზე, რაც საშუალებას აძლევს, შეაფასოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები კურსის თითოეულ კომპონენტში და დაგეგმოს სწავლის შედეგების გაუმჯობესების სტრატეგია საბოლოო შეფასების მიღებამდე. ასევე სტუდენტს აქვს საშუალება სასწავლო პროცესში განახორციელოს სასწავლო კურსის ცვლილება მობილობის განხორციელების საშუალებით. მობილობის შესახებ ინფორმაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომი. სტუდენტის შიდა მობილობის პროცესს ახორციელებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების სექტორი, სტუდენტს



შესაძლებლობა აქვს, დაადგინოს მის მიერ გავლილი კურსებისა და დაგროვებული კრედიტების თავსებადობა სასურველ აკადემიურ მიმართულებასთან.

• **სტუდენტური თვითმმართველობას მიერ შეთავაზებული სერვისები.**

სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს სტუდენტების ისეთ ერთობას, რომელიც მონაწილეობას იღებენ უნივერსიტეტის მართვის პროცესში და დამოუკიდებლად წარმართავს თავის საქმიანობას.

სტუდენტური თვითმმართველობა სტრუქტურულად შედგება სტუდენტური პარლამენტისაგან, რომელიც მოიცავს საყოველთაო, თანასწორი და ფარული არჩევნების საფუძველზე არჩეული ფაკულტეტის საბჭოების ყველა სტუდენტ წევრს, გარდა ამისა არსებობს პრეზიდენტის აპარატი და გამგეობა. ეს უკანასკნელი შედგება შემდეგი ოთხი დეპარტამენტისა და კლუბების: სოციალურ საკითხთა დეპარტამენტის, კულტურისა და ხელოვნების დეპარტამენტის, მეცნიერებისა და განათლების დეპარტამენტის, სპორტის დეპარტამენტის, კინო კლუბისა და დებატ კლუბის ხელმძღვანელებისაგან.

სტუდენტური თვითმმართველობის სერვისები მოიცავს სხვადასხვა ღონისძიებას, მათ შორის:

- სოციალური ფონდის ღობისძიებები (მაგ. სტუდენტური დახმარებები, წიგნებისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა; წიგნები ბავშვთა სახლის ბენეფიციარებს და საჯარო სკოლას; საქველმოქმედო აქცია მცირეწლოვანი ბავშვის დასახმარებლად; სოციალური აქცია თემაზე: "არა ძალადობას").
- საგანმანათლებლო ტრენინგ-მოდულები (მაგ. წარმატებული კარიერის შექმნა, გაყიდვების მენეჯმენტი, ინტერპერსონალური კომუნიკაცია, პრეზენტაციის უნარები, ფოტოხელოვნება, ეფექტური კომუნიკაცია; თესლბრუნვის მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში; პროგრამული უზრუნველყოფა, პროექტის წერა და მისი შესრულება).
- საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებები (მაგ. სტუდენტური დღეები, „რა? სად? როდის?“, პროექტი იდეების კონკურსი).
- სპორტული შეჯიბრები: შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატები ფეხბურთში; ფრენბურთში; ჭადრაკში; კალათბურთში, ბილიარდში და სხვა.
- აწსუ-ს სტუდენტთა ქვეყნის მასშტაბით ინტეგრირებისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა (მაგ. საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობა; ქ. ბათუმში შავი ზღვის ლიგაში მონაწილეობის მიღება; გაცვლითი პროგრამა აწსუ-ს ჯანდაცვის ფაკულტეტისა და თბილისის სამედიცინო აკადემიის სტუდენტებს შორის; ქ.თბილისში უმაღლეს სასწავლებლებს შორის აწსუ-ს გუნდის მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატში" პროგრამების შექმნა"; ქ. სტამბულში საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობა „ახალგაზრდული პოლიტიკა და ჩართულობა“; გაცვლითი პროგრამა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სოხუმისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის; “EMSA”-ს მე-5 საერთაშორისო სტომატოლოგიურ კონფერენციაში მონაწილეობა; ევროპის მედიკოსთა კავშირი: საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა).

• **სტუდენტზე მორგებული ელექტრონული სერვისები.**

აწსუ-ში სწავლა/სწავლების და სამეცნიერო საქმიანობის წარმართვისათვის სტუდენტთათვის შექმნილია და ხელმისაწვდომია შემდეგი ელექტრონული სისტემები:

- კორპორაციული ელფოსტა, გამოყენება სავალდებულო უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან და სწავლა/სწავლების პროცესში დაგეგმვისა და ლექტორთან ოფიციალურად კომუნიკაციის დასამყარებლად, აგრეთვე ელფოსტის მისამართი გამოიყენება სხვა ელექტრონულ რესურსებთან წვდომისათვის. ელ ფოსტის მისამართი ყველა სტუდენტს ავტომატურად გადაეცემა პირველ კურსზე რეგისტრაციის დროს.
- პორტალი. 2015-2016 სასწავლო წლიდან სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ელექტრონულ სასწავლო პორტალი (moodle.atsu.edu.ge), რომლის საშუალებითაც სტუდენტებისათვის შეთავაზებულია 111 ელექტრონული კურსი: ბიზნესის ადმინისტრირებაში (31), ინგლისური ენა და ლიტერატურაში (5), მედიცინაში (40), პედაგოგიკაში (14), ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში (1), სამართალში (6). აქედან 16 ინგლისურენოვანი კურსი. აგრეთვე ამ სივრცეში განთავსებულია სადოქტორო (4), სამაგისტრო (2) და საკონკურსო (2) ტესტები უცხო ენაში (2) და თავად ელექტრონულ სწავლების პორტალის გარემოში მუშაობის ამსახველი ტრენინგ კურსი.
- სმარტ ტელეფონის აპლიკაცია ATSU NEWS. უნივერსიტეტის სტუდენტური, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის, აგრეთვე ყველა დაინტერესებული პირის ინფორმირების მიზნით შექმნილია და ფუნქციონირებს ანდროიდ პლატფორმაზე შექმნილი აპლიკაცია ATSU NEWS. იგი ოპერატიულად აწვდის ინფორმაციის უნივერსიტეტში მიმდინარე სიახლეების და მოვლენების შესახებ.

• **სტუდენტზე მორგებული ინფორმაციული სერვისები.** დროული ინფორმირების მიზით უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს შემდეგ აქტივობებსა და რესურსებს:



- პირველკურსელებთან გაცნობითი (ინფორმაციული) სახის შეხვედრები. უნივერსიტეტის რექტორის ინიციატივით და ჩართულობით, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სამსახურები (სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისები, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, აწსუ-ს ინოვაციური ლაბორატორია Fab-Lab, მულტიმედიური ლაბორატორია, მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახური, საგარეო ურთიერთობათა სამსახური, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური) და ფაკულტეტის დეკანები აწყობენ პირველკურსელებთან გაცნობითი (ინფორმაციული) სახის შეხვედრებს, სადაც სტუდენტი იღებს ინფორმაციას საუნივერსიტეტო სერვისების შესახებ. შეხვედრის შემდგომ ტუტორები აცნობენ სტუდენტებს დეტალებს: სილაბუსების, სასწავლო მასალების, შეფასების სისტემების და სხვათა შესახებ;

- ინფორმაციის გავრცელების მრავალფეროვანი რესურსები. უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებზე, სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო საქმიანობის, აგრეთვე სოციალური, კულტურული და სპორტული ღონისძიებების შესახებ სტუდენტებს საშუალება აქვთ გამოიყენონ ინფორმაციის გავრცელების მრავალფეროვანი რესურსები, მათ შორის ინდივიდუალურად მიიღონ ინფორმაცია ფაკულტეტების სამდივნოში; კორპორაციული ელფოსტის მეშვეობით; სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით; უნივერსიტეტის ჰოლში განთავსებული ჭკვიანი და საინფორმაციო დაფის გამოყენებით; სმარტ ტელეფონის აპლიკაცია ATSU NEWS-ის მეშვეობით; საუნივერსიტეტო გაზეთით; ვებსაიტით; ტუტორის სერვისით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული პირველკურსელთა საორიენტაციო კლიპის მეშვეობით: <https://www.youtube.com/watch?v=fEt84eRJ5Bw&t=31s>, <https://www.youtube.com/watch?v=LXPfUxOAeu4>.


სტუდენტების განმავითარებელი სერვისები

სტუდენტების მოთხოვნილებაზე მორგებული განმავითარებელი სერვისების მიზანია სხვადასხვა სფეროში სტუდენტურ ინიციატივების, ინოვაციური და კრეატიული აზროვნების განვითარების ხელშეწყობა, აგრეთვე პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სერვისების შეთავაზება.

სტუდენტური აქტივობის მხარდაჭერა. უნივერსიტეტი ზრუნავს სტუდენტთა განვითარებაზე და შესაბამისად უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და აკადემიური პერსონალის მხრიდან უნივერსიტეტის მასშტაბით მუდმივად ხორციელდება სხვადასხვა სახის პროექტები და ღონისძიებები, რომლებიც სამომავლო პერსპექტივაში კვლავ მზარდი და თანამედროვე დატვირთვის იქნება. უნივერსიტეტი მხარს უჭერს სტუდენტთა აქტივობებს, მათ ჩართულობას უნივერსიტეტში და ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე პროექტებში, კერძოდ:


- უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტთა ინიციატივებს (საჯარო ლექციები, ტრენინგები, სეზონური სკოლები, კონფერენციები და ა.შ.). სასწავლო წლის განმავლობაში უნივერსიტეტი მხარს უჭერს 500-მდე სტუდენტურ ინიციატივას;

აწსუ-ში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა (ბაკალავრიატის სტუდენტთა და მაგისტრანტთა) სამეცნიერო კონფერენცია. ბოლო წლებში (2016 და 2017), სექციების რაოდენობისა და სტუდენტების დაინტერესების ზრდის ფონზე, სტუდენტური კონფერენცია ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობს. 2018 წელს სტუდენტთა (ბაკალავრიატის სტუდენტთა და მაგისტრანტთა) XVIII სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება დაგეგმილია მაისის თვეში.





- უნივერსიტეტის რექტორის ინიციატივით ყოველწლიურად ცხადდება პროექტი სტუდენტებისათვის „მე უნივერსიტეტი“, რომლის ფარგლებშიც სტუდენტთა სხვადასხვა იდეა ხორცს ისხამს. პროექტის ძირითადი მიზანია აწსუ-ს განვითარებაში სტუდენტთა ჩართულობის ხარისხის ამაღლება, მათი მოტივაციის ზრდა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების ხელშეწყობა იმ გამოწვევების გათვალისწინებით, რომელთა წინაშეც დგას უნივერსიტეტი. პროექტი, ასევე, ორიენტირებულია სტუდენტებში პროექტების მომზადებისა და მართვის, ლიდერული და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და კორპორაციული კულტურის ამაღლებაზე. აღნიშნული პროექტის ფარგლებში უკვე მხარდაჭერილია შემდეგი ინიციატივები: პროექტი „ეს შენი, ჩემი, ჩვენი სივრცეა“; ელ.ჟურნალი „აწსუ სტუდენტური კვლევები“; აწსუ ვებოპარკინგი და სხვა. ამჟამად პროექტის ფარგლებში მიღებულია სტუდენტთა 3 განაცხადი, რომელიც კომისიის მიერ მუშავდება.
- უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს სამეცნიერო პიკნიკს, რომელშიც ჩართულია მეცნიერებაზე და შემოქმედებაზე ორიენტირებული სტუდენტები.
 - უნივერსიტეტში პერიოდულად ხორციელდება დასაქმების ფორუმები;
 - უნივერსიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი ყოველწლიურად ატარებს სახელოვნებო კვირეულს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ხელოვნებისა და კულტურული აქტივობის მოყვარული სტუდენტები.
 - **სპორტული და კულტურული კლუბები.** უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა სპორტული და კულტურული აქტივობის ხელშეწყობი შესაბამისი კლუბები: მოცეკვავეთა კლუბი, ხალხურ სიმღერათა კლუბი, ფეხბურთის კლუბი, კალათბურთის კლუბი და სხვა. რომელშიც სტუდენტები დიდი აქტივობით არიან ჩართულები.




არსებული კლუბების ფუნქციონირებას ან ახალი სექციის ჩამოყალიბებას წინ უძღვის მოსამზადებელი სამუშაოები, კერძოდ: სტუდენტებისათვის სასწავლო წლის დასაწყისში ინფორმაციის მიწოდება უშუალოდ, ასევე კორპორაციული ელფოსტის, სოციალური ქსელის და საინფორმაციო ფლაერების მეშვეობით. ცენტრი იკვლევს უნივერსიტეტის სტუდენტთა სპორტულ და სახელოვნებო საქმიანობაში ჩართულობისათვის მზაობის ინდექსს.

სტუდენტთა სტაჟირების პროგრამა - წარმოადგენს აწსუ-ს სამსახურებისა და დეპარტამენტების სერვისს, რომელიც ძირითადად ხორციელდება საჯარო უწყებებში სახელმწიფო სტაჟირების პროგრამის ფარგლებში. სტაჟირების სახელმწიფო პროგრამა 2014 წლიდან დაიწყო. სტაჟირების პროგრამა გაიარა 82-მა სტუდენტმა, მათგან სტაჟირების ადგილზე 8 დასაქმდა, ხოლო 40-მა გააგრძელა სწავლა განათლების შემდგომ საფეხურზე.



აწსუ-ს სერვისი - სტუდენტთა სტაჟირების პროგრამა 2014-2017



- საგარეო ურთიერთობების და სტრატეგიული განვითარების განყოფილება
- იურიდიული დახმარების კლინიკა
- საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების ლაბორატორია
- აწსუ ბიბლიოთეკა
- გარემოს დაცვის ინჟინერიის ლაბორატორია
- ფარმაცევტული პრეპარატების ტექნოლოგიის ლაბორატორია
- კვების პროდუქტების ტექნოლოგიის ლაბორატორია
- კვების პროდუქტების საქონელმცოდნეობის ლაბორატორია
- აწსუ უწყვეტი განათლების ცენტრი
- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლების მეთოდის ლაბორატორია
- ჩაშენებული სისტემების ლაბორატორია
- ფარმაცევტული ქიმიის ლაბორატორია
- ქიმიური ტექნოლოგიების ლაბორატორია
- პედაგოგიის დეპარტამენტი
- გარემოს კომპონენტების ხარისხის კონტროლის ლაბორატორია
- ლანდშაფტური დიზაინის ლაბორატორია
- ღვინის ტექნოლოგიის ლაბორატორია
- მარკეტინგის, პროექტირებისა და ღონისძიებების მართვის სამსახური
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

- ფსიქოლოთერაპევტის საკონსულტაციო სერვისი. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ფსიქოლოთერაპევტის საკონსულტაციო სერვისი, რომლის მიზანია სტუდენტთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერა. სტუდენტის მიმართვის შემთხვევაში ფსიქოლოთერაპევტი უწევს კვალიფიცირებულ ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას მისთვის სენსიტიურ საკითხებზე, როგორც: პიროვნებებს შორის ინტერკომუნიკაციის პრობლემები, დეპრესია, შფოთვა, სოციალური პრობლემები და სხვა. უნივერსიტეტში სერვისი ფუნქციონირებს 2015 წლიდან, როდესაც აწსუ-მ ფსიქოლოგის რანგში მოიწვია საქართველოში მცხოვრები ჰოლანდიელი პროფესორი. აღნიშნული სერვისის არსებობა ჩაითვალია პოზიტიურად და 2017 წლიდან სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისებში განახლდა სტუდენტთა ფსიქოლოთერაპევტის მომსახურება.

სოციალური მხარდაჭერაზე მიმართული სერვისები

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ითვალისწინებს სოციალურ-ეკონომიკურ და სოციალურად მოწყვლად სტუდენტთა მდგომარეობას და ახორციელებს სხვადასხვა მხარდაჭერ ღონისძიებებს, კერძოდ:

- სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სქემა. სტუდენტებს საშუალება აქვთ, სწავლის საფასური გადაიხადონ მათთვის სასურველი პირობით, კერძოდ სწავლების წლიური საფასურის გადახდა შესაძლებელია 4-ჯერამდე დაყოფით, შესაბამისი პროპორციისა და ვადების დაცვით. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ ახერხებს დათქმულ დროში სწავლის საფასურის გადახდას, განცხადებით მიმართავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და



ითხოვს სწავლის საფასურის გადავადებას. ასევე, თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული სწავლის საფასურის გადახდის გრაფიკი აღარ არის ხელსაყრელი სტუდენტისთვის, მას აქვს შესაძლებლობა, შეცვალოს საფასურის გადახდის ვადები, რომელიც ინდივიდუალურად განიხილება კომისიის წევრების მიერ. უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადახდის სქემისა და მექანიზმების შესახებ ინფორმაცია არის გამჭვირვალე და მოქნილი, რომელსაც სტუდენტს ეცნობა უნივერსიტეტში პირველ კურსზე რეგისტრაციის დროს გაფორმებული ხელშეკრულებიდან;

- ფინანსური დახმარება. უნივერსიტეტი ყოველსემესტრულად წელიწადში ორჯერ რექტორის მიერ დადგენილ ვადებში აცხადებს სტუდენტთა ფინანსური ვალდებულების დასაფარავად დახმარებას, როგორცაა:

- o სტუდენტი, რომელიც არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისთვის საბრძოლო მოქმედებაში დაღუპული შვილი;
- o სტუდენტი, რომელიც არის იძულებით გადაადგილებული პირი;
- o სტუდენტი, რომელიც არის მრავალშვილიანი (ოთხი ან მეტი შვილი) ოჯახის წევრი;
- o სტუდენტი, რომელიც არის ობოლი (უდედმამო);
- o სტუდენტს, რომლის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და ოჯახს სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70 000-ის;
- o სტუდენტი, რომელიც არის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელიც დაავადებულია ქრონიკული დაავადებებით და საჭიროებს მუდმივ მედიკამენტოზურ მკურნალობას;
- o სტუდენტი, რომელსაც ჰყავს სამი და მეტი შვილი;
- o სტუდენტური ოჯახი, როცა მეუღლეები არიან აწსუ-ს სტუდენტები;
- o რექტორის გადაწყვეტილებით განსაზღვრული სხვა პირები.

2017-2018 წლის პირველი სემესტრის მონაცემებით, სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით დაფიქსირდა სტუდენტთა 78 განცხადება, რომელიც განხილულ იქნა კომისიის მიერ და წარმომადგენლობით საბჭოზე დამტკიცდა 71 სტუდენტისათვის ფინანსური დახმარება. უნივერსიტეტის მიერ ფინანსური ვალდებულებების დასაფარავად დახმარების დაწესების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია საინფორმაციო დაფებზე, ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ასევე სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვის ცენტრში, სადაც სტუდენტები იღებენ დეტალურ ინფორმაციას დაფინანსების შესახებ და აკეთებენ განაცხადს. სტუდენტთა სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობის მხარდაჭერის მიზნით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ფინანსური დახმარების დაწესებას არეგულირებს უნივერსიტეტის დებულება, რომელიც აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ არის შემუშავებული და დამტკიცებული.

სტუდენტთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის გათვალისწინებით ფინანსურ მხარდაჭერას ასევე ახორციელებს აწსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობაც.

- სტუდენტური საცხოვრისით უზრუნველყოფა. უნივერსიტეტი ფუნქციონირებს სტუდენტური საერთო საცხოვრებელი, სადც არის 50 საცხოვრისი და აღჭურვლია სათანადო ინვენტარით. საერთო საცხოვრებელში შესაძლებელია ერთდორულად 120 სტუდენტის მიღება. საერთო საცხოვრებელი უმეტესად გამოიყენება უცხოელი სტუდენტების დასაბინავებლად, თუმცა იგი ხელმისაწვდომია სოციალურად დაუცველ სტუდენტებისათვისაც.

ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე მიმართული სერვისები

უნივერსიტეტი ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების სტუდენტების ინდივიდუალური მოთხოვნილებებს და უზრუნველყოფს ხელმისაწვდომას შემდეგი საქმიანობით:

- უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტის საჭიროებებიდან გამომდინარე.
- სილაბუსებისა და სასწავლო მასალების მიწოდება ხდება სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით, რაც შეიძლება მოიცავდეს: ელექტრონული სწავლების ფორმის ელემენტების გამოყენებას სასწავლო პროცესში;
- შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებზე ადაპტირებულ შეფასების ფორმატის: ზეპირი, წერიტი, ტესტური, ელექტრონული გამოკითხვა-შეთავაზება;
- სპეციალურ საჭიროებებზე მისადაგებული საუნივერსიტეტო სივრცისა და სერვისების შეთავაზებას და ა.შ.;

აწსუ-ს სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი საჯაროა უნივერსიტეტის ვებგვერდზე.



ინტერნაციონალიზაციის მხარდამჭერი სერვისები

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა საფეხურის სტუდენტებს (ასევე უცხოეთის მოქალაქე სტუდენტებს) სტუდენტური კონტინენტის ინტერნაციონალიზაციის მხარდამჭერ სერვისებს სთავაზობს უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობებთან და განვითარების სამსახური.

უნივერსიტეტის სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციის მიზნით საგარეო ურთიერთობების და სტრატეგიული განვითარების სამსახური ადმინისტრირების ფარგლებში ახორციელებს:

- საერთაშორისო გაცვლით პროგრამების კოორდინაციას;
- სტუდენტთა კონსულტირებას მიმდინარე შესაძლებლობებისა და პროცედურების შესახებ;
- ეხმარება ფაკულტეტებთან სასწავლო ხელშეკრულებების შეთანხმების პროცესში;
- უზრუნველყოფს საერთაშორისო დონეზე კავშირების დამყარებას სტუდენტებისათვის საერთაშორისო ღონისძიებებსა და პროგრამებში ჩართვის მიზნით;

უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობების და სტრატეგიული განვითარების სამსახური უზრუნველყოფს უცხოეთის მოქალაქეებისთვის, როგორც აბიტურიენტების, ასევე მომავალი სტუდენტებისათვის, მხარდაჭერი სერვისების შეთავაზებას:

- ვიზის მიღების ხელშეწყობა. სამსახური უცხოელ სტუდენტს უზრუნველყოფს ვიზის მისაღებად. ვიზის მიღება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- საცხოვრისით უზრუნველყოფის ხელშეწყობა. უცხოელ სტუდენტს ეგზავნება ინფორმაცია უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლისა და ბინების შესახებ, რომელთა დაქირავებაც შესაძლებელია ქუთაისში;
- საორიენტაციის დღეები. საორიენტაციო დღეების მიზანია სტუდენტების სოციალური და ტექნიკური საკითხების გადაჭრაში ხელშეწყობა (საბანკო ანგარიშის გახსნა და მობილური ტელეფონის ნომრის შექმნა), სტუდენტურ და ურბანულ გარემოში ადაპტაციისა და უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან პირველადი კომუნიკაციის ხელშეწყობა, იგი ტარდება სტუდენტის ჩამოსვლის შემდგომ და გრძელდება 5 სამუშაო დღე;
- ბინადრობის მოწოდების მიღების ხელშეწყობა. საჯარო რეესტრში ბინადრობის მოწოდებისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება;
- დაზღვევა. საჭიროების შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიებთან დაკავშირება;
- ქართული ენის კურსი. ქართული ენის შემსწავლელ კურსზე სტუდენტთა ორიენტირება.

კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის სერვისი

კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის სერვისის მიზანია, ხელი შეუწყოს კურსდამთავრებულთა რეინტეგრაციასა და ჩართულობას უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო, სამეცნიერო და სოციალურ-კულტურულ პროცესების დაგეგმვაში, განხორციელებასა და შეფასებაში, აგრეთვე უზრუნველყოს მათ შორის ურთიერთკავშირების დამყარება და ახალი იდეების გაცვლა და გენერირება.

დასახული მიზნის მისაღწევად 2017 წლის ოქტომბერს სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისცენტრში შეიქმნა აწსუ-ს კურსდამთავრებულთა ქსელის სერვისი, რომელშიც 2017 წლის ოქტომბრიდან 2018 წლის იანვრამდე გაწევრიანდა აწსუ-ს 200-მდე კურსდამთავრებული.

აწსუ-ს კურსდამთავრებულთა ქსელმა 2017 წლის ოქტომბრიდან დღემდე შეასრულა ისეთი საქმიანობები, როგორცაა:

- შეიქმნა ელექტრონული ონლაინ პლატფორმა alumni.atsu.edu.ge.
- შეიქმნა კურსდამთავრებულთა ფეისბუქში ოფიციალური გვერდი, <https://goo.gl/A7EJ5S>
- დამზადდა პრომო კლიპი https://www.youtube.com/watch?v=Y0u_LD8-M-c
- უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ქსელმა ადვოკატირების კამპანიის „გამიზიარე ცოდნის“ ფარგლებში სტუდენტებისათვის ჩაატარა კურსდამთავრებულთა მოხსენებათა ციკლი;

- ჩატარდა კურსდამთავრებულთა შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან თემაზე: „უმაღლესი განათლების აუცილებლობა და შესაძლებლობები“.

იქიდან გამომდინარე, რომ ეს პროცესი ახალი დაწყებულია მისი სისუსტე ძირითადად უკავშირდება კურსდამთავრებულებში მის შესახებ ცნობადობის ნაკლებობას.

უნივერსიტეტში სტუდენტური სერვისების სისტემის ფორმირება ხდებოდა ნაბიჯ-ნაბიჯ და დამყარებული იყო არსებულ ტრადიციებზე, უნივერსიტეტის სოციალურ პასუხისმგებლობაზე, სხვადასხვა საეთაშორისო პროექტებით რესურსებზე და იდეებზე ხელმისაწვდომობაზე, საკანონმდებლო მოთხოვნებზე და ადგილობრივ ინიციატივებზე. შედეგად, სერვისების მიმწოდებელი ერთეულები გადანაწილებული იყო სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში და მათი სინქრონიზებული და ეფექტიანი მუშაობა გამწვანებული იყო.



უნივერსიტეტის ავტორიზაციისთვის მზადების პროცესში არსებული სისტემის ანალიზმა დაგვანახა, რომ სტუდენტურ სერვისებთან დაკავშირებულ ძირითადი პრობლემებია შემდეგი:

1. სერვისების განხორციელებაზე პასუხისმგებელი იყო სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული, რომელთა მუშაობის სისტემა და სტილი განსხვავებულია;

2. გარკვეულ სირთულეს წარმოდგენდა ამაჟამად სერვისების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების მიერ მიწოდებული სერვისების ხარისხის ერთგვაროვანი სისტემით შემოწმება. სამსახურები ახორციელებდნენ წლიურ ანგარიშგებას, რომელიც დაფუძნებული არის ფაქტების კონსტანტანციაზე და არა მიმდინარე პროცესების სიღრმისეულ გააზრებაზე;

3. მიუხედავად ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა არხების გამოყენებისა, სტუდენტებში დაბალია სტუდენტური სერვისების შესახებ ინფორმირებულობა. შედარებით უკეთ იციან სპორტული და სახელოვნებო სერვისებისა და ფინანსური და სოციოლოგიური მხარდაჭერის შესახებ, რაც უფრო მეტად მათი ინტერესის სფეროს წარმოადგენს.

4. მიუხედავად აწსუ-ში აქტიურად მიმდინარე პროცესებისა, შეინიშნება სტუდენტთა დაინტერესებისა და ინიციატივის ნაკლებობა, ასევე ზოგადი გულგრილი და ინდეფერენტული დამოკიდებულობა.

გარკვეულწილად აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად 2017 წლის სექტემბრიდან დაიწყო მუშაობა უნივერსიტეტში არსებული სტუდენტური სერვისების ერთ სივრცეში გაერთიანებაზე და სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისების მიერ მოწოდებული სერვისების გაფართოებაზე. ცენტრმა ისეთი მიმართულებებით დაიწყო თავისი საქმიანობის განხორციელება, როგორცაა: სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერა, სტუდენტთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, აგრეთვე შეიქმნა აწსუ-ს კურსდამთავრებულთა ქსელი და მიმდინარეობს მზადება სტუდენტთა კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით სტუდენტთა ომბუდსმენის ინსტიტუტის ჩამოყალიბებაზე.

აგრეთვე დაიგეგმა შესაბამის კვლევების ჩატარება, რათა გამოვლინდეს ის პრობლემები, რაც თან ახლავს სტუდენტურ სერვისების მიწოდებას, პროცესებში სტუდენტების ჩართულობისა და სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდას.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ შემუშავდეს სტუდენტური სერვისებთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო პოლიტიკა, რომლის ბაზაზეც მოხდება რეორგანიზების გზით უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებში ჯერ კიდევ არსებული სტუდენტური სერვისების კონცენტრირება სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისების ქოლგის ქვეშ, მეორეს მხრივ, კი თავად სერვისების განხორციელების სისტემის ფორმალიზება და პროცედურულ პრინციპებზე გადაყვანა, რაც ხელს შეუწყობს მათი ხარისხის შეფასების სისტემის ჩამოყალიბებასაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი http://atsu.edu.ge/index.php?option=com_edocman&view=document&id=244&catid=36&Itemid=438&lang=en
- ელექტრონული ონლაინ პლატფორმა alumni.atstu.edu.ge.
- კურსდამთავრებულთა ოფიციალური ფეისბუქ-გვერდი, <https://goo.gl/A7EJ5S>
- პრომო კლიპი https://www.youtube.com/watch?v=Y0u_LD8-M-c
- სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის 2011-2017 წლების ანგარიში, (დანართი 34);
- აწსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობას ოფიციალური ფეისბუქ-გვერდი;
- აწსუ-ს ვებგვერდი www.atstu.edu.ge;
- აწსუ-ს ოფიციალური ფეისბუქ-გვერდი.

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

ძლიერი მხარეები

- თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებულია სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები;
- უზრუნველყოფილია სათანადო კონსულტაცია და მხარდაჭერა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
- ხორციელდება სტაჟირებისა და პრაქტიკის პროგრამები;
- უზრუნველყოფილია დამატებითი (კურიკულუმის გარეშე დაგეგმილი აქტივობების - სპორტული, ხელოვნების, შემეცნებითი აქტივობები) წახალისება და სტუდენტური ინიციატივების ხელშეწყობა, მხარდაჭერა;



- გათვალისწინებულია სტუდენტის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობა და ახორციელებს სხვადასხვა მხარდამჭერ ღონისძიებები (სტიპენდია, სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სქემა და სხვა შეღავათები).
- დანერგილია და ფუნციონირებს სტუდენტების მოთხოვნებზე მორგებული სტუდენტური სერვისები;
- დანერგილია სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები;

გასაუმჯობესებელი მხარეები

- გაძლიერებულია კარიერული მხარდაჭერის სერვისი;
- გასაუმჯობესებელია საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განხორციელებაში, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სტაჟირებისა და პრაქტიკის განხორციელებაში დამსაქმებელთა ჩართულობა;
- გასაუმჯობესებელია სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შემდგომი აკადემიური და პროფესიული წინსვლის კვლევების წარმოება ;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემას სერვისების გაუმჯობესება.



6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1. კვლევითი საქმიანობა

- უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას;
- სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა;
- უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები.

აღწერა და შეფასება

აკაკი წერეთლის უნივერსიტეტი, მისიიდან გამომდინარე, როგორც მრავალპროფილური უმაღლესი დაწესებულება – საგანმანათლებლო, კვლევითი და ბიზნეს პროცესების ერთიანობისა და ხარისხის უზრუნველყოფით, ისწრაფვის აღზარდოს პროფესიონალები. შესაბამისად, იგი ხელს უწყობს სწავლების, კვლევისა და ეკონომიკის ინტეგრირებას და თანამშრომლობს ეკონომიკურ აგენტებთან; ახორციელებს ისეთ საქმიანობას კვლევისა და განვითარების სფეროში, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ინდუსტრიულ და სხვა სახის ინოვაციურ განვითარებას;

2018 წლიდან უნივერსიტეტში შემუშავდა კვლევის განვითარების პოლიტიკა, რომელიც არის კვლევითი საქმიანობის არსებული პრაქტიკისა და მსოფლიოში არსებული საუკეთესო გამოცდილების ანალიზის შედეგი.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობას არეგულირებს კვლევის განვითარების პოლიტიკა, რომლის მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტის ეგიდით აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიერ განხორციელებულ ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევასთან დაკავშირებით მოლოდინების და ჩარჩო მიდგომების განსაზღვრა, კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასება და გაუმჯობესება.

კვლევის განვითარების პოლიტიკის შემუშავებაზე და მისი განხორციელების შედეგების მონიტორინგზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, ხოლო კვლევის განვითარების პოლიტიკის იმპლემენტაციას, შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესებს კოორდინირებას უწევს სათათბირო ორგანო - უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო.

კვლევის განვითარების პოლიტიკით განსაზღვრულია, რომ უნივერსიტეტი მოწოდებულია წარმატებულად განახორციელოს კვლევითი საქმიანობა, აგრეთვე ახალი ცოდნის შექმნასა და შედეგზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანი წარმართვა, რისთვისაც მზად არის კვლევითი საქმიანობის განხორციელებაში დანერგოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მიდგომები.

კვლევითი საქმიანობის განხორციელებისას აკადემიური თავისუფლება განიხილება, როგორც უნივერსიტეტის ვალდებულება, დანერგოს იმგვარი მიდგომები და მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის აკადემიური და სტუდენტური კონტინგენტის უფლებას თავისუფლად და სხვა პირების გავლენის გარეშე ეწეოდეს შემოქმედებით და კვლევით საქმიანობას.

კვლევითი საქმიანობა განიხილება, როგორც სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ეფექტიანი ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქის, რეგიონის და ქვეყნის განვითარებასა და საზოგადოების წინაშე მდგარი კონკრეტული პრობლემების გადაჭრას.

უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე მიიჩნევა, რომ საერთაშორისო დონის კვლევითი საქმიანობის წარმართვისათვის, აგრეთვე ახალი ცოდნის შექმნასა და შედეგზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესში კვლევის კომპონენტის ეფექტიანი ჩართვისათვის აუცილებელია სხვა უნივერსიტეტთან, კვლევით, სახელმწიფო, არასახელმწიფო და კერძო სექტორის ფართო ჩართულობა და ურთიერთთანამშრომლობა.

კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია განიხილება როგორც ცოდნისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გაცვლის, აგრეთვე ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების ეფექტიანი ინსტრუმენტი.

შესაბამისი მიდგომებისა და სამუშაო პროცესში მერიტოკრატის დანერგვით უზრუნველყოფილი იქნება, რომ კვლევით საქმიანობაში ჩართული პირები თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას:

- იქნებიან ტოლერანტული სხვათა აზრების, რწმენისა და ღირებულებების მიმართ;



- უზრუნველყოფენ აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას, აგრეთვე ხელს უწყობენ პლაგიატის პრევენციას, გამოვლინებასა და მართვას;
- იქნებიან პატიოსანი, სამართლიანი და ანგარიშვალდებულნი, როგორც საკუთარ, ასევე სხვათა მიერ განხორციელებულ კვლევით პროცესში ჩართული პირების, მათ შორის სტუდენტების მიმართ;
- სამუშაოს განხორციელებისას უზრუნველყოფენ გუნდურ მუშაობას;
- გაუფრთხილებიან და დაიცავენ გარემოსა და ბუნებას, აგრეთვე უნივერსიტეტის ქონებას.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს კვლევით საქმიანობას, დაფინანსების მოძიების, ექსპერიმენტული დიზაინის შემუშავების, მონაცემების შეკრებისა და ანალიზის განხორციელების, აღჭურვილობისა და დანადგარების გამოყენების, შედეგების გამოქვეყნების სამეცნიერო ეთიკური ნორმების დაცვის კუთხით.

უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო კვლევის ხარისხი განსაზღვრავს სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის კავშირს, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჩართულობას, ახალგაზრდა თაობის შესაძლებლობების გაძლიერებას.

უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები სრულდება ფაკულტეტებზე არსებულ დეპარტამენტებზე და სამეცნიერო-კვლევით ერთეულებში.

2012 წლიდან უნივერსიტეტში შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომლის მიზანი იყო, უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესების ინტეგრაციის ხელშეწყობა, სამეცნიერო კვლევების შედეგების დეპონირების, დაპატენტების, კომერციალიზაციის და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ძირითადი პრინციპია სამეცნიერო სფეროში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფა.

2013-2014 წლებში სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კოორდინირებით უნივერსიტეტმა გამოაცხადა შიდა საგრანტო კონკურსი და დააფინანსა 20 ფუნდამენტალური და გამოყენებითი კვლევა.

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ასრულებდა საპატენტო-სალიცენზიო საქმიანობას და ინოვაციების მხარდაჭერას. 2011-2017 წლებში აწსუ-ს თანამშრომლების მიერ მიღებულია/წარდგენილია 33 საპატენტო-სალიცენზიო წინადადება, რომლებიც ძირითადად ინჟინერიის, ტექნოლოგიისა და აგრონომიის სფეროს განეკუთვნებიან.

2016 წელს განხორციელდა აწსუ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მოდერნიზება. აღნიშნული ძირითადად გამოწვეული იყო შემდეგი მიზეზებით: თანამედროვე საქართველოს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა კვლევისა და სწავლების მაქსიმალური დაახლოება, კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში იმპლემენტაციის ხარისხის ამაღლება, კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენების ხარისხის ამაღლება, კვლევების ინტერნაციონალიზაცია, კვლევით საქმიანობაში სტუდენტების ჩართვის მასშტაბების გაფართოება და ა.შ.

ყოველივე აღნიშნულის განხორციელება უპრიანია ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - ფაკულტეტის დონეზე, სადაც აკუმულირებული ცოდნა ხმარდება ახალი თაობების, მაღლაკვალიფიციური სპეციალისტების აღზრდას და სადაც შესაძლებელია კვლევების მიმართვა, ერთი მხრივ, გარემოს საჭიროებებისკენ და, მეორე მხრივ, უნივერსიტეტის პრიორიტეტებისკენ.

ამ მიზნით, აწსუ სამეცნიერო კვლევით ცენტრში არსებული კვლევითი მიმართულებების კურირება ეტაპობრივად გადავიდა საფაკულტეტო ადმინისტრაციისა და ფაკულტეტის საბჭოების ხელში. ცნობილია, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან არსებითად გაიზარდა საფაკულტეტო დაფინანსება : 2015 წელს - 200,0 ათ. ლარი; 2016 წელს - 600,0 ათ. ლარი; 2017 წელს - 1,0 მლნ. ლარი. ამ თანხის ნაწილი, ფაკულტეტების საბჭოების გადაწყვეტილებების საფუძველზე, შეიძლება მოხმარდეს კვლევითი საქმიანობის დაფინანსებას, მიმდინარე საჭიროებებისა და ფაკულტეტების უპირატესობების გათვალისწინებით.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ მომზადდა ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულება და მისი საქმიანობის შეფასების წესი, რაც ფაკულტეტებს საშუალებას აძლევს, დაგეგმოს, განახორციელოს, შეაფასოს და გააუმჯობესოს კვლევითი საქმიანობა.

ფაკულტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შექმნის შესახებ დადგენილება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ 2017 წლის 2 თებერვალს მიიღო. ამ დადგენილების მიხედვით, ფაკულტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შექმნით უნივერსიტეტი მიზნად ისახავს ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროფილის ფორმირების ხელშეწყობას, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შემდგომ გაღრმავებას, კვლევითი პროექტების შემუშავებას წინასწარ შეთანხმებული მიმართულებით, სტუდენტთა ჩართულობის ამაღლებას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და მიღწეული შედეგების სასწავლო პროცესში მაქსიმალური ინტეგრირების მხარდაჭერას.



ფაკულტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეული ფაკულტეტის საბჭოსთან შეთანხმებით უფლებამოსილია განახორციელოს: ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევები; საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; კონფერენციებისა და სხვა სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება; საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობა; საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა; ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში, აგრეთვე, სტუდენტთა მიერ კვლევითი ხასიათის ნაშრომების შესრულებაში მონაწილეობა; სტუდენტების ჩართვა სამეცნიერო-კვლევით საგრანტო პროექტებში, ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში მათი მონაწილეობის ხელშეწყობა.

ამჟამად, უნივერსიტეტში კვლევით საქმიანობას ახორციელებს შემდეგი კვლევითი ერთეულები:

- ქართველოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი;
- აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრი.

ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი შეიქმნა 2017 წლის მაისში და მუშაობს ორი ძირითადი ქვემიმართულებით: ქართველური დიალექტოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის შესწავლა; უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა. ცენტრს ემსახურება 4 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი, 1 დოქტორანტი.

აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი მუშაობს თემაზე: ბიო-ეკოლოგიური მეთოდების გამოყენება ციტრუსოვანთა ჰიბრიდულ ნათესარებში და მათგან პერსპექტიული ფორმების გამორჩევა. ცენტრს ემსახურება 1 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი; 3 ემერეტუსი; 3 ტექნიკური პერსონალი. კვლევა ხორციელდება აგრარული ფაკულტეტის ციტრუსოვან მცენარეთა სადემონსტრაციო ნაკვეთზე.

ფაკულტეტებზე არსებულ დეპარტამენტებში მიმდინარეობს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები. კვლევებს ძირითადად ასრულებს აკადემიური პერსონალი და დოქტორანტები როგორც გუნდურად, ასევე ინდივიდუალურად. უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ყველა ფაკულტეტებზე სპეციფიკურია და არათანაბრადაა განვითარებული. რიგი ფაკულტეტები აქტიურად ახორციელებენ სამეცნიერო კვლევებს ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მხარდაჭერით, ხოლო ნაწილი ამ კვლევების განვითარებას სამომავლოდ გეგმავს.

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ჩართული იყო 130 სამეცნიერო-კვლევით პროექტში, როგორც გრანტის მფლობელი და პარტნიორი. მათ შორის: 32 - საერთაშორისო კვლევითი პროექტი; 66 - ეროვნული ფონდების მიერ დაფინანსებული პროექტი; 32 - შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტი.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართულია სხვადასხვა დონორის მიერ დაფინანსებულ 40-ზე მეტ მიმდინარე კვლევაში. მათ შორისაა: 23 - საერთაშორისო კვლევითი პროექტი; 17 - ეროვნული ფონდების მიერ დაფინანსებული პროექტი.

2017 წლიდან თითოეულმა ფაკულტეტმა შეიმუშავა ფაკულტეტის სამეცნიერო პროფილი, რომელშიც წარმოდგენილია ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების აღწერა, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის SWOT ანალიზი და განსაზღვრულია ფაკულტეტის ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებები/ქვე-მიმართულებები.

ფაკულტეტების სამეცნიერო პროფილებით დასტურდება, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს/შემოქმედებით საქმიანობას, რომელსაც წვლილი შეაქვს მეცნიერულ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში რეგიონულ, ეროვნულ და, გარკვეულწილად, საერთაშორისო დონეზე.

სამეცნიერო-კვლევით პროფილებში ფაკულტეტების მიერ განისაზღვრა პრიორიტეტული სამეცნიერო კვლევები და პრიორიტეტულობის შეფასება მოხდა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ხილვადობის გათვალისწინებით. თუმცა ასეთი შეფასება გარკვეულწილად პირობით ხასიათს ატარებს და არ არის დაფუძნებული შეფასების ისეთ მეთოდოლოგიაზე, რომელიც სისტემურად გაითვალისწინებს ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებს.

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კვლევითი პროფილის პრიორიტეტული მიმართულებებია: რეგიონული განვითარების ეკონომიკური და სოციალური პრობლემები; თანამედროვე სამართალგანვითარების აქტუალური თეორიული და პრაქტიკული პრობლემები საქართველოში. კვლევები ძირითადად ხილვადია ეროვნულ დონეზე.



ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კვლევითი პროფილის პრიორიტეტული მიმართულებებია: ქართველოლოგია, ისტორია-არქეოლოგია, ლინგვისტიკა, ლიტერატურათ-მცოდნეობა, ფილოსოფია, ხელოვნებამცოდნეობა. კვლევები ძირითადად ხილვადია ეროვნულ დონეზე.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კვლევითი პროფილის პრიორიტეტული მიმართულებებია: ფუნქციათა თეორია, დიფერენციალური განტოლებები; სუპერსიმეტრიული კვანტური მექანიკა, ინტეგრებადი და სუპერინტეგრებადი სისტემები; ელექტრონული ბიზნესი; ნეიროფიზიოლოგია. კვლევები ძირითადად ხილვადია ეროვნულ დონეზე, საერთაშორისო დონეზე ხილვადია მათემატიკისა და ფიზიკის მიმართულების კვლევები.

პედაგოგიური ფაკულტეტის კვლევითი პროფილის პრიორიტეტული მიმართულებებია: პედაგოგიკის თეორია და ისტორია; ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა; მათემატიკის სწავლების მეთოდიკა; ბუნებისმცოდნეობის სწავლების მეთოდიკა; ინკლუზიური განათლება. კვლევები ძირითადად ხილვადია ეროვნულ დონეზე.

მედიცინის ფაკულტეტის კვლევითი პროფილის პრიორიტეტული მიმართულებებია: ქცევათმეცნიერება, ფსიქიატრია; ალერგოლოგია, მოლეკულური და კლინიკური იმუნოლოგია; უმადლესი სამედიცინო განათლება; ფარმაცია. კვლევები ძირითადად ხილვადია ეროვნულ დონეზე.

საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის კვლევითი პროფილის პრიორიტეტული მიმართულებებია: სატრანსპორტო პროცესები; მასალები, ტექნოლოგიური პროცესები და მანქანები, სამშენებლო ნაგებობები; ელექტროენერგეტიკული სისტემები. კვლევები ძირითადად ხილვადია ეროვნულ დონეზე.

საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის კვლევითი პროფილის პრიორიტეტული მიმართულებებია: გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები, ინჟინერია და უსაფრთხოება; სამკერვალო და ტყავის ნაკეთობათა კონსტრუქციის ევოლუცია, დიზაინი, ტექნოლოგია და მასალათმცოდნეობა; სასურსათო ტექნოლოგია და სურსათის უვნებლობა; სპეციალური ტექსტილის ტექნოლოგიები და მასალათმცოდნეობა; ქიმიური, ფარმაცევტული და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ტექნოლოგია. კვლევები კონკურენტუნარიანი და ხილვადია ეროვნულ დონეზე, ასევე ხასიათდება საერთაშორისო ხილვადობით (გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები).

აგრარული ფაკულტეტის კვლევითი პროფილის პრიორიტეტული მიმართულებებია: საქართველოს სუბტროპიკული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების შერჩევის (ნიადაგურ-კლიმატური და სხვ. გათვალისწინებით), მცენარეთა დაცვის, მოვლა-მოყვანის, ტექნიკური სერვისის უზრუნველყოფით მათი მექანიზაციისა და მცენარეული ნედლეულის შენახვა-გადამუშავების ტექნოლოგიების დამუშავება; საქართველოში მოზარდი დეკორაციული მცენარეების ზრდა-განვითარების თავისებურებების დადგენა, გარემოს ლანდშაფტურ-ეკოლოგიური შეფასება, სარეაბილიტაციო ღონისძიებების დამუშავება და საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების გამოვლენა მდგრადი ტურიზმისა და სოფლად ტურიზმის განვითარების პერსპექტივებით. კვლევები ძირითადად ხილვადია ეროვნულ დონეზე.

საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის კვლევითი პროფილის პრიორიტეტული მიმართულებებია: შავი ზღვის სანაპირო ზოლში ეროზიული პროცესების რისკების მართვა; მდინარეთა შესართავ აკვატორიებში ტალღურ მოძრაობათა შესწავლა; ნატანის ტრანსპორტირების შესწავლა. კვლევები შეფასებულია როგორც ეროვნულ დონეზე კონკურენტუნარიანი და პოტენციური საერთაშორისო ხილვადობის.

კვლევის შედეგების უნივერსიტეტის სასწავლო საქმიანობაში ინტეგრირება გამოიხატება როგორც სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში მიმდინარე საქმიანობით, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების ყოველწლიური გაუმჯობესებით. უნივერსიტეტის კვლევითი ერთეულები მონაწილეობენ აკადემიური პროგრამების შემუშავების და განხორციელების პროცესში.

აკადემიური პერსონალის კვლევის შედეგები, პუბლიკაციები, სამეცნიერო და მეთოდური სახელმძღვანელოები მითითებულია სილაბუსებში, როგორც დამხმარე სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა, ისინი გამოიყენება, როგორც ბაზა სტუდენტების (მაგისტრანტების, დოქტორანტების) საკვალიფიკაციო ნაშრომებისთვის.

აკადემიურ პროგრამებში კვლევის შედეგების ინტეგრირება უზრუნველყოფილია:

- სადოქტორო პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისა და სამაგისტრო პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში;
- პერიოდული გამოცემების, საერთაშორისო ელექტრონული ბაზების სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომობით;
- კვლევითი ერთეულის პროფესორებისა და მკვლევრების სასწავლო პროცესში ჩართულობით;
- სადოქტორო პროგრამების კომპონენტის - ასისტირების ფარგლებში დოქტორანტების სასწავლო პროცესში ჩართულობით;



- მაგისტრანტებისა და დოქტორანტების კურიკულუმისგარეშე აქტივობებით (მათთვის გამოზნული ტრენინგები და სენინარები);
- ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების კვლევებით, რომელსაც ყოველწლიურად წარადგენენ სტუდენტურ კონფერენციაზე;
- სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლითი პროგრამებით;
- საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიან პროგრამებზე წარმოდგენილი ლაბორატორიული პრაქტიკუმებითა და პრაქტიკის კომპონენტით.

კვლევისა და სწავლების ეფექტური ინტეგრაციისათვის, მომავალში დაგეგმილია უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გაუმჯობესება, რათა მაქსიმალურად განვითარდეს სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურების სტუდენტების ჩართულობა კვლევაში/სახელოვნებო საქმიანობაში. აღნიშნული წარმოდგენს უნივერსიტეტის სამომავლო სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტს და ამოცანას.

აკადემიურ პროგრამებში კვლევის ინტეგრირების პროცესის დამატებითი რესურსებია:

- მაგისტრანტებისა და დოქტორანტების კურიკულუმისგარეშე აქტივობები (მათთვის გამოზნული ტრენინგები და სენინარები);
- სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლითი პროგრამები;
- სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული ბაზები;

აკაკი წერეთლის უნივერსიტეტს მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული დოქტორანტის/მკვლევარის ხელმძღვანელის ფუნქციები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის №1 დადგენილების „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ“ მიხედვით

სადოქტორო პროგრამას ხელმძღვანელობს:

- ✓ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
- ✓ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
- ✓ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი;
- ✓ საქართველოს აკრედიტებული უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც არის ფაკულტეტის

სადისერტაციო საბჭოს წევრი;

- ✓ საზღვარგარეთის მაღალრეიტინგული უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც არის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი.

დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და მნიშვნელოვანი პუბლიკაციები.

უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის დატვირთვა უზრუნველყოფს სადოქტორო ნაშრომების/სახელოვნებო-შემოქმედებითი პროექტების ეფექტურ და ხარისხიან ხელმძღვანელობას, ნაშრომებისა და პროექტების მაღალ ხარისხს. ერთი პროფესორი ერთდროულად შეიძლება იყოს არაუმეტეს სამი დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის №3(17/18) დადგენილების თანახმად, დოქტორანტის ხელმძღვანელობისათვის გამოყოფილია 80 საათი (სასწავლო საკონტაქტო არაუმეტეს 15 საათისა და სასწავლო - ორგანიზაციული არანაკლებ 65 საათისა ერთ დოქტორანტზე გაანგარიშებით). აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 30 ნოემბრის №35(12/13) დადგენილების თანახმად, დოქტორანტის თანახელმძღვანელობისათვის გამოყოფილი საათების რაოდენობა განისაზღვრება 20-30 საათის რაოდენობით (შესაბამისი საკონტაქტო საათებით).

სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის მაღალი სტანდარტი უზრუნველყოფილია საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურებით.

სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირებაში ჩართულია ფაკულტეტი, დოქტორანტურის განყოფილება და ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

უნივერსიტეტის დოქტორანტურის განყოფილება უზრუნველყოფს: ა) დოქტორანტურაში მიღების ერთიანი წესის შემუშავებას და დასამტკიცებლად აკადემიური საბჭოსათვის გადაცემას; ბ) დოქტორანტურაში მისაღები გამოცდების პროცედურის გამჭვირვალეობას; გ) სადოქტორო პროგრამების განხორციელების მონიტორინგს; დ) სადოქტორო ნაშრომების დაცვის პროცედურის ტექნიკურ უზრუნველყოფასა და მონიტორინგს.



ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის ყველა პროფესორი და ასოცირებული პროფესორი. ამასთან, საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება მოწვეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირიც.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა საჯაროა, შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები ითვალისწინებს კონკრეტული დარგის სპეციფიკას, არის გამჭვირვალე და სამართლიანი.

სადოქტორო პროგრამების კურიკულუმში განსაზღვრულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვისა და შეფასების პროცედურები და შეფასების კრიტერიუმები.

აწსუ-ში სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის - სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

სადისერტაციო ნაშრომისა და საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების (მათ შორის კოლოქვიუმის) შეფასება შეესაბამება საქართველოში მოქმედ სამართლებრივ აქტებს. აღნიშნული შემთხვევისათვის გამოიყენება შემდეგი შეფასების სისტემა: ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი; ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს; დამაკმაყოფილებელი (rite)–შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

არადამაკმაყოფილებელი (insufficient) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.


კვლევითი კომპონენტისათვის გათვალისწინებული 120 კრედიტის ათვისება დასტურდება სადისერტაციო ნაშრომის წარმატებულად დაცვის შედეგად.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურები განსაზღვრულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის №1 დადგენილებით „დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ“ (ცვლილებით). დოკუმენტი განსაზღვრავს როგორც სადისერტაციო ნაშრომის სადისერტაციო კომისიის წინაშე საჯარო დისკუსიაზე გატანის წინაპირობებს, ასევე ნაშრომის დაცვის და შეფასების პროცედურებს.

საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები წარიმართება მაღალკვალიფიციური აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობით, კერძოდ ნაშრომის დაცვის და შეფასების პროცედურები ითვალისწინებენ რეცენზენტების და სადისერტაციო საბჭოს წევრების (თითოეული წევრი) მიერ გადაწყვეტილების მიღებას ნაშრომის დაცვისთვის წარდგენის შესახებ შესაბამისი ფორმის მიხედვით. სადისერტაციო ნაშრომის მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად, სადოქტორო ნაშრომის კონცეფციებში გათვალისწინებულია ეტაპობრივი და თანამიმდევრული პროცესები, რაც გულისხმობს კვლევითი პროცესების სისტემატიზაციას, შუალედური კვლევითი ანგარიშების წარდგენას და დოქტორანტებისთვის ხელმძღვანელის მხრიდან პერიოდული უკუკავშირის მიწოდებას. ამასთანავე, დაცვის წინა ეტაპზე მოქმედებს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დაცვისთვის შესაბამისი სტანდარტის სადოქტორო ნაშრომის წარდგენას.

სადოქტორო პროგრამების კურიკულუმებში სადისერტაციო ნაშრომისა და საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების (მათ შორის კოლოქვიუმის) შეფასების სისტემა და სადისერტაციო ნაშრომის სადისერტაციო კომისიის წინაშე საჯარო დაცვაზე გატანის წინაპირობები ნათლადაა ასახული.

2011-2017 წლებში აწსუ-ში დაცულ იქნა 101 სადოქტორო ნაშრომი.



2012 წლიდან დღემდე დაცული სადოქტორო ნაშრომების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე:

http://atsu.edu.ge/index.php?option=com_content&view=article&id=87&Itemid=304&lang=en

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუ-ს წესდება (დანართი 8);
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №1 (5.09.2007) „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ“ (ცვლილებებით, კონსოლიდირებული ვარიანტი), (დანართი 40);
- კვლევის განვითარების პოლიტიკა (დანართი 11);
- უსდ-ის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო/შემოქმედებითი აქტივობა, (დანართი 18, დანართი 25, დანართი 37,);
- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის დატვირთვა და ფუნქციები (დანართი 30);
- დაცული სადოქტორო ნაშრომები

http://atsu.edu.ge/index.php?option=com_content&view=article&id=87&Itemid=304&lang=en



6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა;
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში;
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

აღწერა და შეფასება

უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო-შემოქმედებითი სამუშაოები სრულდება ფაკულტეტებზე (არსებულ დეპარტამენტებზე) და სამეცნიერო-კვლევით ერთეულებში. მათი მუშაობა ეფუძნება უნივერსიტეტის კვლევის განვითარების პოლიტიკას.

ფაკულტეტების სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების შექმნა და საქმიანობა რეგულირდება აწსუ-ს დადგენილებით № 102 (02.02.17) ფაკულტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულების პროექტის დამტკიცების შესახებ. სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები ფინანსდება ფაკულტეტის ბიუჯეტიდან და აქვთ თავნთი დებულებები.

ფაკულტეტებზე არსებულ დეპარტამენტებში სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო-შემოქმედებითი სამუშაოები სრულდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ.

კვლევის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება სხვადასხვა წყაროდან: ფაკულტეტის ბიუჯეტი; სხვადასხვა სამეცნიერო ფონდებიდან გამოყოფილი თანხები საგრანტო პროექტებისთვის; არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ფონდები; უნივერსიტეტის სახელფასო ბიუჯეტი, რომელიც ფინანსურად უზრუნველყოფს პერსონალის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამეცნიერო კვლევას; სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში შესრულებული კვლევები.

უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო-შემოქმედებითი სამუშაოების მნიშვნელოვანი მოცულობა სრულდება რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო დაფინანსებით. მაგალითად, საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე 2008-2017 წლებში ამ ფონდის მხარდაჭერით შესრულებულია 23 სამეცნიერო კვლევა, საინჟინრო-ტექნიკურ ფაკულტეტზე - 5, აგრარულ ფაკულტეტზე - 3, საზღვაო სატრანსპორტო ფაკულტეტზე - 2. პროექტები განხორციელდა აწსუ-ს მხარდაჭერით, რაც გამოიხატება პროექტების ნაწილობრივი დაფინანსებით, საგრანტო განაცხადის მომზადებაში ხელშეწყობით (განხილვა, შეფასება და წარდგენა), ეფექტური ადმინისტრირებით (მათ შორის ფინანსური) და ანგარიშების წარდგენის პროცესში დახმარებით.

აწსუ-ში სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო-შემოქმედებითი სამუშაოები სრულდება საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების დაფინანსებითაც. ამ მხრივ კარგი პრაქტიკა არსებობს საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მიმართულებაზე, სადაც 2011-დღემდე კვლევები სრულდება 3 საერთაშორისო გრანტის დაფინანსებით: 1. „მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნის სეზონურობის, ნარჩენების გადამუშავებისა და გამწმენდი მოწყობილობების სხვადასხვა ეკოლოგიური მაჩვენებლების ცვლილებათა კვლევა“, (აკრონიმით - SWC-ENV-IND). შვეიცარიის ეროვნული სამეცნიერო ფონდი პროგრამის „სამეცნიერო თანამშრომლობა აღმოსავლეთ ევროპასა და შვეიცარიას შორის SCOPES 2009-2012“ მიხედვით; 2. „ევროპის ანთროპოსფეროს მოპოვებითი გათხრები-MINEA“. COST-ევროპული თანამშრომლობა მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში. ევროკავშირის პროგრამა Horizon 2020 მხარდაჭერით; 3. ცოდნის მიმოცვლა ინტერ-ბალტიის პარტნიორობის სფეროში მომავალი რეგიონული ციკლური ეკონომიკის თანამშრომლობისათვის - PECEC. ბალტიის ზღვის თანამშრომლობა, შვედეთის ინსტიტუტი.

აწსუ-ს ფაკულტეტებზე (დეპარტამენტზე) მიმდინარე აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინდივიდუალური სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო-შემოქმედებითი მუშაობა მხარდაჭერილია უნივერსიტეტის სახელფასო ბიუჯეტით.

აწსუ-ში მოქმედებს აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმები, რის მიხედვითაც გაიანგარიშება აკადემიური და მოწვეული პერსონალის წლიური დატვირთვა (აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 დეკემბრის #29(17/18) დადგენილება „აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის, ხელშეკრულებითა და საათობრივად მოწვეული სპეციალისტების სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვების ნორმატივების განსაზღვრის, დამტკიცების, აღრიცხვისა და შესრულების შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ“).



დატვირთვის შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტია სამეცნიერო-მეთოდური მუშაობა, რომელიც მოიცავს შემდეგ აქტივობებს: მონოგრაფიის მომზადება, გამოცემა, რედაქტირება, რეცენზირება; სახელმძღვანელოს ან სალექციო კურსის მომზადება, განახლება, გამოცემა, რედაქტირება, რეცენზირება, თარგმნა; საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება, განახლება; მეთოდური ხასიათის ერთობლივი კვლევების განხორციელება; სილაბუსის მომზადება; სამეცნიერო სტატიის მომზადება, გამოცემა, თარგმნა, რეცენზირება; სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება-ხელმძღვანელობა, მონაწილეობა; სამეცნიერო გამოცემების რედაქციის წევრობა; სტუდენტთა მომზადება სამეცნიერო კონფერენციებისათვის, სტუდენტთა სამეცნიერო წრეების ხელმძღვანელობა; სამეცნიერო საგრანტო პროექტის წარდგენა, მონაწილეობა; სადოქტორო ნაშრომის რეცენზირება, შეფასება, სადოქტორო დისერტაციის საფაკულტეტო საექსპერტო კომისიის წევრობა და სხვა სახის სამეცნიერო აქტივობები.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს/სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, სხვადასხვა წყაროდან მოიპოვონ დაფინანსება კვლევების ჩასატარებლად და კვლევითი ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, უწევს კონსულტაციას სამართლებრივ საკითხებთან, დაფინანსების წყაროების მოძიებასთან, საგრანტო განაცხადის მომზადებასთან, მის შეფასებასა და წარდგენასთან დაკავშირებით. უსდ ხელს უწყობს გრანტების ეფექტურ ადმინისტრირებას და ეხმარება ანგარიშების წარდგენის პროცესში.

უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო კოორდინაციას უწევს კვლევის განვითარების პოლიტიკის იმპლემენტაციას, შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესებს.

უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობას მხარდაჭერას უწევს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები, დოქტორანტურის განყოფილება, საგარეო ურთიერთობების და სტრატეგიული განვითარების სამსახური. რომლებიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში და მხარს უჭერენ უნივერსიტეტს, მის სტრუქტურულ ერთეულებს და აკადემიური პერსონალს:

- სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოზიდვასა და განხორციელებაში; რაც რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტებით;
- უნივერსიტეტში ფუნდამენტური, გამოყენებითი და ინოვაციური სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრაში;
- უნივერსიტეტის პერსონალისათვის საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო ფონდების მუშაობის სპეციფიკის, საკონკურსო პირობების გაცნობაში და ტრენინგების ორგანიზებაში საგრანტო განაცხადების შესავსებად;
- სამეცნიერო კვლევების განვითარებისა და ინოვაციური პროექტების განხორციელების მიზნით, შესაბამისი კონტაქტების დამყარების ხელშეწყობაში;
- უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნაში;
- საჭიროების შემთხვევაში, სამეცნიერო-კვლევით მიმართულებებში მეცნიერული კვლევების პრიორიტეტების განსაზღვრისა და ზოგადი ხასიათის საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელებისათვის მოცემული დარგის აღიარებულ მეცნიერთა სამეცნიერო კონსულტანტებად მოწვევაში;
- მემორანდუმების, ხელშეკრულებების მომზადება-გაფორმებაში;
- უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისა და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში საქმიანობის კოორდინაციაში;
- უნივერსიტეტის თანამშრომელთა სამეცნიერო მივლინებების რეგისტრაციასა და შედეგების ანალიზში.

საგარეო ურთიერთობების და სტრატეგიული განვითარების სამსახური გაცვლითი პროგრამების ფარგლებში მხარს უჭერს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და დოქტორანტებს საერთაშორისო მობილობაში; სამსახური ხელს უწყობს უცხოელი მკვლევარებსა და პროფესორებს, შესაბამისი მიმართულების სპეციალისტებს შორის კავშირების დამყარებას.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს ერთობლივ კვლევით/სახელოვნებო-შემოქმედებით პროექტებს/აქტივობებს უცხოელ პარტნიორებთან. ჩართულია ევროკავშირის სამეცნიერო-კვლევით პროგრამებში, აქვს ინსტიტუციური თანამშრომლობა საერთაშორისო კვლევით/შემოქმედებით ცენტრებთან, ჩართულია სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო/სახელოვნებო-შემოქმედებით აქტივობებში.

უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს, ევროპულ, ამერიკულ და აღმოსავლეთის ქვეყნების უნივერსიტეტებსა თუ სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან; სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ასოციაციასა, საზოგადოებასა თუ ინსტიტუტთან; საქართველოში სხვადასხვა ქვეყნის საელჩოების კულტურისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებებთან, რაც დასტურდება პუბლიკაციებით საერთაშორისო გამოცემებში, მათ შორის, განთავსებულია ელ. ბაზაში Google Scholar და რუსეთის სამეცნიერო ციტირების ბიბლიოგრაფიულ ბაზაში (PIHL) (რაც რელევანტურია რუსისტთა სამეცნიერო პროფილის შეფასებისას).



არქეოლოგიის მიმართულების პროფესორები და მოწვეული პერსონალი ჩართული არიან საერთაშორისო პროექტებში, რომლებიც ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კვლევითი ცენტრების დაფინანსებით (კვიპროსის რესპუბლიკაში მდებარე ღალიის მონასტრის არქეოლოგიურ კვლევაში. ასევე საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე საერთაშორისო ექსპედიციებში (ვარშავის უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია ქუთაისში 2017 წელი; ედინბურგის უნივერსიტეტის ექსპედიცია დასავლეთ საქართველოში, 2017 წელი).

ქართული ენის მიმართულებით განხორციელებულია და ამჟამადც ხორციელდება შემდეგი პროექტები: ქართული ენის ეროვნული კორპუსი (დონორი ორგანიზაცია-ფოლკსვაგენის ფონდი), ებრაელთა იდენტობა საქართველოში გლობალიზაციის გარიჟრაჟზე (დონორი ორგანიზაცია-ფოლკსვაგენის ფონდი), ენობრივი პოლიტიკის დაგეგმარება და იმპლემენტაცია ევროპის ქვეყნებში (დონორი ორგანიზაცია-ევროკავშირის ფონდი), ენობრივი პოლიტიკა პოსტსაბჭოთა ლატვიაში (დონორი ორგანიზაცია-ლატვიის განათლების განვითარების სახელმწიფო დეპარტამენტი), ქართველ ებრაელთა მეტყველება ისრაელში (დონორი ორგანიზაცია-შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი).

ზოგადი ენათმეცნიერების მიმართულებით განხორციელებულია შემდეგი პროექტები: მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების გავლენა ენობრივ და ეთნიკურ იდენტობაზე: ურუმები და პონტოელი ბერძნები საქართველოში (დონორი ორგანიზაცია-ფოლკსვაგენის ფონდი), საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების ენობრივი პოლიტიკა გლობალიზაციის ეპოქაში (დონორი ორგანიზაცია-ევროკავშირის ფონდი).

დოქტორანტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ერთობლივი კვლევების განხორციელების ხელშეწყობის, ასევე, სწავლებისა და კვლევის დაკავშირების მიზნით იქმნება ერთობლივი ინტერდისციპლინარული კურსი ფილოსოფიისა და ქართული ლიტერატურის მაგისტრებისათვის - სამართლიანობის იდეა ქართულ საზოგადოებაში. კურსის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ აწსუ-სა და ილიაუნის აკადემიური პერსონალი და დოქტორანტები.

გერმანული ენის მიმართულების აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის ინსტიტუტის შესაბამის დეპარტამენტთან ერთობლივ კვლევებში. ამ პარტნიორობის ფარგლებში მიმართულების აკადემიური პერსონალი ამჟამად მუშაობს პროექტზე „გერმანულ-ქართულ ფორმალურ სიტყვათა ლექსიკონი. გრამატიკული და კომუნიკაციური ასპექტები“ (Vergleichendes deutsch-georgisches Wörterbuch der nicht flektierbaren Wörter. Grammatische und kommunikative Aspekte“-პროექტის კონსულტანტი-იენის უნივერსიტეტის გერმანული ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი პროფ. პეტერ გალმანი).

ფრანგული ენის მიმართულებით მოპოვებულია ინდივიდუალური სამოგზაური გრანტი პარიზი-სორბონის უნივერსიტეტში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში „მიზეზის გამოხატვის გრამატიკა“ მონაწილეობისათვის (დონორი ორგანიზაცია-შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი), AFELSH-ის მიერ დაფინანსებულია საკონფერენციო გრანტები.

რუსული ენის მიმართულებით დასრულებული და მიმდინარე საგრანტო პროექტებია: MHRD-UGC e-PG Pathshala: Russian Studies Project (2016-2018) (დონორი ორგანიზაცია-ინდოეთის განათლების სამინისტრო), სტაჟირება ჩეხეთში: Muracek - უნივერსიტეტში (ბრნო), Caritas - კოლეჯში (ოლომოუცი), თავისუფლების რადიო-ში (პრაღა) და სხვა ორგანიზაციებში (დონორი- ორგანიზაცია- Visegrad-ი და ჩეხეთის საგარეო სამინისტრო).

საინჟინრო-ტექნიკურ ფაკულტეტზე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ჩატარდა ხუთი საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია პოლონეთის, ლიტვის, სლოვაკეთის, და დსთ-ს ქვეყნების მეცნიერების მონაწილეობით: „მექანიკის არაკლასიკური ამოცანები“ (2012); „ენერგეტიკა: რეგიონალური პრობლემები და განვითარების პერსპექტივები“ (2015,2016), III ქართულ-პოლონური კონფერენცია „სატრანსპორტო ხიდი ევროპა-აზია“ (2017), „სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო მანქანები“(2017), საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერნეტ-კონფერენცია „რეგიონალური ტურიზმის პრობლემები და განვითარების პერსპექტივები“ (2017).

ბოლო წლებში გაიზარდა პროგრამების ინტერნაციონალიზაციის და ერთობლივი კვლევების ჩატარების ხარისხი. აწსუ-სა და შ. ესენოვის სახელობის კასპიის ინჟინერინგისა და ტექნოლოგიების სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტს (ქ. აქტაუ, ყაზახეთის რესპუბლიკა) შორის გაფორმებულია მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს მანქანათმშენებლობაში ერთობლივი კვლევების ჩატარებას და დოქტორანტების მომზადებას ყაზახეთის მხარისათვის აქტუალური პრობლემების შესაბამისად. ამისათვის შეიქმნა რუსულენოვანი სადოქტორო პროგრამა, რომელზეც ჩაირიცხნენ დოქტორანტები ყაზახეთიდან, მათგან სამმა აწსუ-ში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის სპეციალობით. პროგრამის შემდგომი



განვითარების და ინტერნაციონალიზაციის კუთხით დაგეგმილია აკადემიური პერსონალის ჩართვა სილეზიის ტექნიკური უნივერსიტეტიდან (პოლონეთი).

2017 წლის 21 ნოემბერს ჩატარდა ვორჟოში განახლებადი ენერჯის სფეროში პროფესიული განათლების პროგრამების აშშ-ს გამოცდილების საკითხებზე, რომელსაც უძღვებოდა დოქტორი ჰამიდ ნუჟადი, მინიაპოლისის უნივერსიტეტის ემერეტუს პროფესორი (მინესოტა, აშშ). ვორჟოში ჩატარდება ათასწლეულის გამოწვევის ფონდის "პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის" მიერ, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის II კომპაქტის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის „მზის ენერჯის გამოყენებას - ახალი პროფესიული კადრები“ ფარგლებში.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბოლო ათი წლის მანძილზე განხორციელდა 9 საერთაშორისო საგრანტო პროექტი; მათემატიკის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი თანამშრომლობს ბრნოს უნივერსიტეტთან (ჩეხეთი); ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი აქვეყნებს პუბლიკაციებს მაღალრეიტინგულ საერთაშორისო გამოცემებში, მათ შორის იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში. საერთაშორისო კვლევები თეორიული ფიზიკის მიმართულებით მიმდინარეობს უცხოელ პარტნიორებთან ერთად: მიხეილ იოფე, ალექსანდრ ანდრიანოვი, ვლადიმერ ვერეშაგინი, ევატერინა კოლევატოვა - სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტი, რუსეთი; ფრანჩესკო კანატა - ბოლონიის უნივერსიტეტი, იტალია; ლუის მიგუელ ნიეტო, ხავიერ ნეგრო - ვალედალიდის უნივერსიტეტი, ესპანეთი, პროფესორი დავით ნიშნიანიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; პროფესორ დავით ნიშნიანიძის h-index=12, RG score=23,34; ციტირება - 675;

გეოგრაფიის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში; პარტნიორებია: ავსტრიის განვითარების სააგენტო. APPEAR პროექტის №1176;

ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი 2001 წლიდან ატარებს საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციებს "ინტერნეტი და საზოგადოება" (www.inso.ge) 2017 წელს ჩატარდა მერვე საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია "ინტერნეტი და საზოგადოება".

საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის საერთაშორისო პარტნიორია რიხეს რეჯიფ ტაიპ ერდოგანის უნივერსიტეტი. საერთაშორისო გრანტით განხორციელდა პროექტი „ფოთის პორტის მიმდებარე რეგიონებში ზღვის წყლის ხარისხის, ნატანის მიგრაციისა და ჰიდროდინამიკური მახასიათებლების მონიტორინგი“. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებისა და ფორუმების მუშაობაში.

ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი 2006 წლიდან აქტიურად ატარებს კვლევებს რეგიონული განვითარების ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებზე და დღემდე სხვადასხვა სახელწოდებით პერიოდულად ატარებს საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციებს: ადგილობრივი ბიუჯეტი და გამჭვირვალობა (2008); გლობალიზაცია, მსოფლიო კრიზისი და სამხრეთ კავკასია (ქუთაისის უნივერსიტეტთან ერთად ჩატარებული, 2009 წ.); რეგიონალიზაცია, თანამედროვე რეგიონული ეკონომიკური და სოციალური პროცესები (2010); უნივერსიტეტის 80 წლის და ფაკულტეტის 20 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კონფერენცია (2013); ეკონომიკური პოლიტიკა და ბიზნეს-პროცესების მართვა (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტთან ერთად ჩატარებული, 2015-2017); თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები(2015, 2017).

პედაგოგიური (განათლების) ფაკულტეტის საერთაშორისო პარტნიორებია: ქ. ბრნოს მასარიკის უნივერსიტეტი (ჩეხეთი); კიევის მ. დრაგომანოვის სახელობის ეროვნული პედაგოგიური უნივერსიტეტი (უკრაინა); საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი (ASB).

აგრარულ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი მონაწილეობს 3 საერთაშორისო პროექტში: „მდგრადი ტურიზმი: მეწარმეობა სოფლად და მემკვიდრეობა. თანამშრომლობა საგანმანათლებლო სფეროში საქართველოს, ყირგიზეთსა და ნორვეგიას შორის“-ნორვეგია; „გრძელვადიანი ტრენინგები პრაქტიკოსი აგრონომებისთვის“- USAID/REAP; ჩეხეთის მთავრობისა და ამავე სახელმწიფოს დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციის -PIN ის მიერ განხორციელებული პროექტი „სწავლების ხარისხის ამაღლება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში“.

უნივერსიტეტში მოქმედებს ახალგაზრდა კადრების კვლევაში მოზიდვისა და მხარდაჭერის მექანიზმები, რომელიც გულისხმობს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტების, პოსტდოქტორანტების ჩართვას უნივერსიტეტის სამეცნიერო/სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობაში, მათი კვლევითი/სახელოვნებო-შემოქმედებითი ინიციატივების ეფექტურ მხარდაჭერას. სამეცნიერო კვლევების შესრულებაში ჩართულია მაგისტრანტები და დოქტორანტები; საერთაშორისო კვლევითი პროექტებით დაგეგმილ შეხვედრებსა და სემინარებზე იზავენებიან აწლს-ს მაგისტრანტები და დოქტორანტები, უნივერსიტეტი მხარს უჭერს საერთაშორისო კონფერენციებში დოქტორანტების მონაწილეობას; საბაკალავრო, სამაგისტრო და



სადოქტორო საფეხურების სტუდენტების სამეცნიერო ღონისძიებებში (საზაფხულო სკოლა, სემინარი, კონფერენცია, კონგრესი) მონაწილეობას. სტუდენტები საკუთარ საკვალიფიკაციო ნაშრომებს ასრულებენ შესაბამისი სამეცნიერო კვლევითი ერთეულებისა და დეპარტამენტების ბაზაზე, რაც მათ აძლევთ შესაძლებლობას, ჩაერთონ კვლევით პროცესში და უნივერსიტეტის კვლევითი დღის წესრიგის განხორციელებაში.

- მაგალითად, 2017 წლის საგაზაფხულო სემესტრში ერთმა თანამშრომელმა/დოქტორანტმა და ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის ერთმა სტუდენტმა ჩაატარეს ერთ თვიანი კვლევები ნორვეგიაში, 2018 წლის საგაზაფხულო სემესტრში 1 მაგისტრანტი ჩაატარებს კვლევებს ნორვეგიაში (1 თვე) სამაგისტრო ნაშრომის შესასრულებლად, 2017/18 სასწავლო წელს საშემოდგომო სემესტრი ისწავლა ნორვეგიის სამხრეთ-აღმოსავლეთის უნივერსიტეტში და წარმატებით დაამთავრა 1 სტუდენტმა; ზაფხულის სკოლებში მდგრად ტურიზმში ნორვეგიასა და ყირგიზეთში მონაწილეობა მიიღეს ტურიზმის სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამის 4 სტუდენტმა და 3 პროფესორმა.
- უნივერსიტეტის სტუდენტები და თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ უკრაინის, ქ. კიევის ახალგაზრდა დიზაინერთა ყოველწლიურ საერთაშორისო კონკურსში „Печерские каштаны“ და საპრიზო ადგილებსაც იმსახურებენ. კერძოდ, ნომინაციაში: ფეხსაცმელი – პირველი ადგილი (2017 წ), მეორე ადგილი (2015 წ), ბატუკა – პირველი ადგილი (2015 წ), მეორე ადგილი (2016 და 2017 წ), ტანსაცმელი – პირველი ადგილი (2015 წ).
- შვედეთის ინსტიტუტის მიერ დაფინანსებული პროექტის „ცოდნის მიმოცვლა ინტერ-ბალტიის პარტნიორობის სფეროში მომავალი რეგიონალური ციკლური ეკონომიკის თანამშრომლობისათვის - PECEC“ ფარგლებში საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის 3 სტუდენტი მივლინებულ იქნა „ვირკულარული ეკონომიკის“ სასწავლო კურსზე, რომელიც ჩატარდა 2017 წლის 15-23 ნოემბერს, ლატვიასა და ესტონეთში.
- საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის SWC-ENV-IND ფარგლებში დოქტორანტი გ. აბულაძე მივლინებულ იქნა ტრენინგებზე ლიტვაში კაუნასის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტსა (2010 წ) და უკრაინის ტარას შევჩენკოს სახელმწიფო უნივერსიტეტში (2011 წ), ხოლო 2012 წლისათვის, გრანტის ფარგლებში ერთ თვიანი სტაჟირებით იმყოფებოდა შვეიცარიაში - პაულ შერერის უნივერსიტეტში.

ინტერნაციონალიზაციის მხრივ გასაძლიერებელია მუშაობა ERASMUS + პროგრამის ფარგლებში credit mobility-ის მხრივ, რაც გაზრდის ახალგაზრდა მკვლევართა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობას და სხვა გაცვლით კვლევით პროექტებში მონაწილეობას.

ახალგაზრდა კადრების კვლევაში მოზიდვისა და მხარდაჭერისათვის უნივერსიტეტში დაგეგმილია შესაბამისი ბაზის და სისტემის გაუმჯობესება, რათა მაქსიმალურად განვითარდეს სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურების სტუდენტების ჩართულობა კვლევაში/სახელოვნებო საქმიანობაში.

ახალგაზრდა კადრების კვლევაში მოზიდვისა და მხარდაჭერის მიმართულებით აწსუ-ს სამომავლო ხედვა ორიენტირებულია მოქმედი სადოქტორო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებაზე. ამ მხრივ უნივერსიტეტი გეგმავს საგანმანათლებლო პროგრამების ოპტიმიზაციას, რომელიც დაეფუძნება 2017 წელს ფაკულტეტების მიერ შემუშავებულ საგანმანათლებლო პროფილებს. ამ პროცესში უნივერსიტეტი იხელმძღვანელებს დეკლარირებული პრინციპით, რომელიც გამოიხატება მეტი ერთობლივი და კომპლექსური (ადგილობრივი და საერთაშორისო) პროგრამის შემუშავება/განვითარებით. უნივერსიტეტი გეგმავს სადოქტორო პროგრამების გაძლიერებას ინტერნაციონალიზაციის გზით. 2012 წლიდან აწსუ-ს მოწვევით სადოქტორო პროგრამის „გარემოს დაცვის ინჟინერია“ თანახელმძღვანელია კაუნასის უნივერსიტეტის პროფესორი გინტარას დენაფასი. თანამშრომლობის წარმატებული 5 წლიანი ისტორია აჩვენებს ასეთი პრაქტიკის გამოყენების საჭიროებას სხვა პროგრამების მიმართაც, რაც გათვალისწინებული იქნება სადოქტორო პროგრამების მოდერნიზაციის პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის წესდება (დანართი 8);
- კვლევის განვითარების პოლიტიკა (დანართი 11);
- აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა, (დანართი 1);
- აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემები, (დანართი 25);
- საერთაშორისო და ადგილობრივ დონორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, (დანართი 41).
- აწსუ-ში განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი კვლევები (დანართი 37, დანართი 42).



6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

- უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

აღწერა და შეფასება

უმაღლესი განათლების გაუმჯობესება და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება მნიშვნელოვანად არის დამოკიდებული სამეცნიერო კვლევის ხარისხზე, სწავლისა და სამეცნიერო კვლევის ინტეგრირებაზე უმაღლესი განათლების ყველა საფეხურზე.

უნივერსიტეტში არსებული პრობლემები შესაძლებელია დავახასიათოთ 2014 წელს კვლევის - „სადოქტორო კვლევების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა საქართველოში“ ძირითადი შედეგის შესაბამისად: „პრობლემები, რომლებიც აკადემიური და ფინანსური რესურსებიდან მომდინარეობს და შემდეგ როგორც პროცესზე, ისე შედეგებზე აისახება, ვერ გადაიჭრება ერთი ხელის მოსმით, მაგრამ ამ მიმართულებით სისტემური ნაბიჯებია აუცილებელი. მნიშვნელოვანია, რომ განვითარების, სიტუაციის გამოსწორების საჭიროებას აკადემიური სივრცე აუცილებლად მიიჩნევს და მზად არის ცვლილებებისთვის. კრიტიკული დამოკიდებულება საკუთარი სივრცისადმი, საკუთარი საქმიანობისადმი კარგი საფუძველია განვითარებისთვის“.

უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო კვლევის ხარისხი განსაზღვრავს სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის კავშირს, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჩართულობას, ახალგაზრდა თაობის შესაძლებლობების გაძლიერებას.

შესაბამისად, მიმდინარე ეტაპზე, აწსუ-ს სასიცოცხლოდ აუცილებელ ინტერესებშია სამეცნიერო კვლევის ხარისხის გაუმჯობესების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც დაფუძნებული იქნება საფუძვლიან ანალიზზე, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილებაზე.

2015-2016 სასწავლო წლისთვის აწსუ-მ თავისი მდგომარეობა ასე შეაფასა: „დღევანდელი მდგომარეობით უნივერსიტეტს არ გააჩნია სამეცნიერო კვლევის ხარისხის შეფასების გამოკვეთილი ინდიკატორები და ინსტრუმენტები, შესაბამისად ვერ ხერხდება ზედმიწევნით ზუსტად განვსაზღვროთ სამეცნიერო კვლევის გაუმჯობესების გრძელვადიანი სტრატეგია და დავგეგმოთ დარგობრივი მიმართულებების განვითარების შესაბამისი ღონისძიებები“.

მას შემდეგ კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასებისა და ანალიზის სისტემის ჩამოსაყალიბებლად უნივერსიტეტმა აქტიურად დაიწყო მუშაობა. 2016 წლის ივლისში საგრანტო პროექტის სახით მოამზადა და ფონდში „ღია საზოგადოება-საქართველო“ წარადგინა „სტრატეგიული დაგეგმვა რეგიონული უნივერსიტეტების სამეცნიერო კვლევის ხარისხის გაუმჯობესებისათვის“. უნივერსიტეტი მიიჩნევდა, რომ კვლევის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა არსებული ვითარების შესწავლა და პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, დაინტერესებულ პირებთან ერთად შეთავაზებული გეგმის განხილვა და შეთანხმება, შეფასებისა და განვითარების ახალი ციკლის ინიცირება. შესაბამისად, გადასაჭრელი იყო ოთხი ძირითადი ამოცანა:

1. სამეცნიერო კვლევის ხარისხის შეფასების ზოგადი ინდიკატორების განსაზღვრა;
2. აწსუ-ში არსებული სამეცნიერო პოტენციალის ამსახველი საინფორმაციო ბაზის შექნა;
3. მონაცემების ანალიზისა და შეფასების მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება და მისი გამოყენება დარგობრივი სამეცნიერო მიმართულებების შეფასებაში;
4. კვლევის ხარისხის გაუმჯობესების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება დარგობრივი სპეციფიკების გათვალისწინებით.

პროექტი არ დაფინანსდა დონორების მიერ, თუმცა პროექტში დაგეგმილი სამუშაოების განხორციელება შემდგომში ისევ საკუთარი ძალებითა და სხვა დონორი ორგანიზაციების (CTC, PIN) დახმარებით დაიწყო. ამ სამუშაოებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

- 2017 წელს დაიწყო მუშაობა აწსუ-ს განახლებულ სტრატეგიაზე, რომელშიც ერთ-ერთ პრიორიტეტად დაისახა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესება;
- შემუშავდა დოკუმენტი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შესახებ (დადგენილება № 102 (02.02.17); ფაკულტეტებზე შექმნილი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საქმიანობა ფასდება დადგენილებაში აღწერილი პროცედურის მიხედვით.
- შემუშავდა დოკუმენტი აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის, ხელშეკრულებითა და საათობრივად მოწვეული სპეციალისტების სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმატივების განსაზღვრის, დამტკიცების, აღრიცხვისა და შესრულების შემოწმების წესი (აწსუ-ს



აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 დეკემბრის #29 (17/18) დადგენილება). დოკუმენტში განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის, ხელშეკრულებითა და საათობრივად მოწვეული სპეციალისტების ინდივიდუალური დატვირთვით განსაზღვრული სამუშაოს პირველადი შეფასების პროცედურები.

- 2017 წლის ნოემბერ-დეკემბერში აწსუ-ს მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა ჩაატარა კვლევა, რომლის მიზანი იყო „აწსუ-ს აკადემიური პერსონალის სამუშაოთი კმაყოფილებისა და კვლევებში ჩართულობის შესახებ“ ინფორმაციის შეგროვება.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 268 რესპოდენტმა უნივერსიტეტის ცხრა ფაკულტეტიდან. უნივერსიტეტმა გამოაქვეყნა ანგარიში განხორციელებული კვლევების შესახებ. შეფასების შედეგები გათვალისწინებული იქნება კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.

2017 წელს აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, რომელიც ეყრდნობა სამ ძირითად პოლიტიკას. მათგან ერთ-ერთია კვლევის განვითარების პოლიტიკა, განსაზღვრავს აწსუ-ს წიაღში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასებისას სახელმძღვანელო პრინციპებს.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემა წარმოადგენს უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მექანიზმს და მოიცავს, ერთი მხრივ, აკადემიური პერსონალის, ხოლო მეორე მხრივ - სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების კვლევითი საქმიანობის შეფასებას.

შეფასებისას გამოიყენება შესაბამის წესებში და რეგულაციებში განსაზღვრული შეფასების ინსტრუმენტები და პროცედურები. რეგულარულად ახლდება აკადემიური პერსონალის საქმიანობისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების კვლევითი საქმიანობის შესახებ არსებული მონაცემები და განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების სისტემით შესაძლებელია შეფასდეს როგორც კვლევითი საქმიანობის ხარისხი, ასევე პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა. შეფასება ხდება პერიოდულად და დაფუძნებულია როდენობრივ და ხარისხობრივ ინდიკატორებზე. შეფასებისათვის გამოიყენება:

- ანგარიშგების გზით მიღებული ინფორმაცია;
- პირველადი მონაცემების წყაროები: Web of Science / Book Citation Index; Scopus; Google Scholar; Clarivate Analytics;
- სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მონაცემები და შესაბამისი ანგარიშები;
- კოლეგების, აგრეთვე დამოუკიდებელ მკვლევართა შეფასებები.

ფაკულტეტზე შეგროვებულ მონაცემებს აანალიზებს შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ასახავს შესაბამის ანგარიშებში, რომლებსაც აწვდის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

კვლევითი საქმიანობის ხარისხის და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები (ასევე შესაბამისი ინდიკატორები, რომლებიც დაწვრილებითაა აღწერილი კვლევის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტში):

1. სამეცნიერო სტატია
1. საგრანტო პროექტები
2. სასწავლო/შემოქმედებითი პროექტები
3. სამეცნიერო კონფერენციები/ სიმპოზიუმები (მონაწილეობა და/ან ორგანიზება)
4. გამოცემული სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები
5. საავტორო უფლება, პატენტი, პრიორიტეტი სასარგებლო მოდელზე
6. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დანერგვა-კომერციალიზაცია
7. საექსპერტო/საკონსულტაციო მომსახურება
8. სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია.

აკადემიური პერსონალის შეფასების ინსტრუმენტად განისაზღვრება წლიური თვითშეფასების ანგარიში. თვითშეფასების საფუძველზე შეგროვებული მონაცემებს აანალიზებს შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ასახავს შესაბამის ანგარიშებში, რომლებსაც აწვდის რექტორს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურებს, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ყველა უფლებამოსილ პირს ან კოლეგიურ ორგანოს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტებიდან მიღებული მონაცემებისა და პირველადი შეფასების, ასევე შესაბამისი სამსახურებიდან მიღებული ანგარიშების საფუძველზე ამზადებს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების ანგარიშს, რომელსაც უგზავნის



- რექტორს;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს;
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს;
- საჭიროების შემთხვევაში, ყველა უფლებამოსილ პირს ან კოლეგიურ ორგანოს.

უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების შედეგად გამოვლენილი კვლევითი საქმიანობის კარგი პრაქტიკის გაზიარებასა და წახალისებას კოორდინირებას უწევს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური. ეს შესაძლებლობას მისცემს უნივერსიტეტს შექმნას განსაკუთრებული პირობები საერთაშორისო ასპარეზზე გამორჩეული პერსონალისათვის და ეფექტურად გამოიყენოს მხარდაჭერი მექანიზმები კვლევითი საქმიანობის ხარისხის განვითარებისათვის.

ყოველი წლის ბოლოს უნივერსიტეტი დაინტერესებულ საზოგადოებას წარუდგენს მიმდინარე წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშს.

უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემა წარმოადგენს განვითარებაზე ორიენტირებულ, უწყვეტი შეფასების პროცესს და ეფუძნება PDCA პრინციპს. კვლევის ხარისხის შეფასების პროცედურა მოიცავს კვლევის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტების/ინდიკატორების შემუშავებას და მუდმივ განვითარებას, მათი გამოყენების საფუძველზე კვლევის ხარისხის გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია და კვლევის განვითარების პოლიტიკა (დანართი 11);
- აკადემიური პერსონალის CV (დანართი 25);
- განხორციელებული კვლევების შესახებ ანგარიში (დანართი 37, დანართი 42);

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

ძლიერი მხარეები

- ახორციელებს ფუნდამენტურ და/ან გამოყენებით კვლევებს/შემოქმედებით საქმიანობას, რომელსაც წვლილი შეაქვს მეცნიერულ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ა.შ. განვითარებაში რეგიონულ, ეროვნულ და/ან საერთაშორისო დონეზე;
- საქმიანობაში წარმოდგენილია და/ან დაგეგმილია კომპლექსური კვლევითი/განვითარების/სახელოვნებო-შემოქმედებითი აქტივობები;
- მკაფიოდ ჩამოყალიბებული დოქტორანტის/მკვლევრის ხელმძღვანელის ფუნქციები;
- სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები
- კვლევების დაფინანსების საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები.
- შექმნილია ერთიანი კვლევის განვითარების პოლიტიკა, რომელიც კორელაციაშია სტრატეგიულ გეგმასთან.

გასაუმჯობესებელი მხარეები

- კვლევებისა და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების ეფექტიანი ანგარიშგებისა და შეფასების სისტემის განვითარება;
- საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით ერთობლივი კვლევითი აქტივობების ხელშეწყობა;
- საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ფართო ინტეგრაციის მიზნით გასაუმჯობესებელია აკადემიური და კვლევითი პერსონალის კომპეტენციები (საპროექტო წინადადების მომზადება, უცხო ენის ფლობა, მაღალრეიტინგულ რეფერირებად ჟურნალებში სტატიების წარდგენის, კვლევის დიზაინი) .
- გასაუმჯობესებელია ახალგაზრდა მეცნიერთა მოზიდვისა და კარიერული ზრდის მექანიზმების ეფექტიანობა.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების უცხოელი და ადგილობრივი პროფესორების თანახელმძღვანელობის ხელშეწყობა.



7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ს მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას


<p>7.1. მატერიალური რესურსი</p> <ul style="list-style-type: none"> • უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას; • დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა; • დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა; • დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
<p>აღწერა და შეფასება</p> <p>სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში/მართლობაში მფლობელობაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონება გამოიყენება უნივერსიტეტის მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, სასწავლო და კვლევით მიზნებს და სტუდენტთა დაგეგმილ რაოდენობას.</p> <p>აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს 2018 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, მართლობაში მფლობელობაში გააჩნია 22 კორპუსი, რომელთაგანაც 16 გამოყენებულია სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით, დანარჩენი შენობა ამ ეტაპზე გამოიყენება არასასწავლო დანიშნულებით. მათ შორის, საერთო საცხოვრებლისათვის, სპორტული დარბაზების, კლუბის, სასაწყობე-სამეურნეო, ინვენტარის განთავსებისა და სხვა არასასწავლო მიზნებისათვის. უძრავი ქონება რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ბაზაში და მინიჭებული აქვს შესაბამისი საკადასტრო კოდები. მომზადებულია აზომვითი ნახაზები, რომლებშიც გამიჯნულია სასწავლო და დამხმარე ფართი. უნივერსიტეტის სასწავლო ფართი შედგება ყველა სასწავლო კორპუსში განთავსებული სასწავლო აუდიტორიებისაგან, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიებისაგან, საკონფერენციო დარბაზებისგან, საბიბლიოთეკო სივრცეებისაგან (გარდა წიგნსაცავისა), საპროფესორებისაგან. სასწავლო ფართის მოწყობა-გაუმჯობესების მიზნით ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, უნივერსიტეტის ყველა მისამართზე ფაკულტეტების მოთხოვნების შესაბამისად, გარემონტდა სასწავლო აუდიტორიები, ფოიეები, მოეწყო და გადაიარაღდა სასწავლო კვლევითი ლაბორატორიები. ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით შექმნილი და გადაიარაღებული ლაბორატორიების ნაწილი სპეციფიკის გათვალისწინებით ემსახურება რამდენიმე ფაკულტეტს (მაგალითად ქიმიის ლაბორატორია - საბუნებისმეტყველო, საინჟინრო-ტექნოლოგიურ და მედიცინის ფაკულტეტებს). ამ ეტაპზე არსებული სააუდიტორიო ფონდი (რაოდენობა) საკმარისი მინიმუმია უნივერსიტეტში არსებულ სტუდენტთა მოსახურების მიზნით. სასწავლო შენობებში გამოყენებული ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა სათანადოდ მოწყობილია, აღჭურვილია ავეჯით, ტექნიკით და სწავლებისათვის საჭირო ინვენტარით. საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკაციების გათვალისწინებით სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები უმეტეს შემთხვევაში განლაგებულია კორპუსებში ფაკულტეტების განლაგების შესაბამისად.</p> <p>უნივერსიტეტს გააჩნია მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით შესაბამისი სპეციფიკაციის ლაბორატორიები. მათ შორის საბუნებისმეტყველო, გეოლოგიის, კომპიუტერული, კლინიკური უნარების, ფარმაციის, ფარმაცევტული ტექნოლოგიების, კვების ტექნოლოგიების, ტყავ-ფეხსაცმლის, დიზაინის, ტრანსპორტის და სხვა დანიშნულების ლაბორატორიები, იმიტრებული სასამართლო პროცესის აუდიტორია და სხვა. უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებულ კვლევით ბაზებზე (მაგ. სენაკის რაიონის სოფ. ნოსირი) ეწყობა ექსპედიციები, პრაქტიკული სწავლებები და ტრენინგები სტუდენტებისათვის როგორც პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული ცოდნის ამადლების, ასევე სხვა დამატებითი უნარების გამომუშავებისათვის. უნივერსიტეტი სარგებლობს პარტნიორი ორგანიზაციების სამეცნიერო-კვლევითი და კლინიკური ლაბორატორია-ბაზებით, რომელთაგან გაფორმებულია სარგებლობის მიზნით შესაბამისი ხელშეკრულებები. უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის მემშვეობით ხორციელდება სტუდენტთა და თანამშრომელთა ტრანსპორტირება, იქნება ეს: მივლინება, ექსპედიციები, სტუდენტთა მოზიდვის ღონისძიებები, უნივერსიტეტის საიმჯოო თუ პოპულარიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები.</p>



საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით ფაკულტეტების მხრიდან განსაზღვრულია თითოეულ პროგრამაში გამოსაყენებელი(არსებული) მატერიალური რესურსი, საჭიროების შემთხვევაში მითითებულია დამატებით საჭირო რესურსის მოცულობა, რომელიც გათვალისწინებული იქნება მომდევნო წლის(წლების) ბიუჯეტის ფორმირებისას.

ლაბორატორიები აღჭურვილია სწავლებისა და კვლევისათვის საჭირო ინვენტარითა და მასალებით. მათი შესყიდვა-განახლება ხორციელდება ყოველწლიურად ფაკულტეტების მხრიდან წარმოდგენილი საბიუჯეტო პროექტების (განაცხადების) შესაბამისად მათი ფინანსური რესურსის გათვალისწინებით. შესყიდული ლაბორატორიული მასალა-რეაქტივები სპეციფიკაციისა და უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით ინახება პასუხისმგებელ პირთან ლაბორატორიაში ან სპეციალურად აღნიშნული მასალა-რეაქტივისათვის გამოყოფილ საცავში.

2012 წლიდან 2017 წლამდე თითქმის 3-ჯერ არის გაზრდილი ლაბორატორიული აღჭურვილობისა და კვლევისათვის საჭირო ინვენტარის და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების (არაფინანსური აქტივების შესყიდვის) მოცულობა. რაც დინამიკაშიც ნათლად სჩანს:



უნივერსიტეტის ყველა სასწავლო კორპუსში განთავსებულია: ფოიე, სარეკრეაციო სივრცეები, სასწავლო აუდიტორიები, სანიტარული კვანძები, სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები. ყველა მისამართზე განთავსებულია საკონფერენციო დარბაზები, ბიბლიოთეკა, ჯგუფური მუშაობის სივრცეები და ადმინისტრაციული სთავსოები. ლაბორატორიული სივრცეებში დაცულია უსაფრთხოების ნორმები, რომლის უშუალო კონტროლს ახორციელებს დეპარტამენტის/პროგრამის ხელმძღვანელი, ხოლო ზოგად კონტროლს მატერიალური რესურსების მართვის განყოფილება.

უნივერსიტეტში ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ამ მიმართულებით გატარებული ღონისძიებები და ქმედებები, შესაბამისაა უნივერსიტეტის მისიას, სასწავლო და კვლევით მიზნებს და სტუდენტთა დაგეგმილ რაოდენობას. ამავდროულად გაზრდილი მოთხოვნების, არსებულის ხარისხის გაუმჯობესებისა და მომავალში სტუდენტთა რაოდენობის ზრდის სურვილის გამო სტანდარტთან მიმართებით დაგეგმილი გვაქვს სტრატეგიულ გეგმის შესაბამისად შემდგომი შვიდი წლის განმავლობაში სასწავლო კორპუსების სააუდიტორიო ფონდის დამატებით მოწყობა-გარემონტება. სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიული ბაზის გაძლიერება.

დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სანიტარული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ელექტროენერჯის მიწოდებით. ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემის შემუშავების მიზნით საბიბლიოთეკო კორპუსის მშენებლობისას 2017 წელს სამშენებლო დოკუმენტაციაში გათვალისწინებული იქნა შესაბამისი სისტემის მოწყობა. აღნიშნული სისტემა 2018 წლიდან შევიდა ექსპლოატაციაში და სრულად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შესაბამის მისამართზე (თამარ მეფის #59) სტანდარტის დაკმაყოფილებას. გარდა აღნიშნულისა, დაწესებულებას ბალანსზე აქვს დიზელ-გენერატორები, რომლების გამოიყენება საჭიროების შემთხვევაში დანარჩენ მისამართებზე.

უნივერსიტეტის ყველა სასწავლო შენობაში მოწყობილია სანიტარული კვანძები, სანიტარულ კვანძებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, რაც კონტროლდება შესაბამისი სამსახურის მიერ უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად. სველი წერტილები მარაგდება მუდმივი წყლით, აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ყველა მისამართზე სრულყოფილად მოეწყო წყლის რეზერვუარები. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია უწყვეტი განათებით და ვენტილაციით, ამ ეტაპზე საბიბლიოთეკო კორპუსის სველი წერტილების ვენტილაცია ხორციელდება გათბობა-ვენტილაციის საერთო სისტემის მეშვეობით, ხოლო დანარჩენ მისამართებზე მძლავრი ელექტრო ვენტილატორებით. სანიტარული კვანძების შემდგომი მოწესრიგების და ექსპლუატაციის პროცესში სხვადასხვა ტიპის დაზიანებების დროული აღმოფხვრის მიზნით შესწავლილ იქნა დაზიანებების სპეციფიკაცია და სიხშირე. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შევიმუშავეთ შესყიდვების კანონმდებლობის დაცვით შესყიდვის განხორციელების პროცედურა, რომლის დროსაც უმოკლეს ვადაში განხორციელდება სხვადასხვა ტიპის მექანიკური დაზიანების აღმოფხვრა. კერძოდ; წინასწარ ხორციელდება შესყიდვის პროცედურა საჭირო მომსახურებაზე, (მაგ. ჩამრეცხი სისტემის, კარის საკეტის, დაზიანებული ონკანის შეცვლა მისივე მასალით).

ყველა სასწავლო კორპუსში სასწავლო ოთახებს აქვს როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. ბუნებრივია, წლების წინ შექმნილი ელექტრო სისტემა და მისი სიმძლავრე ვერ აკმაყოფილებდა არსებულ საჭიროებებიდან გამომდინარე (ელექტრომოწყობილობებისა და კოპიუტერული ტექნიკის რაოდენობრივი ზრდა) ელექტროენერჯიაზე გაზრდილ მოთხოვნილებას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად კორპუსების შიგა პერიმეტრებისა და სასწავლო ოთახების მოწყობის (გარემონტების) დროს ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ყველა სამუშაოს შესრულებისას კორპუსებში დამონტაჟდა ახალი ელექტრო სადენები, მოეწყო ახალი ელექტროკვანძები, რაც ამ ეტაპზე ქმნის სასწავლო ოთახებში ხელოვნური განათების შესაძლებლობას.

უნივერსიტეტის I II III IV V VII X XI XIII XV XVIII XIX XXII კორპუსებში დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა. ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ეტაპობრივად ექვს სასწავლო კორპუსში დამონტაჟდა გათბობის ცენტრალური სისტემა, მათ შორის 2017 წელს ოთხ კორპუსში. სასწავლო კორპუსებიდან ამ ეტაპზე ცენტრალური გათბობა არ არის მოწყობილი მხოლოდ VIII, IX ,XIV და XX კორპუსებში. აღნიშნულ კორპუსებში ამ ეტაპზე ლაბორატორიები თბება კოდიციონერებითა და ელექტროღუმელებით, ხოლო ლექციების ნაწილი დაგეგმილია იმავე მისამართზე ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფილ კორპუსებში.

უნივერსიტეტში ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოს გათვალისწინებით უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები სრულად უზრუნველყოფილია რიგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური განათების შესაძლებლობით, უნივერსიტეტის მოცულობის და გამტარობის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია სანიტარული კვანძების მუდმივი განახლება - რეაბილიტაცია. ამ მიზნით 2018 წლის დასაწყისში ხორციელდება II III IV კორპუსების და საერთო საცხოვრებლის სანიტარული კვანძების სარემონტო სამუშაოები. მომდევნო სამი წლის განმავლობაში დაგეგმილია შედარებით მოძველებული სველი წერტილების განახლება-გარემონტება. ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემის უზრუნველყოფისა და შემდგომი მოწესრიგების მიზნით 2018 წლის ბოლოდან დაგეგმილი კლუბის რეაბილიტაციის ფარგლებში, ახალგაზრდობის #98-ში შესაბამისი სისტემის შექმნა უზრუნველყოფს აღნიშნულ მისამართზე საკითხის მოწესრიგებას. დანარჩენ კორპუსებში დაგეგმილი გვაქვს ელექტროენერჯის უწყვეტი სისტემის სრული მოწესრიგება მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში. გათბობის ცენტრალური სისტემის რეაბილიტაციის მიზნით დარჩენილი ოთხი სასწავლო კორპუსის სრულად მოწესრიგება დაგეგმილი გვაქვს მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში.

დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.

უნივერსიტეტში შემუშავებულია და წარმოდგენილია საბჭოს მიერ დამტკიცებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ყველა კორპუსში მოეწყო ხანძარსაწინააღმდეგო სტენდები მათი გამოყენების შესაბამისი ინსტრუქციის დეტალური მითითებით. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია კომპეტენტური ორგანოს მიერ დამტკიცებული საევაკუაციო გეგმები. ყოველწლიურად ხორციელდება ხანძარსაწინააღმდეგო სტენდების გადაიარაღება და ცეცხლმაქრების



დამუხტვა. უნივერსიტეტის კორპუსებში მოწესრიგებულია საევაკუაციო გასასვლელი. უმეტესი სასწავლო კორპუსებიდან მინიმუმ ერთ-ერთი გასასვლელი კარი არ არის რკინის. უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და შესაბამისი სწავლების განხორციელების მიზნით 2017 წლის ოქტომბრის თვეში ქალაქის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ჩართულობით ჩატარდა კორპუსების ევაკუაციის სიმულაცია, რომელშიც ჩართული იყვნენ როგორც სტუდენტები, ასევე უნივერსიტეტის თანამშრომლები. სწავლების შედეგად უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურების თანამშრომელთა ჩართულობამ მოგვცა გამოცდილება საგანგებო სიტუაციების უკეთ მართვისა. უახლოეს მომავალში მსგავსი ღონისძიებების ჩატარება იგეგმება უნივერსიტეტის სხვა მისამართებზე ყოველწლიურად.

პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით უნივერსიტეტს ჰყავს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი. რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. დაწესებულებას ყველა მისამართზე მოწყობილი აქვს პირველადი დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტები, რომლებიც უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. 2016-2017 წლებში თამარ მეფის და ახალგაზრდობის მისამართებზე სრულად მოეწყო (განახლდა) სამედიცინო პუნქტების ინფრასტრუქტურა, რომელიც მუდმივად მარაგდება ცივი და ცხელი წყლით. შექმნილ იქნა სპეციფიკური აღჭურვილობა მათი საჭიროებებიდან გამომდინარე. სამედიცინო კაბინეტებში პერსონალის მხრიდან ხორციელდება პირველადი დახმარების აღმოჩენა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სასწრაფო დახმარების გამოძახება. უნივერსიტეტი ყოველწლიურად ბიუჯეტში და შესაბამისად შესყიდვების გეგმაში ითვალისწინებს სამედიცინო მედიკამენტებისა და აღჭურვილობის ხარჯებს. მედიკამენტების შექმნის მიზნით ადმინისტრაცია ყოველწლიურად განიხილავს სამედიცინო პერსონალის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს წინა წელს (პერიოდში) გახარჯული მასალების შესახებ. ანგარიშში ასახულია ყველაზე ხშირად მოთხოვნილი მედიკამენტებისა და აღჭურვილობის შესახებ ინფორმაცია. მაგალითად 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, ყველაზე მოთხოვნილი მედიკამენტები იყო კაპტოპრილი, კორვალოლი, ვამელანი და ნოშპა, ხოლო აღჭურვილობიდან - წნევის მზომი აპარატი. 2018 წლის დასაწყისში, ბუნებრივია, სამედიცინო პუნქტის მატერიალური პასუხისმგებელი პირის მიერ წარმოდგენილ განაცხადში ასახული იყო შესაბამის მედიკამენტებსა და აღჭურვილობაზე გაზრდილი მოთხოვნა შესყიდვის განხორციელების მიზნით. ახალი მოთხოვნა გათვალისწინებულ იქნა შესყიდვის პროცესში. შექმნილი საქონელი არსებული წესით გადაეცემა სამედიცინო კაბინეტებს შემდგომი გამოყენების მიზნით.

დაწესებულების შენობების მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფილია წესრიგის დაცვა. უნივერსიტეტის კორპუსები განლაგებულია ქალაქ ქუთაისში შვიდ სხვადასხვა მისამართზე. ქალაქ ფოთში და სენაკის რაიონის სოფელ ნოსირში. მიწისა და შენობების მოცულობის, შენობის დატვირთვის ხარისხისა და დანიშნულების გათვალისწინებით, უნივერსიტეტში დაცვისა და უსაფრთხოების მომსახურება ხორციელდება როგორც უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელთა, ასევე არასაუწყებო დაცვის სამსახურის მიერ. უნივერსიტეტის მისამართებზე თამარ მეფის #59-ში და ტ.ტაბიძის 21-ში განთავსებულ კორპუსებში დაცვის მომსახურება ხორციელდება მომსახურე კომპანიის მხრიდან. აღნიშნული მომსახურების მიღების მიზნით ყოველი წლის დეკემბრის თვეში ვახორციელებთ შესყიდვის პროცედურას შესაბამისი სერვისის მიღებასთან დაკავშირებით. შესყიდვის პირობაში და შემდგომ ხელშეკრულებაში ზუსტად არის გაწერილი მომსახურე კომპანიისთვის შესასრულებელი პირობები, რომელიც წარმოადგენს მომსახურე კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.


უნივერსიტეტის დანარჩენ მისამართებზე წესრიგის დაცვას ახორციელებენ უნივერსიტეტის მიერ ხელშეკრულებით აყვანილი დაცვის თანამშრომლები, რომლებიც ექვემდებარებიან მატერიალური რესურსების მართვის განყოფილებას. მათი სამუშაო სპეციფიკას და ვალდებულებებს წინასწარ ეცნობა შესაბამისი პირი, რის შემდგომაც ფორმდება მასსა და უნივერსიტეტს შორის ხელშეკრულება შესაბამისი პოლიციაზე. უნივერსიტეტის ყველა კორპუსისა და მიმდებარე ტერიტორიის დაცვა ხორციელდება 24 საათიანი რეჟიმით.

წესრიგის დაცვის მიზნით დაწესებულებას შენობების შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული აქვს ვიდეოჩანაწერის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერები. პირველად 2012 წელს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ მისამართზე დამონტაჟდა ვიდეო კონტროლის სისტემა, რომელიც სულ რამდენიმე სათვალთვალო კამერას მოიცავდა. მომდევნო წლებში ეტაპობრივად იძენდა აპარატურას. მხოლოდ 2017 წელს შეიქმნა 51 ათასი ლარის ფარგლებში უნივერსიტეტის ხუთ მისამართზე ახალი ვიდეოკონტროლის სისტემა, თითოეულ მისამართზე მინიმუმ ოთხი სათვალთვალო კამერით. აღნიშნულ პერიოდში შექმნილი აპარატურა სიმძლავრითა და მოცულობით აღემატება ამ პერიოდამდე არსებული აპარატურის შესაძლებლობებს. მიმდინარე წელს დაგეგმილია ფოთის ფაკულტეტზე ვიდეოკონტროლის სისტემის მოწყობა, ხოლო დანარჩენ მისამართებზე არსებული სისტემის ფარგლებში კამერების დამატება და დაფარვის ზონის გაფართოება.

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის.



ადაპტირებული გარემოს შექმნის მიზნით უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებში სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის დაიგეგმა და განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები. ამ მიმართულებით განსაკუთრებით მუშაობა გააქტიურდა 2012 წლიდან. კერძოდ: 2011 წლისათვის უნივერსიტეტის ადაპტირებული გარემო არსებულ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა დაახლოებით 5%-ით, ამ ეტაპზე სტანტარტის მოთხოვნები თითქმის 90%-ით დაკმაყოფილებულია.



ადაპტირებული გარემოს ზოგადი სტანდარტის დაკმაყოფილების მიზნით უნივერსიტეტმა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შეიმუშავა და განახორციელა გეგმა სსსმ პირების საჭიროებებიდან გამომდინარე შემდეგი თანმიმდევრობით:

- სსსმ პირთათვის პანდუსის მოწყობა;
- სსსმ პირთათვის სველი წერტილების მოწყობა;
- სსსმ პირთათვის ლიფტების მოწყობა;

განხორციელებული სამუშაოების გათვალისწინებით საუნივერსიტეტო სივრცეში სსსმ პირთათვის შესაძლებელი გახდა შემდეგი მომსახურების (სერვისების) მიღება:

- წვდომა სასწავლო აუდიტორიებთან;
- სსსმ პირის სპეციალობის შესაბამის სპეციფიკაციის ლაბორატორიებთან;
- კომპიუტერულ კლასებთან;
- სტუდენტურ სერვისებთან;
- ბიბლიოთეკასთან;
- ადმინისტრაციასა და შესაბამის სამსახურებთან;

უნივერსიტეტის კორპუსებში, კერძოდ; I, II, III, IV, V, VII, VIII, IX, XI, XIII, XVIII, XIX, XX და საბიბლიოთეკო კორპუსებში არის მოწყობილი პანდუსები, რაც საშუალებას იძლევა წვდომა გვექონდეს I სართულზე განთავსებულ სივრცეებზე. 2017 წელს II და საბიბლიოთეკო კორპუსში მოეწყო ლიფტი, რაც საშუალებას იძლევა წვდომა გვექონდეს ყველა სართულზე ნებისმიერ სერვისთან. უნივერსიტეტის ნებისმიერი კორპუსიდან შესაძლებელია წვდომა ადმინისტრაციასთან, კანცელარიასთან, ბიბლიოთეკასთან, აუდიტორიებთან, კომპიუტერულ კლასებთან, სტუდენტურ სერვისებთან, საფინანსო სამსახურთან, სტუდენტურ თვითმმართველობასთან, სანიტარულ კვანძებთან, სამედიცინო ცენტრებთან, ავტოსადგომთან. ადაპტირებული სანიტარული კვანძები განთავსებულია IV, VII, VIII, IX, XI, XVIII, XIX, XX და საბიბლიოთეკო კორპუსების I სართულებზე, ხოლო სამედიცინო ცენტრები III, VII, XIX, XX კორპუსების I სართულებზე და XIII, XVIII კორპუსების II სართულებზე.

2018 წლის დასაწყისისათვის უნივერსიტეტი მინიმალურად აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც საჭიროა სპეციალური საჭიროების მქონე პირთა მომსახურებისათვის. აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით



სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების განთავსების მიზნით სპეციალობის სპეციფიკიდან გამომდინარე ხორციელდება შესაბამისი სტუდენტის სასწავლო პროცესის დაგეგმვა (მათ შორის სხვადასხვა მისამართზე) სრულყოფილი ადაპტირებული გარემოს გამოყენების მიზნით. 2017 წლიდან ხორციელდება შესაბამისი საჭიროების მქონე სტუდენტთა სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა.

დაწესებულებაში განსაზღვრულია აღნიშნული საჭიროებების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს შემდგომი მოწყობა-განვითარების გეგმა, რომელიც გულისხმობს ეტაპობრივად 5 წლის განმავლობაში დამატებითი ლიფტების და სანიტარული კვანძების მოწყობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საკუთრებაში/მართლობაში მფლობელობაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონება (დანართი 43, დანართი 44);
- შედა აზომვითი ნახაზები (დანართი 67);
- აწსუ-ს ბიუჯეტი (დანართი 57);
- აწსუ-ს სტრატეგიული გეგმა (დანართი 1);
- აწსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშები, (დანართი 5).

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები


- ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

აღწერა და შეფასება

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკას საფუძველი ჩაეყარა 1933 წელს აკად. გიორგი ახვლედიანის თაოსნობით და იგი ამჟამად ერთ-ერთი უმდიდრესია საქართველოში.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში გაერთიანებულია ნ. მუსხელიშვილისა და სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტების ბიბლიოთეკების კოლექციები.

ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ბიბლიოთეკის განვითარებაზე და, განსაკუთრებით, წიგნად ფონდზე დახარჯული თანხები.






პერიოდული გამოცემები (შეძენილი)



წიგნები (დონაცია)



პერიოდული გამოცემები (დონაცია)



დიაგრამაში 2012-14 წლებში შემოწირულობა მაღალია, რადგანაც 2001-2014 წლებში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მოქმედებდა „ჯურნალების უსასყიდლოდ გადაცემის“ პროექტი (JDP - Journal Donation Project), რომლის ფარგლებშიც ბიბლიოთეკა ღებულობდა ხუთ დასახელების ჟურნალს.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას გააჩნია 11 სამკითხველო დარბაზი 292 ადგილით:

- სამკითხველო დარბაზი (90 ადგილი) – I კორპუსი, ქუთაისი, თამარ მეფის ქ.№59,
- სამკითხველო დარბაზი (10 ადგილი) – II კორპუსი, ქუთაისი, თამარ მეფის ქ.№59,
- სამკითხველო დარბაზი (40 ადგილი) – IIბ კორპუსი, ქუთაისი, თამარ მეფის ქ.№59,
- სამკითხველო დარბაზი (10 ადგილი) – III კორპუსი, ქუთაისი, თამარ მეფის ქ.№59,
- სამკითხველო დარბაზი (15 ადგილი) – III კორპუსი, ქუთაისი, თამარ მეფის ქ.№59,
- სამკითხველო დარბაზი (35 ადგილი) – IV კორპუსი, ქუთაისი, თამარ მეფის ქ.№59,



- სამკითხველო დარბაზი (30 ადგილი) – VII კორპუსი, ქუთაისი, ახალგაზრდობის გამ.№98,
- სამკითხველო დარბაზი (20 ადგილი) – XIII კორპუსი, ქუთაისი, ახალგაზრდობის მე-2 შ.№24,
- სამკითხველო დარბაზი (16 ადგილი) – XVIII კორპუსი, ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №21ა,
- სამკითხველო დარბაზი (21 ადგილი) – XIX კორპუსი, ქუთაისი, შერვაშიძის ქ.№53,
- სამკითხველო დარბაზი (5 ადგილი) – XX კორპუსი, ფოთი, 9 აპრილი ქ.№11.

2017 წელს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და განახლებაში მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩაიდო. აშენდა ახალი საბიბლიოთეკო კორპუსი, სადაც გარდა ბიბლიოთეკის ადმინისტრაციული ოთახებისა, განთავსებულია 3 სამკითხველო დარბაზი (მათ შორის ერთი საკონფერენციო დარბაზად გამოიყენება), თავისუფალი ზონები, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის ოთახები. ბიბლიოთეკის საცავი აღჭურვილია თანამედროვე ცეცხლსაწინააღმდეგო სისტემით (გაზით ავტომატური ხანძარქრობის სისტემა, ცეცხლმაქრ გაზად გამოყენებულია ახალი ტექნოლოგიის გაზი NOVEC 1230). 2018 წელს დაგეგმილია 4 ახალი სამკითხველო დარბაზის გახსნა:

- სამკითხველო დარბაზი (50 ადგილი) – VII კორპუსი, ქუთაისი, ახალგაზრდობის გამ.№98,
- სამკითხველო დარბაზი (30 ადგილი) – XI კორპუსი, ქუთაისი, ახალგაზრდობის გამ.№98,
- სამკითხველო დარბაზი (50 ადგილი) – XXII კორპუსი, ქუთაისი, ტაბიძის გამ.№18,
- სამკითხველო დარბაზი (30 ადგილი) – XXII კორპუსი, ქუთაისი, ტაბიძის გამ.№18.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მუშაობს კვირაში ექვს დღეს (ორშაბათი-შაბათი 9.00 სთ. – 19.00 სთ.), თუმცა ახალი საბიბლიოთეკო კორპუსის სრული დატვირთვით ამუშავების შემდეგ შესაძლებელია მკითხველის/მომხმარებლის ინტერესების კვლავ გათვალისწინება (ბიბლიოთეკა მუშაობდა ოშაბათი-შაბათი 10 სთ. – 17 სთ.).

ბიბლიოთეკის მკითხველს/მომხმარებელს საშუალება აქვს ისარგებლოს, როგორც ბარათული, ასევე ელექტრონული კატალოგით (დისტანციურად მოიძიოს სასურველი საბიბლიოთეკო მასალა).

ბარათული კატალოგების სამი სახეობაა წარმოდგენილი აწეს ბიბლიოთეკაში: ანბანური, სისტემატური და საგნობრივი.

2011 წლიდან ფუნქციონირებს ელექტრონული კატალოგი (<http://atsu.library.ac.ge>), რომელიც წარმოადგენს ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემას (ILS-Integrated Library System) და მოიცავს შემეგ ძირითად ფუნქციებს:

- რესურსების კატალოგიზაცია/ინვენტარიზაცია
- ვებ-კატალოგი (OPAC- Online Public Access Catalogue)
- ცირკულაცია
- ანგარიშგება (რეპორტინგი)
- სინქრონიზაცია სხვა ანალოგებთან.

ელექტრონულ კატალოგში ჩაშენებულია მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი გუტენბერგის ბიბლიოთეკა (მთლიანდ გაციფრებულია), რომელიც საშუალებას აძლევს ჩვენს მკითხველს/მომხმარებელს ერთი ფანჯრის პრინციპით მოიძიოს და გამოიყენოს მასში განთავსებული წიგნები. ელექტრონული კატალოგი დაფუძნებულია MARC21 სტანდარტზე. მასში ჩანაწერების რაოდენობა დღეისათვის შეადგენს 38 600 ერთეულს, თუმცა დაგეგმილია რაოდენობრივი მაჩვენებლის ზრდა ადამიანური რესურსების ზრდის ხარჯზე (შესაბამისი დიაგრამა მოცემულია მომდევნო გვერდზე).

2018 წლიდან დაგეგმილია ცირკულაციის ფუნქციის ჩართვა, რაც გულისხმობს საბიბლიოთეკო ერთეულების მართვას, მათი გატანა-დაბრუნებისა და ამჟამინდელი მდგომარეობის (დაკავებულია, ხელმისაწვდომია, მუშავდება და სხვა) კონტროლს, აგრეთვე მომხმარებლის დამატებას, წაშლას თუ სხვა მოქმედებას მათ მიმართ.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას გააჩნია მდიდარი წიგნადი ფონდი და მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები.

➢ **წიგნადი ფონდი (ბეჭდური)**

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი დღეისათვის დაახლოებით 676 173 ერთეულს მოიცავს და იგი პერმანენტულად იზრდება შეძენილი და საჩუქრად შემოსული საბიბლიოთეკო მასალებით. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების პროგრამაში მითითებულ ლიტერატურას.



➤ **ელექტრონული რესურსები და ელექტრონული ბიბლიოთეკა**

ბეჭდურის გარდა, აწსუ ბიბლიოთეკას გააჩნია ელექტრონული რესურსები, როგორც: ელექტრონული წიგნები, აუდიო წიგნები, აუდიო-ვიდეო ლექციები და სასწავლო მასალები, პერიოდული გამოცემები და სხვა. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკა (<http://library.atsu.edu.ge>) მოიცავს ყველა შინაარსის ელექტრონულ ლიტერატურას. მასზე წვდომა შესაძლებელია, როგორც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან, ასევე მის მიღმა. დღეისათვის ელ. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 760 ელექტრონული წიგნი და დარეგისტრირებულია 1 012 მკითხველი/მომხმარებელი (ელ. ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს 2017 წლის აპრილიდან).

➤ **ელექტრონული ბაზები**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს წვდომას მრავალფეროვან ელექტრონულ რესურსებზე (http://atsu.edu.ge/index.php?option=com_sppagebuilder&view=page&id=28&lang=en), რომლებიც აერთიანებს ათასობით სამეცნიერო ჟურნალსა და წიგნს. დღეისათვის, ყველა ელექტრონული ბაზა ხელმისაწვდომია მხოლოდ უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელიდან, თუმცა სამომავლოდ დაგეგმილია ელექტრონული რესურსები მკითხველისათვის/ მომხმარებელთათვის ხელმისაწვდომი გავხადოთ ნებისმიერი ადგილიდან.

ბიბლიოთეკა მკითხველს/მომხმარებელს სთავაზობს ელ. ბაზების გამოყენების ტრენინგებს (მხოლოდ 2017 წელს ჩატარდა 35 ტრენინგი: აკადემიური პრესონალი 400 , სტუდენტი - 2000, დოქტორანტი - 100, სხვა დაინტერესებული პირი - 500).

➤ **ბიბლიოთეკათმორისი აზონემენტი**

ბიბლიოთეკა ყველა დაინტერესებულ მკითხველს/მომხმარებელს სთავაზობს ბიბლიოთეკათმორის მომსახურებას, რომელიც გულისხმობს სხვა ბიბლიოთეკებიდან დროებით ისეთი კოლექციებით სარგებლობას, რომელიც ჩვენს ბიბლიოთეკაში არ მოიპოვება.

➤ **სამკითხველო დარბაზში წიგნების ელექტრონული შეკვეთა**


ბიბლიოთეკაში მოქმედებს წიგნების ელექტრონული შეკვეთა სასურველ სამკითხველო დარბაზში. დღეისათვის, მხოლოდ ორ სამკითხველო დარბაზშია (I კორპუსის და IV კორპუსის) აღნიშნული სერვისი ხელმისაწვდომი, თუმც 2018 წელს ყველა დარბაზს მოვიცავთ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ზრუნავს საბიბლიოთეკო სერვისების გაუმჯობესებასა და განვითარებაზე. ამ მიზნით, იგი პერმანენტულად ატარებს გამოკითხვებს და კვლევებს. 2017 წლის ნოემბერში ჩატარდა გამოკითხვა „აწსუ-ს აკადემიური პრესონალის სამუშაოთი კმაყოფილებისა და ჩართულობის შესახებ“, ხოლო დეკემბერში „აწსუ-ს სტუდენტების ჩართულობისა და კმაყოფილების კვლევა“.



უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული რომელი სერვისებით სარგებლობთ/გისარგებლიათ? (მიუთითეთ ყველა შესაბამისი პასუხი)


269 პასუხი



გამოკითხულითა 79,9% –ს აქვს წვდომა საბიბლიოთეკო რესურსზე.


როგორ შეაფასებდით უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას?

5 4 3 2 1 მიჭირს პასუხის გაცემა






როგორ შეაფასებდით უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას?



როგორ შეაფასებდით?



მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიბლიოთეკის დებულება; (დანართი 7);
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, (დანართი 52);
- ბიბლიოთეკის ვებგვერდი http://atsu.edu.ge/index.php?option=com_sppagebuilder&view=page&id=27&lang=en
- უნივერსიტეტის ვებგვერდი <http://atsu.edu.ge>
- ელ. ბიბლიოთეკა <http://library.atstu.edu.ge>
- ელ. კატალოგი <http://atsu.library.ac.ge>
- ელ. ბაზები http://atsu.edu.ge/index.php?option=com_sppagebuilder&view=page&id=28&lang=en
- ცნობა საინვენტარო წიგნებია შესახებ (დანართი 48) ;




7.3. საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა;
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგულია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები;
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

აღწერა და შეფასება

ინფორმაციული ტექნოლოგიებზე სულ უფრო მზარდ მოთხოვნებთან ერთად იზრდება/ფართოვდება/ცვლილებებს განიცდის უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა. ეს არის უწყვეტი პროცესი, რომელიც საჭიროებს მუდმივად დაკვირვებისა და შესწავლის რეჟიმში მუშაობას.

თუ 2011 წლისათვის უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურაში შედიოდა 500 ერთეულამდე კომპიუტერული ტექნიკა, დღეს იგი გაზრდილია 900 მდე.



მომხმარებელთა მხრიდან შემოსული განცხადებების საფუძველზე ხორციელდება კომპიუტერული ტექნიკის მდგომარეობის შესწავლა და საჭიროების შესაბამისად ხდება დაზიანებული სისტემების შეკეთება ან ახლით ჩანაცვლება (უნივერსიტეტის თანამშრომელი ტექნიკის უწყესრიგობის აღმოჩენის შემთხვევაში: წერილობით მიმართავს ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურს, განცხადებაში მკაფიოდ და კონკრეტულად უნდა იყოს ჩამოყალიბებული უწყესრიგობის არსი. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მოვალეობაა შეისწავლოს უწყესრიგობის გამომწვევი მიზეზი და მიიღოს ზომები მისი აღმოფხვრის მიზნით, კერძოდ: ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში შესაბამის საკვანძო დეტალების მოძიება და დაზიანების აღმოფხვრა თუ ეს შესაძლებელია მიმდინარე ეტაპზე უნივერსიტეტში არსებული რესურსების მეშვეობით, ხოლო პროგრამული უზრუნველყოფის ხარვეზის შემთხვევაში ახორციელებს აღდგენით სამუშაოებს).

უნივერსიტეტში მოწყობილია ზოგადი სტანდარტის შესაბამისი საუნივერსიტეტო ქსელი (Router -> Firewall -> ვარსკვლავური ტოპოლოგიის ლოკალური ქსელი) და საკაბელო ქსელით დაფარულია უნივერსიტეტის მთელი ტერიტორია (ტერიტორიული მოწყობის გამო ქსელი გაშლილია 5 დამოუკიდებელ ნაწილად. ამავე დროს თამარ



მეფისა და ახალგაზრდობის გამზირზე არსებულ უნივერსიტეტის კორპუსები დაკავშირებულია ერთმანეთთან და ქმნიან ერთ ლოკალურ ქსელს).

პერიოდულად ხორციელდება ქსელური ინფრასტრუქტურის ოპტიმიზაცია/გაახლება. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც ტექნოლოგიების განვითარებით, ისე უნივერსიტეტში მიმდინარე სტრუქტურულ ცვლილებებით. მიმდინარე წელს ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა 6 საკვანძო გამანაწილებელი წერტილის გაახლება უფრო მაღალი გამტარობის აპარატურით (100 მბ-ანი კვანძები ჩანაცვლდა 1000 მბ-ანით); 2020 წლის ბოლომდე უნდა გამოიცვალოს ყველა ძირითადი საკვანძო გამანაწილებელი წერტილები ტერიტორიული მოწყობის გათვალისწინებით.

დაბალია უნივერსიტეტის ტერიტორიის უსადენო ქსელით დაფარვის პროცენტული მაჩვენებელი (20%-სამკითხველო დარბაზები და ადმინისტრაციული კორპუსი), დაგეგმილია დაფარვის არის ეტაპობრივად გაზრდა და 2020 წლისათვის უსადენო ქსელით დაფარული იქნება უნივერსიტეტის ტერიტორიის მინიმუმ 50%.

თუ 2011 წლისათვის უნივერსიტეტის ელ. სერვისებით უზრუნველყოფას ემსახურებოდა 2 სერვერი, განვლილ პერიოდში უნივერსიტეტში დანერგილი სერვისების უზრუნველყოფას უკვე ემსახურება 5 ფიზიკური (9-ვირტუალური) სერვერი, რაც მიმდინარე ეტაპზე სრულად ფარავს უნივერსიტეტის საჭიროებებს.

გამართულია დომენური სისტემა. ცენტრალიზებულად ხორციელდება ოპერაციული სისტემისა და ანტივირუსული ბაზების განახლება.

2012 წლიდან უნივერსიტეტის კომპიუტერული პარკის პროგრამული უზრუნველყოფა ფუნქციონირებს კომპანია Microsoft-ის ლიცენზირებული პროგრამული პაკეტების საფუძველზე;

საინფორმაციო ტექნოლოგიებზე მოთხოვნების ზრდასთან ერთად გაიზარდა ინტერნეტ ტრაფიკის მოცულობაც, ამჟამად უნივერსიტეტს ემსახურება სახელმწიფო ტენდერში გამარჯვებული 2 ინტერნეტ-პროვაიდერი. ორივე მათგანიდან ინტერნეტის მოწოდება ხდება ოპტიკურ-ბოჭკოვანი არხის საშუალებით, კერძოდ:

მიმდინარე ხელშეკრულებით 2018 წლის 1 იანვრიდან ცენტრალურ სერვერზე (თამარ მეფის ქ. #59) მიღებული ინტერნეტის სიჩქარე განისაზღვრება 50 მბ/წმ-ით გლობალურ არხზე და 1000 მბ/წმ-ით ლოკალურ არხზე. (პროვაიდერი კომპანია „სილქნეტი“), ხოლო შემდეგ მისამართებზე განთავსებულ სასწავლო კორპუსებს მიეწოდებათ 100 მბ/წმ იანი პაკეტი: ქუთაისი, ტ.ტაბიძის ქ. №18, ახალგაზრდობის გამზ. №98, ახალგაზრდობის გამზ. მე-2 -შეს. №24, ჭავჭავაძის გამზ. № 21, შერვაშიძის ქ. №53, ქ.ფოთი 9 აპრილის ხეივანი №11 (პროვაიდერი კომპანია შპს „ახალი ქსელები“);

სარეზერვო ასლის შექმნა და მონაცემთა აღდგენის პოლიტიკის შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პერიოდულად ხორციელდება სერვერებზე განთავსებული მონაცემთა ბაზების ასლების აღება (BackUp) და საცავში გადანახვა (სამსახურში სპეციალურად გამოყოფილ სივრცეზე ხდება ყველა სარეზერვო ასლის შენახვა);

უნივერსიტეტი ინტერნეტში ჩართულია Firewall-ის ე.წ. მცველის დახმარებით, რომლის მართვის, გამოყენებისა და კონფიგურირების განაწესი განსაზღვრულია დამცავი ეკრანის გამოყენების პოლიტიკით;

ყველა კომპიუტერი აღჭურვილია ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩანერგილი (Install) ანტივირუსული პროგრამული უზრუნველყოფით. ანტივირუსული ბაზების განახლება ხორციელდება ცენტრალიზებულად (სერვერიდან).

კომპიუტერული ტექნიკა ჩართულია ინტერნეტში 24/7 რეჟიმით, როგორც პერსონალისათვის განკუთვნილ სამუშაო ოთახებში, ასევე ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებში და კომპიუტერულ კლასებში;


ამავე დროს სამუშაო დღის მანძილზე ფუნქციონირებს ე. წ. „თავისუფალი დასწრების“ ინტერნეტ ლაბორატორია (50 კომპიუტერი, თამარ მეფის ქუჩა #59), სადაც ნებისმიერ სტუდენტს/თანამშრომელს შეუძლია იმუშაოს კომპიუტერულ ტექნიკასთან.

2018 წელს დაგეგმილია ანალოგიური დანიშნულების სივრცის შექმნა ახალგაზრდობის გამზირი #98-ში.

➤ 2012 წელს უნივერსიტეტში გაიმართა ელექტრონული სწავლების პორტალი Moodle-ს პლატფორმაზე, რომელიც ეტაპობრივად განიცდიდა სახეცვლილებებს სისტემის განვითარებისა და უნივერსიტეტის საჭიროებებიდან გამომდინარე. დანერგვის პროცესში უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობდა, როგორც საქართველოს, ასევე უცხოურ უნივერსიტეტებთან გამოცდილების გაზიარების კუთხით. მათ შორის ნორვეგიული ორგანიზაცია Its learning, რომლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ლიცენზირებულმა ტრენერმა ქეთ სორნმა აწსუ-ს თანამშრომლებისათვის ჩაატარა ინტენსიური ტრენინგი ელექტრონული სასწავლო კურსის შექმნაში. ToT-ის პლატფორმის გამოყენების ვალდებულებით ტრენინგი გაიარა 20-მა აკადემიურმა პერსონალმა. 2017 წელს აწსუ-ს მოწვევით მიდლსექსის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯორჯ დეფოულასმა გასწია საექსპერტო მომსახურება და შეაფასა აწსუ-ს ელექტრონული კურსების ხარისხი. მის მიერ გაიცა რეკომენდაციები



ელექტრონული სწავლების სტანდარტების შექმნაზე. ამჟამად უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალი ფუნქციონირებს Moodle 3.3.2+ (Build: 20170928)-ს პლატფორმაზე (moodle.atssu.edu.ge), პორტალი ფიზიკურად განთავსებულია უნივერსიტეტის ლოკალურ ქსელში და ემსახურება ყველა ფაკულტეტს (სტუდენტებისთვის მასალების მიწოდება და საგამოცდო პროცესის წარმართვა - ტესტირება);



სისტემაში სულ დარეგისტრირებულია 129 კურსი, დარეგისტრირებულ მომხმარებელთა რაოდენობა უკვე აღემატება 8000-ს, კითხვების ბაზაში შეტანილია 18834 ჩანაწერი.

სასწავლო მიმართულებებზე გამოიყენება 100-მდე კურსი (იხ. დიაგრამა), ჯერჯერობით სრულყოფილად მომზადებული კურსების რაოდენობა არ აღემატება 20%-ს (ძირითადად გამოიყენება საგამოცდო ტესტებისათვის).

➤ 2016 წლიდან საპილოტე რეჟიმში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა (შექმნილია უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო გრანტის ფარგლებში), ამჟამად სისტემაში დარეგისტრირებულია I და II კურსი.

➤ 2010-2011 სასწავლო წლიდან საგამოცდო სექტორი ფუნქციონირებს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მიერ შექმნილი სპეციალური პროგრამით. პედაგოგებს ურიგდებათ საგამოცდო საკითხების/ტესტების ფორმა (Ms Word-ის ფაილის სახით). შევსებული ფორმა კორპორაციული ფოსტით ეგზავნება საგამოცდო სექტორს (პროცედურულად რეგულირდება რექტორის ბრძანებით #01-04/79 17.10.2017წ). პროგრამა უზრუნველყოფს მოწოდებული საკითხებიდან შემთხვევითი რიცხვების გენარატორის საშუალებით საგამოცდო ბილეთების ფორმირებას. ნაშრომის დაშიფრვა/გაშიფრვის პროცესი ხორციელდება სპეციალური პროგრამისა და ე.წ. ბარკოდერების დახმარებით.


➤ 2016 წელს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მიერ დამუშავდა დეკანატების სამუშაო ფორმები და ჩაიწერა სპეციალური მიკრო-პროგრამა, რომელიც საშუალებას იძლევა დაეგზავნოს თითოეულ სტუდენტს საგამოცდო სესიების შედეგები ინდივიდუალურად კორპორაციულ ფოსტაზე. პროგრამებში ცვლილებების შეტანა ხორციელდება ეტაპობრივად მომსახურე პერსონალის მოთხოვნებისა და უნივერსიტეტის საჭიროების გათვალისწინებით).

➤ 2013 წლიდან საუნივერსიტეტო კორპორაციული ფოსტის სერვისები განთავსდა კომპანია Microsoft-ის სერვერებზე და ფუნქციონირებს atssu.edu.ge დომენით. ამჟამად კორპორაციულ ფოსტაზე დარეგისტრირებული მომხმარებლების რაოდენობამ გადააჭარბა 17000-ს (თანამშრომლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები). ბოლო 6 თვის გამოყენების აქტივობა იხილეთ დიაგრამაზე.




7 days 30 days 90 days 180 days

ive users



- ამავე დროს სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გამოიყენონ თანმხლები სერვისები კერძოდ:
- კალენდარი - საკუთარი დღის წესრიგის შეტანა, დაგეგმილი ღონისძიებების ჩატარების თარიღების მითითება. სერვისი საშუალებას იძლევა გაუგზავნოს მომხმარებელს წინასწარი შეტყობინება/შესხენება;
 - ჯგუფებთან მუშაობა - მომხმარებლებს შეუძლიათ შექმნან საკუთარი მცირე ჯგუფები და მოახდინონ ამ ჯგუფთან კომუნიკაცია;
 - One Drive - ღრუბლოვანი ტექნოლოგიებით უზრუნველყოფილი დისკური სივრცე 50 გბ-ის ფარგლებში;
 - საოფისე პროგრამებზე „ონ ლაინ“ წვდომა;
 - გამოკითხვის ფორმების ორგანიზება და ა.შ.)
- თითოეულ სტუდენტს შეუძლია უფასოდ ჩამოიწეროს საოფისე პროგრამების პაკეტი და ჩანერგოს იგი 5 სხვადასხვა მოწყობილობაზე. ბოლო 6 თვის მონაცემებით ამ სერვისით ისარგებლა 836 მომხმარებელმა;

Office activations
836



- 2015 წლიდან უნივერსიტეტი ჩართულია დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემაში eflow.emis.ge;
- კონკრეტულ სამუშაო ადგილებზე გააქტიურებულია ნორმატიული აქტების ბაზა codex (ადმინისტრაცია, საფინანსო, მატერიალური რესურსები, იურიდიული სამსახური, სამართლის დეპარტამენტი);
- ელექტრონული კატალოგი (<http://atsu.library.ac.ge/eg/opac/home>);
- შიდა საუნივერსიტეტო ელექტრონული ბიბლიოთეკა (<http://library.atsu.edu.ge/lms/>);
- საბუღალტრო პროგრამა (info-ბუღალტერია).

ელექტრონული სერვისების/სისტემების განვითარება ხორციელდება საუნივერსიტეტო საქმიანობის საჭიროებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნებისა და ინიციატივების შესაბამისად (ამოცანის დასმა, სამოქმედო გეგმის შედგენა, საჭირო აპარატურული და/ან პროგრამული საშუალებების მოძიება/ შექმნა/შექმნა, დანერგვა, საჭიროების შემთხვევაში პერსონალის გადამზადება).

საუნივერსიტეტო საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს რამდენიმე ერთეული ტექნიკისა და გარკვეული სათადარიგო



დეტალების წინასწარ შესყიდვასა და საწყობში რეზერვირებას. დაზიანების შემთხვევაში სწრაფი ამოცვლის მიზნით (უზრუნველყოფს გონივრულ ვადებში ფუნქციონირების აღდგენას);

ინტერნეტის მიწოდება ორგანიზებულია ორი სხვადასხვა პროვაიდერის მიერ (ალტერნატიული პროვაიდერი ფუნქციონირებს 2017 წლის მაისიდან), რაც უზრუნველყოფს რესურსების ურთიერთგადაფარვას და საჭიროების შემთხვევაში დატვირთვის გადანაწილებას. ამ ეტაპზე შესაძლებელია ინტერნეტის გადანაწილება მოხდეს თამარ მეფის 59-სსა და ახალგაზრდობის გამზირზე განთავსებულ კორპუსებს შორის (რაც არსებული 14 სასწავლო კორპუსიდან გადაფარავს 11-ს);

უნივერსიტეტის სერვერებს ემსახურება 4 ერთეული ენერგო-შემნახველი მოწყობილობა, რომლებიც უზრუნველყოფენ სერვერების ფუნქციონირებას 35 წთ-ს მანძილზე, ეს დრო სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ელექტრო ენერგიის მიწოდება განხორციელდეს სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი გენერატორების საშუალებით.

უწყვეტი ენერგომომარაგება (გენერატორი) ასევე უზრუნველყოფილია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის (ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახური, საფინანსო განყოფილება, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ხარისხის მართვის სამსახური, კანცელარია, ადმინისტრაცია).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურის დებულება (დანართი 7);
- ბიზნესუწყვეტობის უზრუნველყოფის მექანიზმები (დანართი 10);
- უსდ-ს საქმიანობის წლიური ანგარიშები (დანართი 5);
- აწსუ-ს ოფიციალური ვებ-გვერდი;
- დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (დანართი 54);

7.4. ფინანსური რესურსი


- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია;
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას;
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე;
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება;
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

აღწერა და შეფასება


აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მაღალი ჩართულობით შექმნილ ფინანსურ დოკუმენტს. დაწესებულების ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსი ეკონომიკურად მიღწევადია. უნივერსიტეტის დაფინანსების ძირითადი წყაროებს წარმოადგენს:

1. საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის საფასური;
2. ეროვნული და საერთაშორისო ფონდების გრანტები;
3. საბიუჯეტო დაფინანსება (მათ შორის სახელმწიფო სტიპენდია);
4. ეკონომიკური საქმიანობით მისაღები სხვა ნებადართული შემოსავალი;

უნივერსიტეტის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის საფასურიდან მისაღები შემოსავალი, რომლის მოცულობა 2011 წლიდან 2018 წლამდე ყოველწლიურად მზარდია.



ყოველწლიურად იზრდება ბიუჯეტის დაფინანსების სხვა წყაროებიდან მისაღები შემოსავლების მოცულობაც. მათ შორის სტაბილურად მზარდია ფონდებიდან სამეცნიერო კვლევებისა და განვითარებისათვის მიღებული დაფინანსების მოცულობა. მზარდია ეკონომიკური საქმიანობით მისაღები შემოსავლის მოცულობა, რომელიც თავის მხრივ შედგება უნივერსიტეტში არსებული ცენტრებისა და სასერთიფიკატო პროგრამებიდან, გამომცემლობიდან, ფაბ-ლაბის მომსახურეობიდან, საიჯარო ქირიდან, დეპოზიტზე განთავსებული თავისუფალი სახსრების საპროცენტო სარგებლისა და სხვა ტიპის კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლისაგან.




რაც შეეხება საბიუჯეტო დაფინანსებას, მისი მოცულობა წლების მიხედვით განსხვავებული და არაზომიერია. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ 2017 წლის საბიუჯეტო დაფინანსება ბოლო შვიდი წლის განმავლობაში ყველაზე დიდი მოცულობისაა (საბიბლიოთეკო კორპუსის წილობრივი დაფინანსება). ყველა ტიპის შემოსავლის ზრდა



საბოლოოდ განაპირობებს ყოველწლიურად უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის ზრდას. შემოსავლების დინამიკურმა ზრდამ განაპირობა 2018 წლის ბიუჯეტის შემოსავლითი ნაწილის, 2011 წლის ბიუჯეტის იმავე პარამეტრთან მიმართებით თითქმის 2-ჯერ გაზრდა.

უნივერსიტეტის ბიუჯეტის გეგმის შემოსავლით ნაწილში სრულად არის გათვალისწინებული ყველა სავარაუდო შემოსავალი, რომელიც შესაძლებელია უნივერსიტეტმა მიიღოს წლის განმავლობაში. დაგეგმვის პროცესში სირთულეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ საბიუჯეტო წელი არ ემთხვევა სასწავლო წელს (პერიოდს), შესაბამისად, სტუდენტთა სწავლის გადასახადით მისაღები შემოსავლის დაგეგმვა ხორციელდება მომდენო სასწავლო წლისათვის პროგრამებზე გამოყოფილი ადგილების გათვალისწინებით. უმეტესად პროგრამებზე გამოყოფილი ადგილების და მიღებული სტუდენტების რაოდენობა საკმარისია ფინანსურად პროგრამის უზრუნველყოფისათვის. გამოყოფილ ადგილებზე ნაკლები სტუდენტის მიღების შემთხვევაში პროგრამის განხორციელების მიზნით გონივრულ ფარგლებში ხორციელდება მისი დაფინანსება ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლის ფარგლებში. დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროებიდან მიღებული შემოსავალი (მათ შორის მნიშვნელოვანია ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული) გვადლევს შესაძლებლობას, გავზომოთ და ვმართოთ რისკები ადეკვატურად და ეფექტურად. თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ შემთხვევა პირველადი და კორექტირებული გეგმის სწავლის საფასურით მისაღებ შემოსავლებს შორის 2017 წლის ბიუჯეტში. დაგეგმილ ბიუჯეტში საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის მოცულობა შეადგენდა 19371334 ლარს, ხოლო კორექტირებულ გეგმაში 19081792 ლარს, სხვაობა პირველად და კორექტირებულ გეგმას შორის შეადგენდა 289542 ლარს. იმავე ბიუჯეტში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული ნებადართული შემოსავლების მოცულობა განსაზღვრული იყო 681950 ლარით. აღნიშნული შემოსავლის ხარჯზე დაბალანსდა ის დეფიციტი, რომელიც გამოწვეული იყო პირველად და კორექტირებული გეგმის სწავლის საფასურის ნაწილში დაგეგმილთან მიმართებითი ნაკლები სტუდენტის მიღების გამო.



ბოლო წლების საბიუჯეტო შემოსავლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროების არსებობა გვადლევს შესაძლებლობას, ვმართოთ რისკები და მოვახდინოთ ფინანსების ეფექტიანი გადანაწილება. აღნიშნულის დასტურია ის გარემოება, რომ ბოლო შვიდი წლის განმავლობაში შემოსავლის პირველად და კორექტირებულ გეგმას შორის დეფიციტი არ აღემატება 5-7%-ს, ხოლო ყოველი წლის ბიუჯეტი წინასთან შედარებით იზრდება მინიმუმ 5-10%-ით. ბუნებრივია, ეს არ არის ფინანსური რესურსის მაქსიმუმი, რომლის მიღწევაც არის შესაძლებელი. უნივერსიტეტი განაგრძობს მუშაობას დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროების მოძიების კუთხით და ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს ადამიანური თუ მატერიალური რესურსი საკუთარი შესაძლებლობების კომერციალიზაციის მიზნით.



უსდ-ს ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია, მზარდი და უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულებას.

აღნიშნული ღონისძიების განხორციელების მიზნით 2018 წლის ბიუჯეტის ფორმირებისას სტრუქტურულ ერთეულებს მიეწოდათ საბიუჯეტო საპროექტო განაცხადის ფორმა, რომელიც ითვალისწინებდა დასაფინანსებელი პროექტის ზოგად და საპროექტო ინფორმაციის წარმოდგენას. ზოგადი ინფორმაცია, თავის მხრივ, გულისხმობდა, პროექტი აწესებს სტრატეგიული განვითარების გეგმის რომელ პრიორიტეტს შეესაბამებოდა და სტრატეგიული განვითარების გეგმის და ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის რა შედეგის (ქვე-შედეგის) მიღებას ემსახურებოდა. მოწოდებული ინფორმაცია გაანალიზების შემდგომ გადატანილ იქნა უნივერსიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ეკონომიკური კლასიფიკატორის მუხლების მოთხოვნების შესაბამისად, რის შემდგომაც დაიწყო ხარჯვის პროცედურების განხორციელება. საინტერესოა ის გარემოება, რომ სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი საბიუჯეტო პროექტები, რომლებიც ორიენტირებულია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში ჩამოყალიბებულ აქტივობებზე, წარმოადგენს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შედეგზე ორიენტირებულ პროცესს, რომელიც საბოლოო ჯამში ემსახურება უნივერსიტეტის მისიის შესრულების ხელშეწყობას.

აწეს-ს ბიუჯეტის შემოსავლების დაგეგმვის კვალდაკვალ ხორციელდება ხარჯების დაგეგმვა. ხარჯვითი ნაწილის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, გათვალისწინებულ იქნეს ყველა იმ აუცილებელი ხარჯის დაფინანსება, რომელიც ევალება უნივერსიტეტს, როგორც ეკონომიკურ სუბიექტს, ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. მათ შორის; გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა, საშტატო განრიგით, და ხელშეკრულებებით აღებული სახელფასო ვალდებულების შესრულება, სტიპენდიების გაცემა, სადაზღვევო პრემიის თანხა და სხვა.

ბიუჯეტის დაგეგმვისას თავისუფალი თანხის რაციონალურად და ეფექტიანად ხარჯვის მიზნით ბოლო ხუთი წლის მანძილზე ხორციელდება ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილი პროექტების (საბიუჯეტო განაცხადების) შესაბამისად საერთო ბიუჯეტის ფარგლებში მათთვის ხარჯვის ლიმიტის გამოყოფა. ხარჯვის ლიმიტი არის ფაკულტეტებისათვის საერთო ბიუჯეტის ფარგლებში გამოყოფილი თანხის ხარჯვის გადაწყვეტის უფლება, ფაკულტეტების საჭიროებებიდან გამომდინარე ყოველწლიური პრიორიტეტების დოკუმენტის შესაბამისად. ხარჯვის ლიმიტის მოცულობა 2013 წელს შეადგენდა 200 000 ლარს, რომლის მოცულობაც 2017 წლისათვის განისაზღვრა 1 000 000 ლარით. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მტკიცდება როგორც საბიუჯეტო პრიორიტეტების დოკუმენტი, ასევე ხარჯვითი ლიმიტის მოცულობა. მიმდინარე წელს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ფაკულტეტების საპროექტო განაცხადების აწეს სტრატეგიული განვითარების გეგმის და ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის პრიორიტეტების შესაბამისად წარდგენა და გათვალისწინება, არის ოპტიმალური გადაწყვეტილება შეზღუდული ფინანსური რესურსის პირობებში ზემოაღნიშნული გეგმების ეფექტური განხორციელების მიზნით.

ადმინისტრაციული ხარჯების წილი საერთო ბიუჯეტში შეადგენს არაუმეტეს 7-9 პროცენტს. მასში გათვალისწინებულია როგორც სახელფასო, ასევე მატერიალური ხასიათის დანახარჯები.

აწეს-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სწავლა-სწავლების, კვლევის, სახელოვნებო და შემოქმედებითი საქმიანობის ადამიანური რესურსების და ინფრასტრუქტურის მდგრადი და შემდგომი განვითარება. აღნიშნულის მიღწევისა და ეფექტიანად განხორციელების მიზნით უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ იმსჯელა და დაამტკიცა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018 წლის საბიუჯეტო პრიორიტეტები:

№	პრიორიტეტის დასახელება
1	სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა (მათ შორის შიდა გრანტები, სამეცნიერო მივლინებები და კონფერენციები, ინტერნაციონალიზაცია)
2	თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება (მ.შ. უცხო ენის სწავლება), გადამზადება, სხვადასხვა ტრენინგ კურსების ორგანიზება
3	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება-სრულყოფა (ლაბორატორიული მოწყობილობა, ტექნიკა, აღჭურვილობა, მასალები და ა.შ.)
4	ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება (მიმდინარე და კაპიტალური რემონტი, მშენებლობა და ა.შ.)




5	სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის შეძენა, დამზარე და მეთოდური ლიტერატურის ბეჭდვა, ელ. ვერსიების დამზადება და სხვ.
6	სხვადასხვა საფაკულტეტო ინიციატივების მხარდაჭერა (სახელობითი სტიპენდიების დაფინანსება, თანამშრომელთა წახალისება, სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა და სხვ.)

აღნიშნული პრიორიტეტები ყოველწლიურად განიცდის განახლებას და შესაბამისობაშია ყოველწლიურ საჭიროებებთან.

ხარჯების მოცულობა, ისევე როგორც შემოსავლები, მზარდია ყოველწლიურად ბიუჯეტის ზრდის შესაბამისად. 2011 წლიდან 2016 წლის ჩათვლით უნივერსიტეტის ბიუჯეტის გეგმაში შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობა ტოლია. შესაბამისად, წლის დასაწყისსა და ბოლოს ფულადი ნაშთის მოცულობაც უცვლელი. აღნიშნული წლების მანძილზე ბიუჯეტის ფაქტობრივი შერულებისას ხარჯვის ნაწილში გაკეთებულმა გარკვეულმა ეკონომიამ (რითაც ხდებოდა რისკების დაზღვევა და გარგვეული თანხის დადებოზიტება) მოგვცა შესაძლებლობა, 2017 წლის ბიუჯეტი ყოფილიყო პრეფიციტული. გასულ წელი უნივერსიტეტის, როგორც ფინანსური ინსტიტუტის, რეალობაში იყო განსხვავებული იმ კუთხით, რომ ხარჯების მოცულობა აჭარბებდა შემოსავლების მოცულობას. ფინანსური რესურსის ეკონომიის და შესაბამისად ამ რესურსის რისკების მართვის კუთხით გამოყენების საჭიროება დადგა 2017 წლის ბოლოს. პროგრამული დაფინანსების მოცულობის ზრდის შესაბამისად აღნიშნული დაფინანსების მიღებამდე (დეკემბრის ბოლო), საჭირო გახდა ფინანსური რესურსი, რითაც დაეფარეთ ბოლო ორი თვის სახელფასო და მომწოდებლების ვალდებულებები. ნოემბრის თვეში შესაბამისი თანხის უზრუნველყოფა მოვახდინეთ დეპოზიტის დარღვევის ხარჯზე, ხოლო დეკემბრის თვეში უკვე მიღებული დაფინანსების ხარჯზე. აქვე დავძენთ, რომ პროგრამული დაფინანსების აღნიშნული მოდელით დაფინანსების მიღება საკმაოდ ძვირი დაუჯდა უნივერსიტეტს (დეპოზიტზე დასარიცხი სარგებლის მოცულობა შეადგენდა 180 000 ლარს), რისკების დაზღვევისა და ფინანსური რესურსის დაზოგვის მიზნით უმჯობესია თანხის მიღების ყოველთვიური მოდელის შემუშავება.

2018 წლის ბიუჯეტი, ისევე როგორც 2017 წლისა, პრეფიციტულია, არსებული საჭიროებებისა და ფინანსური შესაძლებლობის გათვალისწინებით. საბოლოოდ ბოლო შვიდი წლის განმავლობაში ხარჯების დინამიკა ასე გამოიყურება:



აწლ-ს ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება. საბიბლიოთეკო შესაძლებლობების სრულყოფისა და განვითარებისათვის 2017 წელს აშენდა საბიბლიოთეკო კორპუსი. შენობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებამ შეადგინა 2183650 ლარი. წიგნების, ელექტრონული ბაზებისა თუ სერვისების შესყიდვისათვის ყოველწლიურად ფინანსური რესურსის გამოყოფა მზარდია. აღნიშნულის შესახებ დიაგრამები და ციფრობრივი მონაცემები ასახულია ამავე სტანდარტის ბიბლიოთეკის აღწერილობით ნაწილში.



დაწესებულების სამეცნიერო კვლევების მუდმივად განხორციელებისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ფინანსური რესურსი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა პირისათვის თანაბრად. უნივერსიტეტის 2018 წლის (ასევე წინა წლების) საბიუჯეტო პრიორიტეტების დოკუმენტის შესაბამისად, ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილ საბიუჯეტო პროექტებში (განაცხადები) მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პირველ და მეორე პრიორიტეტების შესაბამის პროექტებს, რომელიც ბუნებრივია აისახა უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესაბამის მუხლებში და რომლის ხარჯვაც ხორციელდება მიმდინარე წელს. ნიშანდობლივია, რომ საბიუჯეტო პროექტები ზემოაღნიშნული პრიორიტეტების პრიზმაში განიხილება და წარმოდგება ფაკულტეტების მიერ საბჭოების გადაწყვეტილებების შესაბამისად. ფაკულტეტები თავისი საჭიროებიდან და სამეცნიერო პროფილიდან გამომდინარე, წყვეტენ, რომელი პრიორიტეტის რომელი პროექტი წარადგინოს კონკრეტულ წელს გონივრულ ფარგლებში. წინა წლების გამოცდილებით უნივერსიტეტი აფინანსებდა უნივერსიტეტის შიდა გრანტებს. ამ ეტაპზე ფაკულტეტები არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამეცნიერო პროფილის გათვალისწინებით, ქმნის და აფინანსებს სამეცნიერო კვლევით ერთეულს, გასცემს გრანტს, აფინანსებს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კონფერენციაში მუშაობის ხარჯებს, საერთაშორისო ჟურნალებში სტატიის, პუბლიკაციის გამოქვეყნების ხარჯებს, დოქტორანტებს, მათ კვლევებს და ა. შ. სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით გაწეული ხარჯი ბოლო შვიდი წლის მანძილზე დაახლოებით შეადგენს უნივერსიტეტის ბიუჯეტის გეგმის 7-10%-ს პროცენტს, ხოლო შრომის ანაზღაურების და ინფრასტრუქტურული პროექტების ხარჯის გარდა, დახარჯული თანხის დაახლოებით მესამედს.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებულია ანგარიშვალდებულების ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა.

დაგეგმილი ბიუჯეტის შესრულებისა და კონტროლის მიზნით, უნივერსიტეტში დანერგულია ფინანსური მართვის სისტემა, რომელიც უნივერსიტეტის ფინანსური რესურსების ეფექტური მართვის შესაძლებლობას იძლევა. უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურები ბიუჯეტის შესრულების კონტროლს ახორციელებს საბიუჯეტო კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების შესაბამისად. დაგეგმილი შემოსავლის მიღების მიზნით, ყოველკვარტალური ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახური ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ახორციელებს ადმინისტრირების ღონისძიებებს. მათ შორის, აძლევს ინფორმაციას ფაკულტეტებს სტუდენტთა დავალიანების შესახებ კანონმდებლობით გასტარებული ღონისძიების მიზნით. მართავს დებიტორულ დავალიანებას, რა მიზნითაც ატარებს მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით. საჭიროების შემთხვევაში მიმართავს ფონდებს პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების ჩამორიცხვასთან დაკავშირებით და სხვა.

ხარჯვის დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე ადგენს გაწეული ხარჯების შესაბამისობას დაგეგმილი ბიუჯეტის ეკონომიკური კლასიფიკატორის მუხლებთან, რის შემდგომაც ასახავს გახარჯული თანხის მოცულობას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში, დაფინანსების წყაროების და ხარჯვის შესაბამისი კატეგორიების მიხედვით. დაგეგმილი და მიღებული შემოსავლის, დაგეგმილი და გაწეული ხარჯების, რეგულარული კონტროლის მიზნით, ყოველი კვარტლის ბოლოს კანონმდებლობით დადგენილი ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურთან ერთად, აანალიზებს ბიუჯეტის ფაქტობრივ მდგომარეობას და გეგმავს მიმდინარე შესრულების გათვალისწინებით მომდევნო კვარტალში განსახორციელებელ ღონისძიებებს. თვალსაჩინოებისათვის შესაძლებელია განვიხილოთ ორი შემთხვევა, ერთი შემოსავლის, ხოლო მეორე ხარჯებთან დაკავშირებით. 1) 2017 წლის მესამე კვარტლის შემოსავლების შესახებ ინფორმაციის ანალიზისას გაირკვა, რომ გაზრდილია დებიტორული დავალიანების მოცულობა ეკონომიკური საქმიანობით მისაღები შემოსავლის ფარგლებში, (განსაკუთრებით მოიჯარეების მხრიდან). გამოიკა ადმინისტრირების ღონისძიების გატარების მიზნით, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციას შესახებ ბრძანება და ჩატარდა შესაბამისი პროცედურები. 2) 2017 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ არაფინანსური აქტივების ხარჯვის კუთხით დიდი მოცულობით სამუშაოები არის დაწყებული კვარტლის მიმდინარეობისას, რომელთა ანგარიშსწორება ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად უნდა განხორციელდეს მესამე კვარტალში. დაიგეგმა, აქცენტი გაკეთდეს სხვა ტიპის მსხვილი ხარჯების მეოთხე კვარტალში გადატანაზე, ხოლო ძირითადი ფინანსური რესურსი (არ იგულისხმება ხელფასის სტიპენდიის გადასახადების, მოსაკრებლების მოცულობა) მესამე კვარტალში მიმართულ იქნას სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე.

ყოველი კალენდარული წლის ბოლოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე (რომელზედაც მოწვეულია აკადემიური საბჭო და ფაკულტეტების დეკანები) წარმოდგენს კორექტირებულ ბიუჯეტს და ანგარიშს გაწეული ფინანსური საქმიანობის შესახებ. ამავე სხდომაზე განიხილება



ფაკულტეტების დეკანების მხრიდან ხარჯვითი ლიმიტის ფარგლებში გაწეული საქმიანობა. საბოლოოდ შესრულებული ბიუჯეტი ასახავს ჰპოვებს ფინანსურ ანგარიშებში, რომლებიც დადგენილი წესითა და ვადაში მიეწოდება ზემდგომ უწყებებს. ფინანსური ანგარიშების რევიზირებას ახდენს სახელმწიფო აუდიტის სამსახური განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საერთო რევიზირების ფარგლებში, რომელთან მიმართებით დაწესებულება საჭიროების შემთხვევაში ადგენს დამატებით დოკუმენტაციას.

სისტემა, რომელიც მოქმედებს ფინანსური მართვისა და კონტროლის კუთხით, ახალი შემუშავებულია და ამ ეტაპზე ხდება მისი პრაქტიკაში დანერგვა და გამოცდა. მომავალში განსაზღვრულია ფაქტობრივად განხორციელებული ფინანსური მართვისა კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შეფასების დოკუმენტის შექმნა და შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუ-ს ბიუჯეტი (დანართი 57);
- აწსუ-ში მიღებული ეროვნული და საერთაშორისო ფონდების გრანტები, (დანართი 42, დანართი 37);
- აწსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშები, (დანართი 5).

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

ძლიერი მხარეები

- შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა;
- მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები;
- ფუნქციონირებს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები;
- ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და აწსუ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- ფინანსური რესურსი ადეკვატური და საკმარისია, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობები ეფექტურად შესრულდეს;
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

გასაუმჯობესებელი მხარეები

- გასაუმჯობესებელია მოქმედი ბიზნესუწყვეტობის გეგმა;
- გასაუმჯობესებელია ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები;
- გასაუმჯობესებელია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფორმაციული და მეგობრული ვებგვერდის უწყვეტი ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ყველა შენობა-ნაგებობაში დამონტაჟებული იყოს გათბობის ცენტრალური სისტემა;
- გასაუმჯობესებელია ბიბლიოთეკის რესურსები და სერვისები;
- გასაუმჯობესებელია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.



ნაწილი III: წარმოსადგენი ინფორმაციის/დოკუმენტების ჩამონათვალი

ინფორმაცია, რომელსაც უნდა შეიცავდეს თვითშეფასების ფორმა ჩანაწერის, გრაფიკული ჩანართების და/ან ფორმაზე თანდართული დოკუმენტაციის სახით ⁹	დანართი
უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება დაკავშირებული დანართები	
<input checked="" type="checkbox"/> უსდ-ის მისია;	დანართი 1
<input checked="" type="checkbox"/> სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი);	დანართი 1
<input checked="" type="checkbox"/> სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;	დანართი 2
<input type="checkbox"/> საზოგადოებრივ განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები	დანართი 3
<input checked="" type="checkbox"/> სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები;	დანართი 4
<input checked="" type="checkbox"/> უსდ-ს საქმიანობის წლიური ანგარიშები (სამოქმედო გეგმის შესაბამისად)	დანართი 5
უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	
<input checked="" type="checkbox"/> უსდ-ის სტრუქტურა;	დანართი 6
<input checked="" type="checkbox"/> უსდ-ის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები;	დანართი 7 დანართი 28
<input checked="" type="checkbox"/> მართვის ორგანოებში არჩევის/ დანიშვნის წესი და პროცედურები;	დანართი 8
<input type="checkbox"/> უსდ-ის საქმისწარმოების წესი;	დანართი 9
<input checked="" type="checkbox"/> ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა;	დანართი 10
<input checked="" type="checkbox"/> მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა;	დანართი 11
<input checked="" type="checkbox"/> ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა	დანართი 12
<input type="checkbox"/> საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები და მათი ეფექტურობის შეფასების ანალიზი;	დანართი 12
<input type="checkbox"/> უცხოელი სტუდენტებისა და პერსონალის მოზიდვის მექანიზმები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	დანართი 12
<input type="checkbox"/> პერსონალისა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები უსდ-ის მიერ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის შესწავლის მიზნით;	დანართი 13
<input checked="" type="checkbox"/> ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების აღწერა და მათი ეფექტიანობის შეფასება;	დანართი 11
<input checked="" type="checkbox"/> გამოკითხვების (მაგ. სტუდენტთა, პერსონალის და ა.შ) შედეგების ანალიზი და შესაბამისი ანგარიშები;	დანართი 13
<input checked="" type="checkbox"/> ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა და შედეგების გამოყენების ანგარიში;	დანართი 11 დანართი 5
<input checked="" type="checkbox"/> სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები;	დანართი 14
<input type="checkbox"/> ეთიკისა და ქცევის წესები და მათ დარღვევებზე რეაგირების პროცედურები;	დანართი 15
<input type="checkbox"/> პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები;	დანართი 16
<input type="checkbox"/> უსდ-ის შინაგანაწესი.	დანართი 17
საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული დანართები	
<input checked="" type="checkbox"/> საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;	დანართი 11

⁹ შენიშვნა: თვითშეფასების შევსებულ ფორმასთან ერთად სავალდებულოა - ნიშნით მონიშნული დოკუმენტების ინგლისურ ენაზე არსებობა



<input checked="" type="checkbox"/> საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები ¹⁰	დანართი 18
<input type="checkbox"/> შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;	დანართი 19
<input type="checkbox"/> სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი პროგრამების განვითარების მიზნით, და შედეგების გამოყენების ანგარიში;	დანართი 19 დანართი 20
<input type="checkbox"/> კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები მათ კარიერულ (მათ, შორის, დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად) და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით;	დანართი 20
<input type="checkbox"/> სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები;	დანართი 21
<input type="checkbox"/> პროგრამის დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურები;	დანართი 11
<input type="checkbox"/> საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები;	დანართი 68
<input checked="" type="checkbox"/> სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი;	დანართი 11
<input type="checkbox"/> აკადემიური კალენდარი;	დანართი 22
<input type="checkbox"/> ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;	დანართი 23
უსდ-ის პერსონალის მართვა	
<input checked="" type="checkbox"/> პერსონალის მართვის პოლიტიკა, შესაბამისი რეგულაციები (მათ შორის, პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, დასაქმების, შეფასების და პროფესიული განვითარების მექანიზმები);	დანართი 24
<input checked="" type="checkbox"/> პერსონალის პირადი საქმეები; ¹¹	დანართი 25
<input type="checkbox"/> აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის განაწილება ასაკისა და სქესის	დანართი 26
<input type="checkbox"/> აკადემიური პერსონალის საკონკურსო დოკუმენტაცია (კონკურსის გამოცხადების, არჩევის ან/ და დანიშვნის ბრძანებები);	დანართი 27
<input checked="" type="checkbox"/> პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენების ანგარიში პერსონალის მართვასა და განვითარებაში;	დანართი 13
<input type="checkbox"/> სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;	დანართი 28
<input type="checkbox"/> პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები;	დანართი 29
<input checked="" type="checkbox"/> აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა (სემესტრული დატვირთვი სქემები) და აკადემიური თანამდებობის პირის ინდივიდუალური დატვირთვის მაჩვენებელი (რომელიც ითვალისწინებს პირის დატვირთვას სხვა უსდ-ებშიც);	დანართი 30
<input checked="" type="checkbox"/> აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები;	დანართი 31
<input type="checkbox"/> პროგრამების მიხედვით, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;	დანართი 61
სტუდენტები და მათი მხარდაჭერის მექანიზმები	
<input checked="" type="checkbox"/> უსდ-სა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები;	დანართი 32
<input type="checkbox"/> სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმი;	დანართი 33
კარიერული მხარდაჭერის სერვისები	დანართი 33
<input checked="" type="checkbox"/> კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები მათ კარიერულ (მათ, შორის, დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად) და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით;	დანართი 20
<input type="checkbox"/> განხორციელებული და დაგეგმილი სტუდენტური ინიციატივები/პროექტები;	დანართი 34
<input type="checkbox"/> სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის ინსტრუმენტები და შედეგები;	დანართი 35

¹⁰ სავალდებულოა მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამების მოკლე აღწერის, სტრუქტურის, მიზნებისა, სწავლის შედეგების და სასწავლო გეგმის ინგლისურ ენაზე არსებობა

¹¹ წარმოდგენილი უნდა იქნას პერსონალის განახლებული CV და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო სავალდებულოა მხოლოდ პერსონალის CV-ების ინგლისურ ენაზე არსებობა



კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	
<input checked="" type="checkbox"/> ინფორმაცია უსდ-ის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის შესახებ;	დანართი 25
<input type="checkbox"/> თანამშრომლობის მემორანდუმ(ებ)ი ეკონომიკურ აგენტებთან და მათთან თანამშრომლობით დაგეგმილი, მიმდინარე და განხორციელებული კვლევითი პროექტები;	დანართი 36
<input checked="" type="checkbox"/> უნივერსიტეტის, როგორც ფუნდამენტური და/ან გამოყენებითი კვლევების/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის ინსტიტუციის განვითარების სტრატეგია;	დანართი 1
<input type="checkbox"/> მიმდინარე და/ან დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის პროექტების მოკლე აღწერები (დეპარტამენტების/ფაკულტეტების მიხედვით);	დანართი 37
<input type="checkbox"/> სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის შესახებ და შედეგების გამოყენების ანგარიში	დანართი 60
<input type="checkbox"/> ბოლო 5 წლის განმავლობაში დაცული სადოქტორო და ბოლო 2 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების ჩამონათვალი ფაკულტეტების მიხედვით.	დანართი 38
<input checked="" type="checkbox"/> უნივერსიტეტის შემთხვევაში, ბოლო 2 წლის განმავლობაში დაცული სადოქტორო ნაშრომების აბსტრაქტები, სასწავლო უნივერსიტეტის შემთხვევაში ბოლო 2 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების აბსტრაქტები.	დანართი 39
<input checked="" type="checkbox"/> სადოქტორო ნაშრომების შეფასებისა და დაცვის მარეგულირებელი წესი;	დანართი 40
<input type="checkbox"/> კვლევების დაფინანსების საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები;	თვითშეფასება დანართი 5
<input type="checkbox"/> კვლევებისა და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერი მექანიზმები;	დანართი 11
<input type="checkbox"/> უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევით/სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და ჩართვის სტრატეგია;	დანართი 1
<input type="checkbox"/> სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები მათი კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში ჩართვისა და შესაბამისი ინიციატივების მხარდაჭერის შესახებ	დანართი 13 დანართი 60
<input type="checkbox"/> ერთობლივი კვლევითი/სახელოვნებო/შემოქმედებითი აქტივობები და თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან;	დანართი 41
<input checked="" type="checkbox"/> კვლევის/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი და შეფასების შედეგები;	დანართი 11
<input checked="" type="checkbox"/> პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა;	დანართი 30
<input checked="" type="checkbox"/> განხორციელებული კვლევების შესახებ ანგარიში ფაკულტეტების/დეპარტამენტების მიხედვით (აკადემიური პერსონალის ავილირების გათვალისწინებით);	დანართი 42
მატერიალურ, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსები	
<input type="checkbox"/> უძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;	დანართი 43
<input type="checkbox"/> მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ინვენტარიზაციის მასალები;	დანართი 44
<input type="checkbox"/> პრაქტიკის / კვლევით-სამეცნიერო ობიექტთან დადებული ხელშეკრულება;	დანართი 36
<input checked="" type="checkbox"/> სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები მატერიალურ რესურსებთან მიმართებაში;	დანართი 13
<input type="checkbox"/> გათბობისა და ვენტილაციის სისტემის გამართულად მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი;	დანართი 45
<input type="checkbox"/> სანიტარული ნორმების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტი;	თვითშეფასება
<input type="checkbox"/> ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები;	დანართი 47
<input type="checkbox"/> შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტი	თვითშეფასება
<input type="checkbox"/> სახანძრო უსაფრთხოების დაცვის დამადასტურებელი შესახებ.	დანართი 46



<input type="checkbox"/> წიგნადი ფონდის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია/ინვენტარიზაციის მასალები;	დანართი 48
<input type="checkbox"/> საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია;	დანართი 49
<input type="checkbox"/> ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების სტატისტიკა;	დანართი 50
<input checked="" type="checkbox"/> ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები;	დანართი 51
<input type="checkbox"/> ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, ინსტრუქციები, ჩატარებული შეხვედრები, კონსულტაციები და სხვა ღონისძიებები;	დანართი 52
<input checked="" type="checkbox"/> სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს, რესურსებისა და მომსახურების შესახებ;	დანართი 13
<input checked="" type="checkbox"/> ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა;	დანართი 53
<input type="checkbox"/> ხელშეკრულება ინტერნეტ-პროვაიდერთან;	დანართი 54
<input type="checkbox"/> ინფორმაცია ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების შესახებ	თვითშეფასება
<input type="checkbox"/> ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების განვითარების მექანიზმები;	დანართი 55
<input type="checkbox"/> დომენის და ჰოსტინგის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტი;	დანართი 54
<input type="checkbox"/> ინფორმაცია დაფინანსების წყაროების შესახებ;	დანართი 56
<input checked="" type="checkbox"/> უსდ-ის ბიუჯეტი	დანართი 57
<input checked="" type="checkbox"/> დაფინანსების ბოლო 5 წლის დინამიკა	დანართი 56
მიმდინარე ან/და წინასაანგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშები	დანართი 58
<input type="checkbox"/> პასუხისმგებლობების გადაწვლილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების წესი და ფორმა;	თვითშეფასება, დანართი 7 დანართი 1
<input type="checkbox"/> ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის დოკუმენტი;	დანართი 59
აწსუ-ს მიერ მტკიცებულებების/ინდიკატორების გრაფაში მითითებული დოკუმენტები	
ჩატარებული შეხვედრების და განხილვების ოქმები	დანართი 62
შრომითი უნარების განმავითარებელი პროექტები, იმერეთის სკოლებთან დადებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები	დანართი 63
ფაკულტეტების მართვის ეფექტიანობის შიდა შეფასების კომისიის შექმნის შესახებ რექტორის ბრძანება	დანართი 64
აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეხვედრების ოქმები	დანართი 65
ენათა ცენტრის მიერ ჩატარებული სამუშაოების ანგარიში	დანართი 66
შიდა აზომვითი ნახაზები	დანართი 67
შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გზამკვლევი, აწსუ 2017	დანართი 69
პროექტის “სოციალური, ფილოსოფიისა და კულტურის მეცნიერებების განვითარების ხელშეწყობა აწსუ-ში” 2017 წლის ანგარიში	დანართი 70



დანართი 1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი ფაკულტეტების მიხედვით

1.1 საგანმანათლებლო პროგრამები ავტორიზაციის განაცხადისათვის

#	პროგრამის დასახელება	სწავლები ს ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი ¹²	პროგრამის განხორციელების ადგილი	*სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი (%)	*კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად (%)	*კურსდამთავრ ებულთა დასაქმების მაჩვენებელი (%)
ფაკულტეტის დასახელება: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი										
1	ქართული ენა და ლიტერატურა	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში	240	აკრედიტებული	№44; 23.09.2011.	აწსუ, I კორპუსი	12	27	52
2	ინგლისური ენა და ლიტერატურა	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში	240	აკრედიტებული	№42; 23.09.2011	აწსუ, III კორპუსი	41	63	71
3	გერმანული ენა და ლიტერატურა	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში	240	აკრედიტებული	№38; 23.09.2011	აწსუ, III კორპუსი	16	42	45
4	ფრანგული ენა და ლიტერატურა	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში	240	აკრედიტებული	№45; 23.09.2011	აწსუ, III კორპუსი	9	59	63
5	რუსული ენა და ლიტერატურა	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში	240	აკრედიტებული	№43; 23.09.2011	აწსუ, III კორპუსი	26	59	64
6	ადმოსავლური ფილოლოგია (მოდულები: არაბული ფილოლოგია; სპარსული ფილოლოგია; თურქული ფილოლოგია)	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში	240	აკრედიტებული	№51; 23.09.2011	აწსუ, III კორპუსი	13	34	42

¹² იმ შემთხვევაში, თუ აკრედიტაცია მიანიჭებულია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გარდა სხვა აკრედიტაციის მიმნიჭებელი ორგანიზაციის მიერ, მიუთითეთ მისი დასახელება

***შენიშვნა:** უსდ-ს შეუძლია დასაქმების მაჩვენებლები პროგრამების ნაცვლად წარმოადგინოს მიმართულებების მიხედვით. ასეთ შემთხვევაში, სქოლიოში უნდა გაკეთდეს შესაბამისი მითითება

****შენიშვნა:** მონაცემების ფაკულტეტების/დეპარტამენტების/სკოლების ჭრილში წარმოსადგენად საჭიროებისამებრ გააკეთეთ ცხრილების კოპირება



7	არქეოლოგია	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი არქეოლოგიაში	240	აკრედიტებული	№46, 23.09.2011.	აწსუ, I კორპუსი	9	32	43
8	ისტორია	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ისტორიაში	240	აკრედიტებული	№48, 23.09.2011.	აწსუ, I კორპუსი	12	43	61
9	ფილოსოფია	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოსოფიაში	240	აკრედიტებული	№47; 23.09.2011	აწსუ, I კორპუსი	2	21	30
10	ქართული ლიტერატურა	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ქართული ლიტერატურის ისტორიაში	120	აკრედიტებული	№85; 19.04.2012	აწსუ, I კორპუსი	31	56	65
11	ქართველური ენათმეცნიერება	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ქართველურ ენათმეცნიერებაში	120	აკრედიტებული	№87; 19.04.2012	აწსუ, I კორპუსი	38	41	59
12	ფრანგული ენა და ლიტერატურა	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ფრანგულ ფილოლოგიაში	120	აკრედიტებული	№91; 19.04.2012	აწსუ, III კორპუსი	0	50	71
13	ინგლისური ენა და ლიტერატურა	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ინგლისურ ფილოლოგიაში	120	აკრედიტებული	№89; 19.04.2012	აწსუ, III კორპუსი	100	100	100



14	ლინგვისტიკა	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ლინგვისტიკაში	120	აკრედიტებული	№99; 19.04.2012	აწსუ, III კორპუსი	33	45	62
15	საქართველოს ისტორია	ქართული	საქართველოს ისტორიის მაგისტრი	120	აკრედიტებული	№103; 19.04.2012	აწსუ, I კორპუსი	27	45	70
16	არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი არქეოლოგიაში	120	აკრედიტებული	№105; 19.04.2012	აწსუ, I კორპუსი	5	15	31
17	გერმანული ენა და ლიტერატურა	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი გერმანულ ფილოლოგიაში	120	აკრედიტებული	№90; 19.04.2012	აწსუ, III კორპუსი	12	71	83
18	ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორია	ქართული	ისტორიის მაგისტრი ევროპისა და ამერიკის ახალ და უახლეს ისტორიაში	120	აკრედიტებული	№100; 19.04.2012	აწსუ, I კორპუსი	15	40	59
19	ადმოსავლური ფილოლოგია (არაბული, თურქული, სპარსული)	ქართული	1. არაბული ფილოლოგიის მაგისტრი 2. თურქული ფილოლოგიის მაგისტრი 3. სპარსული ფილოლოგიის მაგისტრი	120	აკრედიტებული	№93; 19.04.2012	აწსუ, III კორპუსი	19	21	29
20	ხელოვნების თეორია	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ხელოვნების ისტორიისა და თეორიაში	120	აკრედიტებული	№95; 19.04.2012	აწსუ, I კორპუსი	9	11	49
21	ამერიკისმცოდნეობა	ქართული	ამერიკისმცოდნეობის მაგისტრი	120	აკრედიტებული	№96; 19.04.2012	აწსუ, III კორპუსი	35	42	53



22	ევროპისმცოდნეობა	ქართული	ევროპისმცოდნეობის მაგისტრი	120	აკრედიტებული	№21; 25.02.2015	აწსუ, III კორპუსი	42	0	100
23	რუსული ენა და ლიტერატურა	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი რუსულ ფილოლოგიაში	120	აკრედიტებული	№92; 19.04.2012	აწსუ, III კორპუსი	50	62	73
24	კლასიკური ფილოლოგია	ქართული	კლასიკური ფილოლოგიის მაგისტრი	120	აკრედიტებული	№34; 28.06.2016	აწსუ, III კორპუსი	33	-	-
25	ფილოსოფია - რელიგიის კვლევები	ქართული	ფილოსოფიის მაგისტრი	120	აკრედიტებული	№126; 29.08.2016	აწსუ, I კორპუსი	29	-	-
26	დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურა	ქართული	ფილოლოგიის დოქტორი	180	აკრედიტებული	№97; 19.04.2012	აწსუ, III კორპუსი	100	100	100
27.	ქართულ ენაში მოსამზადებელი ქართულენოვანი პროგრამა	ერთწლიანი	-	60	აკრედიტებული	#346, 7.09.2012	აწსუ, III კორპუსი	-	-	100
ფაკულტეტის დასახელება: ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი										
28.	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირე ბის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	№116 17.10.2011 წ	აწსუ, ქუთაისი	12	36	62
29.	ეკონომიკა	ქართული	ეკონომიკის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	№119 17.10.2011	აწსუ, ქუთაისი	10	24	51
30.	სამართალი	ქართული	სამართლის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	№17 16.09.2011	აწსუ, ქუთაისი	27	71	82
31.	სოციალურ მეცნიერებები	ქართული	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი	240	აკრედიტებული	N 118 17.10.2011	აწსუ, ქუთაისი	14	21	49
32.	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირე ბის მაგისტრი	120	აკრედიტებული	№75 19.04.2012 .	აწსუ, ქუთაისი	84	82	91
33.	სისხლის სამართალი	ქართული	სისხლის სამართლის მაგისტრი	120	აკრედიტებული	№63 06.04.2012	აწსუ, ქუთაისი	92	95	100
34.	საჯარო სამართალი	ქართული	საჯარო სამართლის მაგისტრი	120	აკრედიტებული	№626 6.04.2012	აწსუ, ქუთაისი	89	92	96
35.	საჯარო მმართველობა	ქართული	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი	120	აკრედიტებული	№61 06.04.2012	აწსუ, ქუთაისი	52	37	82



36.	ეკონომიკა	ქართული	ეკონომიკის მაგისტრი	120	აკრედიტებული	№ 249, 26.07.2012	აწსუ, ქუთაისი	54	28	88
37.	ჟურნალისტიკა	ქართული	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი ჟურნალისტიკა ში	120	აკრედიტებული	№79 19.04.2012	აწსუ, ქუთაისი	100	100	100
38.	ლიდერობა და მენეჯმენტი უმალეს განათლებაში	ინგლისური	განათლების მენეჯმენტის მაგისტრი	120	აკრედიტებული	№136, 08.10.2013	აწსუ, ქუთაისი	93	43	100
ფაკულტეტის დასახელება: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი										
39.	მათემატიკა	ქართული	მათემატიკის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	66, 23/09/2011	ქუთაისი, თამარ- მეფის ქუჩა, № 59	10	34	48
40.	კომპიუტერული მეცნიერებები	ქართული	ინფორმატიკის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	49, 23/09/2011	ქუთაისი, თამარ- მეფის ქუჩა, № 59	20	30	35
41.	ფიზიკა	ქართული	საბუნებისმეტყვე ლო მეცნიერებათა ბაკალავრი ფიზიკაში	240	აკრედიტებული	67, 23/09/2011	ქუთაისი, თამარ- მეფის ქუჩა, № 59	12	67	67
42.	ბიოლოგია	ქართული	საბუნებისმეტყვე ლო მეცნიერებათა ბაკალავრი ბიოლოგიაში	240	აკრედიტებული	39, 23/09/2011	ქუთაისი, თამარ- მეფის ქუჩა, № 59	16	16	29
43.	ეკოლოგია	ქართული	ეკოლოგიის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	50, 23/09/2011	ქუთაისი, თამარ- მეფის ქუჩა, № 59	6	0	40
44.	გეოგრაფია	ქართული	საბუნებისმეტყვე ლო მეცნიერებათა ბაკალავრი გეოგრაფიაში	240	აკრედიტებული	40, 23/09/2011	ქუთაისი, თამარ- მეფის ქუჩა, № 59	16	19	38
45.	ქიმია	ქართული	საბუნებისმეტყვე ლო მეცნიერებათა ბაკალავრი ქიმიაში	240	აკრედიტებული	32, 16/09/2011	ქუთაისი, თამარ- მეფის ქუჩა, № 59	16	50	50
46.	გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგიები)	ქართული	გამოყენებითი ბიომეცნიერებე ბის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	41, 23/09/2011	ქუთაისი, თამარ- მეფის ქუჩა, № 59	33	43	57



47.	მათემატიკა	ქართული	მათემატიკის მაგისტრი	120	აკრედიტებული	69, 06/04/2012	ქუთაისი, თამარ-მეფის ქუჩა, № 59	49	78	87
48.	კომპიუტერული მეცნიერება	ქართული	კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი	120	აკრედიტებული	250, 26/07/2012	ქუთაისი, თამარ-მეფის ქუჩა, № 59	50	50	57
49.	ბიოლოგია	ქართული	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი ბიოლოგიაში, ეკოლოგიის მაგისტრი	120	აკრედიტებული	66, 06/04/2012	ქუთაისი, თამარ-მეფის ქუჩა, № 59	50	66	66
50.	რეგიონალური გეოგრაფია და რეკრიაციული რესურსები	ქართული	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი	120	აკრედიტებული	65, 06/04/2012	ქუთაისი, თამარ-მეფის ქუჩა, № 59	40	25	25
51.	გამოყენებითი ბიომეცნიერებები	ქართული	ბიოტექნოლოგიების მაგისტრი	120	აკრედიტებული	67, 06/04/2012	ქუთაისი, თამარ-მეფის ქუჩა, № 59	70	60	60
52.	ფუნქციონირება თეორია	ქართული	მათემატიკის დოქტორი	180	აკრედიტებული	70, 06/04/2012	ქუთაისი, თამარ-მეფის ქუჩა, № 59	-	100	100

ფაკულტეტის დასახელება: პედაგოგიური ფაკულტეტი


53.	დაწყებითი განათლება	ქართული	განათლების ბაკალავრი	240	აკრედიტებული	№61, 23.09.2011	ქ. ქუთაისი, თამარ მეფის 59, აწსუ II კორპუსი	20	23	43
54.	განათლების მეცნიერებები და მართვა	ქართული	განათლების მეცნიერებების მაგისტრი	120	აკრედიტებული	№101, 19.04.2012	ქ. ქუთაისი, თამარ მეფის 59, აწსუ II კორპუსი	70	35	71
55.	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (დამოუკიდებელი)	ქართული	-	60	აკრედიტებული	№3, 17.03.2016	ქ. ქუთაისი, თამარ მეფის 59, აწსუ II კორპუსი	70	100	100

ფაკულტეტის დასახელება: მედიცინის ფაკულტეტი

56.	სამკურნალო საქმე	ქართული	დიპლომირებული მედიკოსი	360	აკრედიტებული	№63; 23.09.2011	აწსუ, მე-11 კორპუსი, ახალგაზრდობის 98	28	25	32
57.	სამკურნალო საქმე (ინგლისურენოვანი)	ინგლისური	დიპლომირებული მედიკოსი Medical Doctor	360	აკრედიტებული	№347; 6.09.2012	აწსუ, მე-11 კორპუსი, ახალგაზრდობის 98	6	-	-
58.	მედიცინა + პბლ	ქართული	დიპლომირებული მედიკოსი	360	აკრედიტებული	№ 59, 15. 07. 2015	აწსუ, მე-11 კორპუსი, ახალგაზრდობის 98	2	-	-



59.	სტომატოლოგია	ქართული	დიპლომირებული სტომატოლოგი	300	აკრედიტებული	№ 64; 23.09. 2011	აწსუ, მე-11 კორპუსი, ახალგაზრდობის 98	4	47	15
60.	ფარმაცია	ქართული	ფარმაციის ბაკალავრი 0903	240	აკრედიტებული	№65; 23.09.2011	აწსუ, მე-11 კორპუსი, ახალგაზრდობის 98	9	32	37
61.	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია	ქართული	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	№ 30; 28.06. 2016	აწსუ, მე-11 კორპუსი, ახალგაზრდობის 98, კლინიკური ბაზები	4	-	-
